

ა(ა)იპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტი

სპეციალობა – საქართველოს ისტორია

იოსებ ალიმბარაშვილი

„ლეკიანობა” და ქართლ-კახეთის
სამხედრო-თავდაცვითი სისტემა

XVIII – XIX ს. 30-იანი წლები

წარდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ავთანდილ კილასონია

შესავალი

„ლეკიანობა“ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმნიშვნელოვნად უარყოფით მოვლენადაა შეფასებული. ეს პროცესი საქართველოში საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და მისი თანამედროვე თუ მომდევნო პერიოდის მკვლევარ-მოგზაურთაგან (როგორც ქართველი, ისე საქართველოში მყოფი უცხოელი) არ დარჩენილა ვინმე, რომ ამ საკითხს მეტ-ნაკლებად არ შეხებოდა. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობენ პასუხგაუცემელი კითხვები, რის ახსნასაც ქვემოთ შევეცდებით.

XIX და XX საუკუნის 90 წლის განმავლობაში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო, ამიტომ ეს მოვლენა განიხილებოდა და ფასდებოდა იმგვარად, როგორადაც ეს იმპერიის ინტერესებს ესაჭიროებოდა. როგორც ჭარ-ბელაქანისა და მთიანი დაღესტნის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ი. პეტრუშევსკი მიუთითებდა: „მთელი მთიანი დაღესტნის მოსახლეობის (განურჩევლად – ავარების, წახურების და სხვ) „მონათვლა“ ლეკებად, ხოლო „ლეკის“ გაიგივება დაუნდობელ მკვლელებსა და მძარცველებთან, თვითმპურობელი იმპერიის ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა: გამართლებინა რუსეთის მიერ კავკასიის ანექსია და რუსეთის კულტურულ მისიას – დაეცვა ქრისტიანი საქართველო და სომხეთი „მუსულმანი ბარბაროსებისაგან“.

ამ ფონზე ძალზე მოსახერხებლად გამოიყურებოდა მთელი დაღესტნელი მოსახლეობის წარმოჩენა ავაზაკებად, რომელთაგან საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთის ძლიერ ხელს შეეძლოო.

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიას შორის მართლაც დაიძაბა ურთიერთობები, მაგრამ „ლეკიანობა“ იზოლირებული მოვლენა არ ყოფილა და იგი ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში, ირან-ოსმალეთსა და რუსეთის იმპერიებში ხსენებულ პერიოდში განვითარებული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ.

ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩრდილო-კავკასია ფარად უდგა საქართველოს (როგორც ბუნებრივად, ისე ფიზიკურად) და რამდენიმე გამონაკლისის გარდა (სკვითების, კიმირიელების, ხაზარების თავდასხმები), ქართველი მეფეები ამ ფაქტორს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. პოლიტიკუ-

რი ქორწინებებიც ქართველ გვირგვინოსნებს უმეტესწილად ჩრდილო-კავკასიონებთან აკავშირებდათ (ფარნაგაზი, საურმაგი, ფარსმან ქველი, გიორგი I, ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარი, ლევან კახთა მეფე, ვახტანგ VI და სხვები). ძალზე იშვიათად გადაუტანიათ ქართველებს დიდი ბრძოლები, რომელშიც ჩრდილო-კავკასიელები მოკავშირების, ან დაქირავებულების სახით ქართული დროშის ქვეშ არ იბრძოდნენ (მათ შორის ლეპებიც, – ლეპების წინააღმდეგ).

მაშ რატომ მოხდა, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოზე თავსმოხვეულ ეთნო-კონფლიქტებში ოსებსა და აფხაზებთან, ჩრდილო-კავკასიელმა ხალხებმა ქართველების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღვნეს და ქართულ ჯარში (აფხაზური, ან ოსური მხარისაგან განსხვავებით) არც ერთი ჩრდილო-კავკასიელი მოხალისე არ იბრძოდა? პირიქით, აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ თავისი დაუნდობელი მოქმედებებით სწორედ ჩრდილო-კავკასიელები გამოირჩეოდნენ. ამ შემთხვევაში უთუოდ გასათვალისწინებელია რუსეთის ფაქტორი, იძულება და ფულადი დაინტერესება, მაგრამ რუსების მიმართ დამოკიდებულებას იგივე ჩეჩნები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, დადგესტნელები და ჩრდილო-კავკასიის სხვა ხალხები ხომ დღესაც დაუფარავად გამოხატავენ?

სამწუხაროდ, იგივე განმეორდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს, როდესაც ჩრდილო-კავკასიელებმა ქართველების მიმართ კვლავ ინდეფერენტიზმი გამოამჟღვნეს. უფრო მეტიც, რუსულ არმიას მათი ნაწილი წინ მოუძღვდა ქართული მიწების ოკუპაციის დროს.

ჩვენი აზრით, ზემოთქმული რუსული იმპერიის (ჯერ ცარიზმის, შემდეგ კომუნისტური და ნეო-კომუნისტური) 200 წლიანი მიზანმიმართული მოქმედებების ნაყოფია. გავისხენოთ, XIX საუკუნის 30-50-იან წლებში შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში სწორედ რუსულ ჩინებსა და ორდენებს დახარბებული ქართველები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სიმამაცით. თუმცა, ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩინ-მედლები არ იყო მთავარი. რუსეთი მოხერხებულად სარგებლობდა იმ ქართველი მოსახლეობის განწყობილებით, რომელთაც გამუდმებული „ლეპებიანობის“ პირობებში არაერთი ახლობელი ჰყავდათ დაკარ-

გული და შურისძიებისათვის მიზეზი საგმაოდ ჰქონდათ¹. ხსებულის კარგი მაგალითია მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მიერ 1845 წლის დარგოზე, შამილის წინააღმდეგ ლაშქრობა, რომელშიც ქართველების საგმაოდ დიდი რაოდენობა იღებდა მონაწილეობას, თანაც საკუთარი ინიციატივით. ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილის – დიმიტრი მედვინეთხუცესიშვილის თქმით, მათი მოტივაცია სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ ქართველებს კარგად ახსოვდათ ლუკების მიერ ქართლ-კახეთის საუკუნოვანი ძარცვა-რბევა, ამიტომ „აღტაცებულნი მხიარულებით ულოცვიდით ჩვენ ურთიერთთა, ვითარცა წინსვლასა და დაცემას იმათ მტერთა ზედა, რომელთაგან მოოხრებაი ჯერეთცა არ გვაქვს დავიწყებულიო“². იგივე პათოსია დაღესტნელების წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილების მქონე გრიგოლ ორბელიანის მიერ ძმის – ილიკოსადმი 1848 წლის 16 აგვისტოს ტურჩიდაღიდან გამოგზავნილ წერილშიც: „სალტას, ქუდალას, ყუპას, კოჭორს იდგნენ ორი ათასი კომლი კაცი, მგონია უფრო მეტი (საუბარია ადგილობრივ მოსახლეობაზე – ი.ა.); ახლა სად არიან, რა იქმნენ? – წლეულს გერგებილიც ამ გვარად გალეწეს (რუსებმა – ი.ა.); დარჩა მხოლოდ ცარიელი სალი კლდე. – მამა-ვაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის დადადისია“³.

უახლოესი მეზობლების სისხლისღვრითა და წაკიდებით ყველაზე მეტად ჩვენი დიდი ჩრდილოელი მეზობელი იყო დაინტერესებული, რადგან იმპერიის შენარჩუნების მთავარი გეგმა სწორედ მცირე ერებს შორის დაპირისპირებასა და რუსეთის მომრიგებლის როლში ყოფნა წარმოადგენს და ამის გაგებას ორ ათეულ წელზე მეტი დასჭირდა.

უკანასკნელ ოცწლეულში განვითარებული მოვლენების, მოძმე ერებს (ქართველების, ოსების, აფხაზების) შორის „ჩატებილი ხიდის“, ურთიერთდაპირისპირებისა და შუღლის გამო, ერთმანეთის შესახებ მხარეები მხოლოდ ნებატიური ინფორმაციის მოგროვებას და გამოქვეყნებას ცდილობდნენ, ხოლო ჩვენი დანარჩენი ჩრდილო მეზობლები (დაღესტნელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩეჩენები) ამ პროცესებში რატომდაც განზე იდგნენ და სანამ საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე არ მივიდა, არ ჩაერივნენ. როგორც ითქვა, ეს

¹ გორგი ანჩაბაძე. თანამედროვე საქართველოსთვის ჩრდილოეთი ფაქტორის ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები (2008 წლამდე). – კრებ.: „ჩრდილო კავკასია და საქართველო“, ნაწ. I, თბ., 2012, გვ. 6.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი მედვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 30; QD-986; საბუთი 18.

³ გრიგოლ ორბელიანი. წერილები, გ. I, აკადმ გაწერულიას რედ. თბ., 1936, დოკ. №123, გვ. 183.

უკელაფერი ყველაზე მეტად იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ამ კინკლაობასა და ცილისწამებაში ქართველებიც, აფხაზებიც, ოსებიც და მთლიანობაში ჩრდილო-კავკასიელებიც წაგებულნი დარჩენენ. ორივე მხარეს გაიზარდა თაობა, რომელსაც მხოლოდ უარყოფითი წარმოდგენა, მეტიც, მტრული დამოკიდებულება ჰქონდა ახლო მეზობლების შესახებ. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ემოციურ და „ცხელ“ კავკასიაში მშვიდობის დამყარება მხოლოდ რუსეთის ძლიერ ხელს შეეძლო.

დღეს, როდესაც აქტიურად განიხილება კავკასიის ერთიანობის იდეა, ზემოხსენებული მოვლენები („ოსიანობა“, „ლეკიანობა“ და სხვა) თავიდან არის გადასახედი და შესაფასებელი გასაგები მიზეზების გამო, კავკასიის დაპყრობის რუსეთიდან „შემოთავაზებული“ „ნაკლები ბოროტების“ იდეა სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს. ნიშანდობლივია, რომ იგივე ლეკები დაუნდობლად ებრძოდნენ ქართლში „ოსმალობისას“ ოსმალებს, „ყიზილბაშობის“ დროს – ყიზილბაშებს, ხოლო 1801 წლიდან რუსებს, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ალექსანდრე, იულონ, ფარნაოზ ბატონიშვილებთან და ხოლომონ II-სთან ერთად, რითაც ერთგვარად არყევდნენ მათ ბატონობას აღმოსავლეთ საქართველოში ამდენად, „ლეკიანობა“ ქართველების წინააღმდეგ მიმართულ კერძო მოვლენად არ უნდა განვიხილოთ.

სწორედ ამიტომ, გარდა წინამდებარე ნაშრომისა, „ლეკიანობის“ პროცესის შეფასების საკითხს ჩვენ კიდევ არაერთგან შევეხევ.¹

¹ იხ: ჩვენი პუბლიკაციები: იოსებ ალიმბარაშვილი. ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011; სოსო ალიმბარაშვილი. ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე, თბ., 2007; სოსო ალიმბარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008; იოსებ ალიმბარაშვილი. კაპაბეთობან (ნიახურას) ბრძოლის შეფასების საკითხოსათვის. – ახალი ტრენდები განათლებაში: კელვა და განვითარება. – გორის სასწავლო უნივერსიტეტის IV საერთაშორისო კონფერენცია. თბ., 2011, გვ. 398-402; იოსებ ალიმბარაშვილი. ქართლ-კახეთის ურთიერთობა ოსმალეთთან XVIII ს-ის 70-იან წლებში და რუსეთი. – გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 30.03.2012. გვ. 11-13; იოსებ ალიმბარაშვილი. ზედაგელას ბრძოლები. – განთიადო № 5-6. ქუთაისი, 2008, გვ. 153-162; იოსებ ალიმბარაშვილი. ქართული ჯარის ისტორიიდან (შიდა ქართლის სამდევროები). – გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქოლოგიის ცენტრის შრომათა კურსული, № 3. თბ., 2012, გვ. 7-17; იოსებ ალიმბარაშვილი. შამილის „ნიზამი“ და დავით ბატონიშვილის „სამართალი“. – ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებები და კონკრეტული კვლევები. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 90-ე წლისთვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. 16-17 ნოემბერი, 2012, თბილისი თეზისები, გვ. 29-31; იოსებ ალიმბარაშვილი. ქართული ეპლენის როლი ქვეყნის თავდაცვაში. – კათადიკოს-აღმიარე იორიონ II-ისადმი მიძღვნილი IV სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 04.02. 2012; იოსებ ალიმბარაშვილი. რამდენიმე საარქივო დოკუმენტი ქართლ-კახეთში კრწანის ბრძოლის შემდეგ შექმნილი ვოთარების შესახებ. – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, გორი 11.07.2012; **И. Алимбаришвили.** Кровная месть горцев на Се-

ქართველ ხალხს მტერთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ „ლეკიანობა“ თავისი ბუნებით, ხასიათითა და შინაარსით ყველასაგან გამორჩეული და ტრაგიკული იყო.

არაბებმა საქართველოში 300 წელი იბატონეს, მაგრამ მათი ბატონობის უღელს, ძირითადად ბარის მოსახლეობა გრძნობდა. „დიდი თურქობა“ უმძიმესი იყო, თუმცა, მხოლოდ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა, შემდეგ კი ქვეყნას დიდი დავით აღმაშენებელი მოევლინა, რომელმაც დაუდალავი ენერგიითა და დონისძიებებით არა თუ შეძლო „ნადიდთურქალ“ საქართველოში მათი შედეგების ლიკვიდაცია, არამედ ქვეყნა აღმავლობის გზაზე დააყენა. მონალობთა ასწლიან ბატონობას გიორგი ბრწყინვალემ მოუდო ბოლო და ივერია ხელახლა გააბრწყინა.

წარმოუდგენელი ზიანი მიადგა საქართველოს თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად, მაგრამ ისიც ინტერვალებით 17 წელიწადს გაგრძელდა, რის შემდეგ ალექსანდრე დიდმა პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული დონისძიებებით ნაწილობრივ მაინც შეძლო ქვეყნა ჩიხიდან გამოიყვანა.

ქართველი მეფეები ასევე მეტ-ნაკლები წარმატებებით ახერხებდნენ „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ შედეგების ლიკვიდაციას. სუდ სხვა იყო ქვეყნისათვის „ლეკიანობა“. „მონალობის“ მსგავსად, ისიც ქრონოლოგიურად დაახლ. 100 წელს გაგრძელდა, მაგრამ თუ არაბები, მონალობები, ოსმალები და ყოზილბაშები საქართველოს დაპყრობისას იძულებულნი ხდებოდნენ მოსახლეობის გადასახადების გადამხდელუნარიანობაც გაეთვალისწინებინათ, „ლეკიანობა“, თავისი მტაცებლური ბუნებით, მწიფე თავთავს შესეულ უამრავ „მკალს“ შეიძლება შევადაროთ, რომელმაც მთლიანობაში გამოფიტა და სისხლისგან დაცალა ქვეყნა.

მათი შემოსევების ინტენსივობა იმდენად მაღალი იყო, რომ ლეკთა ერთ რაზმს გამოდევნებული ქართველები გზაში მარბიელთა სხვადასხვა რაზმებს აწყდებოდნენ. მომხვდურთათვის არ არსებობდა გამოუყენებელი ნივთი, საგანი და საქონელი, თუნდაც უმნიშვნელო ფასეულობის. ისინი თანაბარი ხალისით იტაცებდნენ ბავშვს, ქალს, მამაკაცს, პირუტყვს... აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი დაღესტნებების თარეშთან დაკავშირებით წერდა: „ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრუ-

верном Кавказе. – კაგებასის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ქ. ახალციხე, 26-30.07.2012.

ბინათ. ერთი მეორის სარბევად ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს, აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; დაბოლოს, უპატრონოდ ქცეულ ქვეყანაში ლეკები დაუპატიუებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ უკლაფერი, რასაც კი მოიხელთებდნენ“¹.

ქართველი კაცი ყველა ჩრდილო-კავკასიელ მომხდურს „ლეკს“ უწოდებდა, მაგრამ სინამდვილეში ისინი განვითარების არაერთგვაროვან საფეხურზე მყოფ სხვადასხვა ტომებს (ლეკები, ლაკები, ავარიელები, წახურელები, დარგოელები, ყაიტაგელები, დიდოელები და სხვ.) წარმოადგენდნენ, რომლებსაც მხოლოდ მიზანი – სხვისი ქვეყნის (ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთის) ძარცვარებევა და ნადავლი აერთიანებდათ. ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, XVIII – XIX ს. I მესამედის საქართველოს ისტორიის ქართველ თუ უცხოელ მკვლევარსა და მოგზაურთაგან არ დარჩენილა ვინმე, რომ ამ თემას მეტ-ნაკლებად არ შეხებოდა, ხოლო საქართველოში ყოფნისას მისი სუსხი საკუთარ თავზე არ ეგრძნო.

ნაშრომი ეყრდნობა გამოქვეყნებულსა და გამოუქვეყნებელ დოკუმენტებსა და სხვა სახის წყაროებს, ქართველი მეფეების, ბატონიშვილების, ქართული, რუსული და ორან-ოსმალური დიპლომატიური კორპუსის მიმოწერას, XIX ს. ქართულ და რუსულ პრესაში დაბეჭდილ წერილებსა და სტატიებს.

ლეკიანობის შესახებ ძალზე მდიდარი დოკუმენტური და ნარატიული მასალებია თავმოყრილი საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სხვადასხვა ქალაქების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ „აქტები“ („Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею“ თ. I-XII).

როდესაც „ლეკიანობის“ საკითხს გეხებით, გვერდს ვერ ავუკლით XVIII და XIX ს. I მესამედში საქართველოში მყოფ რუს და ევროპელ მოგზაურთა და ოფიციალურ პირთა: იოპან გიულდენშტედტის, ედუარდ აიხვალდის, იაკობ რაინეგხის, დე გრაი დე ფუას, ბურნაშვილის, იაზიკოვის ცნობებს და ჩანაწერებს.

იოპან გიულდენშტედტი გარემოული დროის განმავლობაში (1772 წ. დასაწყისში) ლეკიანობის „ცხელ წერტილში“ – ახალგორში ცხოვრობდა დავით ქსნის ერისთავთან და იძულებული იყო, უსაფრთხო გადაადგილებისათვის

¹ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. – საქართველოს ისტორიის ხაյითხები, ტ. II. თბ., 1965, გვ. 154.

მისთვის 50, 100 და მეტი კაცისაგან შემდგარი რაზმები ეთხოვა. იგი ამის მიზეზსაც განმარტავს: „სწორედ ლეკები იყვნენ, რომელთა გამოც საქართველოში მოგზაურობისას მე ასეთი ძლიერი დაცვა მჭირდებოდა და მათ ზოგი ექსკურსია ჩამიშალეს კიდეცო“.¹ თავის ნაშრომში გერმანელი მეცნიერი არაერთგან მიუთითებს ქართლში ლეკიანობით გამოწვეულ მძიმე შედეგებზე.²

გიულდებულების მოგზაურობიდან 50 წლის შემდეგ ასევე ძლიერი დაცვის თანხლებით გადააღგილდებოდა ედუარდ აიხვალდიც. ლეკიანობით შექმნილ ვითარებაზე ასევე ხშირად საუბრობენ იაკობ რაინეგსი და ედუარდ აიხვალდი, თუმცა ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს ისინი მარტივად ხსნიან. ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე მათგანი საკითხის შეფასებისას, ძირითადად რუს ავტორთა ცნობებს (იაზიკოვი, ბურნაშვილი, ბუტკოვი და სხვ.) ეყრდნობა.³

ფრანგი დიპლომატი დე გრაი დე ფუა XVIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში იმყოფებოდა საქართველოში და ერთი პერიოდი ტოტლებენის ადიუტანტი იყო. იგი თავის მემუარებში რუსეთ-თურქეთის 1768-74 წლების ომის დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს აღწერს და მათ შორის ლეკიანობის საკითხსაც ეხება.⁴

რუსი ავტორებიდან ქართლ-კახეთსა და დადესტნელებს (შამხალს) შორის თავდაპირველ ურთიერთობებზე ცნობებს გვაწვდიან ს. ბელოკუროვი და მ. პოლიევქტოვი⁵. იაზიკოვი⁶ და ბურნაშვილი⁷ აღწერილი მოვლენების თანამედროვენი იყვნენ, რაც მათ აღწერილობას დამაჯერებლობას მატებს. მომდევნო პერიოდის და შედარებით გვიანდელი ხანის რუს ავტორთაგან საქართველოში „ლეკიანობის“ პროცესზე გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდიან პ. ბუტკოვის,⁸ ნ.

¹ გიულდებულების მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 1966. გვ. 81.

² გიულდებულების მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. თბ., 1962. გვ. 3; 13; 47; 53; ტ. II. გვ. 155 და სხვ.

³ იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2002, გვ. 14, 19, 27, 67, 126, 168; ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. (XIX ს. პირველი მეოთხედი) გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2005. გვ. 18, 258-259, 301.

⁴ იხ: დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ თდიშვლმა. თბ., 1985.

⁵ С. Белокуров. Сношения Российской с Кавказом в 1578-1613 г. вып. I; М. Полиевктов. Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1614-1640 г. Тб., 1937.

⁶ А. Цагарели. Грамоты и др. исторические документы относящиеся по Грузии, т. I. СПБ., 1891.

⁷ С. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тифл., 1896.

⁸ П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. ч. I; ч. II, СПБ., 1869.

დუბროვინის,¹ ს. ბრონევსკის,² გ. სმირნოვის,³ ვ. პოტოს,⁴ ო. მარკოვას⁵ შრომები. უნდა ითქვას, რომ შეფასება-დასკვნების გაკეთებისას მათი მხრიდან ტენდენციურობა იშვიათი არ არის. ლევიანობის პრობლემას მათი უმრავლესობა შედარებით ობიექტურად აფასებდა 1801 წლის მოვლენების შემდეგ, როდესაც აღნიშნული საკითხი საქართველოში უშუალოდ საიმპერატორო კარის მოსაგარებელი გახდა.

ევროპელ და რუს ავტორთა გარდა, საქართველო-ჩრდილო-კავკასიისა და ირან-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საურადღებო ცნობები აქვთ თურქ ავტორებს: გურჯი ზადეს, ქუჩუკ ჩელები ზადესა და აქმედ ჯევდეთ ფაშას. პირველი ორი მათგანი XVIII ს. 20-30-იანი წლებში ქართლ-კახეთში განვითარებულ მოვლენებს ეხება,⁶ ხოლო ჯევდეთ ფაშა ამავე საუკუნის 70-80-იან წლების მდგომარეობას ასახავს.⁷ ამასთან, გურჯი ზადესა და ქუჩუკ ჩელები ზადეს თხრობის სტილი აღმოსავლური მაღალფარდოვანებით გამოირჩევა და აღწერილი მოვლენებისას საკუთარი ქვეყნის მიმართ შეფასებებში გადაჭარბებულნი არიან, ჯევდეთ ფაშას მიერ მოტანილი ცნობები შედარებით ზუსტია, რაც მისი განათლებითა და სხვადასხვა თანამდებობებზე ყოფნით უნდა აიხსნას (ჯევდეთ ფაშას სხვადასხვა დროს ოსმალეთის განათლებისა და იუსტიციის პოსტები ეკავა, რაც საშუალებას აძლევდა „პორტას“ უმაღლესი კარის კანცელარიის მასალებით ესარგებლა).

დაღესტნისა და ჭარ-ბელაქანის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის განხილვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მასალაა გადმოცემული „დაღესტნის ისტორიაში“⁸ ჩრდილო-კავკასიელი, რუსი და ქართველი ავტორების მიმართ შეფასებებში გადაჭარბებულნი არიან, ჯევდეთ ფაშას მიერ მოტანილი ცნობები შედარებით ზუსტია, რაც მისი განათლებითა და სხვადასხვა თანამდებობებზე ყოფნით უნდა აიხსნას (ჯევდეთ ფაშას სხვადასხვა დროს ოსმალეთის განათლებისა და იუსტიციის პოსტები ეკავა, რაც საშუალებას აძლევდა „პორტას“ უმაღლესი კარის კანცელარიის მასალებით ესარგებლა).

¹ Н. Дубровин. История войны и владычества Русских на Кавказе. т. II, III, СПБ., 1886.

² С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. ч. I. М., 1823.

³ Н. Смирнов. Политика России на Кавказе в XVI-XIX веках. М., 1958.

⁴ В. Потто. Кавказская война въ отдельныхъ очеркахъ эпизодахъ легендахъ и биографияхъ. т. I, от древнейшихъ временъ до Ермолова. вып. I. СПБ., 1885.

⁵ О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М., 1966.

⁶ გურჯი ზადე. თბილისის დაბურობის წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავსავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისახა აბულაძე. თბ., 1975; ნოდარ შენგელია, ოსმალო ისტორიოგისი ჩელები ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაბურობის შესახებ. აკად. სერგი ჯიქაშვილის 70 წლისთვისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. – აღმოსავლური ფილოლოგია, გ. III, თბ., 1973.

⁷ Джевдет паша. Описание событий в Грузии и Черкасии по отношению к Османской империи от 1192 года по 1202 год хиджри. (1775-1784). Перевод на русск. язык М. А. Гамазова. – Русский Архив. М., 1888, кн. I, №3.

⁸ История Дагестана, т. I. М., 1967.

ბის: ხ. ხაშაევის,¹ ი. პეტრუშევსკის,² გ. ჩანგაშვილის,³ თ. პაპუაშვილის⁴ ნაშრომებში. „ლეკიანობის“ ბუნების შესახვავლად აუცილებელია თვით ჩრდილოკავკასიელი ტომების ეკონომიკურ-პოლიტიკური და დემოგრაფიული მდგრმარეობის, მათი ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების გაცნობა, რის შესახებაც ძვირფასი მასალებია თავმოყრილი „ააგახიერდ მთიულთა ხარკვევებში“⁵

ქართლ-კახეთში ლეკიანობის საკითხის განხილვისას ოსმალეთთან, ირანთან და რუსეთთან ურთიერთობას ვერ ავცდებით. ამ მხრივ ავტორების სიმცირეს ნამდვილად არ განვიცდით. აღსანიშნავია ა. ცაგარელის,⁶ მ. პოლიევქტოვის,⁷ იასე ლორთქიფანიძის,⁸ იასე ცინცაძის,⁹ გ. პაიჭაძის,¹⁰ თ. გიგინეიშვილის,¹¹ ხ. შენგალიას,¹² ხ. შარაშენიძის,¹³ დ. ჯანელიძის¹⁴ შრომები.

ლეკიანობის საკითხის შესახვავლად ძვირფასი დოკუმენტებია თავმოყრული ისიდორე დოლიძის მიერ გამოცემულ „ქართული სამართლის ძეგლებში“ (ტ. I-VIII), თედო ქორდანიას, ავთანდილ იოსელიანის, შოთა ლომსაძის „ქრონიკებში“,¹⁵ ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით გამოქვეყნებულ სხვადასხვა მასალებში,¹⁶ ვალერიან მაჭარაძის,

¹ ხ. ხაშაევ, Общественный строй Дагестана в XIX веке. М., 1961.

² И. Петрушевский. Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия. Тифл., 1934.

³ გიორგი ჩანგაშვილი. საინგილო. თბ., 1970.

⁴ თენგიზ პაპუაშვილი. ჭარ-ბელაქანი. თბ., 1972.

⁵ იხ: Сборник сведений о кавказских горцах. Т. I-IX; Тифл., 1868-1876.

⁶ А. Цагарели. Грамоты и др. исторические документы относящиеся по Грузии. т. I СПБ., 1891; т. II, вып. I. Груз. тексты с 1768-1801 гг. СПБ., 1898; т. II, вып. II, СПБ., 1902.

⁷ М. Полиевктов. Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1614-1640 г. Тб. 1937.

⁸ იასე ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.). – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მეერ). ნაკვ. II. თბ., 1940.

⁹ იასე ცინცაძე. ორი საბუთო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან. – ენიბერ-ს მოამბე. №V-VI, 1940; იასე ცინცაძე. აღა-მაჟმად ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795). თბ., 1969; იასე ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. – მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისათვის. თბ., 1960.

¹⁰ გიორგი პაიჭაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი). თბ., 1960.

¹¹ ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ., 1982.

¹² ნოდარ შენგალია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974.

¹³ ზურაბ შარაშენიძე. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1970.

¹⁴ დავით ჯანელიძე. საქართველო და აღმოსავლეთი XVIII ს. თბ., 1984.

¹⁵ იხ: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონილოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ქორდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს-ის 60 – იან წლებამდე). გამოსაცემად მომზადეს გიგი ქორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVI-XIX სს. ავთანდილ იოსელიანის რედ. თბ., 1980; შოთა ლომსაძე. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხეური ქრონიკები. თბ., 1973

¹⁶ იხ: დოკუმენტები საქართველოს ხოციალური ისტორიიდან. (XV – XVIII ს.ს.). ნიკოლოზ ბერძენიშვილის რედ., ტ. I თბ., 1940; ტ. II, თბ., 1953; ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკო-

თეიმურაზ ბოცვაძის, დავით გვრიტიშვილის, მამია დუმბაძის, ავთანდილ კოლასონიას, შოთა ლომსაძის, დარეჯან მეგრელაძის, იასე ცინცაძის, ვახტანგ გამრეკელის, სარგის კაკაბაძის შრომებში.¹

მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას გვაწვდიან საკითხის ირგვლივ XVIII საუკუნეში მოღვაწე ავტორები და ისტორიკოსები: ვახუშტი ბაგრატიონი, სენია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე.² თეიმურაზ, იოანე, დავით, ბაგრაზ, ვახტანგ ბატონიშვილები.³ გადმოცემული მასალის ობიექტურობის, სიზუსტისა და ანალიზის თვალსაზრისით ჩამოთვილთაგან უპირატესობა ვახუშტი ბატონიშვილსა და პაპუნა ორბელიანს აქვთ.

ბუნებრივია, ქართველი ხალხი „ლეკიანობის“ მოვლენისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა, ამიტომ მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ქართველ მუ-

ნომიკური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX ს.ს.). წიგნი II. თბ., 1974; საქართველოს სიმგელუნი. ექვთიმეთ თავაიშვილის რედაქციით. ტ. I. ტფ., 1920; ტ. II, ტფ., 1909, ტ. III, ტფ., 1910.

¹ ვალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი II. თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში. თბ., 1968; ნაწილი III. რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო. თბ., 1988; თეიმურაზ ბოცვაძე. საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII ს.ს.) თბ., 1968; თეიმურაზ ბოცვაძე. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII ს.ს.) თბ., 1968; თეიმურაზ ბოცვაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. XV-XVIII ს.ს. თბ., 1990; დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ., 1955; დავით გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, ტ. III. თბ., 1968; მამია დუმბაძე. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან (XIX ს. რეფორმამდელი პერიოდი). თბ., 1953; ავთანდილ კილასონია. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XVIII საუკუნეებში. თბ., 2006; შოთა ლომსაძე. საბოცეფ-ჯავახეთი. (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე). თბ., 1975; დარეჯან მეგრელაძე. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. – მაცნე. საქართველოს მეცნიერებათა კადექტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, ისტორიის სერია. № 6. თბ., 1967. დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს-ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33. თბ., 1960; იასე ცინცაძე, კაპიტან ოთარ თუქმიშვის მოხსენებითი ბარათები. – თბილისის ხასელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. XXVII. თბ., 1946; **В. Гамрекели**, Вопросы взаимоотношения Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII веке. Автoreферат докт. диссертации. Тб., 1972; სარგის კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ., 1991

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღქსერა სამეცნისა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაჟხესიშვილის მიერ. თბ., 1973; სენია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა. ტფ., 1913; პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლექსე ცაგარეიშვილმა. თბ., 1981; ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლექსა მიქა გილმა. თბ., 1989.

³ თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლექსა მიქა გილმა. თბ., 1983; იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თანა ენციკლოპედია და გურამ ბერი შემადგრომება. თბ., 1986; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. თამარ ლომოურის გამოცემა. თბ., 1941; დავით ბატონიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (1744-1840 წწ.). ტფ., 1906; ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხოვნა. თამარ ლომოურის გამოცემა. თბ., 1941; ისტორიის აღწერა ...თხული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ. ს. კაკაბაძის გამოცემა. ტფ., 1914.

ფეთა (ვახტანგ VI, ოეიმურაზ II, ერეკლე II, გიორგი XII) თავდაცვის სფეროში გატარებულ ღონისძიებათაგან უმრავლესობა სწორედ ლექთა თავდასხმების წინააღმდეგ იყო მიმართული. თუ XVIII საუკუნეებდე ქართველი კაცი ციხე-კოშკებს მიუვალ ხეობებში აგებდა, რათა მტრისათვის შეუმჩნეველი და მიუდგომელი ყოფილიყო, აღნიშნული პერიოდისათვის თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა უშუალოდ დასახლებულ პუნქტებსა და თითოეულ ქალაქ-სოფელში გახდა აუცილებელი, რამდენადაც „ლეკიანობისაგან“ არც ერთი მათგანი დაზღვეული არ იყო და მოსახლეობას სწრაფად დახიზვნა უნდა მოესწრო.

ქართული საფორტიფიკაციო საქმის შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანეს პ. ზაქარაიამ¹, ვ. ბერიძემ², ჭ. მესხიამ³, ა. გაბიჩვაძემ⁴, ს. მაკალათიამ⁵, ი. მეგრელიძემ⁶, ს. ბეზსონოვმა⁷ და ა. ჭ. ასევე დიდალი მასალაა თავმოყრილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“, „საქართველოს ისტორიისა და ჯულტურის ძეგლთა აღწერილობის“ V და II ტომებში⁸, ცირა დადიანიძის რედაქციით რედაქციით გამოცემულ კრებულებში: „შიდა ქართლი“ (ტ. I, II, III, IV) და სხვ. „ლეკიანობის“ შესახებ მუდმივად აქვეყნებდა მასალებს XIX საუკუნის ქართული და ადგილობრივი რუსული პრესა („დროება“, „ივერია“, „ცხობის ფურცელი“, „კავკაზ“ და სხვ.).

„ლეკიანობა“ იმდენად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა XVIII ს.ქართლ-კახეთის ისტორიაში, რომ მომხვდურების წინააღმდეგ მებრძოლი გმირების შესახებ უამრავი ლექსი და თქმულება შეიქმნა,⁹ მოსახლეობის აღ-

¹ პარმენ ზაქარაია. ქართული ციხე-ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები, კოშკები. თბ., 2004; პარმენ ზაქარაია. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები. თბ., 1988.

² ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974; ვახტანგ ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I. თბ., 1983.

³ შოთა მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ. II. თბ., 1983, ტ. III. თბ., 1986.

⁴ ა. გაბიჩვაძე. გორის ციხე ერეკლე II-ს დროს. – საისტორიო მუამბე. I. თბ., 1945.

⁵ სერგი მაკალათია. ლექციების ხეობა, თბ., 1964; სერგი მაკალათია. ძამის ხეობა. თბ., 1961; სერგი მაკალათია. ფრონებს ხეობა. თბ., 1963; სერგი მაკალათია. ქსნის ხეობა, თბ., 1963; სერგი მაკალათია. ტანას ხეობა, თბ., 1963; სერგი მაკალათია. თუშეთი, თბ., 1983; სერგი მაკალათია. ფშავი. თბ., 1983; სერგი მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984; სერგი მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1938.

⁶ იოსებ მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I. თბ., 1984; ტ. II, თბ., 1997.

⁷ С. В. Безсонов. Крепостные сооружения в бассейне большой Лиахви. – *Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения*, кн. III. Цхинвали, 1933.

⁸ საქართველოს ისტორიისა და ჯულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ., 1990; ტ. II. თბ., 2004.

⁹ იხ.: გაზეთი „დროება“, 06.06 1875. №63; 22. 08. 1878. №169; 07. 06. 1879. № 118; 08. 06. 1879. № 119; გაზ. „ივერია“, 30. 11. 1890. №255; ქართული ხალხური პოეზია. საგმირო ლექსები. ტ. II. ნაკვ. I. თბ., 1974. გვ.128; 232-233; 502-503; ქართული ხალხური ხაუზჯ. ტ. I. თბ., 1991. გვ. 59; 256-257; ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხოვბა, გვ. 50; ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი. დადესტნიდგან ლეკების გამოხვლა და სხვა ამბები, გამოცემული სარგის ქადაგის მიერ,

ფრთვანებას იწვევდა „ლეკების სულთამხუთავის“ – გიორგი თელისძის, პაარტი თემურიშვილის, გოგია ხამხაძის, თამრო გაშლოვანელის, თინა წავკისელის, მაია წერეთელის ლეკებთან ბრძოლის პირადი მაგალითები, ამასთან, კონკრეტული ავტორები თუ ხალხის წიაღიდან წამოსული თქმულებები და ლექსები საყვარელ გმირებს ხშირად დაუჯერებელ და წარმოუდგენელ ამბებსაც მიაწერდნენ,¹ მაგრამ ასევე აფასებდნენ დაღესტნელთა საბრძოლო თვისებებს, როგორც დირსეულ მოწინააღმდეგებს, რამაც ქართულ ფოლკლორშიც სათანადო სახვა ჰპოვა.²

ცალკე აღნიშვნის დირსია ერეკლე II-ის როლი ამ საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია და ხანგრძლივი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სწორედ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ამ ფაქტს ერთნაირად აღნიშნავდა ქვეყნის მტერ-მოყვარე მეფის მემატიანე ომან ხერხეულიძე წერს: „ხოლო ესევითარნი გამარჯვებანი ირაკლი მეფისაგან უანგარიშონი არიან და ამად ყოველნივე ვერ მოვიხსენიეთ, არამედ ისინი აღვრიცხეთ, რომელი დირსად ხსოვნისა იყო და სხვანი მრავალნი წვრილნი გამარჯვებები დავიდუმეთო“³ იმდროინდელი ევროპული პრესა ერეკლეს „აღმოსავლეთის დიდ გმირად“ და „მამაც გაუკაცად“ მოიხსენიებდა.⁴ პოლკოვნიკი ბურნაშვილი ერეკლეს „განსაციფრებლად საქმიანს“ უწოდებს, რომელსაც „დღე და ღამ არ ეძინა“⁵. ვ. პოტოს შეფასებით, როგორც მეომარი, ერეკლე – „ჭეშმარიტად რაინდი, სახალხო მეფე და სწორუპოვარი მეომარი“,⁶ ხოლო ფრანგი პეისონელის მიხედვით: „ნამდვილი მეფე იყო თავის სასახლეში და სარდალი თავის ჯარში“⁷ თვით ოსმალეთის სულთანი თავის ქვეშევრდო-

¹ ტფ., 1914, გვ. 20-21; ქსენია სიხარულიძე. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. II. თბ., 1964 და ა.შ.

² ცხობილი ქართველი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი ლექსში: „რა მიირება სოფელმან“, ვინმე აქალოს შეიძგაციანი რაზმით აელაბართან შეიდასი ლექის დამარცხებას მიაწერს (იხ: ბესიკო. თხულებანი. ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი აღექსანდრე ბარამიძისა და კარლაზ თოფურიას რედ. თბ., 1962, გვ. 79-80); გაზ. „დროუების“ მიხედვით, მცხეთელი გოგია ხამხაძე დართისკართან მარტოდმარტო ამარცხებს მამადა ბელადს, თავის 9 ვაჟთან ერთად (დროუება, 06.06. 1875. №63) და ა. შ.

³ გიორგი ანჩაბაძე, საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე), თბ., 2010, გვ. 185.

⁴ ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 67.

⁵ ილია ტაბადუა. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს. II ნახევარში (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან). თბ., 1979, გვ. 58-59.

⁶ С. Бурнашев. Картина Грузии.., გვ. 10.

⁷ В. Потто. Кавказская война., т. I, вып. I. გვ. 258.

⁷ მოთხოვთა ახლანდელს არეულობაზე საქართველო – პეისონელისა. თარგმანი სიმონ ლოდობერიძისა. – მოამბჯ. №X. ტფ., 1905, გვ. 10.

მებს აფრთხილებდა: „ხელი არ ეხლოთ ხარისათვის, რომელიც წევს (იგულისხმება ერეკლე II – ი.ა.) და არ ეიძულებინათ წამომდგარიყო“¹ და ა. შ.

მოძიებული საარქივო მასალების, ნარატიული და დოკუმენტური წყაროების, წერილებისა და არსებული ლიტერატურის საფუძველზე წინამდებარე ნაშრომში გაშუქებულია აღმოსავლეთ საქართველოში ლეპთა გამუდმებული შემოსევების შედეგად შექმნილი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-დემოგრაფიული ვითარება XVIII საუკუნესა და XIX ს. I მესამედში, ქართლ-კახეთის ბრძოლა დალესტნელი მოძალადების წინააღმდეგ, ლეპიანობით გამოწვეული შედეგები და ლეპიანობის წინააღმდეგ გატარებული სამხედრო-თავდაცვითი დონისძიებები. შეგნებულად შევიტანეთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე „ლეპიანობის“ პროცესი ქრონიკების სახით, რათა მკითხველს უკეთ გაეცნობიერებინა, რას წარმოადგენდა ეს მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოსათვის.

ჩვენი კვლევის ობიექტს მხოლოდ ქართლ-კახეთი წარმოადგენდა, მაგრამ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვა კუთხეებში განვითარებულ პროცესებსაც შევეხეთ, რამდენადაც „ლეპიანობა“ მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა მხარეს შეეხო.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი წყაროებისა და ლიტერატურის სიმრავლისა, „ლეპიანობის“ პრობლემის შეფასებისას საბჭოთა პერიოდის ავტორთა დიდი უმრავლესობა იძულებული იყო რუსული ფაქტორი გაეთვალისწინებინა, რაც მთელი რიგი ობიექტური მიზეზების სხვაგვარად წარმოჩნის მიზეზი ხდებოდა. დღეისათვის იძულების ეს ფაქტორი აღარ არსებობს, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ საკითხი მთელ რიგ ასპექტებში თავიდანად შესაფასებელი.

ჩვენ შევეცადეთ კვლევისას შეგვესწავლა, სამზეოზე გამოგვეტანა და წარმოგვედგინა ამ როლი და საქართველოსათვის ტრაგიკული მოვლენის საკუთარი ხედვა. გაგვეანალიზებინა და შეგვეფასებინა ის საკითხები, რომლებიც ამ პრობლემის გადაჭრას უშლიდა ხელს.

¹ Н. Смирнов. Политика Российской на Кавказе в XVI-XIX веках, №3.130.

თავი I. „ლეკიანობის” არსი, ბუნება და ექსპანსიის მიზეზები

1. ლეკიანობის არსი და ბუნება

„ლეკიანობა“ იზოლირებული მოვლენა არ ყოფილა¹ და მისი მიზეზები მთიანი დაღესტნისათვის დამახასიათებელი საშინაო და საგარეო პროცესების ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ.

XVII-XVIII საუკუნეებისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობა, ძირითადად, ორი ტიპის საზოგადოებად იყოფოდა. პირველი ერთიანდებოდა სასოფლო-სათემო კავშირებში. ასეთები ჩვენს მეზობლად იყვნენ: ჭარის, თალის, ბელაქანის, მუხახის, ჯინიხის, კარადულაკის, ბაშ-სუვაგალის, წახურის საზოგადოებები.² მათ შორის, ძალითა და გავლენით გამოირჩეოდა ჭარის საზოგადოება. ისინი ადრეფეოდალიზმის ხანაში იყვნენ და მმართველობის საზოგადოებრივი ფორმებით გამოირჩეოდნენ. ჭარსა და დაღესტანში სასოფლო თემების – „ჯამაათის“ არჩევნები ყოველწლიურად ტარდებოდა. იგი ცნობილი გვარების წარმომადგენელთაგან კომპლექტდებოდა და თანდათანობით მემკვიდრეობით ფორმას იძენდა,³ მაგრამ, იერარქიის მიუხედავად, ხალხის ინტერესები დაცული იყო, მაგ. საქართველოში მოღვაწე მინისტრ-რეზიდენტ ბურნაშოვს ერეკლე განუმარტავდა: „როდესაც ჩვენი მორჩილებისგან გავიდნენ (ლეკები – ი.ა.), მასუკან არავის მორჩილნი ყოფილან და ყოველ წელიწადს აღარჩევენ რაოდენთამე კაცთა და ისინი განაგებენ ყოველს საქმეს ხალხის

¹ **В. Гамрекели.** Вопросы взаимоотношения Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII веке, Докт. диссертация. Тб., 1972, გვ. 597.

² **И. Петрушевский.** Джаро-белаканские.., გვ. 9; **А. И. Фонь-Плотто.** Природа и люди Закатальского округаю – Сборник сведений о Кавказских горцах, вып. IV. Тифл., 1870, გვ. 8.

³ **И. Петрушевский.** Джаро-белаканские.., გვ. 35.

თანხმობით, და თუ ხალხსა არა ნებავს, არ გაიგონებენო“.¹

ამ ფაქტს საქართველოში მყოფი უცხოელებიც აღნიშნავდნენ. იაკობ რაინეგის მიხედვით, ყოველი პარასკევი მათთვის (ჭარის, წახურის, კატეხისა და თალისათვის) არჩევნების დღე იყო, როდესაც მეჩეთებში მიდიოდნენ საერთო კრებაზე ხალხის უხუცესთაგან წინამდღოლის ასარჩევად, რომელიც მოწოდებული უნდა ყოფილიყო მეომარი ახალგაზრდობის სურვილების შესასრულებლად,² ედუარდ აიხვალდი ჭარ-ბელაქანის თავისუფალ თემთა საზოგადოებრივი წყობის აღსანიშნავად „განთქმულ რესპუბლიკურ ბარბაროსულ სამფლობელოებს“ მიუთითებს.³

ჯამაათი ერთობლივად ატარებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო („შარიათის“) ფუნქციას.⁴ მთელი მიწის იურიდიულ მესაკუთრებაც იგი ითვლებოდა.⁵ სოფლის სასამართლოს შეადგენდნენ სოფლისა და თოხუმების ქვეხები და იმამი. ისინი, როგორც წესი, საქმეების განხილვისას ტრადიციებითა და ადათებით ხელმძღვანელობდნენ.⁶ სასოფლო საზოგადოება შედგებოდა 2-4 თოხუმისაგან (სათემო კავშირისაგან). დაღესტნურ თოხუმებს, სხვა კავკასიელი ხალხებისაგან ენდოგამიის მკვეთრად გამოკვეთილი ბატონობა გამოარჩევდა.⁷ თოხუმები ასევე ვალდებული იყვნენ თემში ტრადიციების დაცვაზე, მაგ. თუ თოხუმის რომელიმე წევრი ისე გარდაიცვლებოდა, რომ „მოსისხლესაგან“ სისხლის აღებას ვერ მოასწრებდა, სისხლის აღების ვალდებულება თოხუმის დანარჩენ წევრებზე გადადიოდა. თითოეული სრულწლოვანი ჭაბუკი თოხუმის სრულფასოვან წევრად ითვლებოდა. ჰქონდა საარჩევნო ხმის უფლება და შეეძლო საკუთარი კანდიდატურა დაეყენებინა სამხედრო მეთაურის არჩევნებში სასოფლო თემის ყრილობაზე. მოგვიანებით, ქვეხის, ან ქედხუდის თანამდებობამ იურიდიულად არა, მაგრამ ფაქტობრივად მემკვიდრეობითი სახე მიიღო, ცნობილი გვარებისა და ოჯახების პრეონგატივად იქცა და ქედხუდის სიკვდილის შემთხვევაში, მემკვიდრედ მისი უფროსი ვაჟი ცხადდებოდა.⁸

თემში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ თავისუფალი უზდენუ-

¹ ხაჯართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1449; საქმე 2277.

² იაკობ რაინეგის. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 203.

³ ედუარდ აიხვალდი ხაჯართველოს შესახებ, გვ. 284.

⁴ И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 36.

⁵ И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 42.

⁶ И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 34; А. И. Фонь-Плотто. Природа и люди Закатальского округа, გვ. 9.

⁷ И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 32.

⁸ И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 33.

ბი, რომელთაც საგუთარი მეურნეობა და მიწის ნაკვეთები ჰქონდათ. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ მთიანი დაღესტნის ძირითად მწარმოებლურ ძალას.¹ თუმცა, მათი შემადგენლობა ქონებრივი თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ იყო. ნაწილი მდიდრდებოდა და თემის წარჩინებულ ნაწილს უერთდებოდა, ხოლო ძირითადი მასა ლატაკდებოდა და სხვაზე დამოკიდებული ხდებოდა.

მეორე ტიპის საზოგადოებას ეს პროცესი გავლილი ჰქონდა და ნახევრად დამოუკიდებელ სახანოებად იყვნენ ჩამოყალიბებულნი. ასეთები იყო: ავარიის, ყაზი-ყუმუხის, ყარაყაიტაგის უცმის, კუმიკების² და სხვ. წვრილი სამფლობელოები. სახანოებში XVIII საუკუნისათვის უკვე არსებობდა იურიდიულად ჩამოყალიბებული ფეოდალთა კატეგორია ხანებისა და ბეგების სახით. საზოგადოების ძლიერ და წარჩინებულ ნაწილს ასევე შეადგენდნენ რელიგიის მსახურები, ხოლო მოსახლეობის ძირითად და ეკონომიკურად არასტაბილურ ნაწილს – გლეხები და მონები. წარჩინებულებსა და დამოკიდებულ თანასოფლელებს შორის უზდენებს შუალედური მდგომარეობა ეკავათ. მათ, გლეხებისგან განსხვავებით, პიროვნული თავისუფლება ჰქონდათ, მაგრამ სოციალური არასტაბილურობით ხასიათდებოდნენ. მცირე ნაწილი ახერხებდა წარჩინებულებამდე აღზევებას, ძირითადი ნაწილი კარგავდა პირად თავისუფლებასა და ყმის დონეზე დეგრადირდებოდა. სწორედ ეს მასა იქცა იმ აქტიურ ძალად, საიდანაც გამოვიდნენ ადამიანებზე მონადირე კრიმინალები.³

ს. ბრონევსკი დაღესტნელ თავისუფალ თემთა გაერთიანებას „ფედერაციულ რესპუბლიკებს“ უწოდებს და ასეთებს თორმეტს ასახელებს, რომელთა სათავეში ავარიის ხანი იდგა.⁴ ხსენებულ ავტორს, აიხვალდის მსგავსად, თემთა ასეთი გაერთიანება იმდროისათვის ფედერაციულ-დემოკრატიული მმართველობის საუკეთესო ნიმუშად მიაჩნია.⁵

მიუხედავად თავისი „დემოკრატიული თვითმმართველობისა“, თემის მმართველობის შინაგანი პრინციპი მაინც ბატონობა-მორჩილებაზე იყო დამყარებული, მაგ.: თემში შემავალი სოფლები, აკსაკალების პირველსავე მოთხოვნაზე ვალდებული იყვნენ ომსა და თარეშებში ერთმანეთს მიშველებოდნენ,⁶ მაგ.

¹ **В. Гамрекели.** Вопросы взаимоотношения Восточной Грузии., გვ. 38.

² **Х. Хашаев.** Общественный строй Дагестана в XIX веке. М., 1961, გვ. 5.

³ **ავთანდილ კილასონია.** ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XVIII საუკუნეებში. თბ., 2006, გვ. 76.

⁴ **С. Броневский.** Новейшие географические и исторические известия о Кавказе. ч. I. М., 1823, გვ. 40.

⁵ **С. Броневский.** Новейшие географические и исторические известия о Кавказе, გვ. 40.

⁶ **Х. Хашаев.** Общественный строй Дагестана..., გვ. 239.

ილია ორბელიანის ცნობით, შამილის მოწოდებაზე თითოეული კომლი ვალდებული იყო საბრძოლველად გამოეყვანა იარაღის ხმარების შემძლებელი თითო სული რამდენიმე დღის სამყოფი სურსათით და ერთი ცხენით. ვისაც ცხენი არ ჰყავდა, უნდა გაედო ფული. თუ ფულიც არ ჰქონდა, იგი ვალდებული იყო მიწა, ან სხვა რამ გაეყიდა და ისე შეესრულებინა ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ორმოში პატიმრობა ელოდათ. თვით ბავშვებსაც კი ნაბრძანები ჰქონდათ იარაღის ტარება, რათა გაწაფულიყვნენ და მეომართა რიგებში დროულად ჩამდგარიყვნენ.¹

სახელმწიფოს მართვის თეოკრატიული და მკაცრად ცენტრალიზებული ბუნება ჩრდილო-კავკასიელთა თითქმის ყველა ბელადისათვის (ნურსალ-ბეგი, ომარ-ხანი, ყაზი-მოლა, ჰამზათ-ბეგი, შამილი) მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი იყო, მაგრამ იმამის გარდა, ყველა დანარჩენი მოხელესათვის რელიგიური და სამხედრო უფლებები მკვეთრად იმიჯნებოდა.² XVI-XVIII საუკუნეებში, ერთი მხრივ ჭარის უბატონო (თავისუფალი) თემებისა და მეორე მხრივ მთის დაღესტნის მოსახლეობაში ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარებამ, კერძო საკუთრებისადმი მძლავრი მისწრაფება გააჩინა და მეზობელი ქართლ-კახეთისა და ჩრდ. აზერბაიჯანის მოსახლეობის ძარცვა-რბევაში გამოიხატა. როცა ქვეყნის შიგნით მისათვისებელი აღარაფერი დარჩა, დეკლასირებული უმრავლესობა ქვეყნის გარეთ ემებდა გამდიდრების წყაროს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან ხდება თვალშისაცემი. დაწინაურებული ან გადატაკებული უზდენების ინტერესთა თანხვდომამ საერთო მიზნის გარშემო მათი კონსოლიდაცია გამოიწვია. სწორედ ამაშია აღნიშნულ საუკუნეებში მთიელთა ექსპანსიის წყარო.³

როგორც ითქვა, დაღესტნელების ჩრდილოეთით ლაშქრობები ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში აღიკვეთა რუსეთის მძლავრი იმპერიის მიერ, ამიტომ ამ „ღვარცოფმა“ ძირითადად სამხრეთელი მეზობლები „წალეკა“. დროთა განმავლობაში მოთარეშე უზდენთა შემადგენლობა იცვლებოდა. ერთი ძარცვა-რბევის წყალობით გარკვეული ქონების დაგროვებას ახერხებდნენ და თავს ანებებდნენ ამ „ხელობას“, მაგრამ მოდიოდნენ სხვები, ანუ ხდებოდა ავაზაკთა ბუნებრივი კვლავწარმოება, ამიტომ „ლეკიანობა“ არ ცხრებოდა, თავის ორბი-

¹ ილია ორბელიანი. რვა თვე შამილის ტყვეობაში, თარგმნა, წინასიტყვაობა დაურთი და ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ელიზბარ უბილაგამ, თბ., 1991, გვ. 86-87

² იხ: იოსებ ალიმბარაშვილი. შამილის „ნიზამი“ და დავით ბატონიშვილის..., გვ. 29-31.

³ ავთანდილ კილასონია. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში, გვ. 78.

ტაში ახალ-ახალ მასებს ითრევდა და რეგიონისათვის გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა.¹ თანდათანობით ეს „ხელობა“ მთიელებში პროფესიად იქცა და ბელადთა განსაკუთრებული ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, რომლებიც შემოიყრიდნენ 10-დან 300 კაცამდე და გამუდმებულ თავდასხმებს ახორციელებდნენ.²

მთიელთა ექსპანსიის ფორმას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დადესტნის მეზობლად არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. მთელ რიგ შემთხვევებში ლექები მართლაც ჩამოდიოდნენ ქართლ-კახეთში და დგებოდნენ მოსამსახურებად, მსახურობდნენ დაქირავებულ ჯარში და სხვ. მაგრამ ქვეყნის წარმოებითი შესაძლებლობანი იმდენად დიდი არ იყო, რომ მთლიანად აეთვისებინა მთის ჭარბი ენერგია და მშვიდობიან შრომაში გამოეყენებინა.³ სამართლიანად აღნიშნავდა დავით გვრიტიშვილი, რომ „ლეკიანობა“ მარტო საქართველოსათვის კი არ იყო დამდუპველი, არამედ საკუთარი ქვეყნისთვისაც. საქმე ისაა, რომ „ლეკიანობა“ მეურნეობის ძირითად დარგად სხვისი ქვეყნის ძარცვას გულისხმობდა და საკუთარი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას გამორიცხავდა, ამასთან ერთად მუდმივი ომები არა მარტო მოწინააღმდეგეს, არამედ საკუთარ ხალხსაც ანადგურებდა, ფიზიკურად სპობდა“.⁴

სამეფო-სამთავროებად დაშლილი, პოლიტიკურად სუსტი, მაგრამ მდიდარი რესურსების მქონე მეზობელი საქართველო ეკონომიკური განვითარების საპირისპირო პოლუსზე მყოფ დადესტნელ მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, რომ „სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები დროებით მაინც გადაეჭრა“,⁵ სხვანაირად სიღატაკე და შიმშილით სიკვდილი მოელოდათ, რასაც აღნიშნავდნენ კიდევ მათი წარმომადგენლები 1731 წ. დეკემბერში რუს გენერალ რუმიანცევთან შეხვედრისას: „ქურდობა და ძარცვა-თარეში ჩვენი ხელობაა ისევე, როგორც თქვენთვის ხვნა-თესვა და ვაჭრობა. ძარცვა-რბევით ცხოვრობდა ჩვენი მამა-პაპა და თუ მათ ხელობას მივატოვებთ, რასაც ჩვენგან რუსები მოითხოვენ, შიმშილით დავიხოცებითო“.⁶ ლეკთა მტაცებლურ ბუნებაზე მიუთითებდა თურქი ისტორიკოსი გურჯი ზადეც: „სიკვდილი და სხვისი

¹ **В. Гамрекели.** Вопросы взаимоотношения Восточной Грузии., გვ. 620.

² **В. Гамрекели.** Вопросы взаимоотношения Восточной Грузии., გვ. 40-41.

³ **В. Гамрекели.** Вопросы взаимоотношения Восточной Грузии., გვ. 618.

⁴ დავით გვრიტიშვილი. ნარჯვები საქართველოს ისტორიიდან. ტ. III. თბ., 1968, გვ. 181.

⁵ თემურაზ ბოცვაძე. ჩრდილო-კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში XV-XVIII სს. თბ., 1990. გვ. 17-18.

⁶ **В. Потто.** Кавказская война въ отдельныхъ очеркахъ, эпизодахъ, легендахъ и биографияхъ. т. I. от древнейшихъ временъ до Ермолова. вып. I. СПБ., 1885, გვ. 43.

მოკვლა (ლექებს – ი.ა.) ვაჭრობაზე მეტად ამხიარულებთო“.¹ უფრო მეტიც, ლექებისათვის მთავარი ფულის გადახდა იყო და ხშირად ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაზეც არ ამბობდნენ უარს.

XX ს. დამდეგს (1901 წ.) ზურაბ ავალიშვილი საკითხის შეფასებისას წერდა: „დაღესტნელთა ჯგუფებმა, რომელთა მოწოდებაც ძარცვა-რბევა და თარუში იყო, მიატოვეს წარმოების მშვიდობიანი ფორმები – მიწათმოქმედება, ხელოსნობა და მათ სისტემატურ ხელობად – ძარცვა-თარეში, ტყვეების მოპოვება და თანხის საფასურად დაქირავება იქცა. მოწვევებს ძარცვა-რბევის მიზნით ისინი იღებდნენ აღტაცებით და ხალისით. თავის მხრივ მართალნიც იყვნენ, რადგან არსებობა მათ მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ.

თანდათანობით XVII-XVIII საუკუნეებში ლექთა პარტიების გამოჩენა ჩვეულებრივ ამბად იქცა. ეს იყო მწარე სიმართლე ქართლ-კახეთისათვის, რომელთაც სამხრეთით ქმედებისას, არასოდეს პქონდათ უსაფრთხო ზურგი უზრუნველყოფილო“.²

ჩრდ. კავკასიელი ტომების ექსპანსიის ერთ-ერთი მიზეზი მთის მკაცრი პირობები და კლიმატი იყო. მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მეურნეობის ძირითადი დარგად მესაქონლეობა იქცა, მხოლოდ მცირე ნაწილი მისდევდა მიწათმოქმედებას, მათაც მოწეული მოსავალი მხოლოდ 3-4 თვეს პყოფნიდათ³, ხოლო ვისაც არც ერთის საშუალება პქონდა: „სამხედრო ბელადები ადვილად შემოიყრიდნენ ხოლმე თავისუფალ მთიელებს და „სავაშკაცო საშოგარზე“ (ტყვისა და ალაფის მოპოვება) მოუძღვნდნენ მათ“.⁴ მათი შემოსევების სიჭარბე-სიმცირეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მკაცრი ზამთარი და მოუსავლიანი წლებიც.

მთიან დაღესტანში მიწათმოქმედების დაბალ დონეს, მიწის ნაკლებობის გარდა, სარწყავი სისტემების არ არსებობაც განაპირობებდა, რადგან მთის ჩქარი მდინარეები ირიგაციის საშუალებას არ იძლეოდა.⁵ ეკონომიკურ განვითარებას ასევე მნიშვნელოვნად აფერხებდა როული რელიეფი და უსაფრთხო

¹ გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა *ციხანა აბულაძე*. თბ., 1975. გვ. 41.

² 3. Авваловъ. Присоединение Грузии къ Российской. СПБ 1901, გვ. 17.

³ დარჯვან მეგრელაძე, დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. – ძაცნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, ისტორიის სერია. № 6. თბ., 1967, გვ. 122.

⁴ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 154.

⁵ И. Петрушевский. Джаро-белаканские..., გვ. 27.

გადაადგილებისათვის საჭირო გზების არქონა.¹ ჩრდილო-კავკასიელთა თარე-შის ინტენსივობა განპირობებული იყო იმითაც, რომ მთიან დაღესტანში მამა-კაცის როლი ოჯახურ მეურნეობაში ტრადიციულად ძალზე სუსტი იყო და სა-სოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, შინაური პირუტყვის მოვლას და ა. შ. ძირითა-დად, ქალები უძლვებოდნენ.² სამაგიეროდ, სულის ხსნის მიზნით, ისინი ძარცვა-გლეჯასა და თარეშს „ჰაზავათის“ (წმინდა ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ) ნაწი-ლად მიიჩნევდნენ, რაც მეზობლად მდებარე საქართველოში რთული არ იყო.³

„ლეკიანობის“ ბუნება და მიზეზები კარგად ჩანს გრიგოლ ორბელიანის საკუთარი ძმებისადმი დაღესტნიდან მოწერილი წერილებიდანაც: „აქაური ხალხისა რა გითხრა. შინ ზარმაცნი, ზანგნი, დიდრონ ტყაპუჭებში დათვების მსგავსნი ჰყრიან ამ დღით გარეთა. აბა ესენივე ნახე მაშინ, როცა დაიძახებენ ჰარაის! იმ წამს საიდამ ეძლევათ ის სიმარდე, ის სიმკვირცხლე, დაუდალაობა სირბილში? აბა გაასწარ ცხენითო“, სწერდა ილია ორბელიანს.⁴ „მეტად გამ-ხმარი ქვეყანა არის, უშეშო, უბადო, უტყეო“, ამიტომაც „კაცის კვლა მეტად ადვილად სცოდნიათო“, ამ სიტყვებით უხასიათებდა დაღესტანს მეორე ძმას ზაქარიას გრიგოლ ორბელიანი.⁵

„ლეკიანობის“ ეკონომიკური ფაქტორის აღნიშვნისას, აუცილებლად გა-სათვალისწინებელია დაღესტნელთაგან ტყვებით მოვაჭრეთა მთავარი „ინვეს-ტორი“ – თურქეთი. საქმე ის არის, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ტყვებით ვაჭრობა მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიან „პროფესიად“ იქცა. ქართული „პროდუქტი“ სტამბოლ-კაიროს ტყვეთა ბაზრებზე საკმაოდ კონკურენტუნარია-ნი იყო, ამიტომ თურქი მოხელეები ფულს ხალისით დებდნენ და აფინანსებ-დნენ დაღესტნელ აბრაგთა მტაცებლურ ლაშქრობებს ქართლ-კახეთში.

გარდა ეკონომიკური მოტივაციისა, დაღესტნელთა შემოსევებს პოლიტი-კური, რელიგიური და სოციალური ფაქტორებიც განაპირობებდა. დიდი და ძლიერი მეზობელი რუსეთის არსებობა პატარა დაღესტანის პოლიტიკურ ინტე-რესებში არანაირად არ ჯდებოდა.

¹ თეიმურაზ ბოცვაძე. დაღესტანი XVIII ს. – წიგნში: ზურაბ ანჩაბაძე, თეიმურაზ ბოცვაძე, გიორგი თოვლიშვილი, მარინე ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I. თბ., 1969, გვ. 248.

² Н. Львов. Домашняя и семейная жизнь дагестанских горцев. – Сборник сведений о Кавказских горцах, вып. III. Тифл., 1870, გვ. 3; 10-11; 14-15.

³ Н. Львов. Домашняя и семейная жизнь дагестанских горцев, გვ. 3.

⁴ გრიგოლ ორბელიანი. წერილები, გ. I, დოკ. №58; გვ. 79-81.

⁵ გრიგოლ ორბელიანი. წერილები, გ. I, დოკ. №37; გვ. 70.

ლოგიკურია, რომ ლეკები ქართლში არანაკლები აგრესიით ებრძოდნენ „ყიზილბაშობისას“ – სპარსელებს, „ოსმალობისას“ – თურქებს, ხოლო XVIII ს.80-იანი წლებიდან – რუსებს. საქართველოში გაბატონებით ზემოჩამოთვლილი დიდი ქვეყნები უშუალოდ უმეზობლდებოდნენ დაღესტანს, რაც მათ ინტერესებში არ შედიოდა, ამიტომ ლეკი ბელადები ერეპლე მეფეს მიმართავდნენ: „ჩვენ გვირჩევნია თქვენ დაგვიქირაოთ და მიგვისიოთ თქვენი ქვეყნის მტერს, ვიდრე სხვამ დაგვიქირაოს და თქვენი ქვეყნა გვანადგურებინოსო“.¹

დაბოლოს, ყაჩაღობა და თარეში თავისუფლებისმოყვარე მთიელისათვის, ვაჟაპობის, ჯიგიტობის სინონიმად იქცა. როგორც ითქვა, ძარცვა-რბევასა და თარეშს დაღესტნელი მთიელები „ჰაზავათის“ (წმინდა ომის) ნაწილად მიიჩნევდნენ. საქართველოზე წამოსული ნურსალ-ბეგი თანამომეუბებს, მხარდაჭერის შემთხვევაში, სამუდამო კეთილდღეობას პპირდება: „სულ მე გამომყევით, ქართლსა და კახეთს დავიჭროთ და იმდენ ტყვებსა და საქონელს გაშოვნინებოთ, რომ შვილიშვილამდე გეყოსთო“.²

ამდენად, უხეში შეცდომა იქნებოდა „ლეკიანობა“ მხოლოდ ეთნიკურ ჯრილში განგვეხილა. დაღესტნელებისათვის მთავარი ტყვე-ნადავლის ხარისხი და ფასი იყო და არა მისი ეროვნული კუთვნილება. ჩვენი უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ზემონათქვამ ტყვეთა ბაზრებზე ქართველი ყველაზე მეტად ფასობდა. რაც შეეხება რელიგიურ ფაქტორს, დაღესტნელები არაკლები ხალისით არბევდნენ ჩრდ. ირანისა და მეზობელ ჩეჩნების ერთმორწმუნე პროვინციებსაც,³ თუმცა, მათ თავდასხმებს საქართველოს ქრისტიანულ მოსახლეობაზე ყურანიც „ახალისებდა“.

„ლეკიანობის“ წყარო ხშირად სოციალური ხასიათის იყო და იოლი გამდიდრების მოსურნე დაღესტნელი ფეოდალების ამბიციებიდან მომდინარეობდა. „დაღესტნის ისტორიაში“ ვკითხულობთ: „დაღესტნელი ფეოდალები მოტყუების გზით, არცთუ იშვიათად დაშინებითა და ძალადობით აიძულებდნენ უბრალო მოსახლეობას ლაშქრობებში მონაწილეობას, რითაც წყვეტდნენ მათ ინტენსიური მეურნეობისაგან და წირავდნენ ტანჯვა-წამებისა და ხშირად – სიკვდი-

¹ შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ., 1975, გვ. 51.

² პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო კლერკ ცაგარევიშვილმა. თბ., 1981, გვ. 226.

³ ილია ორბელიანი. რვა თვე შამილის ტყვეობაში, გვ. 75.

ლისთვისაცო“.¹

აღნიშნულთან დაკავშირებით დაღესტნელი ავტორი – ხ. ხაშაევი წერდა: „დაღესტნელ ხალხს საქართველოს დაპყრობა მიზნად არასოდეს გაუხდია. ნუ-ცალ-ხანისა (ნურსალ-ბეგი – ი.ა.) და ომარ-ხანის მტაცებლურ შემოსევებთან მათ საერთო არაფერი ჰქონდათ. პირიქით, როგორც ამას წყაროები გვიდასტურებენ, დაღესტნელი მთიელები არაერთხელ გამოსულან ქართველი ხალხის მოკავშირის როლში უცხო დამპყრობლების წინააღმდეგო“.²

მართლაც, პროფ. რ. მაგომედოვი, წიგნში: „დაღესტანი. ისტორიული ეტოუდები“, სათანადო საბუთებზე დაყრდნობით გადმოგვცემს, თუ როგორ იძრდოდნენ ნურსალ-ბეგისა და ომარ-ხანის ძალმომრეობის წინააღმდეგ აღგილობრივი ტომების – ოროტინელების, ანწუხელების, ინხოელების, იგალელების წარმომადგენლები.³

ქართველებისათვის რიცხობრივად ჭარბ მტერთან ბრძოლა უცხო არ იყო. ბრძოლისას მტერი ხშირად ორჯერ, სამჯერ და უფრო მეტადაც გვჭარბობდა, მაგრამ გამარჯვების სასწორი უმეტესწილად ჩვენს მხარეს იხრებოდა. ლეკის წინააღმდეგ ბრძოლა კი ქვეყანას უჭირდა, რადგან იმათი ბრძოლის ტაქტიკა ქართველისათვის მიუდებელი იყო. დაღესტანს საქართველოსთან გამოცხადებული ომი არასოდეს ჰქონია. მარბიელთა თარეში ომის კანონებს არ ექვემდებარებოდა. ტრადიციულად, საქართველოში ლაშქრის შეკრება ხდებოდა მეფის დაძახილზე. არსებობდა „ქუდზე კაცის“, „კომლზე კაცის“ წესიც, მაგრამ ასეთი ლაშქრის თავმოყრისათვის რამდენიმე დღე იყო საჭირო. ლეკები დიდი ლაშქრით იშვიათად მოდიოდნენ, ბრძოლას გაურბოდნენ და ძირითადად მცირერიცხოვანი ბრძოებით ქურდულად თავს ესხმოდნენ მშვიდობიან სოფლებს, ყანაში, ვენახსა და ტყეში გასულ გლეხებს, შინ დარჩენილ მათ ოჯახებს, გზად მიმავალ მგზავრებს, იალაღზე გასულ მწყემსებს. მათი თავდასხმების რიცხვი, როგორც წესი, იზრდებოდა მოსაგლის აღების დროს, მცირეწლოვანებისა და მოხუცების ამარა დარჩენილთ უწიოკებდნენ სახლ-კარს, ტეხდნენ ციხეებსა და ეკლესია-მონასტრებს, მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის წაღებასაც მოასწრებდნენ და მოახერხებდნენ. სანამ ქართველი მდევარი შეიყრებოდა, ხშირად ისინი ახერხებდნენ მიუვალი და დაფარული ბილიკებით და-

¹ История Дагестана. т. I. М., 1967, გვ. 384.

² Из истории взаимоотношений Дагестана с Россией и народами Кавказа (сборник статей). Под ред. проф. В. Г. Гаджиева. Махачкала, 1982, გვ. 34.

³ Р. Г. Магомедов. Дагестан. Исторические этюды. Махачкала, 1971, გვ. 164.

დესტანში ან ახალციხეში გადასვლას, იქ კი უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. მათი მუდმივი თარეშით გაბეზრებული ერეპლე II რუსებს სწერდა: „ლეპები მშიერი მგლებივით ჩვენზე კბილებს იღესავენო“.¹

ტოტლებენის ადიუტანტის ფრანგი დე გრაი დე ფუას შეფასებით, დაღესტნელებს უბრალო ადამიანის გამოსასყიდ ფასად დაწესებული პქონდათ 40 ხარი. ერთი ხარი ოცდაათიდან ას ცხვრამდე ლირდა და ცხენი ადამიანზე ძვირად ფასობდა². ცხადია, ფრანგ მოგზაურს ზერელე წარმოდგენა პქონდა საქართველოდან წაყვანილ ტყვეთა რეალურ ფასზე. როგორც ითქვა, სტამბოლკაიროსა და ყირიმის ტყვეთა ბაზრებზე კავკასიიდან წაყვანილ „პროდუქტს“ საკმაო შემოსავალი მოჰქონდა.

ოსმალეთის უმაღლეს კარს შესაბამისი სტრატეგია პქონდა შემუშავებული, რათა კავკასიიდან ტყვეთა სყიდვის პროცესი უწყვეტი ყოფილიყო. როგორც ითქვა, იგი სიმდიდრესა და ძალაუფლებას ერთდროულად უზრუნველყოფდა და ამ საქმეში „მოცდენა“ არ შეიძლებოდა, ხოლო რუსების საქართველოში დამკვიდრების შემდეგ მან პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა.

გატაცებული ტყვე-საქონლის „რეალიზაცია“ ხშირად აქვე ხდებოდა. ლეკებს ეს გარემოება აწყობდათ კიდეც, რადგან ერთი მხრივ „საქონელს“ ადვოლად „ანალდებდნენ“ და მეორე მხრივ, ეს „საქონელი“ მათი „სამოქმედო“ სარბიელის შიგნით რჩებოდა და მისი კვლავ მოპოვება კიდევ შეიძლებოდა.³

ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას ართულებდა ისიც, რომ მათ შესანიშნავად იცოდნენ დაღესტნიდან გადმოსასვლელი უამრავი გზა-ბილიკი, თანაც მთაში მგზავრობას მიჩვეული ჩრდილო-კავკასიელები ამას დაუბრკოლებლად და საოცრად სწრაფად ახერხებდნენ. როგორც ჭ. აფციაური წერს: „სამზერ კოშკებს თვალი და ყური დაღესტნის ბილიკებისაკენ პქონდათ, მეციხოვნეებსაც შეუბლთან მუდამ გაშლილი ხელი ედგათ, მაგრამ ლეკები თითქოს ეშმაკის ცხენებზე ისხდნენ, უჩინმაჩინის ქუდებს იხურავდნენ, ხან კახეთის სოფლებს აატირებდნენ, ხან კიდევ ქართლისა და იმერეთის გზებზე სტოვებდნენ სისხლისა და დაუჭედავი ულაყების კვალს“.⁴ წინასწარ არავინ იცოდა, როდის, საიდან და რა რაოდენობის ლეკი დაუცემოდა თავს.

¹ А. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы 18 столетия относящиеся к Грузии, т. I. СПБ., 1891, გვ. 408.

² დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაუროვ ჯუმბერ ლიტერატურა. თბ., 1985, გვ. 40.

³ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბ., 1964. გვ. 371.

⁴ ჯემალ აფციაური. თემურაზი. თბ., 1991, გვ. 17.

იესე ბარათაშვილი „ცხოვრება-ანდერძის“ დასაწყისშივე ხაზს უსგამდა იმ გარემოებას, რომ „ავი დრო იყო, ყოველდღე დამხობას მოველოდით, ლეკისა-გან აკლებასა, საქართველოს სრულიად დაჭერასა. კარგი არა ჩნდა მეფის ჰქუისა და დვთის მოწყალების მეტი. ყოველდღე დიდ ჯარებს გამოველოდით და საქართველოს წალებას და ჩვენს აკლებასა და დატყვევებასაო“.¹ გამუდმუ-ბული თავდასხმების წინააღმდეგ საჭირო იყო ამ ბილიკების, გზა-ხეობების ჩაკეტვა, სანაპირო ციხეებში ჯარის სისტემატური დგომა და მზადყოფნა ყო-ველი შემოსევისათვის, რაც იმდროინდელ საქართველოში შეუძლებელი ხდე-ბოდა. ლეკთა მარბიელი რაზმების თავდასხმებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო ზაფხული და შემოდგომა იყო, თუმცა, უამინდობაც არ აფერხებდათ.

გზა-ბილიკებისა და გადმოსასვლელების კარგად ცოდნა ლეკებს საშუა-ლებას აძლევდა დღისით თუ დამით, ნებისმიერი ამინდის პირობებში, დაუბ-რკოლებლად გადმოსულიყვნენ ჩრდ. კავკასიოდან. ედუარდ აიხვალდის ცნო-ბით, იმის გამო, რომ ლეკები ძირითადად მთებში გადაადგილდებოდნენ, სა-დაც „უმეტესად მზეს სქელი ნისლი ფარავს“ და ძნელია სასურველი მიმარ-თულების ამოცნობა, ისინი იყენებდნენ განსაკუთრებულ კომპასსა და ჭოგ-რიტს.² მათი ძირითადი პლაცდარმი კახეთზე თავდასასხმელად ჭარ-ბელაქანი იყო. ალაზანს გადმოლახავდნენ, ყარაღაჯის ციხესთან (სიღნაღოთან ახლოს) ამოუკებოდნენ ივრის ხეობას და საგურამომდე აღწევდნენ.³

ქართლში ისინი ჩრდილოეთიდან, ძირითადად არაგვის ხეობით და დარ-თისკარის გავლით შემოდიოდნენ, ხოლო ახალციხის მხრიდან უფრო „ფართო ასპარეზი“ ჰქონდათ: ბორჯომის, ძამის, ატენის, მანგლისის ხეობებს მოედე-ბოდნენ და თავს ესხმოდნენ წინასწარ შერჩეულ სხვადასხვა ადგილებს. (ლეკ-თა შემოსევების ძირითადი მიმართულებების რუკა, იხ. აქვე, დანართი № 2).

ლეკთა სამოძრაო გზა-ბილიკები საქართველოში იმდროისათვის მყოფ უცხოელთათვისაც არ იყო უცხო. რუსი ისტორიკოსი ს. ბრონევსკი ლეკთა მოძ-რაობის შესახებ აღნიშნავს: „ლეკებს ტყვეები ჭარიდან გადაპყავდათ საქართვე-ლოზე, ტყვეებისა და მთების ფარული გზებითა და ბილიკებით ახალციხეში, ხოლო იქიდან – შავი ზღვის ნავსადგურებში: ბათუმსა და ფოთში. ტყვეების გამრავლების მიზნით, ისინი იყოფოდნენ პატარ-პატარა რაზმებად. ერთნი ტყვე-

¹ იესე ბარათაშვილი. ცხოვრება-ანდერძი. – ქართული პროზა. ტ. V. თბ., 1983, გვ. 610.

² ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 270-271.

³ Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. I, ч. II. Тифл., 1866, გვ. 337.

ებს აცილებდნენ, მეორენი მიდიოდნენ ახლების მოსატაცებლად. დაღესტნელუბი ცდილობდნენ იმავე ზაფხულის ან შემოდგომის დადგომამდე დაბრუნებულიყვნენ ჭარში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ზამთარი მოუსწრებდათ, გადადიოდნენ ახალციხეში და შედიოდნენ ახალციხის ფაშას სამსახურში, იმ პირობით, რომ ნება მიეცემოდათ ძარცვა-თარების ქართლში მოსაწყობად, რაზედაც უარს არასოდეს იდებდნენ.¹ ჭარი ასევე სატრანზიტო პუნქტს წარმოადგენდა საქართველოში ნაშოვნი ტყვეების შირვანსა და ბაქოში გადასაყვანად.²

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ი. გიულდენშტედტი, რომელიც ერთი პერიოდი ლეკიანობის „ცხელ წერტილში“ – ქსნის საერისთავოში ცხოვრობდა და იძულებული იყო ძლიერი დაცვის თანხლებით გადაადგილებულიყო, წერს: „ილტოზის ახლოს, ქსნისა და ნარეკვავს შორის მიდის ჩვეულებრივი გზა ლეკებისა, რითაც ისინი არაგვიდან, მჯადიჯვარზე გავლით, მიდიან მთით ლამისუანამდე და ქრცხინვალამდე“³ ი. რაინეგსის ცნობით, წინათ აყვავებული, სიცოცხლით სავსე საგურამო იმუამად ლეკების საყაჩადო კუთხედ იყო გადაქცეული, რადგან დასავლეთით მათ ქართლისაკენ სხვა გზა არ ჰქონდათ.⁴

როგორც ითქვა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოსული ლეკების კონცენტრირება ძირითადად დართისკარში ხდებოდა. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, ლეკები ქართლს დართისკარიდან დაეცემოდნენ, ტყვეებით დატვირთულნი ახალციხეს გადადიოდნენ და უკან მობრუნებულნი, ისევ დართისკარს ბინავდებოდნენ უშიშრად. ასეთი მდგომარეობა საქართველოში ვახტანგ VI-ისაგან მოყოლებული 1817 წლამდე გაგრძელდა. „ამა წელიწდიდამ შეწყდა ლეკი და შევიდა თვისთა კლდეთა შინა და ხეობათა, სადაცა ეწია მას ძალი რუსეთისა და შემდგომად გრძელ-უამითისა ბრძოლისა დაამორჩილა და დაამშვიდა“⁵ ს. ბრონევსკი ლეკიანობის დასასრულად 1800 წელს მიიჩნევს: „...ჭარსა და ახალციხეს შორის საქართველო იქცა თავისი მძვინვარე მეზობლების დაუცველ მსხვერპლად და ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1800 წლამდე“⁶.

იოსელიან-ბრონევსკისეულ „ლეკიანობის“ ქრონოლოგიას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ჭარ-ბელაქანისა და ჩრდ. კავკასიის საკითხი რუსეთმა ვერ გადაჭრა

¹ С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. ч. I, გვ. 314-315.

² И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 29.

³ გიულდენშტედტის მუჟ ზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 1962, გვ. 53.

⁴ იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 151.

⁵ პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამებისა. თბ., 1978, გვ. 76.

⁶ С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. ч. I. გვ. 315.

1817 და მით უფრო, 1800 წელს. „ლეკიანობა“ ამის შემდეგაც საქმაო ხანს რჩებოდა საიმპერატორო კარისათვის სერიოზულ პრობლემად, რაშიც ქვემოთაც დავრწმუნდებით. ჩვენი ნათქვამის დასტურად მოვიშველიებთ ცნობილ გერმანელ მოგზაურსა და მეცნიერს – ედუარდ აიხვალდს, რომელმაც 1826-27 წლებში იმოგზაურა საქართველოში და საკუთარი თვალით ნანახ-განცდილს შემდეგნაირად აფასებს: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში რუსთა მფლობელობა კარგა ხნის დამყარებული იყო, ლეკების მხრიდან არა მარტო ქართველების, არამედ რუსი ჯარისკაცების მოტაცება გამოსასყიდის მიზნით, ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა. ამასთან, ქართველები შედარებით უფრო ძვირად ფასობდნენ, რადგან სასოფლო სამუშაოებში გამოსადეგნი იყვნენ“.¹

ქართლში ლეკების გარდა სხვებიც აბრაგობდნენ, მაგ.: ოსები, მაგრამ „ლეკიანობა“ „ოსიანობას“ მხოლოდ მეკობრული ბუნებით ჰგავდა. „ოსიანობა“ ძარცვა-თარეშთან ერთად ქართლში მიგრაციასაც გულისხმობდა, ასე აღმოჩნდნენ ოსები ჯერ ზემო ქართლში – სამაჩაბლოში, ხოლო თანდათანობით მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოედვნენ და დასახლდნენ საამილახვროში, სამუხრანბატონოში, საციციანოში და სხვაგან. „ლეკიანობა“ სხვის მიწა-წყალზე დამკვიდრებას მიზნად ნაკლებად ისახავდა, მათ ნადავლი და მისგან მიღებული შემოსავალი უფრო აინტერესებდათ. ისინი შემოდიოდნენ, იტაცებდნენ, მიდიოდნენ და უკან მხოლოდ ახლის მოსატაცებლად მოდიოდნენ. საუგუნეების განმავლობაში ლეკებმა, ოსებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ისტორიული ჰერეთის ნაწილი – საინგილო დაიკავეს. ამაშიც „ლომის წილი“ შაჰ-აბას I-ს მიუძღვდა, რომლის მთავარი მიზანი – მთლიანი საქართველოს „ამოგდება“, ხოლო ელისუს სასულთნოს შექმნა მისი დიდი პოლიტიკის ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი იყო.

„ლეკიანობა“ „ოსიანობისაგან“ სხვა მხრივაც განსხვავდებოდა. ჯერ ერთი, დაღესტნელთა ქართლ-კახეთზე თავდასხმები ქართველების მხრიდან ჭარში საპასუხო ლაშქრობებსაც იწვევდა, რასაც მათი მხრიდანაც არანაკლები მსხვერპლი მოსდევდა. მაგ.: ქართველებთან ბრძოლებს შეეწირნენ ლეკოთა ბულადები: ალი-ფოლადი, კოხტა ბელადი, მუსა ბელადი, ალი ბელადი, ყოყა ბელადი, თვით ომარ-ხანი ნიახურასთან მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა და სხვ. ბუნებრივია, უფრო მაღალი იყო მსხვერპლი რიგით დაღესტნე-

¹ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შეხახებ, გვ. 18, 258-259, 301.

ლებში. შემთხვევითი არ არის, რომ მათ სასაფლაოებზე მამაკაცთა მხოლოდ ორი პროცენტი იყო დასაფლავებული.¹

ოსების ქართველებთან ასეთ შეტაკებებს მათ მკვიდრ სამოსახლოში – ჩრდ. კაგებასიაში მასიური ხასიათი არ ჰქონია. როგორც ითქვა, ისინი ლეკიანობით დაცლილ ქართულ მიწა-წყალზე ჩამოდიოდნენ და უმეტეს შემთხვევაში მშვიდობიანად სახლდებოდნენ. ეს ფაქტი ხშირად ქართველი მეფეების ინიციატივითაც ხდებოდა, რაც რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: შეთხელუბული მოსახლეობის მომრავლება, სასოფლო-სამეურნეო და თავდაცვით სტრუქტურებში ჩაბმა და სხვ.

2. ქართლ-კახეთისა და იმიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. ლეკტა ექსპანსიის მიზეზები

საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კაგებასიელ ტომებს (ლეკები, ხუნძები, ვეინახები, ავარიელები, დიდოელები, ჩეჩნები, ყაბარდოელები და ა.შ.) შორის ურთიერთობა ადრეული საუკუნეებიდან იღებს. იმიერ-კაგებასიელთა დაქირავებას სამხედრო მიზნით, როგორც ქართველი მეფეების მხრიდან, ისე მათ წინააღმდეგ, ხშირად ჰქონდა ადგილი. ლეონტი მროველის ცნობით, ჯერ კიდევ აზოს წინააღმდეგ აჯანყებულმა ფარნავაზმა და ქუჯიმ დაიქირავეს ლეკები, თსები და „განიმრავლეს სპანი“², რომლებიც სიხარულით გამოემართნენ, რადგან აზოსათვის ხარკის მიცემა არ სურდათ.

ლეკები პყოლია დაქირავებული 1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებულ დემნა ბატონიშვილსაც.³ ცნობილია, რომ ფარცხისის ბრძოლაში (1569 წ.) სიმონ მეფის წინააღმდეგ მის გამაპმადიანებულ და მოღალატე მმას – დაუდ ხანს ლეკებიც ახლდა, რომელიც შაჳ თამაზის დაგალებით გადმოუყვანია განჯა-შამახის ბეგლარბეგს დაუდ ხანთან.⁴ 20 ათასი ლეკი მოიწვია 1723 წელს თბილისის ასაღებად ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ აჯანყებულმა კონსტანტინე მაპმადული ხანმა. ლეკების მონაწილეობით არკვევდნენ ურთიერთობებს XVIII ს. I ნახევარში ოსმალ-ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყებული შანშე ქსნის ერისთავი და გივი ამილახვარი.

¹ სარგის კაგაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921. ობ., 2003, გვ. 23.

² ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა... – ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ გაუხეიშვილის მიერ. ობ., 1955, გვ. 23.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედოთანი. ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ გაუხეიშვილის მიერ. ობ., 1959. გვ. 19.

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 408.

1803 წ. 10 თებერვალს პ. ციციანოვის მიერ ალექსანდრე I-სადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით, ალექსანდრე, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები 1803 წ. გაზაფხულზე ლეკების დახმარებით ცდილობდნენ რუსებისაგან წართმული ტახტის აღდგენას.¹ ასევე ჩრდილო-კავკასიელთა იმედი ჰქონდა 1813 წ. თებერვალში რუსების წინააღმდეგ აჯანყებულ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ერთგულებისაკენ მოუწოდებდა დიდი ლიახვის მოსახლეობას და აცნობებდა, რომ ხევსურეთში ლეკის, ლლილვის, ჩახნის, ჭანთოის, თუშის, ფშავის, ხევსურის ჯარს კრეფდა და რუსებზე მისვლას აპირებდა² და სხვა.

განსაკუთრებით გაძლიერდა და მრავალმხრივი გახდა იმიერ და ამიერ-კავკასიას შორის ურთიერთობები განვითარებულ ფეოდალურ, ანუ საქართველოს „ოქროს ხანის“ პერიოდში. ამ დროისათვის იმიერკავკასიის მთიანი ნაწილის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საქართველოს დროშის ქვეშ შემოდიოდა ყმადნაფიცობის პირობით. პოლიტიკური თვალსაზრისით ჩრდილო კავკასია საქართველოსათვის იყო სანდო ზურგი, რომლიდანაც მას დამატებითი სამხედრო ძალის იმედი ჰქონდა უცხოელ დამპურობთა მოსაგერიებლად.³

სენებულ პერიოდში მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ჩრდილო კავკასიაზე მაღალგანვითარებული ქართული კულტურაც. მონდოლთა ასწლიანმა ბატონობამ ეს ურთიერთობები ვერ მოსპო. XIII ს. 80-იან წლებში ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწეების პიმენ სალოსისა და ანტონ ნაოხრებელის ძის სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად ქრისტიანობა იმდენად ფართოდ გავრცელდა დაღესტანში, რომ XIV საუკუნეში ხუნძახში ეპისკოპოსი იჯდა. საქართველოს გავლენის გავრცელებას ამ ტერიტორიაზე დაღესტანში აღმოჩენილი ქართული წარწერებიც ადასტურებენ.⁴

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა თემურ-ლენგის რვაგზის (1386 – 1403 წწ.) შემოსევების შედეგად. 1394 წელს მორიგი ლაშქრობისას თემური არაგვის ხეობას შეესია, ამ დროს აცნობეს, რომ ჩრდილო-კავკასიაში მისი დაუძინებელი მტერი თოხთამიში გამოჩნდა. ლანგ თემურმა საქართველოს თავი მიანება, დარუბანდის გზით იმიერკავკასიაში გადავიდა და დღევანდელ ჩრდილო-ოსეთის ტერიტორიაზე სასტიკად დაამარცხა თქროს ურდოს ლაშქა-

¹ Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею т. I. ч. II. Тифл. 1866, გვ. 69; док. №111.

² ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საქმე: 9376.

³ გიორგი ანჩაბაძე. თანამედროვე საქართველოსთვის ჩრდილოკავკასიური ფაქტორის, გვ. 6.

⁴ საქართველოს ისტორია. ნოდარ ასათიანისა და მარიამ ლორთქიფანიძის რედ. თბ., 2001. გვ. 157; თემურაზ ბოცვაძე. საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის..., გვ. 202 და სხვ.

რი, ხოლო შემდეგ ჩერქეზ-ოსებს მიუბრუნდა. მემატიანე შემზარავი სიტყვებით გადმოგვცემს ამ ამბავს: „განვლეს სპათა (თემურის – ი.ა.) მათ დარუბანდი, ლეკეთი და მივიღნენ ოვსეთს, მოსწყვიდნეს, ტყვე-ჰყვეს და მოიქცნენ წინაშე თემურისავე. ესე ჰყო თემურმან, რამეთუ უწყოდა. რამეთუ მეფე (საქართველოს – ი.ა.) ძალას იცემს მუნიდამ. ხოლო კვალად იტყვიან, მიერითგან იწოდაო ჩერქეზი და იქმნაო მაპმადიანობა მათ შორის“.¹ არანაკლებ მძიმე იყო საქართველოსათვის თემურის ლაშქრობათა პოლიტიკური შედეგი. მას მეზობელი ქრისტიანული ქვეყნები და მოკავშირეები (სომხეთი, ალბანეთი) ჩამოშორდნენ და მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ იგი მარტო აღმოჩნდა.

განსაკუთრებით საზიანო საქართველოსათვის იმიერ-კავკასიელი მთიელი მოკავშირეების ჩამოცილება იყო, სადაც ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაპმადიანობამ მოიკიდა ფეხი და საქართველოს გარშემო მუსულმანური გარემოცვის რკალი შეიქმნა.²

საქმე მხოლოდ რელიგიაში არ იყო. ივანე IV მრისხანეს მიერ ასტრახანის სახანოს დაპყრობით (1556 წ.), რუსეთი უშუალოდ გაუმეზობლდა კავკასიას. მოსკოვის სამთავროს გარშემო გაერთიანებული რუსეთი აშკარად იწყებს მოკავშირეების ძებნას ამიერკავკასიაში. პირველი ამ მხრივ კახეთის სამეფო აღმოჩნდა, რომლის გავლით რუსეთი განჯა-შემახასთან აბრეშუმით ვაჭრობდა და დიდ სარგებელსაც იღებდა. ეს გზა დაღესტან-საშამხლოზე გადიოდა. საშამხლოს მთავარი ოსმალეთის სულთნის ვასალი იყო, რომლის უშუალო მოთითებით შამხლის რაზმები იკლებდნენ კახეთის სასაზღვრო რაიონებს, ამიტომ რუსეთის შემოსვლით ჩრდ. კავკასიაში კახეთიც დაინტერესებული იყო. ჩრდილო-კავკასიაში რუსეთის ჯარის ჩაყენება გამოიწვევდა საშამხლოს მოწყვეტას ოსმალეთისაგან და მას მოაქცევდა ორ ქრისტიანულ სახელმწიფოს შორის, რის შემდეგ მისი ალაგმვა ადვილად მოხერხდებოდა.³

დაღესტან-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები თავდაპირველად მშვიდობიანად მიმდინარეობდა. იგი განსაკუთრებით გამოცოცხლდა რუსების მიერ თერგზე ციხე-სიმაგრეების ჩადგმის შემდეგ. სამაგიეროდ, მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობები წარიმართა დაძაბულად, რადგან კავკასიაში დაღესტნის სტრატეგი-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 182.

² კარლო ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 719.

³ ელდარი მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით). თბ., 1981, გვ. 311-312.

ულმა მნიშვნელობამ ყველა მის მიმართ დაინტერესებული ქვეყნის: თურქეთის, ირანისა და რუსეთის მისადმი ინტერესი გაამძაფრა. მას შემდეგ, რაც XVI საუკუნის 80-იან წლებში შამხალმა ხანმოკლე ყოფნის შემდეგ თურქელი ორიენტაცია მიიღო, „რუსეთ-დაღესტანის ურთიერთობები წყდებოდა იარაღის ძალით“.¹

კახეთში ლეგთა ჩამოსახლება დაიწყო ლევან კახთა მეფის (1518-1574) დროიდან. ლევანს მეორე ცოლად შამხლის ასული პყავდა და გარკვეული ვალდებულებებით ჩრდილო-კავკასიელთა კახეთში ჩამოსახლება მეფისავე ინიციატივით ხდებოდა. მშვიდობიანი პროცესი ლევანის მემკვიდრის ალექსანდრე II-ის გამეფებისთანავე გაფუჭდა. კახეთის მეფემ დედინაცვლის სამშობლოსთან (ალექსანდრე ლევანს პირველი ცოლისგან პყავდა) კავშირს რუსებთან „ფიცის წიგნი“ (1587 წ.) არჩია, რომლის მიხედვით, კახეთი რუსეთის მფარველობაში შედიოდა იმ პირობით, რომ რუსები საგარეო მტრებისაგან დაიცავდნენ. მალე (1588 წ.) ალექსანდრემ მოსკოვში ახალი ელჩობა გააგზავნა და წერილი გაატანა, რომელშიც რუსთ ხელმწიფეს შამხლის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნასა და საშამხლოს დაკავებას სთხოვდა.² რუსებმა ეს ხელშეკრულება საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენეს. 1588 წელს თერგის პირას ციხესიმაგრე ააგეს, ხოლო 1593-94 წლებში ხვოროსტინის მეთაურობით დაღესტანშიც ილაშქრეს, მაგრამ რუსეთმა მაშინ საშამხლოსა და დაღესტანთან წარმატებას ვერ მიაღწია, კახეთს კი მეზობლებთან დალაგებული ურთიერთობები აუშალა.

XVI საუკუნის 80-იან წლებში ალექსანდრე II თევდორე მეფისადმი, მოსკოვის პატრიარქისადმი და ბორის გოდუნოვისადმი მიწერილ არაერთ წერილში იუწყება, რომ შამხალის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყანას უჭირს, რადგან ისინი ბრძოლას გაურბიან და ტყვე-ალაფით დატვირთულნი მიუვალ მთებში იმალებიან.³ ხუთასი „იენიჩარი“, რომელიც ალექსანდრეს პყავდა,⁴ ლევანისაგორა რბევისაგან ქვეყანას ვერ იცავდა.

XVI ს. II ნახევარი „ლეკიანობის“, როგორც პროცესის გარდამტეს ნიშნულად შეიძლება მივიჩნიოთ. იმიერკავკასიელ მთიელთა მარბიელ ლაშქრობებს ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ადრე მათ ამიერკავკასიაში „საყრდენი“ არ ჰქონდათ. გატაცებული ტყვეები კავკასიონს იქით გადაჰყავდათ და იქიდან

¹ Н. Накашидзе. Грузино-Русские политические отношения в первой пол. XVII века. Тб., 1968, გვ. 35.

² გიქტორ გუჩუა. კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან. – საქართველოს ისტორიის ნარკვენები, ტ. IV, გვ. 146.

³ С. Белокуров. Сношения России с Кавказом в 1578-1613 г., вып. I, გვ. 225, 233-234.

⁴ С. Белокуров. Сношения России с Кавказом в 1578-1613 г., вып. I, გვ. 171.

ხდებოდა მათი გამოსყიდვა ახლობლების მიერ, მაგრამ უკვე ხსენებული საუკუნის 60-იანი წლებიდან სიტუაცია იცვლება. 1562 წელს შაჰ-თამაზი წახურის მფლობელ აღი-კურკულ-ბეგს ერთგული სამსახურის სანაცვლოდ, საგანგებო ფირმანით ხელშეუხებლობას პპირდება და ქართველ ხელისუფალთ უთვლის, რომ „მის მიწებს არავინ შეეხოს“.¹

შაჰ-აბას I-ის მიერ ალექსანდრე კახეთა მეფისათვის კაკ-ენისელის ჩამორთმევითა და იმ ადგილებში ბორჩალუს თურქმანული ტომების ჩამოსახლებით კახეთს საბოლოოდ მოერდვა ზურგი. აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს შედეგად ის მოჰყვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. ამით ისარგებლეს ლეპებმაც, შაჰის წაქეზებით ნაოხარ კახურ სოფლებში ჩამოსახლება დაიწყეს და როგორდაც გადარჩენილი მოსახლეობის ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი.

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა კითარებამ, საშინაო და საგარეო ფაქტორებმა, ხელსაყრელი პირობები შექმნა გაძლიერებული რუსეთის მიერ შევიწროებული ჩრდილო კავკასიური ტომების საქართველოში გადმოსახლებისათვის.² რუსების მოკავშირე კახეთის მეფეს არც თურქები სწყალობდნენ. 1609 წელს სულთანმა ოსმან II-მ აღი-კურკულ-ბეგის ვაჟს - ალი-სულთანს ერთგული სამსახურის სანაცვლოდ სოფლები: კახი, მეშაბაში, ზერნა, ლექეთი, ყუმი და ალაგიოზი (ალი-ბეგლო) უწყალობა³. ასე გახდა კახეთის განაპირა მხარე იმიერკავკასიელ მარბიელთა პლაცდარმი აღმოსავლეთიდან.

„ლეკიანობის“ მეორე ფრონტი ქართლს სამხრეთიდან გაეხსნა. 1625 წელს „ბრწყინვალე პორტამ“ ყოფილ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ახალციხის საფაშო შექმნა, რომელიც ლეკოსმალთა ქართლში შემოსევების ძირითადი დასაყრდენი გახდა. რუსეთის გააქტიურებამ კავკასიაში აშკარად გააღიზიანა, ერთი მხრივ – თურქეთი და დაღესტანი, ხოლო მეორე მხრივ – სპარსეთი, რომელიც ბოლომდე ისედაც არ ენდობოდა არც დაღესტანს (ადანაშაულებდა თურქეთთან კავშირში) და არც საქართველოს (ადანაშაულებდა რუსეთთან კავშირში). მ. პოლიეკტოვი ხსენებულთან დაკავშირებით წერდა: „ირანი ყო-

¹ И. П. Линевич. Бывшее елисуйское султанство, Сборник сведений о Кавказских горцах, вып VII, Тифл., 1873, გვ. 6-7.

² გიორგი ოთხმეური. შიდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. – კაგახია და ქავკასიელები. სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა მასალები). თბ., 2009, გვ. 23.

³ И. П. Линевич. Бывшее елисуйское султанство, Сборник сведений о Кавказских горцах, вып VII, გვ. 7.

კელთვის ეჭვით ადევნებდა თვალს „დაღესტნის ვალს“, რომელიც უზრუნველყოფდა კასპიისპირეთის გზის უშიშროებას, და „გურჯისტანის ვალს“ – გარკვეულ საპირტონეს თურქეთთან ურთიერთობაში. თავის მხრივ, ეს ორივე მხარე (დაღესტანი და ქართლ-კახეთი – ი.ა.), ყოველთვის ცდილობდა ირანთან ურთიერთობისას დამოუკიდებელი პოლიტიკის შენარჩუნებას. ამავე დროს მუდმივად ჰქონდათ ურთიერთშორის დაძაბული ურთიერთობა დაღესტნელ მთიელთაგან აღმოსავლეთ საქართველოში მტაცებლური თარეშების გამო¹. მალე კახეთში ჩამოსახლებულებმა ადგილობრივი მოსახლეობის ისლამზე ძალით მოქცევა დაიწყეს, ამიტომ თეიმურაზ I-ის მიერ 1635 წელს რუსეთში მივლინებული ნიკიფორე მიტროპოლიტის სამეფო კართან მთავარი სათხოვარი ლეგების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება. ოთხი წლის შემდეგ თეიმურაზი პვლავ სთხოვდა რუსებს შემწეობას, ლეკთა გადმოსასვლელ გზებზე ციხეები აეგოთ და იქ ჯარი ჩაეყენებინათ.²

შედარებით მშვიდობიანი გამოდგა როსტომ-ხანის მმართველობის (1632-1658) პერიოდი. ხოსრო-მირზა „სპარსეთის კაცი“ იყო და ლეკებიც ვითარების გამწვავებას ერიდებოდნენ, მაგრამ 1656 წელს როსტომს კახეთი ჩამოართვეს და განჯის ხანს სელიმს გადასცეს, რომელმაც „მოიკვანა ელნი და დასხნა შიგნით და გარე კახეთს ...და იყო ჭირი დიდი მათგან კახეთსა შინა და ქურდთა და ლეკთაგან“³. ამ ამბავს ბახტრიონის ცნობილი აჯანყება მოჰყვა.

1677 წელს ყიზილბაშთაგან დანიშნულმა ბექან ხანმა „მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არა თუ ლაშქრით, არა-მედ ავაზაკობით, კუალად აღაზუავნა უმეტეს ჭარელნი და ელნი“⁴. კიდევ უფრო მძიმე ასატანი იყო ის ფაქტი, რომ კახელებს „შემომასპინძლებულთათვის“ პასუხის გაცემა არ შეეძლოთ. „რამეთუ მოპკლან კახთა ლეკნი ანუ თათარნი შერისხავდა ხანი ანუ მოაკვდინებდა ...რამეთუ არა ჯერ არს გიაურთაგან მუსლიმანის სიკვდილი“. სამაგიეროდ, იგივე ქმედებისათვის ჩამოსახლებულებს „სისხლი“ არ ეთხოვებოდათ: „თუცა მოკლან თათართა კახი არა რაი ავნოს, რამეთუ „ესრეთ ჯერ არს“ და იყო ამით ჭირი დიდი“ – წერს ვახუშტი ბატო-

¹ **М. Полиевктов.** Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1614-1640 г. Тб., 1937, გვ. VIII-IX.

² **М. Полиевктов.** Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений.., გვ. 117.

³ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 189.

⁴ **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 189.

ნიშვილი.¹

სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის საერთო-კავკასიურმა ინტერესებმა XVIII საუკუნეში კიდევ უფრო დაძაბა მათ შორის ურთიერთობები. საქართველო ამ ქვეყნების ინტერესების ეპიცენტრში იყო. თუმცა, საქართველო-დაღესტანის ურთიერთობებში იყო მშვიდობიანი მომენტებიც. საქართველოში ჩამოსული ლეპები ქართველ თავადაზნაურობას უდგებოდნენ მსახურებად², ეწყობოდნენ მიწის მუშებად, მკალავებად, ნახშირის გამომწველებად, ქვის მთლილებად, მკერავებად, დურგლებად, საქონლის მწყემსებად და ა.შ. დროდადრო ისინი აქტიურ ვაჭრობასაც ეწეოდნენ, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო საქართველოში ლეპურ ნაბდებზე, შალზე, იარაღზე, სამკაულებზე,³ შემოჰქონდათ ბეწვეული, – წელიწადში დაახლ. 100 საპალნე,⁴ მოგვიანებით დიდი რაოდენობით – აბრეშუმის პარკი.⁵ ასევე პოპულარული იყო ყაბარდოული ხურჯინები,⁶ შემოჰქივდათ ჩერქეზული ჯიშის ბედაურები.⁷ ადსანიშნავია, რომ თვით ერეკლე II ხშირად ლეპური ნაბდით იმოსებოდა⁸ და სხვ. სამაგიეროდ, დაღესტანისა და ჭარში სისტემატურად გაჰქონდათ მარცვლეული,⁹ იარაღის დასამზაზადებელი ნედლეული (მაგ. სპილენძი), ოქრო და ვერცხლი,¹⁰ მარცვლეული, დვინო და არაყი.¹¹

საქართველოს სამეფო კარზე სათანადოდ პქონდათ გაცნობიერებული კავკასიის ქედის გადაღმა მცხოვრებ მთიელებთან მჭიდრო კავშირის დამყარების დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა, ამიტომ ქართველ მეფე-მთავართა და ჩრდ. კავკასიის მმართველ დინასტიებს შორის პოლიტიკური ქორწინებები იშვიათი არ იყო.

ასე რომ ქართლ-კახეთისა და ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ურთიერთობები, მით უფრო ეკონომიკური – არ შეიძლება უარყოფითად შევაფასოთ. რაც შეეხება პოლიტიკურს (მეზობელი ქვეყნების ურთიერთობების „იარაღის

¹ ბატონიშვილი გახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 189.

² ქართველი ხამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 138-139, დოკ. 74.

³ თეიმურაზ ბოცვაძე. საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 195-196.

⁴ ქდუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. გვ. 47.

⁵ ქდუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. გვ. 284.

⁶ თეიმურაზ ბოცვაძე. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.) თბ., 1968, გვ. 126.

⁷ ნიკოლოზ ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 2005. გვ. 154.

⁸ დარეჯან მეგრელაძე. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 120.

⁹ И. Петрушевский, Джаро-белаканские., გვ. 29.

¹⁰ ქდუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 47.

¹¹ დარეჯან მეგრელაძე. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 119.

ძალით“ გადაწყვეტას), ხშირად ეს საკითხი ამ ქვეყნებისგან დამოუკიდებლად ბევრად შორს – სტამბოლში, ისპაჰანსა თუ მოსკოვ-პეტერბურგში იგეგმებოდა და იქვე წყდებოდა, საბოლოოდ კი ამ „იარაღით“ მხოლოდ ახლო მეზობლები (საქართველო და ჩრდილო კავკასია) ზარალდებოდნენ.

ქართლ-კახეთში ლეკიანობამ განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო XVIII – XIX ს. პირველ მესამედში, თუმცა, ამ მოვლენის ფესვები გაცილებით ადრე უნდა ვეძიოთ. XV საუკუნეში ოსმალეთის მიერ ბიზანტიის იმპერიის დაპყრობით, საქართველოს ჩრდილო და სამხრეთ დასავლეთით, ევროპისაკენ საუკუნოვანი გზა გადაეკეტა, „ბრწყინვალე პორტამ“ შავი ზღვა საკუთრად აქცია, არსებობა შეწყვიტა ტრაპიზონის იმპერიამ, ყირიმის სახანო ოსმალეთის დაქვემდებარებაში მოექცა, ევროპიდან აზიისაკენ მიმავალმა სავაჭრო გზებმა კავკასიიდან სამხრეთით გადაინაცვლა ან აფრიკის შემოვლით შეიცვალა, ამიტომ საქართველომ ევროპისათვის სტრატეგიული პარტნიორისა და სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია დაკარგა.

ჩრდილო-კავკასიის მრავალრიცხოვანი ტომები სუნიტური ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცნენ, შესაბამისად, მისი პოლიტიკის გამტარებელნი გახდნენ და ქართლ-კახეთის მდიდარი კუთხები, გამუდმებული შემოსევებისა და ტყვეთა სყიდვით, შემოსავლის ძირითად წყაროდ გაიხადეს.

არც სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო ხელსაყრელი ვითარება. თემურ-ლენგის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული, ჯერ „შავბატქნიანთა“ და „ოქორბატქნიანთა“ თურქმანული სახელმწიფოები, ხოლო მოგვიანებით მათ ადგილას გაძლიერებული სეფიანთა ყიზილბაშური ირანი ადრე თუ გვიან საქართველოს მტრობას განაახლებდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ევროპისათვის ირანი ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირედ მოიაზრებოდა და ჩვენი „პრეტენზიები“ ირანის მისამართით, მათვის მიუღებელი იყო.

საქართველოს უშუალო მეზობლებიდან აზერბაიჯანი (ალბანეთი) ჯერ კიდევ IX საუკუნეში მოექცა მაკმადიანური გარემოცვის ქვეშ და მასზე დაყრდნობა აღარ შეიძლებოდა. ერთადერთი ქრისტიანი ქვეყანა სამხრეთით სომხეთი იყო, მაგრამ მასაც დიდი ხნით ადრე ჰქონდა სახელმწიფოებრიობა დაკარგული და ძლიერ მოკავშირედ ვერც იგი გამოდგებოდა. ასე რომ სამხრეთით წარმოქმნილ ორ უძლიერეს სახელმწიფოს: ირანსა და ოსმალეთს სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო სრულფასოვანი პარტნიორის გარეშე შერჩა. მიუხედავად ამისა, მათი დამოკიდებულება ქართული პოლიტი-

ქური ერთეულების მიმართ ერთგვაროვანი არ ყოფილა და სიტუაციიდან გამომდინარე იცვლებოდა.

1555 წელს ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს და მათი პრეტენზიები ქართული ქვეყნების დამოუკიდებელ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მიმართ კიდევ უფრო აგრესიული გახდა. XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში ირანელი მბრძანებლების პოლიტიკამ აღმ. საქართველოს, ჭარელი და დაღესტნელი ფეოდალების მისამართით გარკვეული სახეცვლილება განიცადა. შაჰ-აბას I-ის დროს ეს იყო აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ დაუფარავი აგრესია და გამოცხადებული ომი დაღესტნელებთან კავშირში, ხოლო ნადირ-შაჰის მმართველობისას, პირიქით – დაღესტანზე ლაშქრობა ქართველებთან ერთად.

თუ შაჰ-აბას I 1616 წელს ლეკებს მოუწოდებდა: „მნებავს წარმოტყუევნა და იავარ-ყოფა სრულიად სანახებისა ამის, კახეთს მე ავყრი, რაც მანდ ხიზანი ქალი და კაცი შემოვიდეს, დაატყუე[ვე]თ“¹ და ამისათვის ჯილდოს მიიღებთო, 1741 წელს დაღესტანზე სალაშქროდ სამზადისში მყოფი ნადირ-შაჰი ქართველ ფეოდალებს ასევე მითითებებს აძლევდა, ლეკებისათვის საკუთარ მიწა-ზე ცხოვრების პირობები მოესპოთ, ხოლო მათი პროტექცია სხვა პირობების შეთავაზების შესახებ არ მიეღოთ.²

XVIII ს. შუა ხანებში ირანს თავისი გასჭირვებოდა და საქართველოს-თვის არ ეცალა, მაგრამ საუკუნის ბოლოსათვის მათი მბრძანებლების პოზიცია ისევ შეიცვალა. ქერიმ-ხანი (70-იანი წლების ბოლოს), აღა-მაჰმად-ხანი და ბაბა-ხანი (90-იანი წლების ბოლოს) აქტიურად მოუწოდებენ ლეკებს საქართველოზე სათარეშოდ.

„ლეკიანობის“ ფონზე ოსმალეთის ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ, სხვაგვარად წარიმართა. ამასიიდან (1555 წ.) მოყოლებული 1723 წლამდე, მცირე გამონაკლისების გარდა, ოსმალეთი ქართლ-კახეთს ირანის „საკუთრებად“ ცნობდა და მისთვის დიდი განსხვავება არ ჰქონდა, ლეკები ირანელებს არბევდნენ, თუ ქართველებს. ამ დროის განმავლობაში „ბრწყინვალე პორტას“ მიერ დაღესტნელთა ფართომასშტაბიანი ოპერაციების დაფინანსების შესახებ ცნობები არ გვაქვს. მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა

¹ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. – ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმბო ფაუნდაციის მიერ. თბ., 1959, გვ. 401.

² В. Гамрекели. Вопросы взаимоотношения Восточной Грузии с Северным Кавказом..., გვ. 30.

1723 წლიდან. ქართლში „ოსმალობის“ დამყარების შემდეგ, „ბრწყინვალე პორტა“ უშუალოდ გაუმეზობლდა დაღესტანს და ლეკების თავდასხმები ოსმალებზე ისევე გახმირდა, როგორიც მანამდე ირანელების, ან კახელების წინააღმდეგ. ქართლ-კახეთის მეფების მიერ რუსეთის იმპერიის კავკასიაში მოწვევების განახლებისთანავე (1752 წლიდან), ოსმალეთ-დაღესტნის კავშირი ძველებურად აქტუალური გახდა, ხოლო 70-იანი წლებიდან ამ კავშირში შესამჩნევ როლს თამაშობდა ახალციხის სულეიმან ფაშაც.

ირან-ოსმალეთის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია XVI საუკუნის ბოლოდან რუსეთის როლის გააქტიურებამ კავკასიაში. რუსეთის მხრიდან ერთმორწმუნე საქართველოსადმი დახმარების მრავალგზის მტკიცების მიუხედავად, ირანი, ოსმალეთი და ჩრდ. კავკასიის სხვა ხალხები კარგად ხვდებოდნენ, რომ რუსეთს რეალურად კავკასიაში საქართველოს ხსნა კი არა, იმპერიის ზრდა აინტერესებდა. მას შემდეგ, რაც რუსეთი კავკასიას „გაუმეზობლდა“ და დაღესტანს ჩრდილოეთით სარბიელი გადაეკეტა, მისი უარყოფითი ენერგია მთლიანად სამხრეთით წარიმართა. თუმცა, დაღესტნელი ფეოდალები ერთ რომელიმე ორიენტაციას არასოდეს ამჟღავნებდნენ. ისინი მუდმივად ლავირებდნენ ირან-თურქეთსა და რუსეთს შორის იმგვარად, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი თვითონ ენახათ.¹

ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზებმა ერთ დროს მშვიდობიანი მეზობლები: ქართლ-კახეთი და ჩრდილო-კავკასიის ხალხები შეურიგებელ მტრებად აქცია, მაგრამ წინააღმდეგობათა კვანძში რამდენიმე ძირითადი მიზეზი მაინც გამოსაყოფია:

ა) XV-XVI საუკუნეებიდან იწყება ოსმალეთის იმპერიის სწრაფი ზრდა, რაც მნიშვნელოვანწილად სამხედრო სფეროს რეორგანიზაციით იყო განპირობებული. სულთნებმა უარი თქვეს არმიის შეკრების ტრადიციულ მეთოდებზე, რომელიც ვილაიეთებიდან დადგენილი რაოდენობის მეომრების (ძირითადად მაღალი და საშუალო წოდების), დაპყრობილი ტერიტორიებიდან იძულებით გამოყვანილ მოსახლეობასა და დაქირავებულ ჯარს ეყრდნობოდა. არმიის ძირითად ბირთვად იქცნენ ე. წ. „იანიჩრები“. ისინი ბავშვობიდანვე სამხედრო სკოლებში გადიოდნენ ფიზიკურ და სულიერ წვრთნას და პროფესიონალ სამხედროებად ყალიბდებოდნენ. „იანიჩრების“ სამხედრო სკოლების შექსება, ძირითადად, სწორედ ბავშვობიდან ტყვედ წაყვანილი ვაჟებით ხდებოდა. საამი-

¹ X. Хашаев. Общественный строй Дагестана в XVIII веке, гл. 27.

სოდ საუკეთესო „ნედლეულის“ ბაზა – კავკასია, ხოლო ამ „ნედლეულის“ მიმწოდებელი დაღესტანი იყო. არანაკლები მოთხოვნა იყო კავკასიიდან ტყვედ წაყვანილ „მამელუკებზე“ ოსმალეთის სამხრეთით, ეგვიპტეში. ყველაზე ძვირად სწორედ აქ ფასობდნენ ქართველები.¹ არც ირანში უჩიოდნენ „გურჯების“ ნაკლებობას. ცნობილია, რომ XVI-XVII საუკუნეებში შაპის კარზე უმრავლესობას სწორედ ქართლ-კახეთიდან სხვადასხვა დროს იძულებით წაყვანილი თუ საკუთარი ნებით გაქცეულები წარმოადგენდნენ.

ბ) რუსეთის იმპერიის საქართველოში დამკვიდრებით ჩრდ. კავკასიის ხალხები ძლიერი ქრისტიანული ქვეყნის გარემოცვაში ექცეოდნენ, რასაც მათგან განსხვავებული სარწმუნოების თავისუფლებისმოყვარე მთიელები იოლად არ შეურიგდებოდნენ, ისინი იმასაც კარგად ხვდებოდნენ, რომ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მათი რიგიც დადგებოდა და არც შემცდარან.

გ) რუსეთის იმპერიის სამხრეთით ზრდა, თავისთავად ზღუდავდა ოსმალეთის გავლენის არეალს, ამიტომ „ბრწყინვალე პორტა“ თანდათანობით აშკარად თუ ფარულად აქეზებდა და აფინანსებდა დაღესტნელ მთიელთა რაზმებს საქართველოს წინააღმდეგ სათარეშოდ.

დ) იგივე სიტუაცია იყო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც რუსეთის მზარდ ინტერესებს აგრესიით პასუხობდა სპარსეთი.

ე) მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის მეფეებმა საბოლოო ორიენტირი რუსეთზე გააკეთეს, ირანი და ოსმალეთი „უნისონში“ მოქმედებდნენ საქართველოს წინააღმდეგ და აქტიურად იყენებდნენ ერთმორწმუნე ჩრდილო-კავკასიას და ახალციხის საფაშოს. შაპი და სულთანი საქართველოს ისევ საკუთრად მიიჩნევდნენ, ამიტომ ზედმეტ მოზიარეს, ბუნებრივია, ვერ ეგუებოდნენ.

ვ) ჩრდ. კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობის, კერძოდ, მთის მკაცრი პირობების, მიწის სიმცირისა და მოუსავლიანობის გამო, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ცხოვრების „სახსრად“ სწორედ ძარცვა-თარეში და ტყვებით ვაჭრობა იქცა, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის რისკი ძალზე დიდი იყო. საგულისხმოა, რომ დაღესტნელები თანაბარი ხალისით მოდიოდნენ, როგორც ქართლ-კახეთის სათარეშოდ, ისე ქართველი მეფეების დროშის ქვეშ დაქირავებულთა სახით.

ზ) დაბოლოს, ქართლ-კახეთში მუდმივ „ლეპიანობას“ ძალზე ნოენი ნიადაგს უქმნიდა ადგილზე არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარე-

¹ ავთანდილ კილასონია. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში..., გვ. 322.

ბა და მუდმივი დაპირისპირებები. ურთიერთ შურით დაბრმავებული ქართველი ფეოდალების ნაწილი საკუთარ ბედნერებას სხვის უბედურებაში ეძებდა. ეს ფაქტი ყველაზე ცხადად მისმა თანამედროვემ გახუშტი ბატონიშვილმა იგრძნო: „არამედ შურითა ურთიერთათა ქართველთათა იყო უუფროსესნი ჭირნი და არითმიან და ძრცვიდიან ოსმალნი შესმენითა მათითა, კუალად უმეტესად ოქრებითა და ტყუევობითა ლეკთათა“.¹ შანშე ქსნის ერისთავისა და გივი ამილახვრის მუდმივ დაპირისპირებას ნ. ბერძენიშვილი შემდეგი სიტყვებით აფასებს: „შანშე ლეკებით საამილახვროს აწიოკებდა, ამილახორი ეიზილბაშებით ქსნის ხეობის გლეხებს სპობდა და ორივენი კი ქართლის გაოხრებას ჩიოდნენო“.² მაჩაბლებსა და ფავლენიშვილებს შორის XVI ს. 20-იან წლებში დაწყებული დავა მხოლოდ XVII ს. შუა ხანებში დასრულდა.³ ასევე დაუნდობელი ბრძოლა წარმოებდა საკაძეებსა და ჯავახიშვილებს შორის⁴ და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში იმ დროისათვის არსებული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა (სათავადოებად დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყანა, მძიმე დემოგრაფიული ვითარება, უკონომიკის განვითარების დაბალი დონე, მუდმივი ჯარის არ არსებობა და სხვ.) ნოვიერ ნიადაგს ქმნიდა ლეკთა გამუდმებული თარეშისათვის და არ იძლეოდა ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებას. საკმარისი იყო ამ სისტემის თუნდაც რომელიმე სეგმენტი შეცვლილიყო (მაგ. XVIII ს. 70-იან წლებში, როცა ერეკლე II-მ გააუქმა ქსნისა და არაგვის საერისთავოები, გავლენის ქვეშ მოაქცია საამილახვრო-საბარათიანო, ხელი მიჰყო სამთამადნო წარმოებას, შექმნა „მორიგე ჯარი“), რომ მისი სასიკეთო შედეგი ქვეყანას უმაღლ ეტყობოდა და ლეკთა შემოსევებიც მნიშვნელოვნად იკლებდა.

„ლეკიანობა“ მნიშვნელოვნად ასუსტებდა ქართული ჯარის ეფექტურობასა და შესაძლებლობებს. ქართველი ხელისუფალნი არაერთხელ გამხდარან იძულებულნი, ან საერთოდ შეეკავებინათ თავი საკუთარი ქვეყნის სამხრეთ ტერიტორიებზე მოქმედებისას, ანდა სამხედრო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი ზურგის დასაცავად დაეტოვებინათ.⁵

ქვეყნის ხსნა და სიძლიერე მის გაერთიანებაში იყო, რასაც კარგად

¹ ბატონიშვილი გახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 510.

² ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 171.

³ გიორგი ოთხმეზური. შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999, გვ. 96.

⁴ გიორგი ოთხმეზური. შიდა ქართლის მცირე სათავადოები, გვ. 125.

⁵ **В. Гамрекели.** Вопросы взаимоотношения Восточной Грузии с Северным Кавказом..., გვ. 24.

ხვდებოდა საქართველოს სამეფო კარი, მაგრამ ეს კარგად იცოდა მტერმაც (რომელიც საქართველოს არასოდეს აკლდა, როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით), ამიტომ, როგორც კი ამის წინაპირობა შეიქმნებოდა (მაგ. XVIII ს. 80-იანი წლების ბოლოს), საპასუხო ენერგიული ქმედებები მათი მხრიდან არ აყოვნებდა. სამწუხაროდ, ისინი ამას ადვილად ახერხებდნენ ფართო აგენტურისა თუ ქვეყნის საშინაო საქმეებში უშუალო ჩარევის სახით.

ევროპისაგან „ზურგნაქცევმა“ საქართველოს სამეფო კარმა ქვეყნის ხსნის მთელი იმედი XVIII საუკუნეში რუსეთს დაუკავშირა, რაც დიდმა და ძლიერმა ქვეყანამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

ზემოთქმული განსაკუთრებით მწვავედ გამოსცადა საკუთარ თავზე ერეპლე II-მ სიცოცხლის ბოლო წლებში. ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსეთი, რომელიც გარეგნულად საქართველოს თითქოს ყოველთვის „მფარველად“ ევლინებოდა, რეალურად შორსმიმავალი პირადი მიზნებისათვის იბრძოდა და არა საქართველოს გადასარჩენად. ერეპლე იმასაც მიხვდა, რომ რუსეთის ინტერესებში შედიოდა არა ძლიერი საქართველო, რომელიც საკუთარი ძალით მოახერხებდა „ლეპიანობის“ პრობლემის გადაჭრას, არამედ სუსტი, რუსეთს „მავედრებელი“. აქედან გამომდინარეობდა საქართველოს მეფეებისა და ელჩების დახმარების მიღების მიზნით თხოვნაზე მუდმივი „მოუცლელობა“. საიმპერატორო კარი ყოველთვის ახერხებდა წარმოექნია, რომ პრობლემებს წყვეტდა არა ქართლ-კახეთი, არამედ რუსეთი.

შეცდომა იქნება „ლეპიანობის“ პრობლემა მხოლოდ ეთნიკურ და ისიც, უარყოფით ჭრილში განგვეხილა. ეს ფაქტი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში რუსული ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო. როგორც ი. პეტრუშევსკი მიუთითებს, მთელი მთიანი დაღესტნის მოსახლეობის (განურჩევლად – ავარების, წახურების და სხვ.) „მონათვლა“ ლეგებად, ხოლო „ლეპის“ გაიგივება დაუნდობელ მკვლელებსა და მძარცველებთან, თვითმკურობელი იმპერიის მიზანს ემსახურებოდა, რათა გაემართლებინა რუსეთის მიერ კავკასიის ანექსია და რუსეთის კულტურულ მისიას – დაეცვა ქრისტიანული საქართველო და სომხეთი „მუსულმანი ბარბაროსებისაგან“.¹

ამ ფონზე ძალზე მოსახერხებლად გამოიყურებოდა მთელი დაღესტნები მოსახლეობის წარმოჩენა ავაზაკებად, რომელთაგან საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთის ძლიერ ხელს შეეძლო.

¹ И. Петрушевский, Джаро-белаканские..., გვ. 9.

მართლაც, წინამდებარე ნაშრომში არაერთგან შევხვდებით საქართველო-ჩრდილო კავკასიელი მოსახლეობის კოალიციის მცდელობას რეგიონში მყარად ფეხმოკიდებული რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევის მიზნით, რომლებიც, სამწუხაროდ, ყოველთვის მარცხით სრულდებოდნენ.

თავი II. „ლევიანობა“ ქართლ-კახეთში (XVIII ს.-XIX ს-ის 30-იანი წლები)

1. ლევიანობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის I ნახევარში

ლეპთა შემოსევებმა აღმოსავლეთ საქართველოში სისტემატური ხასიათი XVIII საუკუნის 10-იანი წლებიდან მიიღო და XIX საუკუნის I მესამედამდე გასტანა. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ შემოსევების ინტენსივობა წლების მიხედვით იზრდებოდა, ან იკლებდა.

საუკუნის დასაწყისი კლასობრივი ბრძოლის გამწვავებითაც აღინიშნა, რის გამოც ქვეყანაში „მრავალი შფოთი და ცილობა“ შეიქმნა. ვახტანგ ჯანიშინის იძულებითი წესით მოსახლეობის „მყრელობას“ და „უდებების“ (დამატებითი გადასახადების) დადებას თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. „გლეხის კაცის თავხედობა ვერ მოგშალეთო“, ამბობდა მათი ნამოქმედარით შეშფოთებული ვახტანგ VI.¹

ბატონყმური ჩაგვრითა და ძალმომრეობით შევიწროებული გლეხები ხსნას ალაზანს გაღმა გაქცევასა და „გალეკებაში“ ეძებდნენ. 6. ბერძენიშვილის განმარტებით: „კახელი გლეხები „ლევიანობაში“ უბატონობას ხედავდნენ“². ქართველთა „გალეკების“ ერთ-ერთი მიზეზი ავარიელთა თემებში არსებული მიწის ინდივიდუალური საკუთრების ფორმა იყო. დამკვიდრებული წესის მიხედვით, მიწის გაყიდვისას თოხუმები ჯერ ახლობლებს ეკონტაქტებოდნენ, ხოლო მათი უარის შემთხვევაში მიწის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალი იყო.³ ჭარის თავისუფალ საზოგადოებებში ასვე ყველას ჰქონდა უფლება, ქართველი ინგილო-

¹ მანანა ქიქოძე, სოციალური ურთიერთობის მოწესრიგების ცდები, კლასობრივი ბრძოლა XVIII ს. პირველ მეოთხედში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 397.

² ნიკოლზ ბერძენიშვილი. XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 188.

³ И. Петрушевский, Джаро-белаканские..., გვ. 24-25.

ებისა და თურქი მუგალების ჩათვლით, გამოეთავისუფლებინა ტყის თავისუფალი სივრცე და საახოო მიწათმოქმედებით ესარგებლა.

თუმცა, „გალეკებული“ კახელი გლეხების უბატონო მდგომარეობა მაღლე ახალი ბატონებით შეიცვალა. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დამორჩილებული ინგილოები, რელიგიურის გარდა, მძიმე სოციალურ ჩაგვრასაც განიცდიდნენ. მაგ. ისინი, ასევე ჭარელების გავლენის ქვეშ მოქცეული თურქ მუგალებთან შედარებით, კეშკელური სამართლის მიხედვით, მიწით სარგებლობისათვის ელისუს სულთანს 3-ჯერ მეტ გადასახადს უხდიდნენ.¹

1711 წელს ქართლის მეფე ქაიხოსრო ავდანების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა და ვახტანგ VI გასამეფებლად ირანში გაიწვიეს, სადაც 1719 წლამდე „მოუგვიანდა“. ქართლს დროებით, ჯერ მისი უმცროსი ძმა სვიმონი (1712-1714 წ.წ.) მართავდა, შემდეგ – გამაჰმადიანებული იქსე (ალი-ყული-ხანი – 1714-1717 წ.წ.), ხოლო ბოლოს – ვახტანგის ვაჟიშვილი ბაქარი (1717-1719 წ.წ.).

ლეკები ქართლში ბაქარის გამეფებისთანავე (1717 წ. ზაფხული) შემოვიდნენ 8000 ცხენოსნით, მოარბიეს ბოლნისისა და ქციის ხეობა. მათ წინააღმდეგ ბაქარმა ბიძამისი სვიმონი გაგზავნა 300 მხედრით. ქართველებმა ლეკთა მეწონავე რაზმი დაამარცხეს, მაგრამ მაღლე დაღესტნელებმა ერთიანად შემოუტიეს და მარნეულამდე გამოდევნეს. ქართველები თბილისს შემოიქცნენ. ლეკებმა ქართლი მოაოხრეს, ალაფი წაიღეს და ჭარში მხოლოდ ძლიერი სიცხეებისა და უწყლოობის გამო დაბრუნდნენ.²

აქამდე ლეკთა შემოსევების ძირითადი „სარბიელი“ ქართლ-კახეთი იყო და მათ შეტევებს ჩრდილო-ირანის მიმართულებით შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ამიტომ ირანის შაჰის კარზე ამ ამბებს აუღელვებლად ხვდებოდნენ, მაგრამ XVIII ს. 10-იანი წლებიდან ირანის დიდი ვეზირის ფათალი-ხანის გარდაცვალებისთანავე (იგი წარმოშობით დაღესტნიდან იყო და სამშობლოში დიდი გავლენით სარგებლობდა), დაღესტნელებმა უფრო ინტენსიურად შეუტიეს ირანის პროვინციებს, მათი მოთარეშე ურდოები დიდი რაოდენობით „ჩასხდნენ“ დარუბანდში, განჯაში, შემახასა და ქართლ-კახეთში.³ კრიტიკულ ვითარებაში ირანისათვის „დაღესტნური პრობლემის“ მოსაგვარებლად ქართლის

¹ И. Петрушевский. Джаро-белаканские..., გვ. 31.

² მოსე ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია. მეორე გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძისა. ტფ., 1894, გვ. 385; ს. კაპაბაძე. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810). ტფ., 1922, გვ. 139.

³ ლოვარდ ტუხაშვილი. პოლიტიკური ვითარება XVIII ს. პირველ ოცწლეულში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 408.

მეფე მოიაზრებოდა. სწორედ ამ მიზეზით შეიძლება აიხსნას, რომ შავმა პუსე-ინმა 1719 წელს ვახტანგი საქართველოში დააბრუნა.

აღნიშნულ წლებში მძიმე მდგომარეობა იყო კახეთში. 1709 წელს გარდა-იცვალა ირანს მყოფი კახეთის მეფე ერეკლე I ნაზარალიხანი და მისი მემკვიდ-რე დავითი (იმამყულიხანი – 1709-1722 წწ.) ტახტებ დასამტკიცებლად ირანში გაიწვიეს. კახეთში დროებით მმართველად დანიშნული თეიმურაზ ბატონიშვი-ლის მცირეწლოვნებით ლეპებმა ისარგებლეს და უპატრონი ქვეყანაში მარბი-ელ თარეშს ყოველდღიური ხასიათი მისცეს. 1715 წელს ირანიდან კახეთში დაბრუნებულ დავით იმამყულიხანს საგანგაშო მდგომარეობა დახვდა: „ამის უფრო საქმის გაჭირება აღარ იქნება, რომ ამ ქვეყანას არის, დღე ძვირად გა-ვა, რომე ომი და ცემა არსად იქნასო“, ჩიოდა კახეთის მეფე ვახტანგ VI-სთან.¹ „ლეპიანობას“ რომ ვერაფერი მოუხერხეს, კახელებმა ალავერდელ მიტ-როპლიტ ნიკოლოზის რჩევით, ქვეყნის ხენის „ორიგინალური“ გზა მოიფიქ-რეს და დაასკვნეს, რომ დადესტნელ-ჭარელებისთვის ქართლზე სათარეშოდ გზა მიეცათ იმ პირობით, რომ კახეთს თავს დაანებებდნენ, მაგრამ ლეპებთან ზავი კახელებს თუშებმა ჩაუშალეს. ლეპების საქონელს დაეცნენ და მწყემსე-ბიანად გაიტაცეს. „ზავის დარღვევის“ გამო, ჭარელებმა პრეტენზია კახელებს წაუყენეს. იმამყული ხანს განსაკუთრებული ზომების მიღება დასჭირდა, რომ თუშებს ნადავლი უკან დაებრუნებინათ.

როდესაც მარტომ ვერაფერი მოუხერხა, 1720 წლის გაზაფხულზე იმამყუ-ლიხანი ვახტანგ VI-ს წერილს უგზავნის ერთობლივი მოქმედების გადაუდებე-ლი საჭიროების შესახებ: „თუ ამავ ზაფხულ თქვენისა და ჩემის გარჯით ქვე-ნებს არ შევინახავთ ლეპნი უფრო ბევრს ავს იქმენ და ქვეყნებს დაასუსტებე-ნო“.² მისი ვახტანგისადმი მიწერილი შემდეგი წერილებიდან³ ჩანს, რომ ამ დროისათვის კახეთი „ლეპიანობის“ წინააღმდეგ სრულიად უუნაროა. თუ აქამ-დე კახეთში ძირითადად, ჭარელნი, თალელნი, პირაქითა ლეპები ლაშქრობ-დნენ, 1721 წლის შემოდგომიდან მათ გულხადარასა და პირიქითა ლეპებიც შეერთებიან, ხოდაშენს, საყდრიონს, „სამაყნოს“ ერთიანად თავს დასცემიან და მოუოხრებიათ.⁴

¹ დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მხეთ), ნაკვ. 33. თბ., 1960. გვ. 167.

² დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების..., გვ. 153, დოკ. 6.

³ დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების..., დოკ. 9; 11; 14; 15 და სხვ.

⁴ დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების..., გვ. 165, დოკ. 15.

ლეკთა შემოსევებისაგან თავის დაცვის მიზნით, ვახტანგ VI-ს ჯარი ჩაუ-
უენებია ლილოზე, მაგრამ დავით კახთა მეფისათვის ვერც ეს გამოდგა დიდი
ნუგეში: „...მერმე წიგნი გებოძათ და ოქუენი ლილოზედ გამოსვლა გებრძანათ.
მართალს მოგახსენებ თქვენი კახეთში გამობძანება, დიად ქვეყნების სარგებე-
ლი და გელმწიფის დაგლათის სამჯობინარო არის, მაგრამ ოქუენც მოგეხსეუ-
ნებათ: ლილო ჩვენზედ და აქეთ კახეთზედ შორს არის, თორემ თქუენის ჯა-
რით გამობძანების უკეთესი რა იქნების და მაშინც ხომე თქუენს გამობძანებას
ბევრი სარგებელი აქვს. ასეთი ალაგებიც არის ლილოს გარდა ჯარის სადგომი
სხვაგან, რომე ქართლზედ მიმავალს ჯარსაც წინ გარდაუდგება იქიდამე და კა-
ხეთსაც არგებსო“, წერდა დავით იმამყული-ხანი ვახტანგს.¹ 1719 წლის დეკემ-
ბერში საფურცლეში (დღ. ნატახტარში) ქართლისა და კახეთის მეფების ოფი-
ციალური შეხვედრა მოეწყო, სადაც დაღესტნელების წინააღმდეგ ერთობლივი
ბრძოლის გეგმა შეიმუშავეს. ვახტანგ VI-მ კახეთში საბარათიანოს ჯარიც გაგ-
ზავნა ერასტი ყაფლანიშვილის მეთაურობით, მაგრამ ამ ლაშქრობას წარმატე-
ბა არ მოჰყოლია და ლეკთა შემოსევები ჩვეულებისამებრ გაგრძელდა.

1721 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ VI სამხრეთ აზერბაიჯანის სპასალარად
დანიშნა და მის ხელში დიდი სამხედრო ძალა აღმოჩნდა. ირანის მოთხოვნით-
ვე, ამ ჯარით ვახტანგი გაემგზავრა განჯის სახანოსაკენ, სადაც ადგილობრივი
სუნიტი მოსახლეობის ხელშეწყობით ლეკთა მრავალრიცხოვანი ბრძოები იყ-
ვნენ განლაგებულნი. ქართველებმა რამდენიმე ბრძოლაში სასტიკად დაამარ-
ცხეს ლეკები და ჭარ-ბელაქანს მიადგნენ.

დაღესტნელთა თარეშის აღკვეთას ირანისათვის არსებითი მნიშვნელობა
კი ჰქონდა, მაგრამ არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა ქართველების
წარმატება. როგორც ამ ამბების უშუალო მონაწილე სეხნია ჩხეიძე გადმოგ-
ვცემს, ირანში ფიქრობდნენ: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც
(ირანსაც – ი.ა.) ის დაიჭერსო“,² ამიტომ შაჰმა ვახტანგს დაღესტნელთა წინა-
აღმდეგ ლაშქრობა მოაშლევინა და თბილისში დაბრუნება უბრძანა სწორედ იმ
დროს, როდესაც ქართველთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. „უფრთხოდა რა,
ვახტანგის გაძლიერებას, შაჰმა თვითონვე ჩაშალა ვახტანგის მიერ 1720 წლის
შემოდგომაზე ლეკების წინააღმდეგ წარმატებით დაწყებული კამპანია იმ საბა-
ბით, რომ ჭარელებმა მასთან დანაშაული აღიარეს და ერთგულების ფიცი მის-

¹ დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების..., გვ. 166-167, დოკ. 16.

² სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ტფ., 1913, გვ. 33.

ცესო¹ – მიუთითებდა ო. მარკოვა. შაპის ასეთი ვერაგული ბრძანებით განრისხებულმა მეფემ საჯაროდ დაიფიცა, რომ აღარასოდეს შეასრულებდა შაპის ბრძანებას და ეს ფიცი მას სიცოცხლის ბოლომდე აღარ დაურდვევია.²

გახტანგის ჭარიდან უშედეგოდ მობრუნების შემდეგ კახეთი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და კახელ გლეხთა „გალეკების“ პროცესი კვლავ განახლდა. „თქვენმა გაბრუნებამ ქვეყანას გული გაუტეხა ...მოგეხსენებათ მრავალჯერ მტრისაგან მოთხრილი და შეწუხებული გლეხი ადგილად მოტყუვდება. ამათ ლეპის პირი დაიჭირეს და რომელიც ლეპს მიუდგენ ისინი ქვეყანას მტერობენ და ეს საქმე კემწიფის დოკლათის საზიანო არის“, – იწერებოდა კახთა მეფე.³

თავის უუნარობას იმამყულისანი ლეპების წინააღმდეგ ბრძოლის სირთულით ხსნიდა: „გლეხი კაცი სრულ მუშაობაში არის: ჭვნაში, ვენაჭის მუშაობაში“, რის გამოც ჯარი დაფანტულია და მომხდურები ამით სარგებლობენ. „მერმე დაღისტანს გარდა ყაბალა, შაქი და სხვა იმათშივე გარშემო სოფლები შემოიმატეს“ და მარტო კახეთი მათ წინააღმდეგ რას გააწყობსო და ვახტანგს აფრთხილებდა, „თუ ამავე ზაფხულს კახეთს მშველელი არ გამოუჩნდება, დანარჩენი ჭარში გახიზნულებიც „ლეპის პირს მისცემენ“ და მერე ამათი დამარცხება შეუძლებელი იქნებაო.⁴

ვითარება არც სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო ქართლ-კახეთისათვის სანუგეშო. 1711 წელს სეფიანთა ირანის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ლეპებისა და დაღესტნის სხვა ხალხთა მეთაურმა ჰაჯი დაუდმა, რომელსაც მიემხრო ყაზი-ყუმუხის მფლობელი სურხაი-ხანი. ო. მარკოვას შეფასებით, ლეპების თავდასხმები აზერბაიჯანის ირანულ სახანოებზე დაკავშირებული იყო არა მხოლოდ ანტიორანულ, არამედ ანტიფეოდალურ მოძრაობასთან – მიმართული ირანელი მმართველებისა და ფეოდალების მკაცრი მოპყრობის წინააღმდეგ. ლეპების ეს გამოსვლები XVIII ს. I მეოთხედში ირანისათვის წარმოადგენდა რეალურ საშიშროებას, მით უფრო, რომ იგი თურქეთის მხარდაჭერით სარგებლობდა.⁵

თურქეთი ირანში არსებულ ყველა წინააღმდეგობას მოხერხებულად იყვ-

¹ О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М., 1966, გვ. 103.

² ლოვარდ ტუხაშვილი. პოლიტიკური ვითარება XVIII ს. პირველ ოცნებულში, გვ. 413.

³ დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების..., გვ. 160, დოკ. 11.

⁴ დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების..., გვ. 163, დოკ. 14.

⁵ О. Маркова. Россия, Закавказье..., გვ. 102-103.

ნებდა და მის „იარაღად“ დადესტანი იქცა. მით უფრო, რომ ეს ორივეს (თურქეთსაც და დაღესტანსაც) აწყობდა. თურქეთს იმიტომ, რომ მის ტრადიციულ მეტოქეს – ირანს კიდევ უფრო ასუსტებდა, ხოლო დადესტნისათვის მთავარი მიზანი ძარცვა-რბევა და მისგან მიღებული ნადავლი იყო. თურქეთი ხვდებოდა, რომ თუ მისთვის შექმნილ ხელსაყრელ მომენტს არ გამოიყენებდა, ამ მომენტით მისი მეორე, შედარებით ძლიერი მეტოქე – რუსეთი აუცილებლად ისარგებლებდა, ამიტომ, ლეგიანობის გამომწვევმა მიზეზებმა დადესტნის გარეშეც იჩინეს თავი, კერძოდ, თურქეთ-ირანის მტრული ურთიერთობის სფეროში. ასეთ ვითარებაში დადესტანთან დამოკიდებულების საკითხმა ვახტანგისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო.¹

ირანის ლტოლვილი შაჰი პუსეინი გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდა. მას იმის ძალაც არ შესწევდა ავდანების ბელადის მაჰმუდ სანის (მირ-ვეისის შვილი) შეტევები დამოუკიდებლად შეეჩერებინა, არა თუ ჩრდილოეთიდან ზღვასავით წამოსული დადესტნელების მრავალრიცხოვან ბრძოებს დახვედროდა. ასეთ შემთხვევაში მისთვის ერთადერთ იმედად ისევ ქართლის მეფე იქცა, მაგრამ ვახტანგს პუსეინის ვერაგობა მწარედ ახსოვდა. იგი ფიცის ერთგული დარჩა, შაჰის თხოვნა არაფრად ჩააგდო და მთელი იმედი პეტრე I-ის კასპიისპირეთში წამოწყებულ ლაშქრობას დაუკავშირა.

1722 წ. 2 ივლისს პეტრე I ვახტანგს ბორის თურქესტანოვის (თურქესტანიშვილის) საშუალებით მართლაც ატყობინებდა, რომ მალე იგი სპარსეთის საზღვრებს მიადგებოდა და ვახტანგს უთვლიდა, საჩქაროდ ლეკებს დასცემოდა.² 1722 წ. 19 სექტემბერს ვახტანგ VI საპასუხო წერილში პეტრე I-ს ირანზე ლაშქრობის მზადყოფნას აუწყებდა: „დთით ოცს მარიამობას, განჯას ჩავალო. ვინც იქაურნი სომეხნი და თათარნი არიან იმათს ჯარსაც შემოვიყრით, იქიდამ ლეკო მტერობას დაფუწყებო, თქვენის დიდებულის ბძანების მაყურებელი ვიქმნებითო“.³

ვახტანგის იმედი მართლაც არ ჩანდა უსაფუძვლო. რუსეთის საიმპერატორო კარს სერიოზული საბაბი გააჩნდა კასპიისპირეთში ლაშქრობის დასაწყიბად. რუსი ვაჭრები, რომლებიც ამიერკავკასიის ქვეყნებთან და ირანთან ვაჭ-

¹ ვარდამ დონდუა. დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია. თბ., 1959, გვ. 75.

² იგანე ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში. ტფ., 1919, გვ. 9.

³ M. Brossе. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государствами от 1659 г. по 1770 г. СПБ., 1861, გვ. 140.

რობდნენ, ჯერ ერთი, გზებზე მიმოსვლისას მთიელი დაღესტნელების თავდასხმების მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ და მეორეც – ირანელი მმართველები, რომლებიც რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრებას ეწინააღმდეგუბოდნენ, რუსი ვაჭრების მიმართ თვითნებობდნენ,¹ რუსებისათვისაც ნათელი გახდა, რომ თუ ირანში შექმნილ ვითარებით არ ისარგებლებდნენ, მაშინ ამიერკავკასია და კასპიისპირა აბრეშუმით მდიდარი რაიონები შეიძლება თურქეთის ხელში მოქცეულიყო. როგორც ზურაბ ავალიშვილი შენიშნავდა: „მთავარი პოლიტიკური სტიმული რუსეთისათვის ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისა, იყო იმის საშიშროება, რომ ირანის დასუსტებით კასპიის ზღვის ნაპირებზე თურქეთი დამკვიდრდებოდა“.² თუმცა, თურქეთის აშკარა გადიზიანებას რუსეთი ამ ეტაპზე მაინც ერიდებოდა. პორტასთან ურთიერთობის დაძაბვა მის ინტერესებში არ შედიოდა და საბაბი ადვილად გამოძებნა. პეტრე დიდმა ისარგებლა იმით, რომ შემახაში ლეკები და კუმიკები თავს დაესხნენ რუს ვაჭრებს, გაძარცვეს და დახოცეს ისინი, ამიტომ 1722 წელს ლაშქრობა წამოიწყო კასპიისპირეთში. თურქებისათვის რომ ეჭვის საფუძველი არ მიეცათ, რუსეთის იმპერატორმა შესთავაზა, რომ იქ პორტასაც გაეგზავნა დამკვირვებლად თავისი კომისარი“.³

სულთნის კარზე „ჩრდილოელთა“ დიპლომატიური ხრიკებს კარგად ხვდებოდნენ, ამიტომ პეტრე I-ს მალევე მოსთხოვეს შეეჩერებინა სამხედრო მოქმედებები ერთმორწმუნე და თურქეთის მფარველობაში შესული ლეკების წინააღმდეგ და გაუყვანა ჯარები დაღესტნიდან.⁴ ასეთ ვითარებაში რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი მეორეხარისხოვნად იქცა, მისთვის მთავარი ირან-ოსმალეთთან ურთიერთობების „დალაგება“ იყო. უარის მიღების შემდეგ, ირანის დევნილმა მაჰმა პუსეინმა ვახტანგი გადაყენებულად გამოაცხადა და ქართლი კახეთის მეფეს კონსტანტინე მაჰმადყული-ხანს გადასცა. მან 17 ათასი ლეკი დაიქირავა, მათ „დიდალი ვერცხლი აღუთქვა“⁵ და თბილისს თავს დაესხა. კონსტანტინემ 1723 წ. 4 მაისს დედაქალაქი აიღო და ლეკებს გააძარცვინა. მაჰმადყული-ხანმა ესეც არ იკმარა და თბილისის მცხოვრებლებს 40 ათასი

¹ შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი. (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ., 1975, გვ. 20-21.

² ზურაბ შარაშებიძე. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1970, გვ. 4.

³ З. Авваловъ. Присоединение Грузии к России, გვ. 55.

⁴ Н. Смирнов. Политика Российской на Кавказе в XVI-XIX веках. М., 1958, გვ. 66.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 503.

თუმანი შეაწერა, რომელსაც დაქირავებული ლეკებისათვის იყო შეპირებული.¹

სანამ იგი ქართლის საქმეებს აგვარებდა, კახეთში ლეკებს „ძალა ექნათ“, დიდი ჯარით გადმა მხარეში ჩამოსულიყვნენ და იქაურ სოფლებს აოხრებდნენ.² შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და იბრაჟიმ ფაშას 50 ათასიანი ჯარი თბილისისაკენ დაიძრა. თურქებმა თბილისი უბრძოლველად დაიკავეს. 1723 წლის 10 ივლისს თურქების სულთანს აჭმედ III-ს მიართვეს თბილისისა და გორის ციხეების გასაღებები.³ ქართლში კ. წ. „ოსმალობა“ დაიწყო. ვახტანგისათვის ისიც ცნობილი გახდა, რომ 1724 წლის 22 ივნისს რუსეთს თურქებთან სტამბოლში ზავი დაედო, რომლის ძალითაც მთელი საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროში რჩებოდა.

ყოველმხრივ შევიწროებულ ქართლის მეფეს საკუთარ ქვეყანაში აღარ დაედგომებოდა და 1724 წლის 15 ივლისს 1200 კაციანი ამალით რუსეთს გაემგზავრა, რის შემდეგ, „ქართლი ერთბაშად დაიცალა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისაგან“⁴ შექმნილი არეულობით ისარგებლეს ლეკებმა და დაეცნენ დიდომს, დუშეთს, თელავს... დაარბიეს და ტყვე-ნადავლი გაიტაცეს.

ოსმალებმა ქართლის სათავეში ვახტანგის გამაჭმადიანებული ძმა, ნაშიორარ (ალიფული ხანი) – გასუნიტებული (მუსტაფა) იქსე დანიშნება, რომელიც არაქართულ საქმეში თურქებს ისეთივე გულმოდგინებით ემსახურებოდა, როგორც მანამდე (ვახტანგის ირანში ყოფნისას) – სპარსელებს. ამ ფაქტით განაწყენებული კონსტანტინე ოსმალებს განუდგა და იქსეს წინააღმდეგ წამოვიდა. იქსემ და ოსმალებმა თავი გორის ციხეს შეაფარეს.

1724 წ. 26 სექტემბერს სოფ. ხიდისთავ-ატენის გასაყარზე – ზედაველას ველზე, კონსტანტინესა და იქსე-ოსმალებს შორის მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელშიც კონსტანტინე დამარცხდა. მაჭმადყული-ხანმა თავს გაქცევით უშველა, მაგრამ ქართველთა მოჭრილი თავები ოსმალებმა თბილისში ცხრა ურმით წაიღეს.⁵ ოსმალთა ბატონობა ქართლში კიდევ უფრო გამყარდა. 1724 წელს ჭარელებმა დადესტნელები შეიკავშირეს და თელავს შემოადგნენ. ბრძო-

¹ სარგის კაკაბაძე, საქართველოს ისტორია ახალი საუკუნეების ეპოქა..., გვ. 137.

² დარეჯან მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების..., გვ. 172, დოკ. 19

³ მურმან პაპაშვილი. დაღესტნის როლი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში 1722-1724 წწ. – საქართველო და უკრაინის ქვეყნები (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები) თბ., 1991, გვ. 143-144.

⁴ თამარ ოთხმეზური. აღმოსავლეთ საქართველო 1723-1735 წწ. („ოსმალობა“). ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1975, გვ. 76.

⁵ ამ ბრძოლის შესახებ, დაწვრ. იხ: იოსებ ალიმბარაშვილი. ზედაველას ბრძოლები, გვ. 153-162. 162.

ლები ერთ კვირას გაგრძელდა, ბოლოს სძლიერ კახელებმა „აოტნეს და აღი-
დეს ალაფნი მათნი“.¹ ლეპთა მძლავრობის გამო ამავე წელს დავით გარეჯში
ბერთუბნის ლავრა დაიცალა.²

1727 წელს გარდაიცვალა იქსე. ოსმალებმა ქართლი დაანაწევრეს, ერას-
ტი ყაფლანიშვილს სომხით-საბარათიანო მისცეს, მცხეთის ზემოთ – ბაგრატ
ციციშვილს, ზემო ქართლი – გივი ამილახორს, ქვეყანა აღწერეს და მძიმე გა-
დასახადები დააკისრეს. კონსტანტინე კახთა მეფემ ოსმალთა წინააღმდეგ
პვლავ ლეპების გამოყენება სცადა და მოურიგდა: ლეპებმა კახეთი დატოვეს,
სამაგიეროდ მეფემ (კონსტანტინემ) მათ საკუთარ ქვეყანაზე გზა გაუხსნა. მარ-
თალია, ლეპებს საბოლოოდ არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ კახეთის ძარცა-
რბევა³, მაგრამ ამიერიდან ისინი უმთავრესად მაინც „უპატრონო და მდიდარ“
ქართლს ესხმოდნენ თავს და არბევდნენ⁴. ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარ-
დნილა ამ დროს გორი. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით: „უდ (უამად –
ი.ა.) მეფის ვახტანგის ჟამსა იყო ცარიელი (გორი – ი.ა.) შემდგომად დაიპყრეს
ურუმთა, მერმე შანადირ დაარღვივა ციხე; არამედ დაძალყოფილი ოსმალთა,
და ლეპთა, და ყიზილბაშთაგან შემცირდა ქალაქიცა“.⁵

ქართლში ამ დროს შექმნილი მდგომარეობის გამომხატველია ერთი წერი-
ლი, რომელიც ოთარ ერისთავს გაუგზავნია რუსეთში თავისი ძმის – რომანოზ
არქიმანდრიტისათვის: „...საქართველოს დიად საქმე გაუჭირდა. ჯერ ლეპი მო-
უხდა, ქალაქი (თბილისი – ი.ა.), მონასტრები, სიონთა ლთის-მშობელი დაწვეს,
საყდრები და ქვეყანა ა(ა)ოგრეს, წავიდნენ. ახლა არზრუმის ფაშა ჩამოვიდა
მძლავრის ლაშქრითა, ქალაქი გორი, სურამი დაიჭირა. ამისგან უფრო ქრისტია-
ნობას საქმე აღარ გაუჭირდების. რაც ბატონები იყვნენ ან თავადები, ქალაქს

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 623.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 57.

³ 1727 წელსვე, კახეთისა და მთლიანად საქართველოს ისტორიაში მოხდა უაღრესად მნიშვნე-
ლოვანი და ქართველთათვის უარყოფითი ფაქტი. ოსმალების სულთანმა საგანგებო ფირმანით
„საშვილიშვილოდ“ დაუმტკიცა ჭარელ ლეპებს მათ მიერ მინატაცები ქვეყანა (იგულისხმება
საინგილო – ი.ა.) იმ სამსახურისათვის, რომელიც „ჭარელებმა მართლმორწმუნეთა ფადიშაპს
ისლამის გავრცელების საქმეში აჩვენეს“.

⁴ 6. ბერძენიშვილის განმამხრით, „გაღმამხრი თემები“, ამრიგად მებატო-
ნე თემებად იქცნენ. დაპყრობილი ქართველი სოფლები ჭარელებმა მძიმედ დაბეგრეს და თან-
დათან აიძულეს ქართველი მოსახლეობა მაპმადიანობა მიეღოთ. აი ამ დამორჩილებულ დაბეგ-
რილ გლეხს ეწოდა ინგილო. განსხვავებით ტერმინ „ლეპისაგან“, რომელშიც უპირატესად მე-
ბატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის წარმო-
შობით: ავარიელი, წახურელი თუ ქართველი („გალეგაბული“) – ასე რომ „ლეპი“ და „ინგი-
ლო“ უფრო სოციალური შინაარსის ცნებებია, ვიდრე ეთნიკური“ (დაწვრ. იხ. ნიკოლოზ ბერ-
ძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკონხები. ტ. III. თბ., 1966, გვ. 273-274).

⁵ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II, გვ. 164-165

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 367.

არიან, იმათთან გელში ჩაიყარეს, დმერთმან იცის რა იქნების: თქვენი გავიგონეთ „რომანოზ ხუთასის რუსით კევზედ მოვაო“. ათასი იყოს, შვიდასი იყოს რუსი, მოგვართვით სარდლითა, წამობძანდი, ხევის სამზღვარზედ რომ მობძანდე, მიბძანე წინმოვეგებებით, მოასხი, სიმაგრეები, ციხეები მაგათ დაგაჭერინოთ, აგების ქრისტიანობა კიდევ დმერთმა შეიბრალოს: კახეთიც ჩვენსკენ არს: ქრისტეს სარწმუნოება სიმხნე და მჯნეობა შენც ახლა გამოგიჩნდების და მმასა, თორემ სათათროდ რომ მოვავდეთ, გელმწიფე (რუსთის – ი.ა.) ნულარ გაგვიწყრების. თუ გვიშველიან ეს არის თუ არა და მშვიდობითო“.¹

წერილიდან გამომდინარე, ოთარ ერისთავი ამჯერად ოსმალებსაც განდგომია და საქართველოს ბედ-იღბალი რუსეთზე მიუნდვია, მაგრამ მასაც ტყუილად ჰქონდა „ხუთასი რუსის“ იმედი. ჯერ ერთი, წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ქართლის თავადთა დიდი ნაწილი ოსმალთა სამსახურშია შესული, ციხეები და სტრატეგიული ობიექტებიც მათ უჭირავთ და რომც შემოსულიყო, ხუთასი რუსი იმ დროისათვის მხოლოდ „ცეცხლზე ნავთს დაასხამდა“, მეორე – დასტურდება, რომ ქართლის უმაღლეს წრეებში აბსოლუტურად მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთის რეალურ პოლიტიკურ გეგმებზე, და მესამე, ოთარ ერისთავს, როგორც ბრძოლებში გამოცდილ კაცს, ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რა შეიძლებოდა მოპყოლოდა ქვეყნისათვის იმ შემთხვევას, თუკი წერილი ოსმალთა ხელში აღმოჩნდებოდა.

მართლაც, სამთავის-გორის ყოფილი მიტროპოლიტი რომანოზ არაგვის ერისთავი 1728 წელს ქართლში „მოკავშირეების“ გარეშე დაბრუნდა, რუსებთან კავშირი ლეკებმა ერისთავებს ძვირად დაუსვეს. სახლ-კარი და მამული – აუოხრეს და გაუვერანეს, ახლობლები დაუხოცეს. რის შემდეგ იძულებული გახდნენ, უკვე საბოლოოდ, ისევ რუსეთისათვის შეეფარებინათ თავი.

მმების ზემოხსენებული თავგადასავალი ნათლად მიგვანიშნებს, რომ ლეკებისათვის სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური იერარქია არაფერს ნიშნავდა და მთავარი ნადავლი იყო.

ამასობაში ლეკები უკვე მთელ ქართლ-კახეთს იყვნენ მოდებული. ისაყვაშა, უსუფ ფაშა, ოსმან ფაშა (ქართლის გამგებლები 1727-35 წლებში) ოსმალ-ქართველთა ჯარით ამაოდ დასდევდნენ მათ მუხრანთან, ნადარბაზევთან, ნიჩბისთან, დიდგორთან, თელათგორთან, ქვიშხეთთან, სურამთან, წრომთან, მეჯვრისხევთან... ლეკთა სხვა რაზმები იმავე დროს საციციანოს, თრიალეთს, სა-

¹ **М. Броссе.** Переписка..., გვ. 154-155.

ბარათიანოს, ქიზიეს აწიოკებდნენ.

1735 წელსვე „ოსმალობა“ „ყიზილბაშობით“ შეიცვალა, მაგრამ ქართლის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

ლეკებისათვის სულ ერთი იყო, ქართლში ყიზილბაშები იბატონებდნენ, თუ ოსმალები, მათთვის ყველაზე მისაღები მტრის ძალმომრეობით დაძაბუნებული და წინააღმდეგობის უნარს მოკლებული ქვეყანა იყო. ამჯერად მათ სპარსელების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა და არც ამ ეტაპზე დააყარეს ქართლ-კახეთს ხეირი. დაეცნენ ყელქცეულს, დირბს, ხვედურეთს, ბებნისს, დუშეთს, აიკლეს და უამრავი ტყვე-ნადავლი წაიყვანეს. ამას თან დაერთო ის ფაქტი, რომ ნადირ შაჰმა 1739 წელს დაღესტნის წინააღმდეგ ლაშქრობა წამოიწყო და ქართველებს ირანის ჯარისათვის დიდალი სურსათი შეაწერა, თანაც ამ სურსათის გადასატანად პირველად 3 ათასი უდელი ხარი მოითხოვა, მეორე ჯერზე – 2 ათასი ურემი, 300 ათასი კოდი პური ცალკე გაიგზავნა,¹ რარამაც ქართლის მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

ნადირ-შაჰის დაღესტან-ჭარში ლაშქრობის ნამდვილი მიზეზი – ერთი მხრივ, ქართველების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, და მეორე მხრივ, დაღესტან-ჭარის ურჩობა იყო. შაჰმა იცოდა, რომ ჭარის დამორჩილების გარეშე ამიერკავკასიის მდიდარი ქვეყნების შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა,² მაგრამ ნადირი დაღესტანში სამარცხვინოდ დამარცხდა და ჯავრის ყრა ქვეშერდომებზე მოინდომა, რასაც ყიზილბაშთაგან ქართველ თავადთა ნაწილის განდგომა მოჰყვა. აჯანყებას კვლავ ქსნის ერისთავი შანშე ჩაუდგა სათავეში. ირანის მბრძანებელმა შანშეს სხვა ქართველი ფეოდალები – გივი ამილახვარი, მუხრანბატონი და სხვები დაუპირისპირა.

რუსები „ოსმალობა“ – „ყიზილბაშობისას“ ქართლში განვითარებულ მოვლენებს მუდმივად თვალს ადევნებდნენ და სიტუაციას აკონტროლებდნენ. ამას ისინი ადვილად ახერხებდნენ მთელ კავკასიაში დაგზავნილი ფართო აგენტურის საშუალებით. „ლეკიანობა“ კი „ყიზილბაშის“ ფონზეც ჩვეული ტემპით გრძელდებოდა, ამჯერად ოსმალთა წაქეზებითა და ხელშეწყობითაც. დაღესტნელები დაეცნენ ალგეთის ხეობას, კუმისს, ციხე-ქვაბს, სოდანლუდს, საკირისა და ატენის ციხეებს... მდგომარეობას ისიც ამწვავებდა, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი ინიციატივით არ მოდიოდნენ და ხან ერეკლესთან დაპი-

¹ სარგის კაკაბაძე. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა..., გვ. 162.

² თეიმურაზ ბოცვაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო..., გვ. 173.

რისპირებული აბდულა-ბეგი იწვევდა, ხან თეიმურაზის წინააღმდეგ მებრძოლი გივი ამილახორი და ხანაც ბარძიმ არაგვის ერისთავთან გადაკიდებული შანშე ქსნის ერისთავი.

ქვეყნისათვის ერთგვარი შედავათი ის იყო, რომ ერეპლემ ირანში არეულობით ისარგებლა, მეტების და ნარიყალას ციხეები აიღო და იქ მდგომი ირანული გარნიზონი საკუთარ ქვეყანაში გაისტუმრა. „ყიზილბაშობა“ ქართლში „სულს დაფავდა“. 1749 წელს თეიმურაზიც დაბრუნდა სპარსეთიდან. მამამ და შვილმა ერთად დაიწყეს ლეპებისაგან გავერანებული ქვეყნის მშენებლობა. ასე დამთავრდა XVIII საუკუნის პირველი ნახევარი ქართლში, რომლის დიდი ნაწილი ლეპებმა ოსმალ-ყიზილბაშებთან ბრძოლას მოაწყობეს.

ხემოთ ნათქვამიც ცხადყოფს, რომ ლეპების შემოსევები ქართლში „ოსმალობის“ დროსაც არ შეწყვეტილა, მაგრამ თუ ადრე ოსმალები აქეზებდნენ და აფინანსებდნენ კიდეც ლეპებს ქართლის სარბევად, რათა მისი დასუსტებით თავიანთი მდგომარეობა განემტკიცებინათ, ახლა სიტუაცია შეიცვალა, ნ. ბერძენიშვილის შეფასებით: „ლეპები ახლა უკვე სულთნის მხარეს არბევდნენ“,¹ ამიტომ „კონფლიქტი“ მათ შორის გარდაუვალი გახდა. საქმე ისაა, რომ დაღესტან-ოსმალეთის პოლიტიკური კავშირი XVIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში შემთხვევითი არ იყო. რელიგიური ერთიანობის გარდა, ამ ურთიერთობებს წმინდა პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა.

ერთი მხრივ, თურქეთი მოხერხებულად იყენებდა დაღესტნისა და ირანის რელიგიურ (სუნიტურ-შიიტურ) შუღლს და ლეპებს მუდმივად აქეზებდა ირანის ჩრდილოეთ პროვინციებზე სათარეშოდ, რითაც ტრადიციულ მეტოქეს კიდევ უფრო ასუსტებდა. მეორე, დაღესტნის საშუალებით თურქეთი აქტიურად ეწინა-აღმდეგებოდა რუსეთის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. და მესამეც, ლეპები მუდმივად უზრუნველყოფდნენ თურქეთის ტყვეთა ბაზრებს საქართველოში ნაშოვნი ძვირფასი „ნედლეულით“, რასაც მისთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა.

ეს პირობები ჩრდილო კავკასიელებს სავსებით აკმაყოფილებდათ, რადგან მათ ფიზიკურ არსებობას ძარცვა-რბევით ნაშოვნი ნადავლი და ტყვების გაყიდვით მიღებული შემოსავალი განაპირობებდა. თურქეთი, არა თუ ხელს უშლიდა, არამედ უხვად აფინანსებდა დაღესტნელთა თარეშს, რითაც მათ ცხოველების „სახსრით“ მუდმივად უზრუნველყოფდა.

¹ საქართველოს ისტორია. ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია. ნაწ. I. უძვ. დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. თბ., 1948, გვ. 439.

ამრიგად, ეს ურთიერთობები წმინდა პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათის იყო და სულაც არ მომდინარეობდა ერთმანეთისადმი რაიმე სიმპათიით. როგორც ო. გიგინეიშვილი წერდა: „ოსმალები იყენებდნენ თავისი ინტერესების სასარგებლოდ არა ლეპებს, არამედ ლეპიანობას, როგორც სოციალურ მოვლენას“.¹ ქართლში „ოსმალობის“ დამყარების შემდეგ თურქებსა და დაღესტნელებს შორის მოკავშირეობის აუცილებლობა მოიშალა. ოსმალებმა ქართლში გაბატონება დაღესტნის გარეშე მოახერხეს, ირანს მოცემული დროისათვის თავისი პრობლემები ჰყოფნიდა, რუსეთს საქართველოსათვის კვლავ „არ ეცალა“, ამიტომ ჩრდილო-კავკასიელთა ძველებურად ძარცვა-თარეში, ამჯერად „თავის საპატრონოში“ – ქართლში, თურქეთისათვის უკვე მიუღებელი იყო. თავის მხრივ, არც დაღესტნელები იღებდნენ ხელს ტრადიციულ „ხელობაზე“. საქმე ისაა, რომ ლეპებისათვის მისაღები იყო მისგან შორს მყოფი თურქეთი. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს, ისინი ჩრდილოკავკასიას უშუალოდ გაუმეზობლდნენ და გამორიცხული არ იყო, რომ მის დაპყრობასაც მოინდომებდნენ. ამიტომ დაღესტნურ-თურქულმა მოკავშირეობამ ამ ეტაპზე აზრი დაკარგა.

1735 წლიდან სპარსელების მიერ ქართლიდან ოსმალების განდევნამ და „ყიზილბაშობის“ დამკვიდრებამ დაღესტნელების ორიენტაცია ისევ შეცვალა. დაღესტნურ-თურქულ დუეტს თანამშრომლობის საფუძველი კვლავ გაუჩნდა. ახლა მათობის საერთო მტერი სპარსეთი იყო, ამიტომ ერთად „დაუწეუს ცემა“, როგორც ყიზილბაშებს, ისე საქართველოს“.²

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ დროს ლეპები, მართალია ველური ფორმებით, მაგრამ მაინც საქართველოს ერთგვარ სამხედრო მოკავშირედ გვევლინებოდნენ. XVIII ს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული 40-იანი წლების პირველ ნახევრამდე ქართლ-კახეთის ისტორია სავსეა ლეპების – ჯერ ოსმალებთან, ხოლო შემდეგ ყიზილბაშებთან ბრძოლის მაგალითებით და ამ ბრძოლებში უმეტესწილად სწორედ ლეპები იმარჯვებდნენ. მართალია, ისინი ქართლ-კახეთისათვის ისეთივე მტრულ ძალას წარმოადგენდნენ, როგორსაც ოსმალ-ყიზილბაშები, მაგრამ საქმე სხვა რამეში იყო. ქართლში ჯერ ოსმალების, ხოლო შემდეგ ყიზილბაშების გაბატონებით ლეპებს „ნადავლში“ მოზიარე გაუჩნდათ, ამიტომ, ისინი აქ ყოფნისას დაუნდობლად ებრძოდნენ „ოსმალობისას“ – ოსმალებს, ხოლო „ყიზილბაშობისას“ – ყიზილბაშებს. სამართლი-

¹ ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ., 1982, გვ. 60.

² თეიმურაზ ბოცვაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო..., გვ. 170.

ანად მიანიშნებდა თ. ბოცვაძე: „პარადოქსალურად არ უნდა გვეჩვენოს იმის აღნიშვნა, რომ „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ პერიოდში ლეკთა შემოსუ- გებიც კი, რომლებიც აუცილებელ შეჯახებას იწვევდა გაბატონებულ ოსმალებ- თან თუ ყიზილბაშებთან, რამდენადმე არყევდა მათ ბატონობას“.¹ XVIII საუ- კუნის II ნახევარში დაღესტნელების ბრძოლის „ობიექტი“ კვლავ შეიცვალა და მათი „სამიზნე“ ქართველები და მათი მოკავშირე რუსები გახდნენ.

2. „ლეკიანობა“ ქართლ-კახეთში XVIII საუკუნის II ნახევარში.

იმიერ-კავკასიულ მთიელთა უსპანსიის გაძლიერება

XVIII ს. 50-ანი წლები ქართლ-კახეთისათვის იმედიანად დაიწყო. ქვეყანამ „ოსმალობა“-„ყიზილბაშობის“ მძიმე უდელი მოიშორა, მამა-შვილი: ერეკლე და თეიმურაზი შეთანხმებულად მართავდა ქვეყანას და ქართლ-კახეთის გაერთია- ნება მხოლოდ დროის ამბავი იყო. მათ გზიდან ჩამოიცილეს ტახტის მოცილე აბდულა ბეგი, თავადების დიდი ნაწილიც მორჩილების გუნებაზე მოიყვანეს, მაგრამ „მოურჩენელი სენი“ – „ლეკიანობა“ კიდევ უფრო საგრძნობი და ინტენ- სიური გახდა. მხოლოდ ერეკლე-თეიმურაზის მონდომება ამ პრობლემის გადა- საჭრელად საკმარისი არ იყო, ქვეყნად არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა საკითხის გადასაჭრელად მოუმზადებელი აღმოჩნდა.

ლეკთა შემოსევებს განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიეცა 1754-1760 წლებში. მთელი ქვეყანა მათი ბრძოებით აივსო. გარდა უამრავი წვრილი შე- ტაკებისა, ამ პერიოდში ხუნძახის მმართველმა ნურსალ-ბეგმა ორჯერ მოახერ- ხა დიდი ლაშქრის შეკრება, ნადავლის იმედით მთელი დაღესტანი აიყოლია და პირობა მისცა: „სულ მე გამომყევით, იმდენი ცხვარ-ძროხა გაშოვნინოთ შვილის-შვილამდე გეყოთო“, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა (1754 წელს მჭა- დიჯვართან, 1755 წელს ყვარელთან) და ისევ ნაცადი გზა – ქურდ-ავაზაკობა აირჩია: „ორი-სამი ათასი კაცით ქართლში დიდოვანს ტყვებსა და სამაგრეებ- ში დადგა, ყაზახობდა და ქურდობდა, სოფლის სოფლამდის გზებზე დიად ქა- ლას შვრებოდა. საქართველოს ჯარი მეფეებს ახლდა, მაგრამ მინდვრად ვერ

¹ თეიმურაზ ბოცვაძე, საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 169.

დაახელეს შესაბმელად, ხან ერთს სიმაგრეში დგებოდა, ხან მეორეში¹.

ქართლ-კახეთში მდგომარეობის შესწავლის მიზნით რუსულ ხელისუფლებას 1754-56 წლებში თბილისში კაპიტანი ოთარ თუმანოვი (თუმანიშვილი) გამოუგზავნია, რომლის მოხსენებით ბარათებში ლეკთა თარეშს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. დღეისათვის რთულია იმის დადგენა, თუ ვინ აწვდიდა თუმანიშვილს ასეთ დეტალურ ინფორმაციას (იგი უთუოდ ქართლ-კახეთის სამეფო კართან დაახლოებული პირი ჩანს), ფაქტია, რომ დავალება მას საკმაოდ „გულმოდგინედ“ შეუსრულებია. იგი დაწვრილებით ამცნობს „დამკვეთს“, როდის, სად, რომელ გზაზე, დღისით თუ დამით რამდენი კაცი მოკლეს, დაჭრეს, ან ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა, რამდენი – ხარი, ძროხა თუ ცხენი გაირეკეს, რამდენი ლეკი დაატყვევეს ან მოკლეს ქართველებმა და ა. შ.

მართალია, თუმანოვი თავის მოხსენებით ბარათებში ძირითადად სტატისტიკით კმაყოფილდება და ამ წლებში ლეკიანობის გააქტიურების მიზეზებზე არაფერს ამბობს, მაგრამ იმ დროს ქვეყნად შექმნილი მდგომარეობის ანალიზისათვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს. მასში ნათლად ჩანს ლეკიანობის ბუნება და ხასიათი. 1754 წლის 1 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიისადმი გაგზავნილი მოხსენების მიხედვით, მარტო ქართლ-კახეთში ხუთი თვის მანძილზე (1754 წ. 30 ივნისი – 1754 წ. 1 დეკემბერი), ლეკები 52-ჯერ შემოჭრილან, რომლის შედეგად – დაუკონკრეტებელი მონაცემების გარდა, დაუჭრიათ და მოუკლავთ 145 ქალი და კაცი, ტყვედ წაუყვანიათ – 227; გაუტაციათ 620 სული საქონელი.²

იგი სხვა წერილებშიც დიდ ადგილს უთმობს ქართლში ლეკების თარეშს, 1755 წლის 7 თებერვალს გაგზავნილი მოხსენების მიხედვით, 17 დეკემბერს (1754 წ.) მარნეულის გზიდან ლეკებს ქურდულად წაუყვანიათ ოთხი ტყვე, ოცდაექვს დეკემბერს თხილოვანის გზიდან – სამი, ხოლო ოცდაცხრა დეკემბერს ვაყიდან – თერთმეტი.³

იყო წარმატებებიც, მაგ. მჭადიჯვარ-ყვარელის გარდა, აღნიშნულ წლებში ლეკებთან ბრძოლები მოხდა სკრასთან და დართისკართან (1756 წ.), ქვიშხეთან და მჭადიჯვართან (1757 წ.), ავნევთან, ცხინვალსა და ატოცთან (1758 წ.). ერეკლე-თეიმურაზმა მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს ლეკთა ბელა-

¹ იასე ცინცაძე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. XXVII. თბ., 1946, გვ. 23, დოკ. № 10.

² იასე ცინცაძე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები. გვ. 17-19, დოკ. № 7.

³ იასე ცინცაძე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები გვ. 21, დოკ. № 8.

დებზე: კოხტასა და ჩონჩოლ-მუსაზე, მაგრამ მუდმივმა თავდასხმებმა ქართლ-კახეთი მნიშვნელოვნად დაასუსტა და დაღესტნელებმა საქართველოშივე, ზე-დაზენში, სამშვილდები, წალკაში, თრიალეთსა და სხვაგან გაიჩინეს ბინა.¹

რას უნდა მივაწეროთ „ლეკიანობის“ ასე გააქტიურება XVIII ს. 50-იან წლებში? ჩვენი აზრით, იგი რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული:

1. აღნიშნულ წლებში ჩრდილო-კავკასიაში რთული ეკონომიკური ვითარება შეიქმნა. მცირემიწიანობისა და მოუსავლიანობის გამო, შიმშილით სიკვდილის შიში მოსახლეობის დიდ ნაწილს აიძულებდა ლუქმა-პური ძარცვა-რბევით ემოვა, საქართველო კი მათთან ყველაზე ახლომდებარე ქვეყანა იყო;
2. ეკონომიკურს უკავშირდებოდა სოციალური საკითხიც. დაღესტნელი ფეოდალები აიძულებდნენ ქვეშევრდომებს მუდმივად მოეწყოთ საქართველოში თარეში, რათა ამით თავიანთი ფინანსური მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ, რასაც შესავალში დაწვრილებით შევეხეთ;
3. ერეკლე-თეიმურაზის აჯი ჩალაბისაგან ორგზის ძლევამ თურქეთი და დაღესტანი მიახვედრა, რომ მამა-შვილი სამხედრო თვალსაზრისით არც ისე ძლიერნი იყვნენ, როგორც გარეგნულად ჩანდნენ;
4. ათანასე ამილახვრისა და სვიმონ მაყაშვილის უშედეგო ელჩობამ რუსეთში (1752 წ.), რომელიც დაღესტან-ოსმალეთს, ბუნებრივია, მხედველობიდან არ გამორჩენია, მიახვედრა, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ამ ეტაპზე: „არათუ ემთხვეოდა, არამედ ეწინააღმდეგებოდა კიდეც“,² ამიტომ ქართლ-კახეთის რბევით, რუსეთთან ურთიერთობა არ გაურთულდებოდათ;
5. XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქართლ-კახეთს „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ უდელი უკვე მოშორებული პქონდა. თუ აქამდე დაღესტნელების „სამიზნე“ ქართლში ბატონობის დროს ოსმალ-ყიზილბაშები იყვნენ, ახლა მათი „სათარეშო ობიექტი“ და შედარებით სუსტი ქართლ-კახეთი მთლიანად მათ განკარგულებაში მოექცა და მოდავუშემცილებელი აღარავინ ჰყავდათ;
6. „ლეკიანობის“ ხელისშემწყობი ფაქტორი შეიქმნა ადგილზეც. მათი მუდმივი თავდასხმების გამო 1756 წელს საქართველოში „დიად პურ-

¹ დარეჯან მეგრელაძე. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 132.

² თეიმურაზ ბოცვაძე, ჩრდილო-კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო..., გვ. 181.

მვირობა შეიქმნა და შიმშილობა¹, რის გამოც მასიური ხასიათი მი-
უცა ყმების გაყიდვის პროცესს.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნის მიზნით 1760 წ. I აპრილს
თეიმურაზ II რუსეთს გაემგზავრა. ქართლის მეფე ელისაბედ პეტრეს ასულს
თავის არასახარბიელო მდგომარეობას მოახსენებდა: „...ძალის დადების ჩემის
განწესებად არ ძალგვიძს, რომელსამე არა მცირედ ლეკნი შლიან თვისთა
მტერობივის მოცვივნით საქართველოსა და საკახეთოსა შინა ქუეყანასაო...“²
ქართლის მეფე გულდაჯერებული იყო, რომ რუსებისაგან სესხს მიიღებდა და
ირანთან გართულებულ ურთიერთობას მოაგვარებდა.

თეიმურაზის რუსეთში წასვლის ნამდვილი მიზანი საქართველოს მეზობ-
ლებისათვის უცნობი არ დარჩენილა. ახალციხის უსუფ ფაშა დარუბანდის
შამხალს ატყობინებდა, თეიმურაზი რუსეთში დაღესტნელების საჩივლელად
წავიდა, რომ ისინი ავიწროებენ და ძარცვავენ მის ქვეშევრდომებს, ამიტომ
რუსეთის მთავრობას დაღესტნელების წინააღმდეგ ჯარი უნდა გამოსთხოვო-
სო. ფაშა ასევე სთხოვდა შამხალს, შეეტყო, მართალია თუ არა ეს ხმები და
თეიმურაზს ხომ არა აქვს აზრად დაღესტანს დაეცესო.³ ქართლის მეფეს სი-
მამრის (ვახტანგ VI-ის) მსგავსად იმედგაცრუება ელოდა. თეიმურაზ II 1762
წელს რუსეთშივე გარდაიცვალა და ასტრახანში, მიძინების ტაძარში, ვახტანგ
VI-ის გვერდით დაკრძალეს. ერეკლემ ამ ცნობის მიღების შემდეგ თავი
ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა.

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ამ ომში საიმპერატორო კარი-
სათვის სერიოზული მნიშვნელობა პქონდა საქართველოს პოზიციას. იმერეთის
მხარდაჭერის გარანტია რუსეთმა ადრევე გაინაღდა, რაც შეეხება ქართლ-კა-
ხეთს, მისი თურქეთის საწინააღმდეგოდ ომში ჩაბმა რუსეთს საეჭვოდ მიაჩ-
ნდა, რადგან ერეკლეს თავისი სამფლობელოების დაცვა მხოლოდ ლეპებისა-
გან სჭირდებოდა და თურქეთის მეზობლობის სიმძიმეს არ გრძნობდა,⁴ თანაც
1770 წლის 1 თებერვლის რელაციით ტოტლებენი იმპერატრიცა ეკატერინე II-ს
ატყობინებდა: „...თურქეთის ახალციხის ფაშა თავისი წარგზავნილების საშუა-

¹ დოქუმენტები საქართველოს ხოციალური ისტორიიდან, ტ. II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს., ნიკოლოზ ბერძენიშვილის რედ., თბ., 1953, გვ. 61, დოკ. 91).

² გალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთი-
ერთობის ისტორიისათვის. ნაწილი II. თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში. თბ., 1968. გვ. 453;
დოკ. № 148.

³ იასე ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.) – მასალები ხა-
ქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მხეთ). ნაკვ. II. თბ., 1940, გვ. 15.

⁴ გალერიან მაჭარაძე. ასპინძის ბრძოლა. თბ., 1957. გვ. 38.

ლებით ძვირფასი საჩუქრებითა და დიდი დაპირებებით ცდილობდა ერეკლე რუსეთის წინააღმდეგ წასულიყო“.¹

რუსებს ეჭვის სერიოზული საფუძველი ჰქონდათ. XVIII ს. 60-იან წლებში, 50-იან წლებთან შედარებით, ქართლ-კახეთში სიმშვიდე დამყარდა. ერეკლემ მოახერხა განმდგარი ფეოდალების დამარცხება, დაღესტნელ ბელადთაგან ზოგი დაამარცხა, ზოგი გაიერთგულა, ზოგიც მოისყიდა. ქვეყანა მხოლოდ ლეგების ეპიზოდური თავდასხმებით წუხდებოდა, მათ დამარცხებასაც სამეფო კარი უმეტესწილად ახერხებდა. მაგ. 1767 წ. დეკემბერში ერეკლემ ლეგებზე კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა როსტომ რაჭის ერისთავის ურჩობის გამო ლეგები მიიწვია და რაჭა ააკლებინა. ნადავლით დატვირთულ უკან მომავალ ლეგებს ქართლ-კახეთის მეფემ იორი შეუქრა, სამასი ლეკი საიქიოს გაისტუმრა და ტყვე თანამომმეები გაათავისუფლა, ხოლო ვინც ისურვა, თელავთან ახლოს დაასახლა.² ერეკლე 1769 წელს გრაფ პანინს სწერდა: „...ეგების, რომ ჩვენთვის ლეგებს ტყვე მოეტაცოს ქურდობით მცირეს კაცითა და ის ახალციხეს გაეყიდნოს, ისიც დაფარვითა, თვარემ სხვა მტერობა არ გამოუჩენიათ ჩვენდა მომართო“.³

იმდროინდელი საბუთებიდანაც ჩანს, რომ ერეკლე შემორიგებულ ლეგებთან მშვიდობის შენარჩუნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ქართლ-კახეთის მეფე რევაზ ამილახვარს 1769 წ. 7 აგვისტოს სწორედ ამ შეთანხმების დაცვას მოუწოდებს: „ამხანათ მანდეთკენ ლეკის ჯარები წამოვიდნენ, ჩვენსა და მაგათში შერიგება არის, მძევლებიცა გვყავს მიცემული, თქვენ მაგათ არა აწყონინოთ რა და ან მაგათ თქვენ არა გაწყენინონ რა, რიგიანად მოიქეცითო“.⁴ ბევრი ფიქრის შემდეგ, მეფემ მაინც „ჩათრევას-ჩაყოლა“ და რუსეთთან კავშირი ამჯობინა, თუმცა, ისიც კარგად იცოდა, რომ ამას მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების მხრიდან მტრობის გაძლიერება მოჰყვებოდა და გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა. მოგვიანებით (1771 წ.), სუხოტინისადმი გაგზავნილ ბარათში ერეკლე იწერებოდა: „ყარსიდამ და ახალციხიდამ და ბაიაზეთიდამ და ლეკიც ამათთან რომ აერიოს და მოვიდნენ ჩემზე თქვენი მაღალმსვლელობა ხომ დიად შორს ბრძანდებაო“,⁵ მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე იმასაც ვარა-

¹ გალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკნის მეორე ნახევრისა,, ნაწ. III. გვ. 526; დოკ. № 226.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 122.

³ იასე ცინცაძე. ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 345.

⁴ ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები. თბ., 2008, დოკ. № 250, გვ. 64.

⁵ ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, დოკ. № 250, გვ. 359.

უდობდნენ, რომ რუსეთთან კავშირი ქვეყნის მფარველობის გარანტია უნდა გამხდარიყო და იგი ირან-ოსმალეთის ძალმომრეობისაგან დაცვა, ამ მფარველობაზე დაყრდნობით ჭარ-ბელაქანის დაპყრობის საკითხიც გადაწყვეტილიყო და ლეკოთ თარეშებსაც ბოლო მოღებოდა.¹

რუსეთ-საქართველოს მოკავშირეობის ფონზე კვლავ მთელი სიცხადით დადგა ოსმალეთ-დაღესტნის „პარტნიორობის“ აუცილებლობაც. გურამ მაისურაძის თქმით: „ისევე როგორც დაღესტნის ხალხები გზას უჭრიდნენ რუსეთს კავკასიის ქრისტიანი ხალხებისაკენ, ასევე საქართველო ეღობებოდა თურქეთს კავკასიის მაჰმადიან ხალხებთან კავშირის გაბმაში“², ერეკლეს ორიენტაცია რუსეთზე მნიშვნელოვნად სწორედ რელიგიურმა ფაქტორმა განაპირობა.

1769 წლის ზაფხულში საქართველოში დარიალ-სტეფანწმინდის გზით 1200 კაციანი კორპუსით და მცირე არტილერიით რუსის ჯარი შემოვიდა, მალე მას ანდრია პირველწოდებულის ორდენი მოჰყვა, რომლითაც საიმპერატორო კარმა ერეკლე რუსეთის ერთგულებისათვის დააჯილდოვა³. ჯარის მეთაურად გენერალი ტოტლებენი დაინიშნა. სექტემბერში გადაწყდა რუს-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობა ახალციხის საფაშოზე. ახალციხის აღებით ერეკლე იმედოვნებდა, რომ ლეკ-აბრაგთა თავშესაფარს მოსპობდა, მაგრამ ამ საკითხს იმერეთში სხვანაირად უყურებდნენ.

სოლომონ I-ს რუსეთიდან გამოგზავნილი 1200 კაცი არასაკმარისად მიაჩნდა, ერეკლესთან საუბარში იმერეთის მეფის მრჩეველი ქაიხოსრო აბულაძე გაოცებას ვერ მალავდა: „ასე ცოტას რუსეთის ხელმწიფის ჯარს როგორ აჰყვევი და ხვანთქარს აეშალე. ამით ხვანთქარს რა უნდა დააკლო შენა, ხვანთქარმა რომ ერთი სერასკირი წამოაყენოს და იქიდან დაღესტანს უბრძანოს, მას უკან რიდათი შეძლებ იმათ წინააღმდეგ ომსაო“⁴. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ტოტლებენის ქმედებამ, რომელმაც ერეკლე თურქ-ლეკებს შეატოვა აწყურთან, თვითონ კი სასწრაფოდ ბორჯომის ხეობიდან ქართლისაკენ გამოეშურა, ხოლო შემდეგ თავის მართლებას შეუდგა: „სურსათის ნაკლებობის გამო დაგბრუნდიო“⁵. სურსათის მიზეზით ბრძოლის ველის მიტოვება,

¹ გალერიან მაჭარაძე. ასპინძის ბრძოლა, გვ. 53.

² გურამ მაისურაძე. ქართველი და სომები ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს. თბ., 1982, გვ. 241.

³ გალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის..., ნაწ. III, გვ. 458, დოკ: № 192.

⁴ გალერიან მაჭარაძე. ასპინძის ბრძოლა, გვ. 49.

⁵ А. Цагарели. Грамоты и др. исторические документы относящиеся по Грузии. т. II. вып. I. Груз. тексты с 1768-1801 гг. СПБ., 1898, გვ. 61.

ტოტლებენის მოგვიანებით გამოგონილი საბაბი იყო. სინამდვილეში რუსთა კორპუსს აწყურში იმდენი სურსათი ჰქონდა, რომ ქართველებზეც კი ჰყიდნენ.¹

მდგომარეობა დაამძიმა იმ ფაქტმაც, რომ ტოტლებენი, რომელსაც საქართველოში ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებით თავი არ შეუწუხებია (საიმპერატორო კარის გეგმისა და აქედან გამომდინარე, ტოტლებენის მიზანს იმ დროისათვის სულ სხვა რამ წარმოადგენდა), მაინცდამაინც იმ ლეკებს დაერია, რომლებიც ერეპლეს შემორიგებული ჰყავდა და ამ მხრივაც ქართლ-კახეთის მეფეს პრობლემები შეუქმნა. „რუს“ გენერალს არც ლეკები რჩებოდნენ ვალში. აბისში გამაგრებულს თავს 50-მდე შეიარაღებული ლეკი დაესხა, 12 კაცი მოუკლა და აღჭურვილობის ნაწილი გაიტაცა.²

ასპინძასთან გამარჯვების შემდეგ, იმავე წელს ერეპლემ კიდევ რამდენჯერმე ილაშქრა ახალციხეზე და გაიმარჯვა, მაგრამ ცალკეულ ბრძოლებში გამარჯვებები „ლეკიანობის“ პრობლემას ვერ წყვეტდა, ვითარების სტაბილიზების მიზნით მეფე საიმპერატორო კარს სთხოვდა მხარდაჭერას: „რუსეთის მფარველობაში შესული დადესტნელი ტომები რომ მაინც დაითანხმოთ უარი თქვან საქართველოში აბრაგობაზე, სხვებს ჩვენ მოვუვლითო“.³

ერეპლე ცდილობდა მტრისათვის დაესწრო. 1770 წ. 1 ივლისს იგი რუსეთის წარმომადგენელს ა. მოურავოვს სწერდა: „თუ ახლა მტრის ქვეყანაში არ ვიმოქმედებ, რომელიც მტერობა შემიძლია, ...თვით თქვენა ხართ ამისნი მეცნიერნი, დადისტნიდამ ვითარი ჯარის ყრილობის პამბავი მოგუდის, და თვით ყიზლარის კამენდანტს თქვენთან და ჩვენთან რაც მოეწერა დადისტნელთაგან მზადება, და ამ პამბის მსმენელი ტოტლებენი თუ როგორ სასოწარკვეთილებაში მაგდებს მე და ჩემს ქვეყანასო“.⁴

ერეპლე ზაალ ორბელიანსაც ავალებდა მოლაპარაკებოდა საიმპერატორო კარს, რუსეთის მფარველობაში მყოფი ზოგიერთი სახანო საქართველოსთან ხელშეკრულებით დაეხლოვებინათ და ამ გზით ჭარ-ბელაქნელი ლეკებისათვის მაშველი ძალები მოეკლოთ. 1770 წ. ოქტომბერში ერეპლე პანინს ურჩევდა, 1770-71 წ. ზამთარში ჭარ-ბელაქანს ვერც დადესტანი და ვერც ოსმალეთი ვერ მიეშველება, რუს-ქართველთა ჯარით შევუტიოთ, ამით წინააღმდეგობის ერთ-

¹ იხ: საქართველოს ხიდველები. ექვთიმე თაყაიშვილის რედ., ტ. I, გვ. 344, დოკ. 285.

² დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, გვ. 46.

³ შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი..., გვ. 82.

⁴ А. Цагарели. Грамоты..., т. II, вып. I. გვ. 41.

ერთი დიდი კერა მოგსპოთო^{“1}, ერთი თვის საკვებსაც სთავაზობდა და მინისტრ-რეზიდენტ ბურნაშოვს ჭარის დაპყრობის დეტალურ გეგმასაც სთავაზობდა: „ქ. ბელაქნიდამ მოყოლებული ჯინიხამდინ რაც ლეკნი არიან იმათი გამოვა ორი ათასი კაცი და რომელნიც იქაურნი მემკვიდრენი ქართველნი და თათარნი და მისულნი სხვანი არიან, იმათშიც გამოვა ორი ათასი კაცი. ქ. გავაზიდამ ყარაღაჯამდინ და იმათს ქუეითაც რომელიც იქნება თექვსმეტი. .. (არ იკითხება – ი.ა.) ყოვლგნიდამ კარგად და ადგილად მიისვლება. რომელ ეს სულ ჩვენი მხარისა არის სახლობენ კაცზედ, რომელიც სამ კურთხევაზედ კარგათ მიისვლება და ერთი მხარე აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთს მთა აქვს დაღისტნისა, ამათ საზოგადო ციხე არა აქვსთ, ზოგიერთს სახლსა სიმაგრე და კოშკები აქვსთ, ისიც მცირე და უსარგებლო^{“2}.

საიმპერატორო კარის გეგმის მიხედვით, ჭარ-ბელაქანის დაპყრობა ქართველების ინიციატივით კი არა, მათი მონაწილეობით უნდა მომხდარიყო, ამიტომაც ზემოხსენებული ლაშქრობა არ შედგა. პრუსიელი გენერლის ქმედებების გამო, იმპერატრიცასთან ურთიერთობის გაფუჭება ერეკლეს რომ არ დაბრალებოდა, საქართველოში დიპლომატიური მისით მყოფმა ივანე ლვოვმა 1771 წელს ქართლ-კახეთის მეფეს ხერთვისის ციხეზე (სამცხეში) გალაშქრება შესთავაზა. ერეკლემ ლვოვს დაუჯერა, ხერთვისი აიღო, მრავალი ტყვითა და საქონლით დატვირთული ქართლში გადმოვიდა და ცხინვალს დადგა. ხერთვისის „სანაცვლოდ“ ახალციხის ფაშამ – სულეიმანმა, ქართლში ლეკოსმალთა ჯარი გამოგზავნა, ხვითი მოარბიეს და ირგვლივ დამრბევი რაზმები (ჩაფაული) შეუსიეს. მეფემ ჯარი შეპყარა, ლეკოსმალნი სალთვისის მინდორზე დაამარცხა და ისევ ახალციხეში გადარევა.

1771 წელს ერეკლემ კიდევ რამდენჯერმე დაამარცხა ლეკები, მაგრამ რუსებთან კავშირი ქვეყანასაც ძვირად დაუჯდა. ქართლში კვლავ განახლდა და-დესტნელების ინტენსიური შემოსევები. შეწუხებული ერეკლე 1771 წ. 21 აგვისტოს გრაფ პანინს აცნობებდა, რომ დაღესტნის მთელი აბრაგობა ქართლ-კახეთში იყო მოდებული: „ქართლ-კახეთს რამდენის ქურდობის გზით სოფლებსა და ხეობებს სცემენ”, ამიტომ ადგილობრივი ძალები მათთან საბრძოლველად საკმარისი არ არისო.³ ერეკლეს სულეიმან ფაშაც მუდმივ მტრად ექცა: სულთ-

¹ შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი..., გვ. 82.

² სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449; ს. 2277.

³ იასე ცინცაძე. ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 359.

თნის ხაზინიდან დიდი თანხა მიიღო, დაღესტნელ-ჭარელების დიდ-დიდი ჯარები დაიქირავა და ქართლს მიუსია.¹ ლეპ-ოსმალებმა ზემო (შიდა) ქართლი მოარბიეს, გორს შემოადგნენ და 16 მაისს აიკლეს,² 20 ნოემბერს ცხინვალი წაახდინეს, ოსიაურის ციხეც აიღეს და ორივეგან 600-მდე კაცი დაატყვევეს.³

ასე რომ რუსის ჯარის ქართლში შემოსვლამ, გარდა იმისა, რომ ქვეყნისათვის ხარჯის მეტი არაფერი მოუტანია, ლეპ-ოსმალთაგან ქართლის რბევა კიდევ უფრო საგრძნობი გახადა და შედეგი – აოხრებულ-გადამწვარი გორი, ცხინვალი და უფლისციხესთან წაგებული ბრძოლა იყო.

ერეკლემ წარსული მწარე გაკვეთილიდან სწორი ანალიზი გააკეთა და ოსმალეთან დაახლოვების გზას დაადგა. მეფე 1776 წლის დეკემბერში, თავის დესპანს გიორგი (მირზა გურგინა) ენაკოლოფაშვილს ჩილდირის (ახალციხის) ვალის დახმარებით სტამბულში გზავნის. დედაქალაქში ჩასვლისთანავე ერეკლეს ელჩი შეხვედრია უმაღლეს მოხელეებს: რეის ეფენდისა და ბეილიქთი ეფენდის.⁴ ეს ელჩობა რუსებს, ბუნებრივია, მხედველობიდან არ გამოპარვიათ. რუსეთის სტამბულელი ელჩი სტახიევი თავის ხელმწიფეს ატყობინებს, რომ რუსეთს სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან ერეკლეს ელჩი სტამბულში ცუდად მიიღეს, მხოლოდ მცირედიდ დაასაჩუქრეს და სულთანი არც აპირებს მის მიღებას.⁵ თუმცა, სტახიევის სხვა მოხსენებებიდან ცხადი ხდება, რომ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა. მომდევნო წერილში გაწილებული ელჩი იწერება, რომ სულთანს (აბდულჰამიდ I – 1774-1789 წწ.) ერეკლეს ელჩი კიდევ მიუდია და მისთვის წყალობაც მიუცია. რომ ერეკლესა და სულთანს შორის სამეგობრო ტრაქტატიც დადებულა.⁶ უფრო მეტიც, სტახიევი იტყობინება, რომ ერეკლეს ელჩი მხოლოდ ქართლ-კახეთის კი არა, მთელი აზერბაიჯანელი ხანების სახელითაც ლაპარაკობს.⁷ სულთანს ერეკლესთვის მეგობრობის პირობის სანაცვლოდ ძვირფასი საჩუქრები: 1000 ოქრო, სიასამურის ქურქი და შეკაზმული ცხენი ცხენი გამოუგზავნია. საპასუხო საჩუქრები სტამბულში ერეკლესაც გაუგზავნია: თეთრი ქურქი, პერანგები და შალეული.⁸

¹ ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 64.

² შოთა ლომსაძე. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან., გვ. 137.

³ შოთა ლომსაძე. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან., გვ. 139.

⁴ ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 80

⁵ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 168.

⁶ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 168.

⁷ ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, გვ. 80.

⁸ ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, გვ. 80.

1780 წ. ოებურგალში ერეკლეს ელჩი კიდევ ერთხელ ჩასულა სტამბულში. სტახიევი პეტერბურგში შეშფოთებული იწერება, რომ ერეკლესა და სულთანს შორის სამეგობრო ხელშექრულება დაიდო, მაგრამ ერეკლეს ელჩი ქერიმ ადა (Kapum agra) ისე ჰყავთ ჩაკეტილი, რომ რაიმეს გაგება შეუძლებელიათ.¹ თუმცა, რუსეთის ელჩს რაღაც საკითხების გარკვევა მაინც მოუხერხებია. აგენტები სტახიევს ატყობინებენ, რომ ერეკლემ 1779 წელს განმდგარი ჰუსეინ ალი-ხანის წინააღმდეგ ერევანზე ილაშქრა, გაიმარჯვა, დიდალი ნადავლი წამოდო და უამრავი სომები გადმოსახლა საქართველოში. თავის მხრივ, სტახიევი იწერება, რომ ოსმალეთი რეალურად აფასებს ერეკლეს ძალას და მასთან კავშირით ცდილობს დაამარცხოს ირანი და მთელი კავკასია გაუერთგულოს.² სტახიევი ცდილობს რაიმე გაარკვიოს ერეკლე-ოსმალეთის სამომავლო ურთიერთობების შესახებ და სტამბულიდან გამომგზავრებულ ერეკლეს ელჩს თავის აგენტს (სომებ ვაჭარს) გამოაყოლებს თან, იმ დავალებით, რომ რაიმე შეიტყოს ამ ხელშექრულების შესახებ და ორი თვის ვადაში უკან ჩამოუტანოს ახალი ამბავი. სანაცვლოდ, გასამრჯელოდ სომები აგენტი 300 პიასტრს მიიღებს და სხვ.³

ოსმალეთთან ურთიერთობის დალაგებამ ერეკლეს ბევრი პრობლემა მოუხსნა. ჯერ იყო და სულთნის ნებართვით ერეკლემ ანატოლიიდან (გიუმიშ-ხანედან) მრავლად ჩამოსახლა სამთამადნო საქმის მცოდნე ბერძნები, რითაც წარმატებული ახტალა-ალავერდის მადნები აამუშავა და ქვეყნის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაზარდა.

ურთიერთობები დალაგდა ტრადიციულ მეტოქეებთან: ომარ-ხანსა და ახალციხის სულეიმან ფაშასთანაც. 1776 წ. 29 აპრილით დათარიღებული ერთი დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ქართლელი გიორგი ავაქაშვილი ოჯახთან ერთად, რამდენიმე წლის წინ დაუტყვევებიათ და ახალციხეში გაუყიდიათ. ავაქაშვილის დედა ფაშასთან მისულა, გათავისუფლება და ქართლში დაბრუნება უთხოვია. „ფაშა გასწყობია (ტყვეების გამყიდველს – ი.ა.) და ჩვენ დაუხსნივართ და გამოუშვივართ, მე იმათს ყმას აქ არავის გავასყიდვინებო. არ ვიცი

¹ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. 168-170.

² ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. 168.

³ აღნიშნულთან დაკავშირებით კრცლად იხ. იოსებ ალიმბარაშვილი. ქართლ-კახეთის სამეფოსა და თურქეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში და რუსეთი, გვ. 11-14.

მოყვარე რომ ყოფილა ის ფაშა ამათი თუ მეგობარი, ამიტომ გამ[ო]უშვივართო“, აცხადებდა გიორგი ავაქაშვილი ერეკლესთან სათხოვარში.¹

აღნიშნულ წლებში ერეკლესთან სიახლოვეს ესწრაფოდა ომარ-ხანიც, რომელიც ქართლ-კახეთის მეფესთან მოწერილ წერილებში ერთგულებას „შვილების სახელოსა“ და „მამა-შვილობის“ ფიციო უმტკიცებდა.² დაღესტნელთაგან მშვიდობა ჩანს 1780 წლის 16 დეკემბრით დათარიღებულ დოკუმენტშიც, სადაც ქალაქის (თბილისის – ი.ა.) მოურავი დავითი ლეკიანობით დაფანტული ყმების დაპრუნებას ითხოვს და მეფისადმი მიმართვაში აღნიშნავს: „დმრთის მოწყალებით და თქვენის დოკუმენტით ლეკიანობა მშვიდობა არისო“.³

ქართლ-კახეთის მეფის ოსმალეთთან დაახლოვება და დიპლომატიური წარმატებები ირანისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. ქერიმ-ხანმა ირანისადმი მორჩილ ქვეყნებს ერეკლეს წინააღმდეგ საომრად მოუწოდა, მაგრამ მისმა სიკვდილმა 1779 წელს ეს გეგმები ჩაშალა⁴. რაც შეეხება რუსეთს, პეტერბურგიდან სასწრაფოდ გამოგზავნეს ქართლის ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბაქარის ძე (ვახტანგ VI-ის შვილიშვილი), რომელსაც აშკარად მფარველობდა, ერთი მხრივ – საიმპერატორო კარი, ხოლო მეორე მხრივ – ირანი.

მდგომარეობის გამოსწორება მეფემ ევროპასთან დაკავშირებით სცადა. 1781 წ. ზაფხულში მან კათოლიკე მისიონერი დომენიკე გააგზავნა ევროპაში და წერილები გაატანა ავსტრიისა და საფრანგეთის იმპერატორებთან, სარდინიისა და ხეაპოლის მეფეებთან, ვენეციის რესპუბლიკის სენატორი, მაგრამ დომენიკე იმავე წლის 3 ივლისს კონსტანტინოპოლიში შავ ზღვაში დაიღრჩო და ადგილამდე ვერ ჩააღწია.⁵

ერეკლე ახლა რომის პაპის მეშვეობით შეეცადა ვითარების ნორმალიზებას. 1782 წლის 14 ნოემბერს საქართველოში მოღვაწე კათოლიკე კაპუცინების პატრიარქი ანდრია გორიდან რომში კარდინალს სწერდა: „მეფე შუამდგომლობას სთხოვს პაპსა მთავართა წინაშე; თვითონაც მზად არის, შეასრულოს იმ მთავრების ყოველი პირობაო“,⁶ მაგრამ საქართველოსთვის არც რომის პაპს გაუწე-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 339.

² ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449, ს. 2824.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 494.

⁴ О. Маркова, Россия Закавказье и международные отношения..., გვ. 156.

⁵ დიმიტრი შველიძე. ერეკლე მეფის უფანასენელი ცდა. – ისტორიანი. კრებული მიძღვნილი როის მეტრულების დაბადებიდან 70 წლისთვისადმი. თბ., 2009, გვ. 293.

⁶ მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902, გვ. 400-401.

ვია რეალური დახმარება.

ასევე უშედეგოდ დამთავრდა ყაბარდოელების საქართველოში გადმოსახლების კარგი იდეაც, რითაც მნიშვნელოვნად იზრდებოდა ქართლ-კახეთის თავდაცვისუნარიანობა. ერეკლემ საამისოდ დიდი სამუშაოებიც ჩაატარა. გამოყო შესაბამისი სახსრები, გაწმინდა დარიალიდან გადმოსასვლელი გზა, შეაკეთა ხიდები თერგსა და არაგვზე. გამოყო მათვის სამოსახლო ადგილები ახალციხის საფაშოსა და იმერეთის სამეფოს საზღვრების გასწვრივ, თვით ყაბარდოელებშიც (დიდსა და მცირე ყაბარდოში) ბევრს გამოუთქვამს საქართველოში გადმოსახლების სურვილი,¹ მაგრამ მეფის რუსეთის ოფიციალური პოზიცია ჩრდ. კავკასიისა და ქართლ-კახეთის პოლიტიკური დაახლოების ასეთი ფორმის წინააღმდეგი აღმოჩნდა.²

ერეკლე ისევ სამხრეთს მიუბრუნდა. ქერიმ ხანის გარდაცვალების შემდეგ, ზენდების ძალაუფლება ირანში მნიშვნელოვნად შესუსტდა და ცალკეულმა სახანოებმა დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყეს. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო ირანის დიდი ვექილი ალი-მურად-ხანი. ძალაუფლების კიდევ უფრო ზრდის მიზნით, იგი ერეკლეს საშუალებით რუსებს დაუკავშირდა. ეს ფაქტი რუსების ინტერესებშიც შედიოდა და მურად-ხანის მიერ საიმპერატორო კარზე გაგზავნილი მირზა-მუჰამედი უკან დიდალი საჩუქრებით გამოისტუმრეს³ და რუსი ელჩიც გამოაყოლეს, მაგრამ სანამ ისინი შირაზში ჩავიდნენ, ალი-მურად-ხანი გარდაცვლილიყო და ირანის მმართველად აღზევებული ჯაფარ-ხანი დახვდათ, ამიტომ რუსი დიპლომატი თბილისში დავალების შეუსრულებლად დაბრუნდა.

რუსეთის ენ ნაბიჯი ამიერკავკასიის ხანებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ხოის მმართველი ახმედ-ხანი ერზრუმის ვალს ხაჯი-ალი-ფაშას ატყობინებდა, რომ რუსეთის ნამდვილი მიზანი ირანთან მშვიდობა დაამყაროს, ემსახურება მათ მზაგვრულ ჩანაფიქრს – აზერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიები ხელთ იგდოსო.⁴ ახმედ-ხანი სტამბოლსაც სოხოვდა გამოფხილებას და იტყობინებოდა, თუ იქიდან დახმარება და მფარველობა დროულად არ იქნებოდა, მრავალი მუსულმანი მტრის ხელში აღმოჩნდებოდა. თავის მხრივ, ჩილდი-

¹ თეიმურაზ ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის..., გვ. 113, 115; ნიკო ჯავახიშვილი, ლი, ნარკვევები ქართველი და ადიდელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 149-150.

² ლოვარდ ტუხაშვილი. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთის ხალხებთან XVIII საუკუნის II ნახევარში. – №1, მნათობი, 1971, გვ. 160.

³ ჯევდეთ პაშა. Описание событий в Грузии и Черкасии по отношению к Османской империи от 1192 года по 1202 год хиджри. (1775-1784).., გვ. 380-381.

⁴ ჯევდეთ პაშა. Описание событий в Грузии и Черкасии.., გვ. 381.

რის (ახალციხის – ი.ა.) სულეიმან ფაშაც იუწყებოდა, რომ ერეკლეს მწყობრში მოჰყავდა ახალი გზა, რომლითაც სამი ათასი რუსი თბილისში უნდა შემოსულიყო. „ცხადია, რომ ერეკლეს ემზადება მეზობელ მაპმადიანურ სახანოებზე თავდასასხმელადო“, იწერებოდა ჩილდირის გამგებელი.¹ სულეიმანმა მართლაც მიიღო დავალება, ფხიზლად ედევნებინა თვალი ერეკლეს მოქმედებისათვის. წაექეზებინა და უხვად დაესაჩუქრებინა დაღესტნელები ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ „წმინდა ომის“ დასაწყებად.²

ერეკლეს დიდი ძალისხმევით დალაგებული ურთიერთობები კვლავ აეჭალა. ფათალი ხანისა თუ სხვა კავკასიელი ხანების შემოსევის მოლოდინში იგი ნებისმიერ დროს მზად უნდა ყოფილიყო. აქტიურად ამოქმედდა ჩრდილო კავკასიაში მყოფი ქართლის ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბაქარის ძე, რომელიც საქართველოში ჩამოსასვლელად ემზადებოდა და მოსახლეობას მხარდაჭერის პირობით თითო კაცს – 50 მანეთს, ხოლო თბილისის დაკავების შემთხვევაში დამატებით კიდევ 50 მანეთს პპირდებოდა.³ ამის გამო, ბატონიშვილს ქართლში საკმაო მომხრე გამოუჩნდა. ბაქარის ძეს მხარდაჭერა აღუთქვა იმურეთის მეფე სოლომონ I-მაც. ერეკლეს წინაშე მთელი სიმწვავით დადგა სამეფოს დაკარგვის საფრთხე. დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმას, რომ პრობლემის გასაღები პეტერბურგში იყო. მეფე დათანხმდა შესულიყო იმპერატორის მფარველობაში, იმ პირობით, რომ მის შვილებს და შთამომავლებს „პაპების სამკვიდრო და ამდენი გარჯით და ღვაწლის დადებით აშენებული ქვეყანა არ დაკარგვოდათ, რომ ალექსანდრე ბაქარის ძის მსგავს ბედის მაძიებლებს უმჯარი ხალხი არ აჰყოლოდა“.⁴

როგორც კი მხარდაჭერის გარანტია მიიღეს, რუსებმა მაშინვე დააგზავნეს მიმართვები ყიზლარის კომენდატორი, ასტრახანის გუბერნატორთან და სხვა დაღესტნელ მთიელ ბელადებთან, რომ არ აღმოეჩინათ დახმარება ალექსანდრე ბაქარის ძისათვის.⁵ 1783 წ. ნოემბერში (ამ დროისათვის უკვე გაფორმებული იყო გეორგიევსკის ხელშეკრულება) მაიორი კომარსკი დერბენტში ჩა-

¹ **Джевдет паша.** Описание событий в Грузии и Черкасии.., გვ. 382.

² **Джевдет паша.** Описание событий в Грузии и Черкасии.., გვ. 382.

³ იასე ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. II. თბ., 1940, გვ. 29-30.

⁴ გიორგი პაიჭაძე. ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. 1783 წ. ხელშეკრულება. – საქართველოს ისტორიის ნარკვენები, ტ. IV, გვ. 689.

⁵ **О. Маркова.** Феодальная реакция на прогрессивную политику единодержавия Грузии (Выступление князя Александра Грузинского 1766-1783 гг.). – კავკასიის ხალხთა ისტორიის ხელთხები. თბ., 1966, გვ. 374.

ვიდა ფათალი ხანთან ალექსანდრე ბაქარის ძისა და იმ დროისათვის იქვე მყოფ, ასევე ერეპლეს „ოპონენტ“ ალექსანდრე ამილახვრის გადასაცემად. რუსებს ორივე ალექსანდრეს „ყიდვა“ ფათალი ხანისაგან სულ ერთი ოქროს სათუთუნე და 500 ოქროს „ჩერვონცი“ დაუჯდათ.¹ ოოგორც კი ერეპლემ რუსებს მეგობრობა „შეახსენა“, საიმპერატორო კარმა თავი ისე წარმოაჩინა, თითქოს ძალიან იყო დაინტერესებული ერეპლეს უშიშროებით. საქმე ზუსტად ისე მიღიოდა, როგორც რუსებს აწყობდათ. საყოველთაო აზრი იმგვარად იქმნებოდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე რუსების გარეშე არათუ „ლეკიანობის“, არამედ შიდა პრობლემებსაც ვერ წყვეტდა, რომ შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი რუსეთის იმპერატორისადმი მფარველობის თხოვნა იყო. ერეპლეს არწმუნებდნენ, რომ ძლიერი მოკავშირის დახმარებით „საქართველო ყვალა სიძნელეს ადვილად დასძლევდა, მშვიდობასა და კეთილდღეობას ეწეოდა“.²

ქვეყნის წინაშე ალტერნატივა იდგა – „მას შაჰის საარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო“. იმ დროს დამკვიდრებული მოსაზრებით: „...მეორე პერსპექტივა მაინც უმცირესი ბოროტება იყო“,³ ამიტომ 1782 წ. 21 დეკემბერს ერეპლემ რუსეთის იმპერატორის მფარველობა ითხოვა, რომლის 5-6 მუხლებით, ეკატერინე II-ს პვლავ „ლეკიანობის“ პრობლემის გადაჭრას სთხოვდა:

„...5. ამ მოწყალებას ვითხოვთ, რომელიც ჩვენი მამულები ამ მჯარეს დაკებს უჭირავსთ, იმისი დაჭრა შეგვაძლებინონ!

6. რადგან დადესტნელები აქ ჩვენ ჯარათა გვყვანან, იმათს ჯამაგირსა და მიცემაზე ბევრი გვეხარჯება, მაგ ჯარის ჯამაგირის მიცემაზე იმიტომ თავი ვაწყინეთო“.⁴

1783 წ. 24 ივლისს ჩრდ. კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში დაიდო რუსეთ-საქართველოს „მეგობრობის პირობა“ (ტრაქტატი). შემთხვევითი არ იყო, რომ ეს ხელშეკრულება ერეპლეს საგარეო საკითხებში დამოუკიდებელ მოქმედებას უზღუდავდა. გარეგნულად კი ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს ტრაქტატის დადებით საქართველო მეტ სარგებელს იღებდა, ვიდრე რუსეთი.

¹ ერეპლეს მხარდაჭრის განაღდებისთანავე, რუსებმა ალექსანდრე ამილახვარი ვიბორგის ციხეში ჩასვეს, ხოლო ალექსანდრე ბაქარის ძე პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ გააგზავნეს სმოლენსკში და ყოველწლიურ სარჩოდ 1200 მანეთი დაუზიშნეს. უშედეგოდ ელოდა იგი იმპერატორის შეწყალებას. პატიმრობაში მყოფი იქმე გარდაიცვალა ყველასაგან მიტოვაბული 1791 წელს.

² ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 228-229.

³ საქართველოს ისტორია..., ნაწ. I, გვ. 405-406.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 455, დოკ. 132.

რუსეთის საქართველოში ფეხის მოკიდებამ დიდი შიში დანერგა მთელ ჩრდილო-კავკასიაში, რადგან რუსეთი მათ ახლა არა მარტო ზურგში, არამედ ფლანგზეც მოექცა და ადრე თუ გვიან მათ დამორჩილებასაც მოიწადინებდა. წამოჭრილმა საფრთხეების ლეკეთის დაქსაქსული ტომები კვლავ გააერთიანა“.¹

ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ მთელ კავკასიაში აშკარა თუ ფარული ომი გააჩადა და სარწმუნოების დასაცავად მოუწოდა აზერბაიჯანულ და ჩრდ. კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობას. სულეიმან ახალციხის ფაშას, ომარ-ხანსა და სხვა მთავრებს. როგორც ნ. დუბროვინი წერს: „ოფიციალურად უარყოფდა, რა ახალციხის ფაშას მხარდაჭერას, კონსტანტინეპოლის კარი (ოსმალეთი – ი.ა.) ფარულად მხარს უჭერდა და აქეზებდა არა მარტო სულეიმანს, არამედ მთელს აზერბაიჯანის ხანებს. ემისრები სულთნის ფირმანებით მოედვნენ დაღესტანსა და მთელს კავკასიას მოწოდებით – გაერთიანებულიყვნენ რწმენის დასაცავად და საქართველოს ასაკლებად“.²

სულთანი თავის ამიერკავკასიელ ქვეშევრდომებსაც აფრთხილებდა, რომ ერეკლეს ეს ნაბიჯი გულში არ გაევლოთ და „რწმენა არ შეებლალათ რუსთა დაპირებებით, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად ჩანდა ტკბილი, სინამდვილეში კი შხამს შეიცავდნენ“.³ თურქეთის მიერ წაქეზებული მაჰმადიანური მეზობლების საერთო ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ ერეკლეს ქვეშევრდომ სამფლობელოებსაც შეეხო. გამუდმებული თავდასხმებით მათ „გული უნდა გაგრილებოდათ სიუზერენი ერეკლეს მიმართ, რომელიც ქვეშევრდომების დაცვას ვერ ახერხებდა და ისინი ერეკლეს რუსული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ განეწყოთ“.⁴ ამ საკითხში განსაკუთრებით აქტიურობდა ახალციხის სულეიმან ფაშა, რომელიც სულთნის დავალებას „გულმოდგინედ“ ასრულებდა და „ახალციხე ლეკების საბუდოად გადააქცია, საიდანაც ავაზაკთა ბრძოები გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქართლის სოფლებს“.⁵ ერეკლე რუსეთში წერილს-წერილზე აგზავნიდა და ამაოდ ითხოვდა საიმპერატორო კარისაგან დაპირებულ დახმარებას. მან 1783 წ. ზაფხულში პოტიომკინს წარუდგინა ჭარელებისაგან მიყენებული ზიანის დაწვრილებითი აღწერილობა და რუსებს საპასუხო

¹ სარგის ქაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ., 1991, გვ. 33.

² Н. Дубровин. История войны... т. II. გვ. 232.

³ Джевдет паша. Описание событий в Грузии и Черкасии..., გვ. 378.

⁴ მიხეილ სამხონაძე. ამიერკავკასიის სახანოებთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებში. – ქართული სამეფო-სამთავროების ხაგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. II. თბ., 1973, გვ. 109.

⁵ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. გვ. 232.

ნაბიჯის გადადგმას სთხოვდა. 24 სექტემბრის საპასუხო წერილში პოტიომკინი აცნობებდა ქართლ-კახეთის მეფეს, რომ რუსული მხედრობისათვის რთული არ იყო ჭარელების წახდენა, მაგრამ „ამ ნაბიჯისაკენ გარკვეული მოსაზრებები გვაკავებსო“¹ და აქეთ მოუწოდებდა: „იქნებ თქვენი მხედრობა შეეცადოს მათ დამშვიდებასო“².

მიმოწერის პარალელურად პოტიომკინი რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში ს. ბურნაშოვს 1783 წ. 1 ოქტომბერს ქართველი მეფისაგან ფარულად ავალებდა, მიეწოდებინა დაწვრილებითი ინფორმაცია ქართლ-კახეთში ლეგების მოძრაობისა და ერეკლესთან მათი დამოკიდებულების შესახებ. 5 დეკემბერს პეტერბურგიდან გამოგზავნილი საიდუმლო წერილით გარსევან ჭავჭავაძე თავის მეფეს უიმედო პასუხს ატყობინებდა: „ჭარ-ბელაქნის შესახებ სალაპარაკო აღარაფერი დარჩა, რადგან რუსები არ იღებენ თქვენს წინადადებას ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებო“³.

რუსები ერეკლეს იმით ამშვიდებდნენ, რომ მათ რამდენიმე სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს დაღესტნელებზე და ლეგების საბოლოო განდევნა მომავლის საქმე იყო, ამასთანავე, ისინი შანსს ხელიდან არ უშვებდნენ, რომ მომხვდურებთან შეტაკებებში მოპოვებულ წარმატებებში რუსების როლი განსაკუთრებით წარმოეჩინათ, ხოლო ქართველებისა, პირიქით, – დაეკნინებინათ.

აღნიშნულის კარგი დასტურია 1785 წ. 10 აპრილს ქვემოჭალასთან მომხდარი ბრძოლა, სადაც ახალციხიდან შემოჭრილ 2000 თურქსა და ლეკზე მოპოვებული გამარჯვება ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა პეტრე ბუტკოვმა მოლიანად მაიორ სენენბერგსა და 200 ეგერს მიაწერა, ხოლო 500 ცხენოსანი ქართველის ბრძოლაში მონაწილეობა გამორიცხა. ⁴ თუმცა, პ. ბუტკოვი იმაში კი მართალი იყო, რომ ქვემო ჭალასთან დამარცხებამ „თურქები და დაღესტნელები მხოლოდ გააბორობა და ამავე წელს საქართველომ ყველაზე მგრძნობიარე დარტყმა მიიღოო“⁵.

პ. ბუტკოვს მხედველობაში აქვს ხუნდახის ბატონის ომარ-ხანის შემოსევა, რომელმაც 1785 წლის სექტემბერში 20 ათასამდე ლეკი შემოიყარა და საქართველოს კახეთის მხრიდან მოადგა. აიგლო და დაარბია ერეკლეს მიერ დიდი

¹ ზურაბ ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში). თბ., 1982, გვ. 52.

² ზურაბ ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა..., გვ. 52.

³ ზურაბ ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა..., გვ. 52.

⁴ П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. ч. II. СПБ., 1869, გვ. 162.

⁵ П. Бутков. Материалы..., ч. II, გვ. 163.

გარჯის შედეგად წამოწყებული ახტალა-ალავერდის სამთამადნო საწარმოები, დაარბია ქვემო-ქართლი, ვახანი, გაირეკა ათასობით ტყვე, ფული, საქონელი და უკან მხოლოდ ყოველწლიური ხარკის გადახდის პირობით გაბრუნდა.¹

ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ 1785 წელი ქართლში მოუსავლიანი იყო, რამაც პურის გაძვირება გამოიწვია. იესე ბარათაშვილი „ცხოვრება-ანდერძში“ რამდენჯერმე მიუთითებს: „...წელს (1785 წ. – ი.ა.) პური არც მე მომივიდა და არც სხვას. ლიტრა აბაზათ ისყიდებაო“.²

ერეკლეს მდგომარეობა ისევ დაეძაბა. ყმადნაფიცი ქვეყნები განუდგნენ და ხარკს აღარ იძლეოდნენ. ქვეყნის შემოსავლის „ხერხემალი“ - ახტალა-ალავერდის მადნები ომარ-ხანმა დაანგრია და შემოსავალიც შეწყდა. მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ზოგიერთი თავადი ახალციხის ფაშასთან გაიქცა და ლეკებთან ერთად ქვეყნის სარბევად წამოვიდა. სულთნის გეგმის მიხედვით, თუ სულეიმან ახალციხის ფაშა ერეკლეს ორიენტაციის შეცვლაში ვერ დაარწმუნებდა, ქართლ-ქახეთზე თავდასხმა ერთობლივად უნდა მოწყობილიყო ახალციხიდან და ჭარ-ბელაქნიდან. ეს ლაშქრობა სულთნის კარზე რუსეთის წინააღმდეგ საერთო „წმინდა ომის“ დასაწყისად მოიაზრებოდა. ომარ-ხანი ამ ფაქტს ერეკლეს არც უმაღლავდა: „ვიდრე რუსის ჯარი მანდ იმყოფება, მე პორტასაგან უფლება არა მაქვს საქართველო მოვასვენოო“.³

ახალციხის სულეიმან ფაშაც ენერგიას არ ზოგავდა, რომ ერეკლე არჩევანის შეცვლაში დაერწმუნებინა. რუსებს ცნობა ჰქონდათ, რომ 1786 წ. 19 თებერვალს სულეიმან ფაშას სულთნისაგან 44 ათასი მანეთი მიეღო, რათა დაფრიგებინა აზერბაიჯანის ხანებისათვისა და დაღესტნის მფლობელებისათვის და საქართველოზე სათარეშოდ წამოსულიყვნენ.⁴ ცბიერი ფაშა ერეკლესაც არწმუნებდა, რომ ჩრდილო-კავკასიელები საკუთარი ინიციატივით მოქმედებდნენ, „მათი ქმედება არც სულთნისათვის იქნება სასიამოვნო და არა მგრინა, ეს ყველაფერი მისი უმაღლესობის სურვილით ხდებოდეს. ჩემი მხრივ, გარწმუნებ, რომ თქვენთან მეგობრობის მეტი არაფერი მსურს, ჩვენს მეზობელ სამფლობელოებს დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა ეწია და მის დამრღვევს ღმერთი

¹ დაწვრ. იხ: იოსებ ალიმბარაშვილი. ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე. თბ., 2007.

² იესე ბარათაშვილი. ცხოვრება-ანდერძი, გვ. 691; 695

³ მიხეილ სამსონაძე. საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. თბ., 1988, გვ. 287.

⁴ იასე ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), გვ. 64.

დასჯისთ“,¹ მაგრამ რეალობა სულ სხვა იყო და ახალციხის მხრიდან ლექთა შემოსევებს კვლავ ინტენსიური ხასიათი ჰქონდა.

სულეიმან ფაშას თვითნებობით გაბეზრებული ერეპლე 1786 წ. 15 სექტემბერს თურქეთის ვეზირთან ჩიოდა, სადაც იმავდროულად ცდილობდა, მისი რუსეთთან კავშირის მიზეზები აეხსნა: „...რადგანაც მტერ მრავალნი ვიყავით, ჩვენს მეზობლებთან თუ სხვაგან, საცა ხელი მიგვიწვდებოდა ყველგან შემწეობა ვითხოვეთ, მარა არავისაგან მოგვეცა ჩვენს მტერზედ შემწეობა. ადრიოგანგა ჩვენი მამა პაპანი რუსეთის დიდებულის ჭელმწიფის უმაღლეს კარზედ მრავალჯერ შეხვეწნიან, და შემწეობა უთხოვიათ. ამ მიზეზით დიდებულის რუსეთის ჭელმწიფის კარს ჩვენც შავეხვეწნიოთ და შემწეობა ვთხოვეთ. მათმა დიდებულებამ წყალობა გვიყო, თავეთს საფარვალ ქვეშ შეგვიყვანა და ჩვენის მტრის პასუხის მისაცემად სამი ათასი კაცი გვიბოძა. სამი წელიწადი არის ეს სამი ათასი კაცი ჩვენს ქვეყანაში არის მოსული, მაგრამ არც იმათგან და არც ჩვენის კაცისგან დიდებულის ხუანთქრის ქვეყანაში, რაც ჩვენი მეზობლები არიან იმათს ადგილებში, ერთის იოტის ოდენი არც მალვით და არც ცხადათ არა წამხდარა რა, და თუ ვინმე ჩვენს ქვეყანაში მტერი მოსულა შეძლებისაებრ იმათს პასუხის მიცემას ვცდილვართ, თორემ სხვა რიგად არავისთვის რა გვიწყენინებია რა, მაგრამ სულეიმან ფაშამ ჩვენს ქვეყანაში ამ სამი ათასის რუსის მოსვლა იწყინა და დადისტნელნი მოიყვანა, ახალციხეს დააყენა, ჩვენს ქვეყანაში მრავალი სოფლები ააოხრა, მრავალი საქონელი და ტყვე წაასხეს და მრავალი სული დახოცეს. რადგანაც ორსავ დოვლათში შერიგება იყო, ჩვენც დიდებულის ხვანთქრის მორიდებასა და წყენისათვის ახალციხის ქაეყნიდამ ერთის იოტის ოდენა არა წაგვიხდენია რა, რომ სხვა ჩ-ნი (ჩვენი – ი.ა.) მეზობლები დიდებულის ხუანთქრის რაიანი ყველანი მოწამენი არიან, თორემ თუ დიდებულის ხონთქრის წყენას არ მოვრიდებოდით, იქნებოდა რომ ჩვენც წაგვეხდინა ახალციხის მაჭლებიო...“²

შერიგებაში ერეპლე გულისხმობდა 1786 წ. 15 სექტემბერს ახალციხის ფაშა სულეიმანთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვით, სულეიმან ფაშა ერეპლე მეფესთან პირობას დებდა, დაღესტნელების ჯარი ახალციხეში აღარ დაეყენებინა და არც საქართველოდან გატაცებული

¹ იასე ცინცაძე. მასალები, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1782-1791). – საისტორიო მოამბე №23-24. თბ., 1970, გვ. 114-115; დოკ. № 93.

² იასე ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 254-255.

ტყვეები მიეღო“.¹ ამასობაში რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგობები ძალზე დაიძაბა და ახალი ომის დაწყებას აღარაფერი უკლდა, ამიტომ 1787 წ. სექტემბერში ოსმალეთის სულთანმა ქაპია ბეგის პირით ერეკლეს კიდევ ერთხელ შესთავაზა: „თუ საქართველოში რუსეთის ჯარი აღარ იქნება, დიდ წყალობას მოგცემ, დადესტანსაც დაგაყენებ და რაც ზარალი ჩვენგან და ჩვენის მიზეზით მოგცემიათ, სრულიად ავანაზლაურებო“, მაგრამ ერეკლესგან კვლავ უარი მიიღო.²

ამ ფაქტმა სულთანი აღაშფოთა და ერეკლეს მოკავშირე ყარაბახელ სომხებს ომარ და იბრეიმ ხანები მიუსია. სომხებმა შემწეობა ერეკლეს სთხოვეს. 1787 წ. სექტემბერში მეფემ ქართულ-რუსული მხედრობით განჯის წინააღმდეგ გაილაშქრა და გაიმარჯვებდა კიდევაც, მაგრამ მოულოდნელად რუსის ჯარის უფროსს - მინისტრ-რეზიდენტს ბურნაშვილს პოტიომპინისაგან საქართველოდან დაბრუნების შესახებ ბრძანება მოუვიდა, რის გამოც რუსი პოლკოვნიკი საჩქაროდ აიყარა და ერეკლეს თხოვნის მიუხედავად თბილისისაკენ გამობრუნდა.³

რუსი ავტორები ცდილობენ ქართლ-კახეთში შექმნილი მძიმე ვითარება ერეკლეს უმოქმედობას მიაწერონ. მაგ. ვ. პოტოს აზრით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა იმის შედეგი იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფე თავდაცვისათვის საჭირო ზომებს არ იღებდა, საყოველთაო პანიკის ვითარებაში მყოფ საქართველოში კი ორი რუსული ბატალიონი მოელი ქვეყნის დაცვას ვერ ახერხებდა. ამის გამო, თითქოს პოტიომპინს საჭიროდ მიუწევია საქართველოში ჩამოსულიყო და ერეკლეს დამუქრებოდა, უკან გაიყვანდა რუსულ ძალებს, თუ მევე ადგილზე შესაბამის ზომებს არ მიიღებდა. ამიტომ ერეკლე იძულებული გამხდარა ადგილობრივი მილიციის ფორმირება მოეხდინა, რათა საზღვრისპირა ტერიტორიები დაეცვა ლეკებისაგან.⁴

ჩვენი აზრით, ზემოთქმული ადგილზე რეალურად არსებული ვითარების არ ცოდნით გამოწვეული სხვადასხვა „წყაროებზე“ გულუბრყვილო დანდობა კი არა, გამიზნული პროვოკაციაა, რომლის მიზანი ერეკლეს უუნარობისა და რუსული ძალების ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევის აუცილებლობის ჩვენებაა.

საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე საიმპერატორო კარი მოელ პა-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 500, დოკ. 139.

² იასე ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 62.

³ ხახლიშვილ საისტორიო არქივი, ფ. 1449; ს. 2795.

⁴ В. Потто, Кавказская война въ отдельныхъ очеркахъ легендахъ и биографияхъ. т. I. вып. II, СПБ., 1885, გვ. 262.

სუხისმგებლობას თურქეთს აკისრებდა. გარეგნულად ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს რუსეთი რეალურად იყო დაინტერესებული სტაბილური ქართლ-კახეთით და თურქეთთან ომის წამოწყება მხოლოდ გაჭირვებაში მყოფი ერთმორწმუნე ერის ინტერესების დაცვის მიზნით იყო განპირობებული. რუსი ისტორიაში 6. სმირნოვი აღნიშნულთან დაკავშირებით წერდა: „რაც უფრო რთულდებოდა იმპერიის საშინაო მდგომარეობა, თურქეთი მით უფრო დაუინებით ეძებდა საბაბს რუსეთთან კონფლიქტისათვის კავკასიაში. შემთხვევითი არ იყო, რომ 1785 წლიდან რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა კვლავ იწყებს გართულებას, ბრალს სდებდა, რა რუსეთს აგრესიულ პოლიტიკაში, თურქებმა თვით გამოავლინეს განსაკუთრებული აქტივობა კავკასიასა და დაღესტანში, რათა მოემზადებინათ ადგილობრივი მოსახლეობა შესაძლო ომის შემთხვევაში. მთავარი დარტყმის ობიექტად საქართველო იქცა.

დაღესტნების 300-700 კაციანი რაზმები თავს ესხმოდნენ ქართლის მოსახლეობას მტკვრის ორივე ნაპირზე. მიჰყავდათ ტყვე და საქონელი, ძარცვავდნენ ქონებას. ეს თავდასხმები ხდებოდა თურქეთის მთავრობის ნებართვით. მიუხედავად იმისა, რომ პორტამ რუსეთის მოთხოვნიდან გამომდინარე, „ამ-კრძალავი წერილები“ დაუგზავნა თავის ფაშებს, რომლებშიც უბრძანებდა, „ხელი არ ეხლოთ ხარისათვის, რომელიც წევს (იგულისხმება ერეკლე II – ი.ა.) და არ ეიძულებინათ წამომდგარიყო“, ...თურქეთი არ ზოგავდა თანხას ადგილობრივი ხანებისა და ბეგების მოსყიდვის მიზნით“.¹

1787 წელს რუსეთ-თურქეთის მეორე ომი მართლაც დაიწყო და რუსებმა ქართლ-კახეთში მდგარი ორი ბატალიონიც უკან გაიწვიეს. ისინი არც მალავდნენ, რომ საქართველოში მათი შემოსვლით ერეკლემ ბევრი მოკავშირე დაკარგა და უკან გასვლის შემთხვევაში ქართლ-კახეთის მეფე მოახერხებდა მეზობლებთან ძველი ურთიერთობების აღდგენას. თუმცა, ჯარის გაწვევის მთავარ მიზეზად ის დასახელდა, რომ რუსი ბატალიონები საქართველოში დიდ შიმშილს განიცდიდნენ.²

სინამდვილეში, რუსები თურქებთან ამ ომის მთავარი მოვლენების განვითარებას ბალკანეთის ფრონტზე გეგმავდნენ და საქართველოში ყოფნით თურქებისათვის ბრძოლის საბაბის მიცემა არ სურდათ. ბურნაშვილის საჩქაროდ

¹ Н. Смирнов. политика Российской на Кавказе в XVI-XIX веках, გვ. 129-130.

² С. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тифл., 1896, გვ. III.

უკან მიბრუნების მთავარი მოტივიც ეს გახლდათ. შიმშილი რომ არაფერ შეაშია, საბუთებითაც დასტურდება. ამ დროის ერთი დოკუმენტით ერეპლე იქსე ამილახვარს უბრძანებს: „მერმე ამ შენს სასარდლოს ზემო ქართლს, ამ სიით აქ მყოფის რუსის ჯარის სურსათი ვისაც შესწერებოდეს, ეს ასე უკლებლად უნდა გამოიღონ“.¹ ცოტა მოგვიანებით, პეტერბურგში გარსევან ჭავჭავაძისადმი ერეპლეს მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ რუსული მხედრობა ადგილობრივი მოსახლეობისაგან პურს, საბაზრო დირებულებასთან შედარებით, ხუთჯერ უფრო დაბალ ფასში ყიდულობდა² და სხვ.

ზურაბ ავალიშვილის შეფასებით, ქართლ-კახეთში დატრიალებულ უბუდურებაზე პასუხისმგებელობა რუსეთს უნდა აედო: „უკვე გეორგიევსკის ტრაქტატიდან 1 წლის შემდეგ, რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში ბულგაკოვი მოითხოვდა არ მიეყენებინათ ზიანი ქართლ-კახეთისათვის, მიუხედავად ამისა, ამ მოთხოვნებს შედეგი არ მოჰქონდა, რადგან რუსებთან დადგებული პროტექტორატი მეზობელ ახალციხის ფაშას სამფლობელოს დაკარგვით ემუქრებოდა (რომლის დაკავებასაც რუსეთის დახმარებით ცდილობდა ერეპლე), ამიტომ მხოლოდ რუსული არმიის საქართველოდან წასვლის შემდეგ, 1787 წელს ერეპლემ განაახლა მასთან კავშირი და ფაშამ თავდასხმები შეწყვიტა“. ზ. ავალიშვილი სვამდა სავსებით სამართლიან კითხვას: „რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, თურქეთთან მეორე ომის დროს (1787-1791 წლების ომი – ი.ა.), მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც იმპერიაზე დამოკიდებული სახელმწიფო, იმყოფებოდა თურქეთთან საომარ ვითარებაში, ეს უკანასკნელი არანაირ მტრულ დამოკიდებულებას ერეპლესთან ურთიერთობაში არ ამჟღავნებდა“. და პასუხობდა ლოგიკურად: „ერთი სიტყვით, თურქეთთან მშვიდობიანობის დროს რუსეთის პროტექტორატი საქართველოს არ იცავდა, ხოლო თურქეთთან ომის დროს იგი ზედმეტი აღმოჩნდაო“.³

მართლაც, XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლო შედარებით მშვიდობიანი გამოდგა ქვეყნისათვის. 1786 წლის 17 მაისს ერეპლე ზოგიერთ ჩრდილო-კავკასიელ ტომსაც გაურიგდა და ანწუხელებთან, კაპუჭელებთან და სხვებთან, თანამშრომლობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება გააფორმა. მოლაპარაკების მეორე მხარეს თუშ-ქართლელები (დოკუმენტის მიხედვით –

¹ ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წ. II, გვ. 144, დოკ. 53.

² А. Цагарели. Грамоты..., т. II, вып. I, гл. 135.

³ З. Авваловъ. Присоединение Грузии къ Российской, гл. 165-166.

ქართველები) წარმოადგენენ. დოკუმენტი 16 მუხლისაგან შედგება და სამ ნაწილად შეიძლება დაგყოთ. პირველ ნაწილში (I-III მუხლები) თუშების ვალდებულებებია გაწერილი. პირველივე მუხლი განმარტავს, რომ „დღეის იქით თუშებმა ასე წმინდათ უნდა დაიცვან თავი, რომ ჩვენს შემორიგებულს ლექს ანწუხელსა, კაპუჭელსა თუ სხუას ნურას აწყენენ და ნურარას მოპარავენ“.¹

მეორე მუხლის მიხედვით, თუ თუშები ბელაქნისაკენ ჯარით „სამტეროთ წასვლას მოინდომებდნენ“, მოურავისათვის უნდა შეეტყობინებინათ, დაზუსტებული იყო მათი მარშრუტიც. სათარეშოდ წასული თუშები ყვარლელებსა და გავაზელებს უნდა შეთანხმებოდნენ. ეს უკანასკნელი არჩევანში თავისუფალნი იყვნენ, უნდოდათ გაპყვებოდნენ, უნდოდათ – არა. გაღმა ქიზიყიდან თუშებს ზამთარ-ზაფხულ მოქმედების თავისუფლება ეძლეოდათ.

ზემოხსენებულ პროცესებში ანწუხელები ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ.

მეოთხე მუხლით გავლენის სფეროებია გადანაწილებული: „კართუბანსა და კართუბანს ჩასწვრივ ალაზნამდინ თუშნი ნუდარ ჩავლენ, ანწუხელთ დაანებონ, ნურც სანადიროდ, ნურც სამტეროთ და ნურც გზის შესაკრავათ ნუდარ გაივლიან“.² მეხუთე-მეათე და მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე მუხლებით „განჩინების დამრდვევთა პასუხისმგებლობა და „სისხლია“ განსაზღვრული ორივე მხრიდან. რომელიმე მხარის პირის მკვლელობის საზღაურად თავიდან თორმეტი თუმანი ყოფილა დაწესებული, შემდეგ თანხა გაუორმაგებიათ, მაგრამ მიზნისთვის მაინც ვერ მიუღწევიათ და „მაინც კიდევ ხოცდნენ“, ამიტომ ანწუხელის, თუშის, თუ ქართლელის მკვლელობისათვის საბოლოოდ 30 თუმანი დაუდგენიათ. თუ მკვლელი ან ქურდი დაიმალებოდა, სისხლის ფასი და ზარალის ანაზღაურება ნათესავს, ან „იმის სოფლის კაცს“ უნდა გადაეხადა. ქურდებს ზარალი ორმაგად უნდა აენაზღაურებინათ.

მეცხრე და მეათე მუხლებით თუშებს პირობის ფიცი და მუჩალგა ერთმეოდათ, რომ „ამ გარიგებას დღეის იქით აღარ გა[რ]დახდებოდნენ“.

XI-XIV მუხლებით ანწუხელების ვალდებულებები იყო დადგენილი. მათი უპირველესი პირობა იყო, რომ „სხუა დაღისტნის კაცი“ არ უნდა მოეყვანათ თავიანთ ბინაზე. თუ ანწუხელები თუშეთზე ან კახეთზე მომავალ მტრის მოპრაობას შენიშნავდნენ, გავაზელები და ყვარლელები უნდა გაეფრთხილებინათ. ისინი ასევე ვალდებული იყვნენ, ლეკების ხელიდან ქართველი ტყველი დაეხ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977, გვ. 731, დოკ. 381.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 732.

სნათ (ლეკების მცირე ჯარის შემთხვევაში) და ქართველებისათვის გადაეცათ. თუ ლეკები დიდი ჯარით მოდიოდნენ, „ჭეშმარიტ ამბავს“ ანწუხელები კვლავ ყვარლელ-გავაზელებს ამცნობდნენ. მეთოთხმეტე მუხლით უკვე ანწუხელები იძლეოდნენ პირობის ფიცს, რომ „განჩინებას“ ურყევად დაიცავდნენ.¹

გატარებული ღონისძიებების შედეგად, ლეკთა შემოსევებმა მნიშვნელოვნად იკლო, სამეფო კარი მათ მოგერიებასაც იოლად ახერხებდა. 1788 წლის სექტემბერში ერეკლე, როგორც იქნა, ახალციხის ფაშა – სულეიმანსაც მოურიგდა, „ახალციხური ქრონიკების“ მიხედვით, არც თუ უანგაროდ:

- „...1. 27 ენკენისა (სექტემბერი – ი.ა.) მეფე ერეკლე და ფაშა გარიგდნენ;
- 3 ღვინობ. (ოქტომბერი – ს.ა.) ხაზინადარი მეფე ერეკლესთან წავიდა;
- 4 ფაშამ ჯარი დაშალა;
- ...10. ხაზინადარი მოვიდა“²

სულეიმან ფაშა სიტყვის პატრონი მაინც არ აღმოჩნდა, იგი კვლავ უდებდა კარს დაღესტნელ აბრაგებს და ერეკლეს მოწინააღმდეგე ფეოდალებს. ეს ფაქტი მინიმუმ ორი მიზეზით იყო განპირობებული: ჯერ ერთი, დაღესტნელთა წაქეზებით ისიც მნიშვნელოვნად ითბობდა ხელს და მეორეც: როგორც ითქვა, სულეიმანს სერიოზული ეჭვი ჰქონდა, რომ ერეკლეს ახალციხის დაკავება ჰქონდა განზრახული, ამიტომ ქართლ-კახეთის განუწყვეტელი რბევით ერთდროულად საშიშ მეზობელსაც ასუსტებდა და სულთანსაც იმადლიერებდა.

XVIII ს. ბოლო ათწლეული ქვეყნისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. ერეკლე „ლეკიანობის“ საკითხის გადაჭრას პეტერბურგს მყოფ ქართველ დიპლომატებს მუდმივად შეახსენებდა. მისი მოთხოვნით 1795 წ. 18 სექტემბერს გარსევან ჭავჭავაძე კანცლერ ა. ბეზბოროვკოს სთხოვდა, მითითება მიეცა საქართველოში მყოფი რუსული მხედრობისათვის, დახმარებოდნენ ერეკლეს ჭარელთა „დამდაბლებაში“, ამასთან ეს ლაშქრობა ზამთარში უნდა მოეწყოთ, რადგან ჭარში ცივი ზამთარი არ იცოდა, ამიტომ „საზოგადო სარგებლობისათვის სჯობს მათზე ზამთარში ვიმოქმედოთ“³ მაგრამ რუსებმა ერეკლეს ეს თხოვნაც უპასუხოდ დატოვეს.

1795 წლის 10-11 სექტემბერს, კრწანისის ბრძოლაში მარცხმა მოხუცებული მეფე კიდევ ერთხელ დატოვა ბედისწერის პირისპირ. ერეკლეს კრწანის-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 732, დოკ. 381.

² შოთა ლომსაძე. გვიანი შეა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან..., გვ. 106.

³ ზურაბ ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 145

თან დამარცხებით მაშინვე ისარგებლეს დაღესტნელებმა, 4 ათასამდე კაცი შეიკრიბა და იმავე წლის ოქტომბერში პანკისს დაეცა. არც სულეიმან ფაშა კარგავდა დროს უქმად, 1796 წ. 6 იანვარს რუსეთის ელჩი სტამბულში კოჩუბეი რუსეთის მთავრობას ატყობინებდა, რომ ახალციხის ფაშას 300 დატყვევებული ბავშვი გაეყიდა.¹ კრწანისთან ქართველების მარცხის მოსალოდნელი შედეგი საიმპერატორო კარზე გვიან გააცნობიერეს. რუსეთს გასაჭირებული და მტრის პირში მიცემული მოკავშირე ეკარგებოდა, ხოლო საქართველოს დაკარგვით იგი იძულებული გახდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში ფეხი ამოეპვეთა,² ამიტომ 1796 წელს ზუბოვის მეთაურობით ჩრდ. კავკასიაში წარმატებული ლაშქრობა წამოიწყეს, აიღეს დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია და ირანში შესაჭრელად ემზადებოდნენ, მაგრამ არც ამჯერად მიიყვანეს საქმე ბოლომდე. ნოემბერში ეკატერინე II გარდაიცვალა, ტახტზე ასულმა პავლე I-მა ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია. დაღესტნელი ანაბეჭდებმა ქართლ-კახეთის უნუგეშო მდგომარეობა რეალურად შეაფასეს, ადა-მაჭმად-ხანი კვლავ საქართველოზე ლაშქრობის სამზადისს შეუდგა, ომარხანიც კახეთს მოადგა,³ მაგრამ იმჯერად საქართველო გადარჩა.

სიცოცხლის ბოლო წლებში მოხუც ერეკლეზე დიდ გავლენას ახდენდა დარეჯან დედოფალი, რასაც საგანგებოდ ხაზს უსვამენ რუსი ავტორები (ბუტკოვი, დუბროვინი და ა. შ.) და აღნიშნავენ, რომ სარგებლობდა, რა მეფის განუსაზღვრელი ნდობით, ერეკლეს ასაკის მომატებასთან ერთად დედოფალი სულ უფრო აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში და ახასიათებენ მას (დარეჯან დედოფალს – ი.ა.) ჭკვიან, მაგრამ ძალაუფლებისმოყვარე, ცბიერ და მკაცრ ადამიანად.⁴ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას 6. დუბროვინი სწორედ ამ ფაქტს უკავშირებს: „...მეფის ამ ბრძანდობამ და ცოლის ხელში მთელი ძალაუფლების გადაცემამ, საბოლოოდ საქართველოს ბედზე დამდუპველი გავლენა იქონიაო“.⁵

რუსი ავტორების მიერ საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი რეალური ვითარების კიდევ უფრო დრამატიზება შემთხვევითი არ არის. არც იმის მიხედრაა ძნელი, რომ საიმპერატორო კარის უმაღლესი წრეების მითითებით

¹ იასე ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 62.

² საქართველოს ისტორია., ნაწ. I. გვ. 414.

³ იოსებ ალიმბარაშვილი. ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოს წინააღმდეგ, გვ. 51-54.

⁴ Н. Дубровин. История войны.., т. II, გვ. 38; П. Бутков. Материалы.., т. II, გვ. 336.

⁵ Н. Дубровин. История войны.., т. II, გვ. 38.

უკელაფერი კეთდებოდა იმისათვის, რათა დიდი ხნის წინათ მოფიქრებული და ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ განხორციელებული აქტი (მხედველობაში გვაქვს 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი), პოლიტიკურად და მორალურად გამართლებულიყო.¹

1798 წლის 11 იანვარს, ამდენი ჭირ-ვარამ გამოვლილი, 80 წელს მიტანებული მეფე ერეკლე გარდაიცვალა. გამეფდა ერეკლეს უფროსი ვაჟი გიორგი XII (1798-1800 წ.წ.), რომელიც ერეკლეს მეორე ცოლის, ზაალ აბაშიძის ასულ ანასაგან ჰყავდა, ხოლო დანარჩენი ვაჟები (იულონ, მირიან, ვახტანგ, ალექსანდრე, ფარნაოზ ბატონიშვილები) – დარეჯან დედოფლისაგან. მამის გარდაცვალების შემდეგ, გიორგიმ შეცვალა 1791 წელს მიღებული კანონი და მემკვიდრედ უფროსი ბე – დავითი გამოაცხადა, რამაც გიორგის დედინაცვალი დარეჯან დედოფლი და ნახევარ-ძმები აშკარად ააჯანყა. ბატონიშვილები თავიანთ საუფლისტულოებში ჩაიკეტნენ (იულონი თავს ქართლის მეფედ თვლიდა, ვახტანგი არაგვზე გამაგრდა, მირიანი – მარტყოფში, ფარნაოზი – სურამში, ალექსანდრე სპარსეთში გაიქცა და შაპის დახმარებით ცდილობდა რუსების მოიმედე გიორგის დამარცხებას) და გიორგი XII-ს მეფედ არ ცნობდნენ.

ლეკტა გამუდმებული შემოსევების, დაპირისპირებული დედინაცვლისა და ნახევარ-ძმებისაგან დასაცავად მეფე იძულებული გახდა 5-7 ათასი ლეკი დაქქირავებინა.² როცა ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი, ისევ რუსების ხელით სცადა საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფა. 1800 წ. აგვისტო-სექტემბერში იგი ერთიმეორის მიყოლებით უგზავნის სათხოვარ წერილებს³ გენერალ კნორინგს და საქართველოში 6000 ჯარისკაცის გამოგზავნას სთხოვს. ოთხი თვის „პრავიანტსა და ფურაჟს“ პპირდება და გარანტიას აძლევს, რომ „ყაზიბეგიდამ ტყილისამდე დანიშნულს ადგილებში მზა არის სუხარი, კრუპა და ფურაჟი ...არც იმაზე შეწუხდებიან და არც დააკლდებათ“. 6 ათასი რუსი „რეგურალის“ გამოგზავნის შემთხვევაში, მეფის მთავარი მოტივი ის არის, რომ „ჩვენს გარშემო მტერთ შეეშინდესთ და ეგრეთვე რომელნიც მტერნი შინა გვყვანან,“

¹ საგულისხმოა, რომ მოგვიანებით, როცა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების პროექტს ადგენდნენ, 1801 წ. 8 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს სხდომის დასკვნაში ასეც ჩაიწერა: „ამ ქვეყნის (ქართლ-კახეთის – ი.ა.) რუსეთთან შეერთება არ შეიცავს რაიმე უსამართლობას, არამედ ეს იქნება ამ ქვეყნის ხსნა, ხოლო რუსეთისათვის ის წარმოადგენს არსებითი ხასიათის სარგებელსო“ (იხ. ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. გ. II, გვ. 257).

² **П. Бутков.** Материалы., ч. II, გვ. 448.

³ Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею т. I. вып. II, გვ. 144-145, დოკ. №61; გვ. 146, დოკ. № 64; გვ. 149, დოკ. №68.

იმათაც ჩვენზედ ბოროტი განზრახვა აღარა ჰქონდეთ“.¹

1800 წ. 7 ნოემბერს, სოფ. კაკაბეთთან, ნიახურას ველზე, გიორგი XII-მ რუსების დახმარებით უკანასკნელი გამარჯვება მოიპოვა ალექსანდრე ბატონიშვილისა და ომარ-ხანის მხედრობაზე. კაკაბეთთან ბრძოლა ქართულ ისტორიოგრაფიაში შეფასებულია, როგორც წარმატებული ნაბიჯი დაღესტნელთა შემოსევების წინააღმდეგ. სინამდვილეში, ნიახურას ველზე ომარ-ხანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის დროშის ქვეშ ქართველები საკმაო რაოდენობით იბრძოდნენ, მაგ. ჯერ კიდევ 25 ოქტომბერს, ყოვლად სამღვდელოს ბოდბელსა და ქიზიყის მოხელეებისადმი ალექსანდრეს მიერ მიწერილი წერილიდან ცნობილია, რომ დაუცხომელი ბატონიშვილი გარე კახეთიდან 1500 მეომარს ელოდებოდა.²

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დავით ბატონიშვილისა და რუსების გაერთიანებულ მხედრობაში იძულებით გამოყვანილი მოსახლეობა იბრძოდა, როცა ალექსანდრესთან მისვლა დიდ რისკთან და ოჯახების წახდენასთან იყო დაკავშირებული. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, ვის მხარეს იყო იმ დროისათვის ქართველი მოსახლეობის სიმპათია. რუსების წინააღმდეგ მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს ომარ-ხანი „საყვარელ ძმად“ მოიხსენიებდა და მის დასახმარებლად ნიახურას ველზე მთელი ჩრდილო კავკასიური მხედრობის მობილიზება შეძლო. კაკაბეთთან ალექსანდრესა და ომარ-ხანის გვერდით იბრძოდნენ ხაპუთა და ჯონგათაი მაჭად ხანები, იბრეიმ ხანი, მურთუზალი და სხვები 17 ათასიანი კოალიციური მხედრობით.³ თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის რუსეთისადმი ერთგულება შექმნილმა რეალობამაც განაპირობა. გიორგი იძულებული იყო იმპერიისადმი ლოიალური პოლიტიკა გაეტარებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ერთადერთ საგარეო „დამცველს“ – იმპერატორსაც კარგავდა და მარტოდმარტო რჩებოდა საგარეო მტრისა და ტახტის მაძიებელი ბატონიშვილების დაჯგუფების პირისპირ.⁴

გიორგი XII-ის ორწლიან უბადრუკ მეფობაში ეს იყო ყველაზე „სახელმანი“ გამარჯვება“. 28 დეკემბერს იგი გარდაიცვალა. ახალ საუკუნეს საქართველო ახალ რეალობაში ხვდებოდა. პირველად ათასზე მეტი წლის შემდეგ -

¹ Акты..., т. I, вып. II, № 149, лл. 68.

² იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. კაკაბეთთან (ნიახურას) ბრძოლის შეფასების..., გვ. 398.

³ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. კაკაბეთთან (ნიახურას) ბრძოლის შეფასების..., გვ. გვ. 399.

⁴ ნიკოლოზ ჯავახიშვილი. ხუნდეთის ნუცალი უმა V და საქართველო, კრებული. – ისტორია-ნი. ქრებ. მიმღენილი როინ მეტრუველის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ. 333.

უმეფოდ. არ შეცვლილა მხოლოდ ლეკიანობის მასშტაბები და შინაარსი. ქართველებიც ჩვეული თავდადებით ებრძოდნენ დაღესტნელ მომხდურებს, ოდონდ ერთი განსხვავებით – უკვე რუსული დროშის ქვეშ.

3. ლეკიანობა ქართლ-კახეთში რუსული ხელისუფლების დროს (XIX ს. დასაწყისი – 30-იანი წლები)

გიორგი XII-ის მემკვიდრეს – დავით ბატონიშვილს, რუსებმა მხოლოდ დროებით (1801 წლის იანვარ-მაისი), ჩააბარეს მმართველობა, მაშინაც კნორინგ-ლაზარევის უკითხავად ქვეყანაში არაფერი ხდებოდა.

დავით გიორგის ძეს მალე ფორმალური ძალაუფლებაც ჩამოერთვა და ქვეყნის ხელისუფალნი „დე ფაქტოც“ და „დე იურეც“ კნორინგ-ლაზარევი გახდნენ. 1802 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში მთლიანად რუსული მმართველობა დამყარდა, ხოლო დავით ბატონიშვილი 1803 წლის 18 თებერვალს სამუდამოდ რუსეთში გადასახლეს. მალე მას დედოფლები (დარგვანი და მარიამი) და ყველა ის ბატონიშვილი მიაყოლეს, ვისაც რაიმე პრეტენზია შეიძლებოდა პქონოდა საქართველოს სამეფო ტახტზე.

აღმ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ „ლეკიანობა“ უშუალოდ რუსების მოსაგარებელი გახდა. საიმპერატორო კარი კვლავ აქტიურად გამოდიოდა ერთმორწმუნე ხალხის დაცვის ლოზუნგით.¹ თუმცა, მარტივი მიზეზის გამო ამჯერად იძულებული გახდა ჭარბელაქანის პრობლემა იარაღის ძალით გადაეწყვიტა: 1801 წლამდე იგი მხოლოდ „მფარველობაში“ მყოფ ქვეყანას „ეხმარებოდა“, ხოლო 1801 წლის შემდეგ, ეს ქვეყანა „საკუთარ ნაწილად“ იქცა.

რუსეთი ასევე მოხერხებულად იყენებდა გეორგიევსკის ხელშეკრულების იმ სეპარატიულ მუხლს, რომელიც მას საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთებას ავალდებულებდა. დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფოს დროს ეს მუხლი რუსეთს არასოდეს გამოუყენებია, მაგრამ ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. საიმპერატორო კარმა უკვე „ვალდებულად“

¹ ბუნებრივია, იმ დროისათვის ქართველები ვერც წარმოიდგენდნენ, რომ რუსეთის მხრიდან კავკასიაში დამკვიდრების საბაბად მუდმივად ერთმორწმუნოების მტკიცება, სინამდვილეში მხოლოდ ფარსი იყო და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას (1801 წ.), მალე ქართველი ეკლესიის ავტოკაფალიის გაუქმებაც (1811 წ.) მოჰყებოდა.

ჩათვალა თავი ამ ტერიტორიების შემოერთებაზე ეზრუნა. ეს ფაქტი მარტივად ასახსნელი იყო: საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის შემოერთებით რუსეთის იმპერია კიდევ უფრო იზრდებოდა.

პირველ რიგში მოსაგვარებელ საკითხად ამ ეტაპზე სწორედ ჭარ-ბელაქანის ტერიტორიის შემოერთება იქცა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საინგილო საქართველოს ყოფილ ტერიტორიას წარმოადგენდა. მეორე: რუსეთს უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა, იგი ირან-ოსმალეთთან ომების დაწყებას აპირებდა და საქართველოს ყოფილი ტერიტორიების დაბრუნებასთან ერთად, გამარჯვების შემთხვევაში სამხრეთ კავკასიაში მოხერხებულ პლაცდარმს იქმნიდა. და მესამეც, ზურგში სახიფათო და აგრესიული ჭარ-ბელაქანის დაპყრობის გარეშე, რუსეთი ირან-ოსმალეთთან ხსენებულ ომებს ვერ დაიწყებდა.

სამართლიანად მიუთითებდა მ. დუმბაძე: „აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული რუსეთის მთავრობა დასაწყისში (და შემდეგაც, სადაც საჭიროდ სცნობდა) ძველი ქართული მიწა-წყლის შეკრება-გაერთიანების ლოზუნგითაც გამოდიოდა ჭარ-ბელაქანის დამორჩილებისათვის. ასეთი მოტივი სავსებით საფუძვლიანი იყო და იგი კარგად ფარავდა მთავრობის ნამდვილ მიზნებს საქართველო-ამიერკავკასიის სრული დაპყრობის საქმეში“.¹

რუსეთის „ოფიციალურმა“ დამკვიდრებამ ქართლ-კახეთში ირან-ოსმალურ-დადესტნური კოალიცია ახალი ენერგიით აამოქმედა. თავისი აგრესიით გამოირჩეოდნენ დადესტნელი მთიელები. რუსეთის ამიერკავკასიაში გაბატონებით ისინი საბოლოოდ მოექცნენ ქრისტიანული ქვეყნების გარემოცვაში, რის შემდეგ, რუსეთისათვის მათი პოლიტიკური დაპყრობა ძნელი აღარ იქნებოდა, ამიტომ თავისუფლების მოყვარე მთიელთა პროტესტმა მთელი ძალით იფეთქა, ამჯერად არა მარტო ქართველების, არამედ რუსების წინააღმდეგაც.

შეპირებული მშვიდობის ნაცვლად, ქვეყნის მშენებლობის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. საქართველოს მდგომარეობა იმ მონადირეს ჰგავდა, რომელიც დაჭრილ ნადირს უიარადოდ შეატოვეს. ამიტომ იყო, რომ ქართველმა აზნაურობამ 1802 წელსვე პეტიცია შეადგინა და საქართველოს მმართველთან ჩიოდა: „ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ საქართველო რუსეთს შეაერთა და მანიფეშტები გვიბობა, რომ ყოველსფერი მოწყალება თვითეულად გვიბობანა, თქვენგან არ აგვისრულდა. უშიშროება გვიბობანა, რაში ჩანს? სოფლებსა და

¹ მამია დუმბაძე. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, გვ. 131.

სოფლებს გლეჯენ ლეპნი და თქვენ არას ნაღვლობთო“.¹

1802 წ. ივლისში რუსული ხელისუფლების ძალმომრეობით შეწუხებულმა კახელი თავადაზნაურობის ნაწილმა იმპერატორის ტახტის ერთგულებაზე უარი განაცხადა და აჯანყდა. გამოსვლები სოფ. ქელმენჩურში დაიწყო. აჯანყებას ოთარ ჯანდიერი და სვიმონ ქობულაშვილი ჩაუდგნენ სათავეში. ალექსანდრე ბატონიშვილმა შექმნილი მომენტით ისარგებლა, ჭარში გადავიდა და ჯამაათთან მოლაპარაკებები დაიწყო რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების საწარმოებლად. ამ ფაქტით შემფოთებული გულიაკოვი ციციანოვს ატყობინებდა, რომ ალექსანდრეს ემისრები ცდილობდნენ კახელი მოსახლეობის „ლეკების“ მხარეზე გადაბირებას და კახელი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი კიდეც დაიძრა ჭარ-ბელაქანისაკენო,² მაგრამ იმ დროისათვის ალექსანდრემ სერიოზულ ძალების თავმოყრა ვერ მოახერხა და ისევ ირანში დაბრუნდა, ლეკებმა კი ჩვეულ მარბიელ ძარცვა-თარეშებს მიჰყეს ხელი. დაღესტნელთა „პლაცდარმი“ ქართლზე თავდასასხმელად კვლავ ახალციხე იყო, საიდანაც ფაშას ხელშეწყობით ისინი დაუბრკოლებლად გადმოდიოდნენ და არბევდნენ მოსახლეობას.

„ლეკიანობის“ სიმბიმე საკუთარ თავზე რუსებმა ძალიან მალე იგრძნეს. მიუხედავად რუსი გენერლების მუქარისა, მარტო ქართლ-კახეთში ყოველწლიურად ახალციხის მხრიდან ლეკო შემოსვების შედეგად 300-მდე კომლი ან ნადგურდებოდა, ან უმთავრესად ახალციხეში ტყველ იყიდებოდა. კნორინგისა და ლაზარევის ოფიციალურ მიმართვაზე – ხელი არ შეეწყო მძარცველთა ბანდებისათვის, რომლებიც ქართლს აწუხებდნენ, ახალციხის ფაშა – შერიფი პასუხობდა: „ლეკები ჩემს უნებურად ტყვებსა და ხევ-ხუვებში იმალებიან და მე არაფერს მეკითხებიან“.³

ჯერ კიდევ 1801 წ. 26 აპრილს ლაზარევი კნორინგს უპატაკებდა: „...დადგება თუ არა გაზაფხული, იწყება ლეკების მტაცებლური თავდასხმები საქართველოზე. ისინი გადმოდიან მცირე რაზმებით, მიჰყავთ და ხოცავენ ტყვებსა და მინდვრად მომუშავე ადამიანებს. რუს ქვეითთა რაზმებს მათი მოგერიება არ შეუძლიათ, რადგან მათი დევნა შეუძლებელია“. ლაზარევი აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო დუშეთიდან მცხეთამდე და ლართისკარის გასასვლელ-

¹ აბელ კიქვიძე. საქართველოს ისტორია. 1801-1890 წწ. თბ., 1974, გვ. 31-32.

² И. Петрушевский. Джаро-белаканские..., გვ. 80.

³ შოთა ლომისაძე. სამცხე-ჯავახეთი. გვ. 106-107.

თან თრი ცხენოსანი ეგერთა ასეულის ჩაყენება. ამავე დროს დიდ-მოხელეს აფრთხილებდა: „ამ საქმეში ქართველების ნდობა არ შეიძლება, რადგან ლეკები დაუბრკოლებლად ახერხებენ ქართველთა პიკეტების გავლას და უფრო მეტიც, ტყვეებადაც კი მიჰყავთ ისინი“.¹

1801 წლის აპრილში სიღნაღმი მდგარი პოლკოვნიკი კარიაგინი მთავარ-მართებელ კნორინგს ატყობინებდა 4 000 ლეკის შესახებ, რომლებიც ორ პარტიად ემზადებოდნენ კახეთზე თავდასასხმელად.² რუსების ოფიციალური ცნობებით: 29 მაისს ლეკების ერთ-ერთ რაზმს თბილისის შემოგარენში გაუძარ-ცვავს ერთ-ერთი სოფელი, ტყვედ წაუყვანია 80 ქალი და მამაკაცი და 300 სული საქონელი. ხელისუფლების ოფიციალური პირების მიმოწერიდან ჩანს, რომ 1801-1803 წლებში ქართლ-კახეთში ლეკთა შემოსევებს ინტენსიური ხასიათი აქვს, რასაც აქტიურად ხელს უწყობს ახალციხის შერიფ ფაშა, ხოლო მის უგან კვლავ ოფიციალური სტამბოლი დგას.³

კნორინგ-ლაზარევმა ქართლ-კახეთში ლეკიანობის საკითხი ვერ გადაწყვიტეს. თეიმურაზ ბაგრატიონი მთავარმართებელ კნორინგის შეცვლას (1803 წ. იანვარში) პავლე ციციანოვით (ციციშვილით), სწორედ ამ გარემოებით ხსნის.⁴ პ. ციციანოვმა ლეკების წინააღმდეგ თავიდანვე ენერგიული ზომები მიიღო. მან მთავარ მიზნად დაისახა ლეკთა თავდასხმების აღკვეთა არა ახალციხი-დან, არამედ ჭარ-ბელაქანიდან, საიდანაც მუდმივად მარაგდებოდა ახალციხე. მანვე მოითხოვა 4 საგუშაგოს დაარსება თურქეთის საზღვარზე, მათ შორის სურამსა და წალკაში.

1803 წლის მარტში გულიაკოვის მეთაურობით ბელაქანში მხედრობა გაიგზავნა, რომელმაც იქაურობა გადაწვა და ჭარელებს შემდეგი პირობები წაუყენა:

1. არ მიეცათ თავშესაფარი ალექსანდრე ბატონიშვილისა და რუსულ ხელისუფლებას გაქცეული სხვა ქართველი თავადებისათვის;
2. მიედოთ და შეენახათ საკუთარ კმაყოფაზე რუსი გარნიზონები;
3. გადაეხადათ ყოველწლიური ხარკი აბრეშუმით რუსებისათვის, იმ რაოდენობით, რასაც ადრე კახელ მეფეებს უხდიდნენ;

¹ Акты..., т. I, вып. II, გვ. 338; დოკ. № 433.

² И. Петрушевский. Джаро-белаканские..., გვ. 78.

³ იხ: Н. Дубровин. История войны..., т. III, გვ. 406-407; Акты..., т. I, вып. II, გვ. 285, დოკ. № 322; გვ. 659, დოკ. № 931; გვ. 664, დოკ. № 940; გვ. 669; დოკ. 964; გვ. 672; დოკ. № 940 და სხვ.

⁴ თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. გვ. 68-69.

4. მიეცათ ყოველწლიურად ხუთი მძღვალი წარჩინებულ ცნობილ გვართა წარმომადგენელთაგან.

პირობების მიღების შემთხვევაში, პ. ციციანოვი ჭარელებს საშინაო საქმეებში ხელშეუხებლობას „ფიციო“ უმტკიცებდა¹. თუმცა, არც ციციანოვის ღონისძიებებს მოჰყოლია რაიმე არსებითი შედეგი. ლეკები შერიც ფაშას ხელშეწყობის მთელ ქართლ-კახეთს იყვნენ მოდებულნი. დაეცნენ ქარელს, კავთისხევს, ატენის ხეობას, ჩაუარეს ხიდისთავს, სკრას, ხვედურეთს, წალკას და რაც ხელთ მოხვდათ გაიტაცეს.²

პ. ციციანოვი კვლავ ძველ გეგმას მიუბრუნდა. მისი დავალებით რუსთა ერთი რაზმი გენერალ ორბელიანის სარდლობით ახალციხეში შეიჭრა, შეშინებულმა ფაშამ ორბელიანს ქედი მოუხარა და 600 აბრაგი წარუდგინა დასახალად. ლეკი აბრაგები განაიარადეს და შერცხვენილები მთელს ქართლსა და კახეთში ჩამოატარეს,³ ხოლო სხვა რაზმმა გულიაკოვის სარდლობით ჭარბელაქანზე ილაშქრა. ამ ლაშქრობას, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მიზნები განაპირობებდა, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი გამოკვეთილად მიანიშნებს:

პირველი: ჭარ-ბელაქანის დაპყრობის გარეშე საქართველოში „ლეკიანობის“ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იყო, ეს კუთხე კახეთს უშუალოდ ემეზობლებოდა და აქედან შეუფერხებლად გადმოდიოდნენ ლეკთა დიდი თუ მცირე რაზმები აღმოსავლეთ საქართველოში. ჭარ-ბელაქანის დაპყრობა ასევე მნიშვნელოვნად შეამცირებდა ლეკთა თარეშს ახალციხის მხრიდანაც, რადგან დაღისტნიდან ახალციხეს მისასვლელი მარჯვე გზა დახშული აღმოჩნდებოდა. მეორე: ჭარ-ბელაქანი აბრეშუმით მდიდარი კუთხე იყო და მისი შემოერთება ქვეყნის შემოსავალს გაზრდიდა. დაბოლოს: ამ კუთხეში გარბოდნენ რუსული მმართველობის შემოღებით უკმაყოფილო ქართველი თავადები. ⁴

ჩვენი აზრით, იყო კიდევ რამდენიმე სერიოზული მიზეზი, რომლის გამოც რუსეთმა ჭარის დაპყრობა გადაწყვიტა: როგორც ზემოთაც აღინიშნა, რუსეთი ირანთან ომის დაწყებას აპირებდა და ჯერ ერთი, ზურგში აგრესიული და

¹ И. Петрушевский. Джаро-белаканские..., გვ. 85.;

² тეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. გვ. 69; Акты... т. II. Тифл., 1868, გვ. 758-759, დოკ. №1551; გვ. 760, დოკ. №1553; მასალები ...შეკრებილი დავით გიორგის მისა და მისი მმების.., გვ. 68-69 და სხვ.

³ მათია დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 841-842.

⁴ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 276.

„მოურჯულებელი“ დაღესტნის ყოფნა მისთვის სახიფათო იყო; მეორე – ქართლში ლეკოთა თარეშის აღსაკვეთად იგი იძულებული იყო მუდმივად პყოლოდა ზურგში დამატებითი სამხედრო ძალები, რაც საიმპერატორო კარს არახელსაყრელ ვითარებაში აყენებდა. და მესამეც, – რუს ხელისუფალთ უსაფუძლოდ არ ეშინოდათ იმ თანაგრძნობის, რომელიც ჭარ-ბელაქნელებსა და ავარებს შეიძლებოდა პქონოდათ, არა მარტო ქართველ გლეხობაში, არამედ რუსებისადმი ოპოზიციურად განწყობილ თავადაზნაურთა რიგებში. ეს გარემოუბა ჭარ-ბელაქნებს საერთო კავკასიურ მნიშვნელობას პძენდა¹ და აქედან გამომდინარე მისი დაპყრობის გარეშე რუსეთი ირანთან ომს გერ დაიწყებდა.

გულიაკოვმა 9 მარტს ბელაქანი აიღო, ხოლო 29 მარტს ჭარიც უბრძოლველად დაიკავა.² დაღებული ზავის თანახმად ლეკებს ხარჯის სახით ყოველწლიურად 1100 ლიტრი (=3520 კგ.) აბრეშუმი უნდა ეხადათ. ამავე ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, ჭარელებს თავიანთ ქვეყანაზე არ უნდა გაეტარებინათ საქართველოს სარბევად დაღესტნიდან ჩამოსული ლეკები,³ თუმცა იმავე წლის ოქტომბერში ლეკებმა პირობა დაარღვიეს და საქართველის ორი მხრიდან შემოუტიეს. ჭარ-ბელაქნის მხრიდან კახეთში შემოიჭრნენ, ხოლო ახალციხის მხრიდან ქართლის სოფლებს დაეცნენ. ამჯერად რუსებმა ისინი ადვილად დაამარცხეს და უკან გააბრუნეს.

1804 წ. იანვარში გულიაკოვმა კიდევ ერთხელ ილაშქრა ურჩი ჭარელების დასამორჩილებლად, მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში 15 იანვარს რუსები დამარცხდნენ, ხოლო თვით გულიაკოვი მოკლეს. პ. ციციანოვმა სცადა დიპლომატიურად მოეგვარებინა ახალციხის საფაშოს საკითხი მაგრამ აღარ დასცალდა: 1806 წლის 30 იანვარს ბაქოს ალყის დროს პუსეინ ხანთან მოლაპარაკებაზე მისული – მოკლეს, თავი მოკვეთეს და ირანის შაჰს – ბაბა ხანს გაუგზავნეს, ხოლო ტანი ციხის გვერდით დაფლეს (მოგვიანებით ტანი თბილისში გადმოასვენეს და სიონის ტაძრის ეზოში დაკრძალეს). ლეკებმა კი ქართლის რბევა კიდევ უფრო ენერგიულად გააგრძელეს, რასაც იმავე 1806 წ. ნოემბერში, რუსების კიდევ ერთი ლაშქრობა მოჰყვა ჭარში გენერალ ორბელიანის მეთაურობით. ლეკები დამარცხდნენ და კიდევ ერთხელ პირობა დადეს, რომ ხარჯს გადაიხდიდნენ და საქართველოში აღარ ითარეშებდნენ.

¹ И. Петрушевский. Джаро-белаканские..., გვ. 78.

² გულიაკოვის ამ ექსედიციაში მონაწილე ქართველი მეომრების რაოდენობა (4500 კაცი), სამჯერ აღემატებოდა რუსი ჯარისკაცების რიცხვს (1482 კაცი)

³ А. И. Фонь-Плотто. Природа и люди Закатальского округа, გვ. 13.

მოკლული პ. ციციანოვის ნაცვლად მთავარმმართებლად დაინიშნა გუდოვიჩი. მალე იგი ტორმასოვით შეცვალეს, მაგრამ „მანცა ვერა ძალ იდვა აღვირსხმად მტაცებლობასა ლეკთასა, ო(ომე)ლნიმცა მარადის რყვნიდიან დაბნებსა და სოფლებსა საქართველოსასა და მარადის სტაცებდიან რუსთა და მათთა ყაზახთა ცხენთა პოლკებთასა და იყო ფრიადი განუსვენებლობა და ოხრება მათგან“.¹

ზემოთ მოტანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ XIX ს. პირველ ათწლეულში, მიუხედავად რუსი ავტორების არაერთგზის მტკიცებისა, ლეკთა შემოსევები ქართლში არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. ამ ამბების უშუალო მომსწრე თეიმურაზ ბატონიშვილი ხსენებულ პერიოდს შემდეგნაირად აფასებს: „არა ოდეს მოიხსენების და ვერცა დაიტევს ისტორია ესვ, თუ ვთარი ოხრება იყო ლეკთაგან საქართველოსა შ(ინ)ა“.²

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩრდილო-კავკასიელთა დამოკიდებულება ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელთა მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა. დადესტნელები უკვე აქტიურად თანამშრომლობენ და წარომეული ტახტის დაბრუნების საქმეში დახმარებას სთავაზობენ საიმპერატორო კართან ოპოზიციაში მყოფ სოლომონ II-ს,³ ალექსანდრე, ფარნაოზ და იულინ ბატონიშვილებს, ლევან იულონის ძეს⁴ და სხვ.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთი აქტიურად შეეცადა ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცებას და ერთდროულად ორი ომი დაიწყო – თურქეთისა (1806-1812 წწ.) და ირანის (1804-1813 წწ.) წინააღმდეგ, ამავე ხანებში დასავლეთ საქართველოს დაპყრობა-შემომტკიცებით იყო დაკავებული (დაიპყრო იმჯ

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია, გვ. 73-74.

² თეიმურაზ ბაგრატიონი. გვ. 71.

³ მაგ. 1810 წელს რუსთაგან მოტყუებით შეპყრობილი და თბილისს დატყვევებული სოლომონ იმერთა მეფე (1789-1810 წწ.), თბილისიდან ერთგულ კაცთა დახმარებით გაიპარა 30 მხელებით, გზაზე შემოეყარათ ლეკთა ბელადი ნურ მაპმადი სამასი ლეკით, რომელთაც რუსებთან მებრძოლი სოლომონ II ახალციხეში შერიფ ფაშასთან უგნებლად ჩაიყვანეს. ფაშამ მეფე დიდი პატივით მიიღო და მოაგება ცხენი აკაზმული ოქროთა და შეიყვანნა დიდისა დიდებითა“ (იხ: ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხოვბა..., გვ. 117). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლეკების 300 კაციანი მხედრობის გადადგილება ქართლში 1810 წელსაც შემთხვევითი არ იყო.

⁴ როდესაც რუსებს გამოქცეული და ახალციხეში მიმავალი იულონის ძე, ბორჯომთან, გოგიას ციხეში მარბიელმა ლეგებმა მძინარე ნადაგლის გამო მოჰყლეს, ამ ამბის შემტყობმა ახალციხის ფაშამ ნადავლს დახარბებული ლეკები ძელზე გასვა, ხოლო ამ ამბის შეტყობის შემდეგ დადესტანში ლევანის მკვლელთა ოჯახებს ადგილობრივებმა ბაგრატიონთა სამეფო სახლის „სისხლის დადება“ არ აპატიეს და „სრულიად მოსწყვიტეს“ (იხ: ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხოვბა..., გვ. 117-118).

რეთის სამეფო, მფარველობითი ხელშეკრულებები დადო აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოს მთავრებთან), ამიტომ ლეკებისათვის ვეღარ მოიცალა. მათაც დრო იხელთეს და „ჩვეულ ხელობას“ მიჰყვეს ხელი.

რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ახალციხის საფაშოს. როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა: „ოსმალთა ხელში ახალციხე ის პუნქტი იყო, სადაც თავს იყრიდა, თავშესაფარსა და დასაყრდენს პოულობდა საქართველოს ყველა მტერი, ლეკი მტაცებელი, ტყვის მსყიდველი თავადაზნაური, მეფის წინააღმდეგ აჯანყებული რეაქციონური თავადი თუ მეფობის მაძიებელი ბატონიშვილი, ერთი სიტყვით, საკუთარი ქვეყნის ყველა მოღალატე¹.“¹

ქართლ-კახეთის სამეფო კარისა და რუსული ხელისუფლების მიმართ ახალციხის ფაშების მრავალგზის დაპირების მიუხედავად, რომ არ მისცემდნენ საფაშოს ტერიტორიაზე დაღესტნებ მოთარეშებს თავშესაფარს, როგორც ვნახეთ, ფაშები პირობას არასოდეს ასრულებდნენ. ეს ფაქტი რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული და ერთნაირად აწყობდათ, როგორც ახალციხეში, ისე დაღესტანსა და სტამბოლში.

ოსმალეთის დედაქალაქში იმიტომ, რომ ზემონათქვამი ვითარება ბრწყინვალე პორტას რუსეთთან ომის დროს საშუალებას აძლევდა, ძირითადი სამხედრო ძალების კონცენტრაცია დასავლეთის ფრონტზე მოქმედინა; დაღესტანში იმიტომ, რომ, გარდა ტყვეებით ვაჭრობისა, მეომარ ლეკებს შეეძლოთ ფაშას სამხედრო სამსახურში ქირით შესულიყვნენ და ახალციხის მეზობელი პროვინციები ერბიათ, რაც შემოსავლის დამატებითი წყარო იყო; ახალციხეში იმიტომ, რომ შორს მყოფი სტამბოლიდან განსხვავებით, საჭიროების შემთხვევაში 2-3 დღეში შეიძლებოდა საჭირო რაოდენობის შეიარაღებული მეომრის გადმოსვლა დაღესტნიდან. ამას გარდა, საქართველოში ნაშოვნი ნადავლის რეალიზაცია ხშირად აქვე, „პირველი ხელიდან“ ხდებოდა და შესაძენი „პროდუქტი“ ბევრად იაფი ღირდა.

ამ დროისათვის ახალციხის საფაშოში გაბატონებისათვის ორი პრეტენდენტი იბრძოდა: აჭარელი სელიმ ფაშა (ხიმშიაშვილი) და შარიფ (შერიფ) ფაშა (ჯაფელი). სელიმი რუსებთან მოლაპარაკების გზას დაადგა, ამით გაღიზიანებულმა თურქებმა შარიფ ფაშას ახალციხესთან ერთად შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ციხე-ნავსადურებიც გადასცეს, რამაც ფაშებს შორის ბრძო-

¹ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II, გვ. 417.

ლა კიდევ უფრო დაუნდობელი გახადა. მალე შარიფ ფაშასთან თავი მოიყარეს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლმა ალექსანდრე და ლევან ბატონიშვილებმა, თბილისიდან რუსთა ტყვეობას გამოქცეულმა სოლომონ იმერთა მეფემ, აქვე საკმაოდ იყვნენ საბრძოლველად მზდ მყოფი ლეპთა „დასტები“.

ახალციხის შემოერთება რუსებმა ჯერ კიდევ 1807 წელს სცადეს, მაგრამ გუდოვიჩი ახალქალაქთან სამარცხევინოდ დამარცხდა, თავის გასასამართლებლად კი ახალქალაქის მკაცრი კლიმატი, ჯარის სიმცირე, სუსტი მომარაგება, მტრის მიწაზე არასაიმედო სიტუაცია, სალდათების სულიერი დაძაბუნება და საკუთარი ავადმყოფობა დაასახელა.¹

რუსეთს სურდა, როგორმე ერთი ომი მაინც დაესრულებინა და ირანთან ზავის დადებას შეეცადა, მაგრამ ირანი ინგლისმა წააქეზა და აბას მირზას მოუწოდეს, რომ თუ იგი თურქეთთან ერთად საერთო ძალით გამოვიდოდა რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ რეალურად დადგებოდა კავკასიის კვლავ დაუფლების საკითხი – ადმოსავლეთ საქართველოს დაიკავებდა ირანი, ხოლო დასავლეთ საქართველოს - თურქეთი. მათ ყოველი ღონე უნდა ეხმარათ დადესტნელი ფეოდალების გააქტიურებისათვის. საქართველოს წინააღმდეგ უნდა აეჯანყებინათ ოსებიც, სადაც ჯერ კიდევ გაქცეული ბატონიშვილები საქმიანობდნენ². შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ირანში გაქცეულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში, დაღესტნელებში, ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ახალციხის შერიფ ფაშასთან და იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან, დაბრუნდა საქართველოში და რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად „ფართო ქსელი გააძა“.

ალექსანდრე ბატონიშვილი მართლაც დაიძრა საქართველოსაკენ. რუსებთან მებრძოლი ბატონიშვილის ავტორიტეტი მთელ კავკასიაში განუზომლად დიდი იყო. ალექსანდრემ ჩრდილო-კავკასიის მოსახლეობის მხარდაჭერა გაინაღდა და იქიდან მოუწოდებდა ქართლის მთიანეთის მაცხოვრებლებს: „მეფის ძე ალექსანდრე მმურის სიყვარულით მოგიკითხავთ არაგვის სახლოუბეუცესო დურმიშხან, მთიულეთის მოურავო სოლომონ, თრუსოს მოურავო გოშპარის-შვილო ივანე ...მერმე ერთგულება და ეგრეთ სიმხნე რომ მესმის დიდად გიმადლით, დათს მოწყვალებით ჩუქუნაც თქუენის გულის წადილისამებრ წყა-

¹ შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, გვ. 112-113.

² შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, გვ. 128.

ლობით გული შეგისრულდებათ. ლთით ჩუენც დიდრონს ამბებში ვართ. ქუებამ ყიზილბაშთ რუსთ ყათლანი უყვეს და შუშა აიღეს და რამდენსამე დღეზედ ქალაქზედ (თბილისზე – ი.ა.) მოვლენ. ჩუენც ჯარს ორმოცი ათას კაცს მეტს შევყრით, რომ სულ მთელი დაღისტანი, ჩაჩანი, ჩერქეზი, ქისტი, ლლილვი, ჭანთო და ეს ჩუენის მთების ხალხი სულ მზანი არიან, ცოტა სიცივე არის, თორემ აქამდისაც არ დავდგებოდით, ეხლა როგორც თქუენი ერთგულ კაცებისაგან მოელოდეთ ისე მოიქეცით ...და ჩუენგან წყალობა გელითო¹, არც არც ქართველი მოსახლეობის მხარდაჭერა დაპკლებია ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლ დაუცხრომელ ბატონიშვილს, მაგრამ საქართველოში უკვე მყარად ფეხმოკიდებული რუსების დამარცხება მან ვერ შეძლო და საბოლოოდ გულგატებილი ირანს გადაიხვეწა.

რუსებმა ალექსანდრე ბატონიშვილის აჯანყება კი ჩააცხრეს, თურქებიც დაამარცხეს (1812 წ.), მაგრამ ახალციხის საკითხი იმჯერად მაინც ვერ გადაწყვიტეს. ბუქარესტის ზავით ახალციხე-ახალქალაქი თურქეთს დარჩა. ახალციხის საფაშოდან კვლავ განახლდა ქართლზე ლეგთა თავდასხმები. 1812 წლის 10 ივლისს რტიშხევი აფრთხილებდა თავად ორბელიანს, რომ ახალციხიდან ლეკების დიდი პარტია ემზადებოდა საქართველოზე სათარეშოდ და სთხოვდა, განსაკუთრებული ზომები მიედო.² 17 ოქტომბერს რუსები უკვე ლეკების მიერ ქართლის სოფლების – ცხრამუხას, ნაბახტევის და გრაკალის წახდენას იუწყებოდნენ.³

1813 წელს რუსეთმა ომი ირანთანაც დაამთავრა. გულისტანის ზავით ირანმა რუსეთს სხვა აზერბაიჯანულ სახანოებთან ერთად (ყარაბახის, განჯის, შაქის, შირვანის და ა. შ.) მოელი დაღესტანი და საქართველო „დაუთმო“.

ახალციხის ფაშას თვითნებობა მთავარმართებელ ა. ერმოლოვის დროსაც გაგრძელდა, იგი კვლავ ფართოდ უდებდა კარს ლეკურ რაზმებს და ქართლ-იმერეთის საზღვრების გასწვრივ გაუდაბურებულ სოფლებში ასახლებდა, ისინი თავს ესხმოდნენ მეზობლად მაცხოვრებელ მოსახლეობას და ნადავლს ფაშასთან ერთად ინაწილებდნენ.⁴ ამდენი თვითნებობით თავგაბეზრებული ერმოლოვი ახალციხის ალი ფაშასადმი 1820 წლის 30 ივლისს გაგზავნილ წერილში უკვე კატეგორიული იყო: „ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ

¹ სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448; ს. 9392.

² Акты... т. V, გვ. 609 დოკ. № 734.

³ Акты... т. V, გვ. 782; დოკ. № 921.

⁴ Акты... т. VI . ч. II. Тифл. 1875, გვ. 411; დოკ. № 733.

თავშესაფარს აძლევთ ლეპ ავაზაკებს, რომლებიც თავდასხმებს აწყობენ ჩვენს ტერიტორიებზე. მალე გვნახავთ თქვენს საზღვრებთან, თქვენც ავაზაკივით მოგაქცევით და შებრალების საბაბი არ გვექნებაო“¹

რუსი გენერალი არც იმდენად მიამიტი იყო, რომ ფაშას წამქეზებლისა და დამფინანსებლის ვინაობას ვერ მიმხვდარიყო. იგი სწერდა კიდეც საკუთარ ხელისუფლებას, ბრწყინვალე პორტას ფარისევლური დაპირებების მიუხედავად, რომ აკრძალავდა ადამიანებით ვაჭრობას, უსაზღვროდ გულუბრყვილონი უნდა ვიყოთ, რომ მათ ნათქვამს ნდობა გამოვუცხადოთო.²

მთელი სიმკაცრით მიუბრუნდა ერმოლოვი იმიერკავკასიის საკითხესაც. 1818 წელს მან ერთიმეორის მიყოლებით დალაშქრა ჩეჩნეთი, დაღესტანი, ყაბარდო და განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინა. მისი ბრძანებით მოწამდეს შაქის მმართველი იზმაილ ხანი, კასპიის ზღვაში დაახრჩვეს იმიერკავკასიის ხანების ოჯახების 16 წევრი.³ 1820 წ. 7 ივლისს გენერალი ერმოლოვი პეტებურგში იმპერატორ ალექსანდრე პირველს სურხაი-ხანის განადგურებასა და დაღესტანში ომის დამთავრებას უპატაკებდა: „სახანოს მთელმა მოსახლეობამ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულებობის წინაშე დადო ერთგულების ფიცი და დაეკისრათ ხარკი. გასულ წელს დაწყებული ამაყი, მებრძოლი და პირველად მორჩილებაში მოსული დაღესტნის დაპყრობა დასრულებულია და დამორჩილებულია თქვენი იმპერატორობითი უდიდებულებობის წინაშე“⁴ დაპყრობილ ტერიტორიებზე 1820-1822 წლებში რუსებმა ჩეჩნეთსა და ჩრდილო დაღესტანზე გამავალი სამხედრო სიმაგრეთა მთელი რიგი ააგეს. მათ სახელწოდებებში („გროზნაია“, „ნეოტსტუპნი სტანი“, „ბურნაია“ და ა. შ.) კარგად ჩანდა რუს მეომართა მრისხანე დღეების ანარეკლი კავკასიის მთიანეთში⁵.

ირანსა (1826-1828 წწ.) და თურქეთთან (1828-1829 წწ.) ომების მეორე ტურის წარმატებით დამთავრებამ რუსეთს ამიერკავკასიაში ერთპიროვნული ლიდერის პოზიცია მოუპოვა. ადრიანოპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა ყოფილი ახალციხის საფაშოს ძირითადი ნაწილი,⁶ რის შემდეგ თურქეთმა საბო-

¹ *Акты...* т. VI . ყ. II. გვ. 428; დოკ. № 754.

² *Акты...* т. VI . ყ. II. გვ. 655.

³ ეთერ ორჯონიგიძე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი). თბ., 1992, გვ. 116.

⁴ *Акты...* т. VI, ყ. II, გვ. 411, დოკ № 733.

⁵ ეთერ ორჯონიგიძე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, გვ. 116

⁶ ახალციხის მხარის შემოერთების შემდეგ მთავარმართებელმა პასკევიჩმა იქ მცხოვრები მაჟმაჟმადიანი ქართველები აჟყარა და ამ ადგილებში სომხების მასობრივი ჩამოსახლება დაიწყო. სომხებს ხუთი წლის განმავლობაში მოუხსნა ყოველგვარი გადასახადი, ეხმარებოდა ფულით,

ლოოდ დაკარგა „ტყვის სყიდვის“ მთავარი ბაზა.

ირანთან მეორე ომის დროს კიდევ ერთხელ დიდი უურადღება მიექცა ჭარბელაქანის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს. ა. ერმოლოვის გეგმებში იმ დროისათვის ჭარის სამხედრო ძალით დაკავება არ შედიოდა, ამიტომ მათთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების შენარჩუნებას ცდილობდა. სამაგიეროდ, ირანსაც კარგად ესმოდა, რომ ჭარი დაღესტან-საქართველოს „კარების გასაღები“ იყო და უკელაფერს აკეთებდა, ისინი რუსების წინააღმდეგ აეჯანყებინა. ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც დიდი ხანი იყო, რაც სპარსეთში რუსეთის ხელისუფლებას გაქცეოდა, ჭარში გამოსამგზავრებლად მოამზადეს ამ საქმის ორგანიზების მიზნით. პროცესებში აქტიურად იყო ჩაბმული ინგლისიც.¹ ა. ერმოლოვს უკვის სერიოზული საფუძველი პქონდა, რომ რუსების ბატონობით უკმაყოფილო კახელი გლეხობა ირან-ჭარელების ჯარების გამოჩენისთანავე მათ შეუერთდებოდა და იმპერიის წინააღმდეგ გამოვიდოდა. ეს გამოსვლა, ალავერდობა დღეს, 27 სექტემბერს იგეგმებოდა², მაგრამ კოალიცია ვერ შედგა.

ამასობაში ირანი კიდევ ერთხელ დამარცხედა და თურქმანების ზავით, უკვე საბოლოოდ დაუძლეურებული, იძულებული გახდა ჩრდილოელი მეზობლის ტერიტორიულ ამბიციებს შეგუებოდა. ჭარელები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ პქონდა. 1830 წ. 26 თებერვალს თალის, მუხახის, ჯინიხის, კატეხისა და ბელაქნის თემების მეთაურები პასკევიჩს უახლნენ და საკუთარი ჯამაათების დანებების შესახებ გადაწყვეტილებები მიართვეს.³

ამიერიდან ჭარ-ბელაქანი რუსული მმართველობის ერთიან სისტემაში მოექცა. საინგილოში დაღესტნიდან გადმოსასვლელი გზების გამაგრებით, რაც რუსმა და ქართველმა რაზმებმა განახორციელებს, საზღვარი დაედო აბრაგული რაზმების პერმანენტულ და გამანადგურებელ შემოსევებს. ჭარ-ბელაქანის დაპყრობით რუსეთმა კავკასიის საკითხი საბოლოოდ მაიც ვერ გადაწყვიტა. 1830 წელს რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ დაღესტანში დაიწყო ძლიერი აჯანყება ყაზი მოლას მეთაურობით. იგი 1832 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ აჯანყების ხელმძღვანელობა ჯერ პამზათ-ბეკმა, ხოლო მოგვიანებით შამილმა ითავა, რომელიც 27 წლის მანძილზე წარმატებით უძღვე-

ხორბლით და ა.შ. ამ დონისძიების შედეგად 1830 წლისათვის ყოფილი ახალციხის საფაშოს მოსახლეობის 76% სომხები შეადგენდნენ.

¹ И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 96.

² И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 97.

³ И. Петрушевский. Джаро-белаканские., გვ. 110.

ბოდა მთიელი ხალხის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ, ვიდრე 1859 წლის 26 აგვისტოს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ იერიშით არ აიღო შამილის უკანასკნელი გამაგრებული პუნქტი ლუნიბი, ხოლო შამილი ტყვედ ჩაბარდა. ამის შემდეგ აჯანყებულთა ძალა მნიშვნელოვნად შესუსტდა და რუსეთმა 1864 წელს დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა კავკასიაში ომის დამთავრება. თუმცა, „ლუკიანობა“ საქართველოში ამით მაინც არ დამთავრებულა. იგი მცირე მასშტაბებით გრძელდებოდა XIX ს. ბოლომდე და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. მათი მარბიელი თარეშისაგან განსაკუთრებით ზარალდებოდა ჭარ-ბელაქანის მოსაზღვრე კახეთი.

ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში XIX საუკუნის ბოლომდე ქვეყნებოდა მასალები კახეთიდან ლეგების მიერ ადამიანებისა და საქონლის გატაცების შესახებ.¹ აღსანიშნავია, რომ შემოერთებული ჭარ-ბელაქანი რუსეთმა 1842 წელს ჯერ ცალკე ოლქად გამოჰყო, ხოლო 1844 წელს სამხედრო ოლქად გადააკეთა და თბილისის გუბერნატორს დაუქვემდებარა. 1860 წელს ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქი – ზაქათალის ოკრუგის სახელწოდებით დაღესტნის ოლქში შეიყვანეს, რითაც საქართველოს მომმე ინგილოები კვლავ იძულების წესით ჩამოაშორეს. 1883 წელს სამხედრო მმართველობა გაუქმდა, მაგრამ ზაქათალის ოკრუგი ტფილისის გუბერნიის შემადგენლობაში აღარ დააბრუნეს.

ჭარ-ბელაქანის დაპყრობისას რუსეთმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა მისი წარსული, რომ იგი საუკუნეების განმავლობაში კახეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა² და, როგორც ზემოთ ითქვა, 1605 წელს შაჳ აბას I-მა ჩამოართვა კახეთის მეფე – ალექსანდრე II-ს. XIX საუკუნისათვის მისი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ლეკებთან და სხვა ხალხებთან ერთად შეადგენდნენ გამუსულმანებული ქართველები – ინგილოები. სწორად შენიშნავს თ. პაპუაშვილი: „მართებული იქნებოდა, რომ ჭარ-ბელაქანი, მისი შემოერთების შემდეგ მუფის ხელისუფლებას გაეერთიანებინა მის მიერვე შექმნილ „საქართველოს გუბერნიიაში“ შემავალ სიღნაღის მაზრაში, მაგრამ მეფის რეუიმმა ცხადია, გარკვეული მოსაზრებით ზემოაღნიშნულ გარემოებებს ყურადღება არ მიაქცია“.³

ეს ისტორიული უსამართლობა ნაწილობრივ გასწორდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921 წწ.), როცა 1921 წლის კონსტიტუციით

¹ იხ. გაზეთი „დროება“, 30. 06. 1876 წ. № 6605. 10. 1877 წ. № 159; 06. 10. 1877 წ. № 160; 08. 06. 1877 წ. № 66; გაზეთი „ცხოვის ფურცელი“ 14. 08. 1897. № 283 და სხვ.

² იხ. А. И. Фонь-Плотто, Природа и люди Закатальского округа..., გვ. 5.

³ თენის პაპუაშვილი. ჭარ-ბელაქანი. თბ., 1972, გვ. 151.

საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით შემოვიდა სამუსულმანო საქართველო, ანუ ზაქათალის ოლქი (ბათუმის ოლქთან ერთად), მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1922 წელს ამიერკავკასიის ცენტრალური-აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) დადგენილებით, ზაქათალის ოლქი სხვა ტერიტორიებთან ერთად (სულ 4 553 კვ. კილომეტრი ფართობი 92 600 მცხოვრებით) აზერბაიჯანს გადაეცა.

თავი III. ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა ლეკიანობის წინააღმდეგ

1. ადმინისტრაციული ღონისძიებები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით

საქართველოს თავდაცვითი ბრძოლების დიდი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ ლეკიანობა ამ მხრივაც გამორჩეული იყო. როგორც შესავალში ითქვა, ლეკები დიდი ჯარით იშვიათად მოდიოდნენ. მიუვალი ხეობებითა და მთაბილიკებით უეცრად გამოჩნდებოდნენ და მოულოდნელად თავს ესხმოდნენ ქალაქ-სოფლებს. ნიშანდობლივია, რომ XVIII საუკუნეში ქართველ მეფეთა მოერ ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა („სამდევროები“, „მორიგე ჯარი“, „ყარაული“, „ნოქარი“, საფორტიფიკაციო ნაგებობები და სხვ) უმეტესობა სწორედ „ლეკიანობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ XV-XVI საუკუნეებში ქართლსა და კახეთში დამოუკიდებლად ყალიბდება სამხედრო-სტრუქტურული ერთეულები - სადროშოები. ქართლში არსებობდა ოთხი სადროშო. მეწინავეს შეადგენდა სომხით-საბარათიანოს სათავადოები, რომელთაც, ჯერ ბარათაშვილები, შემდეგ ორბელიანები სარდლობდნენ. მემარჯვენე სადროშოს ზემო ქართლის სათავადოები შეადგენდნენ, რომელთა შორის ამილახორს განსაკუთრებული ადგილი ეპავა და სარდალიც იგი იყო. მემარცხენე სადროშოს წარმოადგენდა სამუხრანბატონო, ქსნისა და არაგვის ერისთავების ჩათვლით და მუხრანბატონის სარდლობით, ხოლო მეუკანავეში შედიოდა მეფის სადროშო საკათალიკოსო ლაშქართან ერთად, რომლის სარდალსაც მეფე ნიშნავდა.¹

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, კახეთში მეწინავე სადროშოს ბოდბელის სასარდლო შეადგენდა ქიზიყით, კონდოლსა და მანავამდე. მემარჯვენეს ნეკრესელის სასარდლო - გაღმა მხარი - ელისენით. მემარცხენეს - რუსთაველის სასარდლო გარე კახეთი, ქიზიყამდე და მარტყოფ-საგურამო-ხერკამდე, ხოლო მეუკანავეს - ალავერდის სასარდლო.²

თუმცა, გ. ანჩაბაძეს მიაჩნია, რომ კახეთში, ლოგიკურად, მემარცხენე სა-

¹ აკაკი კლიმიაშვილი, მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის. კრებულში: XIV-XVIII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 123

² ბატონიშვილი ვახუშტი. გვ. 538; 542; 545.

დროშო უნდა ყოფილიყო ნეკრესელის, ხოლო მემარჯვენე - რუსთაველის. მეცნიერს არგუმენტად მოჰყავს არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, სადაც მემარცხენებად „ენისნელები“ არიან მოხსენიებულნი, ენისელის მოურავის დროშის კაცები კი, როგორც ცნობილია, ნეკრესელი ეპისკოპოსის თანაშემწები იყვნენ.¹

პაპუნა ორბელიანის ცნობით, ფანა-ხანისა და მაჭმად-ხანის წინააღმდეგ ყმადნაფიცი ერევნის სახანოს მისაშველებლად, ერეკლე და თეიმურაზი ერუგანთან (1749 წ.) ჯარს შემდეგნაირად აწყობენ: მეწინავე ჯარს შეადგენენ სარდალი რევაზ ორბელიანი საბარათიანოს ჯარით, ყმადნაფიცი ელებით, გარე კახეთის (ქიზიყის) ჯარი თამაზ მოურავთან ერთად და „ვინა დროშის კაცი ჰყვანდნენ.“

მემარჯვენე ფრთას წარმოადგენენ: ამირინდო ამილახორი, ზემო ქართლის, კახის ბატონისა და ყაზახის ჯართან ერთად;

მემარცხენეთ განწესებულნი არიან: სახლთუხუცესი კონსტანტინე მუხრანბატონი ქსნისა და არაგვის საერისთავოების ჯარებით, მასვე ახლავს ბორჩალოსა და ჩერქეზთ ბატონის დაქირავებული ჯარები;

მეუკანავეს ერეკლე-თეიმურაზის ჯარები შეადგენენ და იმისდამიხედვით, თუ რომელ ფრთას უჭირს, „ხან ერთ დროშაზე მიბძანდის და ხან მეორე დროშაზე, ჯარებს არიგებდის, აძლიერებდის და უბძანის იმედი წყალობისა“.²

რაზმების წინა ხაზს ქვეითი და ცხენოსანი მეორეფები შეადგენდნენ, რომელთაც თავ-თავიანთი მეომრები ჰყავდათ. მეთოვები არაუმეტეს 4-5 მწვრივზე დრმად არ ეწყობოდნენ, ცეცხლსასროლო იარაღის ეფექტი რომ მეტი ყოფილიყო.³

ლეკიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო თავდაცვით სისტემაში დიდი ადგილი ეკავა „ყარაულს“. სამეფო კარის ბრძანებით, შედგენილი იყო ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის ნუსხები, რომელთაც მეფის დაძახილზე საყარაულოდ გამოსვლა ევალებოდათ. 1772 წლის 12 თებერვლის ნუსხით, ერეკლე შიდა (ზემო) ქართლის სოფლებს (ურბნისს, რუისს, ბრეთს, ახალდაბას, არაშენდას, ცხინვალს, სამაჩაბლოს – „ცხინვალ ზეით“, ქურთას, ძევერას, კარალეთს და ა. შ.) ავალებდა მოსახლეობის გარკ-

¹ გიორგი ანჩაბაძე. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, გვ. 114-115.

² პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 161.

³ გიორგი ანჩაბაძე. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, გვ. 150.

კეული რაოდენობის საყარაულოდ გამოყვანას. მათში იგულისხმებოდნენ ის პირებიც, რომლებიც ამ სოფლებში ხიზნათ იდგნენ: „ამა სოფლებმა ვისიც ემა უნდა უდგეს ხიზნათ ყველა უნდა მოუდგეს ამ საყარაულოსო“, – აცხადებდა ერეკლე II.¹

ყარაულს ხაზინიდან ჯამაგირიც ეძლეოდა. 1770 წ. 12 აპრილს ერეკლე II ა. მოურავოვს სწერდა: „კახეთის „ლექის“ გზებზედ სამს ალაგას ჯარი დავაგდევით ჯამაგირით გზების შესანახავადო“² თუმცა, თანხა ყველგან ერთნაირი არ იყო და იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ სტრატეგიული თვალსაზრისით რამდენად მნიშვნელოვან უბანს იცავდნენ, მაგ: სოფ. სკრის ხეობის ყარაულებს ექვსი მინალთუნი ეძლეოდათ, ქარელისა და გვერძინეთის ყარაულებს – რვა მინალთუნი, მდგრიე წყლის ყარაულებს – ოთხი მინალთუნი და ა. შ.³

ერეკლე II-ის პერიოდი ქართული ფეოდალური სამხედრო ხელოვნების განვითარების უმაღლესი საფეხურია.⁴ მეფის მიერ ქართლ-კახეთის სამხედრო სისტემაში გატარებულ მრავალ დონისძიებათაგან აღსანიშნავია „სამდევროებისა“ და „მორიგე ჯარის“ განჩინების შექმნა. მართალია, „მდევრის“ ინსტიტუტი ერეკლემდეც იყო მოქმედებაში, მაგრამ 1772 წლის 28 აგვისტოს ბრძანებით, იმის გათვალისწინებით, თუ საიდან იყო ლეკთა შემოსვები მოსალოდნელი, მეფემ შიდა (ტექსტის მიხედვით – ზემო) ქართლის მოსახლეობას, უფლება-მოვალეობანი „დაუკანონა“.

დოკუმენტი ძირითადად საამილახვრო-ქსნის საერისთავოს სოფლებს მოიცავს, თუმცა ერეკლეს, ტექსტის მიხედვით, ასეთივე სამდევროები შეუქმნია შიდა ქართლის სხვა კუთხეებშიც (მაგ. სამუხრანბატონოში), რომელიც უკვე იყო მოქმედებაში და საკმაო წარმატებითაც. სამდევროები ვალდებული იყვნენ ერთმანეთისათვის დროულად ეცნობებინათ ლეკთა მოძრაობის შესახებ და იმის მიხედვით, თუ როგორი იყო შემოსული მტრის რაოდენობა და ტიპი (ცხენოსანი, ქვეითი, შერეული), შესაბამისი დავალება ეძლეოდათ.

საყურადღებოა თავდაცვითი ბრძოლის იმდროინდელი სტრატეგია – შესაბამისად, მტრის ქვეითი ან ცხენოსანი ჯარის წამოსვლის შემთხვევაში: მდევრის შეყრა, თავისა და ბოლოს გადაკეტვა და ალყაში მოქცევა, მოულოდნე-

¹ იგანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. II, გვ. 111-112, დოკ. 34.

² გალერიან მაჭარაძე. მასალები., III, გვ. 546, დოკ. 241.

³ აკავი კლიმიაშვილი. მასალები XVIII ს. II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის (მორიგე ლაშქარი). სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 1966, გვ. 117-118.

⁴ გიორგი ანჩაბაძე. სამხედრო ისტორია (ლექციების კურსი). თბ., 2002, გვ. 52.

ლი თავდასხმა და ა.შ.¹ დოკუმენტში ერეპლე ადგილობრივ მოხელეებს და მოსახლეობას მოქმედების თავისუფლებას არ უზღუდავს, რაც მრავალგზის არის მითითებული: „თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ, გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ თავს დაესხან, რომელიც ამჯობინონ, იმ გზით ეცადნენ მტრის პასუხის მიცემასა და გაყრასა; სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ იქ მოცვივდნენ; როგორც სარქარდებმა ამჯობინონ ისე შეებნენ...“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სამდევროების გეოგრაფია საკმაოდ ჭიკვიანურად არის მოფიქრებული: აღმოსავლეთ-დასავლეთით იგი მოიცავს მდ. ლეხურის (საბუთის მიხედვით რეგურის) წყლიდან – ალისწყლამდე, ხოლო ჩრდილო-სამხრეთით სამაჩაბლოდან-გორ-ქარელამდე ტერიტორიას (იხ: რუკა, დანართი № 5) და მდინარეების: ბერშოულა-მეჯუდას, პატარა ლიახვის, დიდი ლიახვისა და ფრონეს მონაპირე სოფლებითაა განსაზღვრული.

საბუთი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მასში გათვალისწინებულია მოსახლეობის ყველა კატეგორიის (თავადი, აზნაური, გლეხი) მოვალეობა (ხელმძღვანელობა, პასუხისმგებლობა, სასჯელი თავის არიდებაზე და ა.შ.)

იქიდან გამომდინარე, რომ სამდევროები საამილახვრო-ქსნის საერისთავოს სოფლებს მოიცავდა, თავდაცვითი დონისმიერის ხელმძღვანელობაც ამოლახვარსა და ქსნის ერისთავს ეკისრებოდა, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში მეთაურობას გიორგი ყულარაძასი და იასე მდივანბეგი კისრულობდნენ.

ერეპლე ძალზე მკაცრი იყო დეზერტირების მიმართ. სამდევროში გამოუსვლელობის გამო ჯარიმის სახე და რაოდენობა მათი ქონებრივი შესაძლებლობების მიხედვით იყო განსაზღვრული: დონისმიერის მთავარი მიზანი – ძლიერი და მტკიცე საქართველოს შექმნაა, რომელიც დოკუმენტის დასკვნით ნაწილშია განმარტებული:

„ქ. ეს იცოდეთ თავადიშვილებმაც, აზნაურისშვილებმაც, გლეხმაკაცმაც, ამის უკეთეს ვერცარას ღმერთს აამებთ, ვერც არას ჩვენ გვაამებთ და ვერც არას ქვეყანას შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლ-შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ და ღვთის მოწყალებით დაჭხოვთ და სირცხვილეულნი გააბრუნოთ. ...რომელნიც ჩვენგან საქმელი საქმეა

¹ იოსებ ალიმბარაშვილი. ქართული ჯარის ისტორიიდან (შიდა ქართლის სამდევროები. – გორის სახწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №3. ობ., 2012, გვ. 7-17.

პატრონულობისა, მოვლისა, გარჯისა, წევდობისა და ჩემის ქვეყნისათვის თავის დადებისა დმრთით არ დავზოგავთ. თქვენც ასე ეცადენით და ჩვენც კიდევ უფრო ძლიერსა და მტკიცეს საქართველოს შეწევნას გცდილობთო“.¹

„სამდევროს“ ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სწრაფად შეკრება იყო. 1775 წ. 10 თებერვალს ერეკლე II შიდა ქართლის გამგებელს – რევაზ ამილახვარს აფრთხილებს: „...საგურამოში სამასამდის ლეკი არის იმათ მუხრანიდამ ქსნის ხეველთ ცხვარი მოუტაცნიათ და წაედოთ. ჩვენ ყარაიაზედ ვომყოფებოდით ამბავი იქ მოგვივიდა ასე რიგად ვეღარ მოვემზადენით რომ იმაზედ მივსულიყავით. ზემო ქართლის ქარავანი წამოვიდა და მორიგე გამოვატანეთ, რუსხმულამდისინ მოჰყვებიან და იქიდამ გამობრუნდებიან. ეს ჩვენი წიგნი რომ მოგვიდესთ თქვენ ეს გმართებსთ ზემო ქართლიდამ მამაცობრივ სამას-ოთხასი კაცი შემოიყაროთ და ჭალას ქარავანს მოეგებნეთ სიფრთხილით და ყარაულობით სამშვიდობოში მიიყვანოთ ...ჯარს მდევრულად დაუძახეთ და ხუთშაბათს დღეს ქარავანს ჭალას წინ მოეგებენით. ხუმრობა საქმე არ არის, ბეჯითად მოიქეცით ქარავანი არ წაახდინოთ თორემ პასუხს ვეღარ მოგვცემთო“.²

გარდა სამეფო კარის მიერ კანონით დადგენილი „სამდევროებისა“ და „ნოქრისა“, აღმ. საქართველოს მთიანეთში თავდაცვის სფეროში ურთიერთდახმარების ფორმას წარმოადგენდა ე.წ. „მეკოდეობა“. იგი ორ, ან რამდენიმე ტერიტორიულად ახლო მდებარე სოფელს აერთიანებდა, რომელთაც „მეკოდე“ სოფლები ეწოდებოდათ. ისინი ვალდებულებას იღებდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს თავდასხმების, ეპიდემიების, ან სხვა რაიმე ექსტრემალურ მდგომარეობაში ჩავარდნისას.

როგორც ჩანს, აღნიშნულმა ღონისძიებებმა ლეკიანობის პრობლემა ვერ გადაჭრა, ერეკლე მიხვდა, რომ საჭირო იყო მუდმივი ჯარი, რომელიც ყოველ წუთს მზად იქნებოდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, „სამდევროები“ კი მტრის მოულოდნელი თავდასხმების შემთხვევაში ხშირად დროულად ვერ ახერხებდნენ შეკრებას, ვერც „ნოქარი“ წყვეტდა ქვეყნის თავდაცვის პრობლემებს, რადგან, ჯერ ერთი, მისი გასასტუმრებელი „ჯამაგირი“ ხაზინაში ხშირად არ იყო და მეორეც – „ნოქარში“ ძირითადად 2000 კაცამდე იკრიბებოდა, რომელიც მოზღვავებული მტრის მოსაგერიებლად არ კმაროდა, ამიტომ მეფემ

¹ იხ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13714.

² გხიგმ. 7782/3, ფ. № 179.

ქვეყნის თავდაცვის ახალი, უფრო სრულყოფილი დონისძიების გატარება გადაწყვიტა.

1773 წ. ბოლოს ერეკლემ დარბაზის სხდომა მოიწვია. მსჯელობა შეეხუბოდა ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც ლეპთა ქურდულ თავდასხმებს საბოლოოდ მოსპობდა და ქართველ გლეხობას მშვიდობიანი შრომის საშუალებას მისცემდა. 1774 წ. 4 იანვარს დარბაზმა შეიმუშავა “მორიგე ჯარის“ განჩინება, თუმცა, „მდევრის“ ინსტიტუტი „მორიგე ჯარის“ შემოღების შემდეგაც არ გაუქმებულა. „მორიგეს“, ანუ, როგორც სხვანაირადაც უწოდებდნენ „რეგულის“ შექმნის მიზანი შესავალშივე განისაზღვრა: „რადგან საქართველოს ქვეყანა ლეპთაგან ამდენს ხანს ამისთანას მოუსვენებელს მტერობით შეიწრდა და მოუთმენელს ჭირს მიეცა, ჩვენც მრავალ-გზის ბევრ რიგის გარჯილობით ვეცადენით, მაგრამ არ იქნა რომ ასეთი წამალი და საქმე გვეპოვნა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის გვერგო რამე და ამხანად დგთით ყველასაგან უმჯობესად და უკეთესად ეს გამოვარჩიეთ და საერთოდ ყველამ ვამჯობინეთო“.¹

„მორიგე ჯარი“ იცავდა ვაჭრებსა და ქარავნებს გზებზე, რათა ქვეყნის შემოსავალი არ შემცირებულიყო, სტრატეგიულ ობიექტებს – თოფისწამლის ქარხანასა და ახტალა-ალავერდის სპილენძის მადნებს, გამოიყენებოდა ეკლესიების აღდგენა-მშენებლობის მიზნით, დაზიანებული არხების შესაკეთებლად და ა. შ. ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს „მორიგეს“ შემოღების შემდეგ, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ჯარში გაწვევას აღარ ექვემდებარებოდა. მუდმივი მტრიანობის პირობებში ეს შეუძლებელიც იყო. „ქუდზე კაცი“, „კომლზე კაცი“, „ჩარექი“, „მდევარი“ და ა. შ. ძალაში ყოველთვის რჩებოდა და იგი დამოკიდებული იყო შემოსული მტრის რაოდენობასა და მარშრუტზე. ამდენად, მეფის დაძახილზე საკუთარი შეიარაღებით გამოსვლა მოსახლეობის ნებისმიერი კატეგორიისათვის უპირველეს მოვალეობად ითვლებოდა.

მაგ. 1794 წ. 27 აპრილს ერეკლე II სურამის მოურავს ბეჟან ამილახვრიშვილს მორიგესთან ერთად, „კომლზე კაცის“ გამოყვანასაც ავალებს: „...რაწამს ეს ჩემი თქმი მოგივიდეს, ამ მაისის და მკათათვის მორიგე რაც იყოს,

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. 920. აღნიშნული დოკუმენტი ქართულ ისტორიული ციფრისთვის საქმაოდ დეტალურადაა შესწავლილი, ამიტომ მისი ფართო განხილვისაგან შეგნებულად თავს ვიკავებთ. ვრცლად იხ: აკაგი კლიმიაშვილი. მასალები XVIII ს. II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის (მორიგე ლაშქარი); გერონტი ქიქოძე ერეკლე მეორე. თბ., 1958; იასე ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ლაშქრის შესახებ. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIV-B; თბ., 1947. საბუთის ვრცელი ანალიზი ასევე მოცემულია ჩვენ მონოგრაფიაში. იხ.: იოსებ ალიმბარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს-ის II ნახევარში. თბ., 2008.

უკლებლად უნდა გამოიყვანო და არც დაკლება იქნება, შენ უნდა შემოიყარო და მზათ უნდა იყო. ამ ორის თვის მორიგეს გარდა სხვა რაც კომლის კაცის დაკლება არ იქნება, ყველას უნდა შეატყობინო და მზათ იყვნენ. ამ ერთის პვირის უკან საცა მოვიკითხოთ მორიგეც და კომლის კაციც უკლებლად უნდა შემოგვეყარნენ. თუ ამაზედ ნაკლებობას იხმარებს ვინმე დიდათ ავად მოვეპურობით და კიდევ გარდავახდევინებთო“.¹

თუ „მორიგე ჯარი“ შემოსული მტრის მოსაგერიებლად არ კმაროდა, მათ ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მიშველებოდა და ამაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი მოხელე იყო, თუმცა, სხვადასხვა მიზეზების გამო, ისინი ყოველთვის ჯეროვნად ვერ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. 1774 წლის 1 აპრილს რევაზ ამილახვრისადმი მიწერილ წერილში, ერებლე II ერთი მხრივ „მორიგეებს“ გარჯას უწონებდა, ხოლო მეორე მხრივ ამილახორს თავისი ქვეშევრდომების „სააუგო“ საქმის გამო საყვედურობდა: „ქ. ჩვენ მაგიერად ბატონს ამილახორს რევაზს და აპრილის მორიგეთ ასე უანბეთ, მორიგენო თქვენი დიდად მაღრიელნი ვართ კარგად გარჯილხართ, წელი გამოგიდიათ და ლოთით მტრისათვის პასუხი მიგიციათ თქვენი პირი ნათელი იყოს. ამილახორო ამდენი უნამუსობა როგორ იქნება ზემო ქართლელი გლეხთ და აზნაურთაგან დილით საღამომდისინ სროლა პქონებიათ, ლიახვს გამოდმართნი კაცნი როგორ არ მიეშველნენ, მიუშველებლობა დიდად სააუგო საქმე მომხდარაო“.²

მთის მოსახლეობა (თუშ-ფშავ-ხევსურები) „მორიგეში“ გაწვევას არ ეჭვემდებარებოდა, რადგან მათ ისედაც ევალებოდათ ქისტეთ-ლეკეთიდან გადმოსასვლელი საზღვრების დაცვა, მაგრამ, როცა ქვეყნას უჭირდა, მთიულები ყოველთვის მეფის გვერდით იდგნენ. მაგ. ხევსურებსა და თუშებს მონაწილეობა მიუღიათ ასპინძისა და კრწანისის ბრძოლებში³ ერებლეს კრწანისის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადების სანაცვლოდ ხევსურებისათვის ფულიც კი შეუთავაზებია, რაც მათ პირად შეურაცხყოფად მიუღიათ და თანხის აღმაზე უარი უთქვამთ,⁴ საყოველთაოდ ცნობილია 300 არაგველის გმირობა კრწანისის ომში და ა. შ.

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. AD, საბ. 1052.

² გხიებ, 7782/3, ფ. № 145

³ სერგი მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984, გვ. 40-41; სერგი მაკალათია. თუშეთი, გვ. 37-38.

⁴ სერგი მაკალათია. ხევსურეთი, გვ. 40-41.

„მორიგე ჯარის“ გაწვევის ფორმაში არსებული პრობლემები პრაქტიკაში საგრძნობი გახდა, ამას თან დაერთო ქართველი თავადების თვითნებობა და არსებული სოციალ-ეკონომიკური სისტემის წინააღმდეგობანი, ამიტომ „მორიგე ჯარი“ თანდათანობით მოიშალა, თუმცა, ბრძანებით იგი არასოდეს გაუქმებულა. ზემოთქმულის მიუხედავად, ერეკლე მუდმივად ცდილობდა თავდაცვით სისტემაში არსებული ევროპული სიახლეები ქვეყნისათვის მოერგო და საამისოდ სამეფო კარზე ნაირ-ნაირი პროექტებიც მუშავდებოდა. ერთ-ერთი ასეთი იყო იოანე ბატონიშვილის „სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტი“. „სჯულდების“ მიხედვით, „მორიგეში“ ყველა კატეგორიის (სამეფო, სათავადო, საეკლესიო) გლეხები უნდა გაეწვიათ. გაწვეულები ყოველგვარი ხარჯისა და ბეგარისაგან თავისუფლდებოდნენ. სამსახურის ვადად 5 წელი დგინდებოდა. გაწვევა უნდა მომხდარიყო ყოველ ათ კომლზე¹ ერთი უცოლშვილო ყმაწვილი კაცი, ხოლო საერთო რაოდენობა 2000 კაცამდე დგებოდა. ხუთი წლის შემდეგ ახალი შევსება უნდა მომხდარიყო, რათა „ნამსახურებს“ ოჯახები შეექმნათ. გაწვევა ეხებოდათ ბატონიშვილებსა და თავადაზნაურებსაც.² მატერიალური დაინტერესების თვალსაზრისით, იოანე ბატონიშვილი ჯარისათვის ხელფასის დანიშვნასაც ითვალისწინებდა. იგი ქვეითი ჯარისკაცისათვის დღიურად ორი შაურით განისაზღვრებოდა, ხოლო მხედართათვის – ერთი აბაზით.

ხანგრძლივი დაშქრობისათვის განსაზღვრული იყო ამუნიციაც: „აქვნდეთ ორ კაცს ერთი ნამგალი, ერთი ხელსაფეხვავი, ამისათვის, ოდეს ჯარიანობა მოხდეს ზაფხულის დროს, ვინიცობა არს სხვა ქვეყანაში, მაშინ მოიმკიან მტრის პურსა თავისთვის და დაბერტყენ და დაფქვენ ხელით წისქვილებითა მით. აგრეთვე თავისთა ბარგთა წაიღებენ მათ საკიდრებითა. ათ კაცზედ პქონდეთ თითო ქვაბი ყურიანი დასაკიდებელი – საჭმლის მოსახარშავად. აგრეთვე წყლის ჭურჭლები, შეკერილი ყელვიწრო მათარები თაღითინისა და

¹ იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ. თბ., 1957, გვ. 3-4; ჩვენი აზრით, იოანე ბატონიშვილი ამ შემთხვევაში ათ კომლს ათ სულთან აიგივებს. ოუ ყოველ ათ კომლზე ერთი კაცის გამოსვლით 2000 კაცი დგებოდა, გამოდის, რომ XVIII ს. ბოლოსათვის (როდესაც ქართლ-კახეთში მოსახლეობა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული) აღმ. საქართველოში დაახლ. 1000000-1200000 კაცს უცხოვრია (კომლზე 5-6 კაცის გაანგარიშებით), რაც არარეალურია. სხვადასხვა ცნობებით, სენებული პერიოდისათვის მთლიანი საქართველოს მოსახლეობა 650-770 ათასმდე მერყეობდა, ხოლო ქართლ-კახეთში არაუმეტეს 210-300 ათასი კაცი ცხოვრობდა (იხ: ვახტანგ ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984, გვ. 53; საქართველოს ისტორია, ტ. II. მარიამ ლორთქიფანიძის რედ. თბ., 2008, გვ. 364).

² იოანე ბაგრატიონი. სჯულდება, გვ. 3-4.

გუდებიაქვნდეთ ნაბადნი სახურევად და ამათი ტანისამოსი იყოს მოკლე წალებ-საცემი და ქუდიც განსხვაებული, ხოლო სხვა რაც საჭიროება არს, უოვლითურთ უნდა იყოს მზა, რომ დაბრკოლება არა პქონდეს რა ჯარსა, ეს სახედვე ცხენოსანსაცა.¹

იოანე ბატონიშვილი, როგორც ჭეშმარიტი რაინდი, გამორიცხავს ჯარის მიერ ძარცვა-მოროდიორობასაც: „ავკაცობა, ტაცება, სოფლებში ხალხის შეწუხება უნდა იყოს ესრეთ დაკრძალული, რომ ავკაცობის მქმნელი, სიკვდილის გარდა, არც დაშავებით, არც დიდის გვემით დაიზოგოს, რათა არა განირყვნას ხალხი ... უკეთუ ციხე, ანუ ქალაქი აიღონ სადმე, ვინმცა იმა ქალაქის მებატონეა, მისსა ქონებასა და ცოლშვილსა, ნუ შეახებენ ხელსა ჯარის კაცნი, და თუ ძლიერი ბრძოლა არ უყონ, ნურც გაწყვეტენ ხალხსა. ხოლო სხვებ, ხალხის ქონება, თეთრი თუ ფარჩა, ესენი იქმნების ჯარისა, ვინც რას იშოვის მაშინ. ხოლო ტყვენი, ტყვია-წამალი, სურსათი და ხაზინა დაიდოს სამეფოდ ... უკეთუ ქალაქი ანუ ციხე ადრევე შემოურიგდნენ, მაშინ ჯერ არს ყოველგან ყარაულების დაყენება, რომ ჯარმან არაზედ შეაწუხოს შემორიგებული ხალხი“².

ქვეყნის სამხედრო ინტერესების გათვალისწინებით იყო შედგენილი დავით ბატონიშვილის „სამართალიც“, იგი ჯარში გასაწვევთა უმცირეს ასაკს 20 წელს ადგენდა, დაოჯახება რომ მოესწრო.³ ჯარში გაწვეულთა ხანგრძლივობის ვადად 10 წელი იყო განსაზღვრული. ადნიშნულ პერიოდში გაწვეულის კარმიდამოს მოვლა და ოჯახის დახმარება მეზობლების ვალდებულებას შეადგენდა.⁴ იკრძალებოდა მექრთამეობა. მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ ფრთხილნი, „სინდისიანი, უმანკო და პატივოსანნი“⁵ დეზერტირებისა და პანიკორების საერთო სასჯელი „ლეჩაქის“ დახურვა იყო, ოფიცრებს სამსახურიდან განდევნა ემუქრებოდათ, უმცროს ოფიცერთა შემადგენლობას ჯარისკაცებად „ჩამომცობა“, ხოლო გლეხებს – გაჯოხვა.⁶

ეველაზე დიდი სასჯელი, რა თქმა უნდა, ქვეყნისა და მეფის დალატი იყო. საიდუმლოს გამცემს ენის მოკვეთა ელოდა, ხოლო „ვინცა ციხე და ადგილი გასცეს, რომელსა აქუს რწმუნებულ მეფისა და საზოგადობისაგან და

¹ იოანე ბაგრატიონი. სჯულდება, გვ. 47.

² იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, გვ. 47-48. სხვათა შორის, იმამის ნებართვის გარეშე მოროდიორობა იკრძალებოდა შამილის არმიაშიც. იხ. აგრეთვე: იოსებ ალიმბარაშვილი. „ნიზამი“ და დავით ბატონიშვილის „სამართალი“, გვ. 29-31.

³ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც. თბ., 1964, გვ. 223; მუხლი 165.

⁴ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 339.

⁵ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 192.

⁶ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 20.

ანუ დაუტეოს ადგილი იგი, გარნა საჭიროებისა, ძელსა ჩამოეკიდოს¹ თუმცა, ბატონიშვილი ამ საკითხში ხელისუფლების პასუხისმგებლობასაც აყენებდა: „ოდეს მას არღარა აქუს აზუღა და წყალი: ანუ ოდეს აცნობოს მეფესა ანუ უფროსსა თვისსა და მათგან არარამე პასუხი ანუ შეწევნა მიეცეს, მაშინ იქმნება თავისუფალი ყველრებისაგანო“² დავით ბატონიშვილის „სამართალი“ ითვალისწინებდა საზოგადოებრივ სასჯელსაც, რადგან „დამდები სირცხვილისა ქვეშე საზოგადოობისა უმჯობეს არს დადებადო“³

მიუხედავად თავისი დროის პროგრესული ბუნებისა და შინაარსისა, სამწუხაროდ, გერც ერთი ზემოთ მოტანილი სამხედრო-სამართლებრივი დოკუმენტი ვერ განხორციელდა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობისა და გაუქმების გამო.

ერეკლეს მიერ თავდაცვის სფეროში გატარებულ ლონისძიებათაგან უდავოდ აღნიშვნის დირსია სამთამადნო წარმოების განვითარება და საარტილერიო რეფორმა. ჯერ კიდევ XVIII ს. 60-იან წლებში მეფეს შეძლებული თბილისელი მოქალაქე და ამ საქმის მცოდნე მიკირტუმა თაყუაშვილისათვის 100 თუმანი სახარჯო ფული მიუცია და ახტალაში მადნების მოსაძიებლად გაუგზნია. წარმოების დაწყების შემთხვევაში, მოტივაციის გაზრდის მიზნით, ყოველ მოგებულ მანეთზე მეფე თაყუაშვილს 1 კაპიკის სარგებელს შეკპირებია.⁴

ერეკლე ცდილობდა წარმოების გაფართოებას და ამ საქმეში გაცილებით გამოცდილებისა და პროფესიონალების ჩართვას შეეცადა. ჯერ კიდევ 1769 წელს რუსეთში გაგზავნილ ა. ანდრონიკაშვილს იგი რუსულ ხელისუფლებასთან წერილს ატანს და სამთამადნო საქმის ოსტატების საქართველოში გამოგზავნას სთხოვს, თანაც არწმუნებს, რომ ეს რუსებისთვისაც სასარგებლო იქნება: „დვოთის ნებით, როდესაც ყოვლის მოწყალის ჭელმწიფის ძალით ჩვენს ქვეყანაში მოვა, ეს საქმე დიდად საჭმარი არის, რომ რამდენიმე მადნების კარგი ოსტატები თან მოყვესთ, რომ ყოველს ალაგს საქართველოში მრავალ რიგი მადნები არის მრავალს ალაგს ...მე დიად ვეცადე და ოსტატი ვერ ვი-

¹ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 53.

² სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 21.

³ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 32-33.

⁴ პოლიევქტოს კარბელაშვილი. მეფე ერეკლე და მადანჩა. – გაზ. „საქართველო“, 04.07.1916. №123; გვ. 3.

შოვე და ვგონებ, რომ მისი დიდებულების აქეთ სამსახურში მრავალ საქმეში გამოსაყენებელ იყოსო¹.

რუსებმა 1770 წელს საქართველოში მართლაც გამოგზავნეს აკადემიკოსი იოჰან გიულდენშტედტი. მეფე გერმანელ მეცნიერს განუმარტავდა, რომ მისი აქ ჩამოსვლის მთავარ მიზანს სწორედ საბადოების კვლევაში ხედავდა.² გიულდენშტედტს ერეკლესათვის დასკვნა გაუკეთებია ახტალასა და ქვემო ქართლში (სომხითში) სპილენძის, ვერცხლისა და ტყვის მაღნის არსებობის შესახებ, მაგრამ იქვე მიუთითებდა მათ არახელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რადგან თურქული ციხეები – ახალქალაქი, აწყური და ხერთვისი მათგან მხოლოდ ერთი დღის სავალზე იყო დასავლეთით მოშორებული. ერეკლე გიულდენშტედტს არწმუნებდა, რომ ამ მხარეში ციხეს ააშენებდა და სოფლებსაც გადმოასახლებდა, თუ მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა აქ მაღაროს მუშების გამოგზავნას ინებებდა,³ მაგრამ საიმპერატორო კარს საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენა საკუთარი ინტერესებისათვის სჭირდებოდა და არა ერეკლეს გასაძლიერებლად. მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო ინსტრუქცია გიულდენშტედტს უკრძალავდა ერეკლესათვის რეალური ვითარების გაცნობას, რაც კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი ჩანაწერიდანაც: „უზენაესი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ საქართველოში სამოგზაუროდ ჩემთვის მოცემული ინსტრუქციის მიხედვით, მინერალებს თავდაპირველად მხოლოდ მაღვით ვაქცევდი ყურადღებას და მცენარეთა და ცხოველთა შესწავლას ვაცხადებდი მთავარ მიზნადო“.⁴

როდესაც რუსებიდან არაფერი გამოვიდა, მიკირტუმა თაყუაშვილის წინადადებით, ერეკლეს გადაუწყვეტია გიუმიშხანეს პროვინციიდან (თურქეთში) ამ საქმის მცოდნე 800 პერძენი ოსტატის ჩამოყვანა საქართველოში. გიუმიშხანედან პერძენების გადმოსახლება შემთხვევითი არ იყო. ეს პროვინცია ძველთაგანვე ქართველებით ყოფილა დასახლებული და ცნობილი იყო ვერცხლისა და სპილენძის საბადოებით, მაგრამ პერძენების გადმოსახლებამდე ქართლკახეთის მეფეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაეჭრა:

¹ იასე ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 74-75.

² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით ურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 1966, გვ. 197.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 147-149.

⁴ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 026.

ჯერ ურთი, გიუმიშხანე თურქეთის პროვინცია იყო და ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის გარეშე ეს ღონისძიება ვერ მოხერხდებოდა. ერეკლეს „ბრწყინვალე პორტა“ უნდა დაერწმუნებინა იმაში, რომ გადმოსახლებული ბერძნების საქმიანობას ქართლ-კახეთის სამეფო კარი ოსმალეთის სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ არ გამოიყენებდა;

მეორე – ერეკლე იმ დროისათვის რუსეთის მფარველობას ეძებდა, რუსეთი კი ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას აპირებდა. საიმპერატორო კარისათვის ქართლ-კახეთის მეფის ამ ნაბიჯს უჭირა საფუძველი არ უნდა გაუჩინა;

მესამე – ერეკლეს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა თვით ბერძნების დასაყოლიელებლად საქართველოში გადმოსახლების მიზნით. მეფეს ბერძენი ოსტატები უნდა დაერწმუნებინა იმაში, რომ გამუდმებული ლეგიანობის პირობებში ახტალა-ალავერდში მათი დასახლებით უშიშროება უზრუნველყოფილი ექნებოდათ. როგორც მოგვიანებით ბერძნების მეთაურის ფედორ ხაჯიფეტოვის შვილი ათანასე იხსენებდა, „ერეკლეს ყველა მცდელობის მიუხედავად, ბერძნები გადმოსახლებაზე არ თანხმდებოდნენ, რადგან ეშინოდათ იმ უბედურებისა, რასაც მუდმივად განიცდიდა ქართველი მოსახლეობაო“.¹

დაბოლოს, ქართლ-კახეთის მეფეს ბერძნებისათვის მინიმუმ იმის გარანტია მაინც უნდა მიეცა, რომ მათ საქართველოში უპეოები ეკონომიკური პორობები ექნებოდათ, ვიდრე თურქეთში.

ერეკლემ ყველა ეს პრობლემა წარმატებით გადაჭრა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის დიპლომატიურ ნიჭიე. მეფემ გადმოსახლებულ ბერძნებს დიდი პრივილეგიები მიანიჭა და გადასახადებიდან გაათავისუფლა. ისინი არც ჯარში გაწვევას ექვემდებარებოდნენ. თავიდან წარმოება კარგად ვერ აეწყო და ბერძენთა ნაწილი უკან გაბრუნდა, მაგრამ 1774 წლიდან მადნები მთელი ძალით ამჟავდნენ და ბერძნებმა კვლავ მოაშურეს საქართველოს. ერეკლემ კომპენსაცია მისცა ახტალა-ალავერდის მფლობელ მელიქიშვილებსა და არღუთინ-დოლგორუკოვებს. მელიქიშვილები მიწის დათმობის ფასად, წლიურად მიწისა და ტყისათვის კომპენსაციის სახით 300 მანეთს იღებდნენ, ასევე 300 მანეთს – ქარხნების ზედამხედველობისათვის და ტყვიისა და ვერცხლის ნა-

¹ С. Эсадзе. Очерки историй горного дела на Кавказе. Тифл., 1903, გვ. 12-13.

წილს – ნატურით.¹ ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხნის მფლობელები არღუთინ-დოლგორუკოვები წლიურად იღებდნენ 600 მანეთს და მადნის 1/10-ს ნატურით.²

მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით, სამეფო ხელისუფლებას ქარხნებისათვის მიუწერია ბორჩალოსა და ყაზახის სოფლები და დაუკალდებულებია ისინი, ყოველწლიურად ქარხნებისათვის 175 ცხენოსანი და ქვეითი მიეცათ. გარდა ბერძენი ოსტატებისა, ქარხნებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ნებით დაქირავებულებიც მუშაობდნენ. წარმოების მეთვალყურეობისათვის მეფე მთავარ ზედამხედველ – მადანჩიბაშს ნიშნავდა.

ერეკლე მხოლოდ ბერძნების იმედად არ იყო და ცდილობდა ეს საშური საქმე ქართველ ახალგაზრდებსაც შეესწავლათ. მისი დავალებით სოფლები გალდებულნი იყვნენ 20-დან 30 წლამდე ახალგაზრდები გამოეყვანათ და მნიშვნელოვან შედავათებსაც ჰპირდებოდა. 1775 წ. 27 ოქტომბერს მეფე ამილარ სახლოუხუცესს სწერს: „...მერე მადანჩიათ მისაბარებელი შაგირდები ქართლსა და კახეთში შევაწერეთ, კახეთს გარდა ქართლსა და ქალაქში რაც მისის უწმინდესობის ჩვენის მმის კათალიკოზის ყმა არის, ამათ ექვსი კაცი აწერიათ. ამის იასაული შენა ხარ, რომელიც სახლისკაციანი კაცი იყოს, იმისთანა გამოიყვანე, ოცი წლიდან მოკიდებული ოცდა ათი წლამდინ რომ იყოს ამგვარი უნდა გამოვიდეს. ამაზედ დიდათ ბეჭითი იყავი, ეს ახლავ გაარიგე ამ შაგირდებს თითო ხელი ტანისამოსი, თითო წამოსასხამი ნაბადი, თითო თოფი და იარაღი და ხუთ-ხუთი მინალთუნი თეთრი უნდა მისცეთ. ამაზე ნურავინ დაბრკოლდება“. მეფე წერილში განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ დონისძიების მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის და სარგებლობას მოსახლეობისათვის: „ეს სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავის ქვეყნისაც. ეს რომ ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს, მტრისაგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია. რომელიც ამ ხელობას ისწავლის, თავის ოჯახს გაამდიდრებს. ჯერ ამის გემო არ იციან, თვარემ ამის სწავლისათვის კიდევ შემოგვეხვეწებიან, წელიწადში ერთი ოსტატი სამოცს-ოთხმოცს თუმანს მოიგებს და ამის უკეთესი მოგება გლეხი კაცისათვის რა უნდა იყოს?“³

¹ დერმიშა გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX ს.ს.). თბ., 1982, გვ. 11.

² დერმიშა გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში..., გვ. 11-12.

³ საქართველოს ისტორიის ქრონიკები. ავთანდილ იოსელიანის რედ. გვ. 138.

მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ამ დონისძიების „გემო“ და ქვეყნის სარგებელი ჯერ მართლაც არ იცოდა. 1775 წ. 27 ივნისს რუისელი გიორგი ბუზიაშვილი ერეპლესთან ჩიოდა: „რუისისათვის, რომ მადანის შეგირდი გებბათ, ათი წლის შეილი მუჟანდა, სოფელმა მითხრა, შენი შვილი მიეცი მადნის შაგირდათაო, მამულსაც მოგცემთ და კიდეც გათარხებთო, შვილი შაგირდათ მოგართვით, მაგრამ აღარც მამული მომცეს და არც მათარხეს, გასაღებს ყველას მართმევენ, სამართალი მაღირსეთო“.¹ სამთამადნო წარმოების დაწყებით, ერეპლემ შესამჩნევად გაადიდა სამეფო შემოსავალი. მადნებიდან ქვეყანას ყოველწლიურად 1500 კილო წმინდა გერცხლი და საკმაო სპილენძი შემოსდიოდა, მაგრამ ომარ-ხანმა 1785 წლის შემოსევისას პირწმინდად გაძარცვა და დაანგრია საბადოები, რომლის სრულფასოვანი აღდგენა ერეპლემ გედარ მოახერხა.²

ქართლ-კახეთის მეფეს კარგად ესმოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში არტილერიის მნიშვნელობა. თოფი ქართველი მეომრის ადჭურვილობაში ჯერ კიდევ XVII ს. II ნახევრიდან ჩანს. ამ დროის საამილახვროს დავთრის მიხედვით, მოსაურეთა შორის 407 თავი გამოდიოდა შუბით, 288 მშვილდით და 420 თავი თოფით.³ XVIII ს. 40-იანი წლებიდან ქართველების ადჭურვილობიდან ტრადიციული მშვილდისარი ხმარებიდან თითქმის ამოღებულია.⁴ ირ. ჯორჯაძის ცნობით, პირველი საბრძოლო ქვემეხი საქართველოში ჯერ კიდევ 1730 წელს ჩამოუსხამთ.⁵ იმავე ხანებში სამეფო კარზე 178 სმ-ის სიგრძის პირველი თოფიც დაუმზადებიათ.⁶ ვახტანგ VI-ის დომენტი კათალიკოსისადმი სალაშქროდ გამზადების 1720 წლის ახლო ხანების დავთრის მოხედვით, 866 კაციდან ოთხასთერთმეტი ცხენოსანი მეთოვეა.⁷

1749 წელს ერეპლეს ინიციატივით, დედაქალაქში აშენდა საარტილერიო საწარმო – „ჯაბა-ხანა“, სადაც ასებამდნენ თოფ-იარაღს, ზარბაზნებს, ზამბულაკებს, ყუმბარებს, ციხის თოფებს, ზარებს და სხვ. მეფემ ისარგებლა იმით, რომ ტოტლებენის ჯარში არტილერიის საქმის მცოდნე ქართველები – არტილერიის პოდპოლკოვნიკი ჩოლოუაშვილი და თავადი თარხან მოურავი იყვნენ

¹ საქართველოს ხიდებენი, ტ. II, გვ. 491, დოკ. 459.

² დაწვრ. იხ.: იოსებ ალიმბარაშვილი. ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე, გვ. 101-108.

³ სარგის კაპაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა. ტფ., 1925, გვ. V.

⁴ Г. З. Аничабадзе. Источниковедческие проблемы военной истории Грузии. Тб., 1990, გვ. 204.

⁵ ირაკლი ჯორჯაძე. ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან. თბ., 1990, გვ. 169.

⁶ ირაკლი ჯორჯაძე. ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 169.

⁷ დოკუმენტები საქართველოს ხოციალური ისტორიიდან. ტ. I (XV – XVIII სს.), ნიკოლოზ ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 185.

და ზარბაზნების, მორგირებისა და პაუბიცების გაკეთება სთხოვა. ქართველებმა ეს საქმე სიხარულით იკისრეს. როცა ტოტლებენმა ეს ამბავი შეიტყო, ჩოლოფაშვილსა და თარხან მოურავს სასტიკად აუკრძალა, რომ ქართველებისათვის საარტილერიო ხელობა ესწავლებინათ.

ქართველმა არტილერისტებმა ტოტლებენის ბრძანება უკანონოდ მიიჩნიეს, თბილისში დარჩნენ და საარტილერიო საქმის შესწავლა გააგრძელეს. მაშინ ტოტლებენმა 1770 წ. 6 თებერვალს რუსეთის მთავრობას საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა, რომელშიც ატყობინებდა, რომ „თუმცა საქართველოს მეფე რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, მაგრამ რუსეთის ინტერესებისათვის სასურველი არაა, საქართველოში რუსეთის ხელმწიფის ზარბაზნებს გარდა სხვისი ვისიმე ზარბაზნები იყოს“, ამიტომ ტოტლებენი რუსეთის მთავრობას სთხოვდა, რომ ქართველი ოფიცრები და თავადი თარხან მოურავი საქართველოდან ისევ რუსეთში გაეწვიათ.¹

როგორც ჩანს, ეს ამბავი ერეკლესათვის ცნობილი გახდა. იგი თანამემამულების დაცვას შეეცადა და ამავე წლის 10 მარტს ტოტლებენს სწერდა: „...ჩვენ გავიგონეთ, ვითამ თქვენ ბრწყინვალებას ას[ე] მოხსენებოდეს: კნიაზ პოდპოლკოვნიკს სვიმონ რომანიჩს ჩოლაფოვისათვის ჩვენ აქ ზარბაზანი და ან არტილერია რამ გაგვეკეთებინოს და ამის გამო თქვენი ბრწყინვალება გასწყრომოდეს. ეს მათის დიდებულების ბრძანებაც იყო, რომ ევროპის ჯარის განწევება ჩვენის ქვეყნის კაცესაც მიეღო, მაგრამ ჩვენ სვიმონ რომანიჩისათვის არტირელიის რიგი არა გაგვიკეთებინებია რა. ჩვენ მეზარბაზნე გვეავს, რომელმაც ზარბაზნების ჩამოსხმა კარგათ იცის და ბევრიც ჩამოგვისხმევინებია, რომ იმის ჩამოსხმული ზარბაზანი სამი ჩვენ აქ თან მოგვაქვს“. ერეკლე ტოტლებენს უხსნიდა, რომ ჩოლოფაშვილსა და თარხან-მოურავს მხოლოდ კონსულტაცია სთხოვა და გარდა ამისა, „მათის დიდებულების ნებაც ეს არის, რომ ამ მხარის ქრისტიანებმა ევროპის ჯარის განწევება მიიღონ“.² ერეკლე არ ტყუდა. ტოტლებენს მართლაც პქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქცია, რომლის მე-10 მუხლში მოხსენიებული იყო, რომ ქართველებს შეეძლოთ შეესწავლათ რუსე-

¹ იგანე ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, ტფ., 1919, გვ. 54-55.

² ვალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III. რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო. თბ., 1988, გვ. 540-541, დოკ. №236.

ბისაგან არტილერიის გამოყენება ბრძოლაში, რათა „ჩაენერგათ მათი მიბაძვის სურვილი“.¹ მიუხედავად მეფის მონდომებისა, ქართველი ოფიცრები თავისი მამულიშვილური გრძნობების გამო სასტიკად დაისაჯნენ. ისინი იძულებით პვლავ რუსეთში წაიყვანეს, დააპატიმრეს და მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვეს, რაც მათი უდანაშაულობა ყველასათვის ცხადი შეიქმნა.²

ერეკლემ მაინც დასძლია ეს წინააღმდეგობები და მოახერხა XVIII ს. 70-იან წლებში თბილისში გაეხსნა თოფ-ზარბაზნების ქარხანა, თოფის წამლის ქარხანა და ა. შ., რომლებიც დაქირავებულ შრომაზე იყვნენ დაფუძნებული. მეფე ამ საწარმოებს იჯარით აძლევდა კერძო პირებს, დიდვაჭარ-მოქალაქეებს და შეძლებულ ოსტატებს. მოიჯარადრები, რაკი საკუთარი ყმები არ ჰყავდათ, სარეწაოებში ხელოსნებისა და შავი მუშების დაქირავებულ შრომას იყენებდნენ, ზოგიერთი საწარმო კი თვით დიდვაჭრებს ეკუთვნოდათ. ჯერ კიდევ 1770 წელს საქართველოში ჩამოსულ ი. გიულდენშტედტს უნახავს აღნიშნული თოფისწამლის ქარხანა. იგი დაწვრილებით აღწერს აღნიშნულ საწარმოში, როგორც თოფისწამლის დამზადების ქიმიურ შემადგენლობას, ასევე შრომის დანაწილების პროცესს.³

თოფისწამლის დამამზადებელი სარეწაოს მფლობელი თბილისელი მოქალაქე ისაია თაყუაშვილი ყოფილა. როგორც ჩანს, თაყუაშვილები ამ ხელობას მემკვიდრეობით ფლობდნენ. 1776 წელს ერეკლე II ისაია თაყუაშვილსა და მის ოჯახს ამ საქმეში შეუვალობას ანიჭებს: „ჩვენი ბძანება არის, თაყუაშვილო ისაიადავ, მერმე დიდ ჭირობას ქვეყნისა და ჩვენის სამსახურისა და ერთგულებისათვის ...ქალაქში თოფის წამლის დანაყვის ბრძანება მამაშენს, შენ და შვილთა შენთა გიბოძეთ, თქვენს მეტი კაცი ვერავინ დაანაყვინებდა ...და მაშინვე ქარხანა გამართეთო“.⁴ თაყუაშვილს აღნიშნული საწარმოდან საკმაო შემოსავალი ჰქონია და თოფისწამლის წარმოებაში „მონოპოლისტად“ იქცა, რადგან, მეფის ბრძანების თანახმად – „მის მეტი კაცი ვერავინ დაანაყვინებდა და ვერც გვარჯილასა და თოფის წამალს გაჰყიდდა“. მოგვიანებით ერეკლემ ისაიას საწარმო ჩამოართვა და საკუთრად დაიჭირა იმ პირობით, რომ აღნიშნული საქმე თაყუაშვილსვე უნდა გაეგრძელებინა, დამატებითი პირობა მიწების წყალობა იყო: „...ოცდახუთი ადლი ალაგი გვთხოვე, ჩვენც ვინებეთ და ის

¹ გალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის..., გვ. 85.

² იგანე ჯაგახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII.., გვ. 54-55.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 15

⁴ აკავი კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს-ის II ნახევარში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელხაწერთა ინსტიტუტის მოამბჯ, IV, თბ., 1962, გვ. 273.

ალაგი შენ და შენ შვილებს სამემკვიდროდ მამულად გიბოძეთ, დუქნები გააკეთე და წამალიც იქ გააყიდვინეთ“.¹

1795 წლის შემოსევისას აღა-მაჟმად-ხანს თოფის-წამლის ქარხანა გადაუწვავს, მაგრამ მომდევნო წელს ი. თაყუაშვილს მისი აღდგენა ისევ მოუხერხებია. აღსანიშნავია, რომ თოფის-წამლის წარმოებას საქართველოში მდიდარი ტრადიცია პქონდა და ადგილზეც საკმაოდ მოიპოვებოდა. ვახუშტის ცნობით, სარკინეთს ითხრებოდა „ლითონი რკინისა და სპილენძისა“.² მისივე გადმოცემით, მარნეულის სამხრეთით „ითხრების მიწა და ჭდიან გუარჯილასა, ეგრეთვე იაღლუჯის მთასა შინაცა მიწისაგან ჭდიან გუარჯილასა“.³ ეს საქმე სვანეთში ხელოსნობის იმდენად მკვიდრი დარგი ყოფილა, რომ მას საკუთარი მფარველიც (სალომი) კი პყოლია.⁴

საარტილერიო საქმის დაწყებამ საქართველოში რკინაზე მოთხოვნილება გაზარდა. დ. მეგრელაძის დაკვირვებით, რკინა აღმ. საქართველოში მცირე რაოდენობით, ისიც უხარისხო იყო, ამიტომ იგი დასავლეთ საქართველოდან შემოპქონდათ.⁵ ერეკლეს უცდია ამ დანაკლისის შევსება და ბორჩალოში რკინის „ქარხნის“ აშენება წამოუწყია, მშენებლობა თითქმის დამთავრებული ყოფილა, რომ ლეკები თავს დასხმიან და მეფე იძულებული გამხდარა მისთვის თავი მიენებებინა.⁶

მიუხედავად ზემოთქმულისა, სხვადასხვა ცნობებიდან ჩანს, რომ XVIII ს.ბოლოსათვის საქართველოში რკინა საკმაო რაოდენობით იწარმოებოდა. მაგ. 1799 წელს საიმპერატორო კარის დავალებით მუსინ-პუშკინს შეუმოწმებია ახტალა-ალავერდის წარმოება, რომელიც იმ დროისათვის ყოველთვიურად 2000 ფუთს, ე. ი. დაახლ. 32,5 ტონა რკინას აწარმოებდა.⁷ სხვა ცნობით, 1798 წელს კახეთში ბაგრატ ბატონიშვილისათვის, თელავის, შილდის, ლალისყურის და ა. შ. ლეკოთა თავდასხმებისაგან თავდაცვის მიზნით, გიორგი XII-ს 600 ლიტრა თოფის-წამალი და ჩამოსასხმელი სათოფე და სადამბაჩე – 300 ლიტრა ტყვია

¹ აკაკი ქლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში. „ გვ. 272.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 311.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 327-328.

⁴ ალექსი რობაქიძე. თოფის-წამლის წარმოება პირაქთა ხევსურეთში. – ანალები, ტ. I. თბ., 1947, გვ. 215-217.

⁵ დარეჯან მეგრელაძე. რკინის ადგილობრივი წარმოებისა და მისი შემოზიდვის შესახებ XVIII ს. საქართველოში. – აკად. ივ. ჯავახიშვილის ხახ. იხტორის ინსტიტუტის შრომები. VII. თბ., 1964, გვ. 109.

⁶ დარეჯან მეგრელაძე. რკინის ადგილობრივი წარმოებისა და მისი შემოზიდვის..., გვ. 113.

⁷ პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 198.

გაუგზავნია.¹ ქართული არტილერიის განვითარების მიზნით, ერეკლე ცდოლობდა უცხოელების გამოცდილებაც გაეთვალისწინებინა და ამ მიზნით სამეფო კარზე საქმის მცოდნე სპეციალისტებს იწვევდა. ასეთები იყვნენ გერმანელები იაკობ რაინეგსი და ოსებ გეტინგი. რაინეგსს თბილისში გაუმართავს თოფის წამლის წისქვილი, რომელსაც ევროპულად ამუშავებდა. მისივე რჩევით, ერეკლეს სამეფო ხარჯზე თბილისში საარტილერიო სასწავლებელიც გაუხსნია,² მაგრამ მოგვიანებით მისი ურთიერთობა ერეკლესთან ვეღარ აეწყო და იძულებული გახდა რუსეთში გადახვეწილიყო. რაც შეეხება გეტინგს, იგი 1795 წლის შემოსევის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანმა ტყვედ წაიყვანა და სამსახურიც შესთავაზა, მაგრამ გეტინგი მისი გარდაცვალებისთანავე დაბრუნდა საქართველოში და არტილერიის კაპიტნის ჩინსაც მიაღწია.

ქართლ-კახეთის მეფე განსაკუთრებით ენერგიულ ზომებს მიმართავდა, რათა საარტილერიო საქმე ქართველ ახალგაზრდებსაც შეესწავლათ. იგი მნიშვნელოვან შეღავათებს უწესებდა და ხელფასითაც ახალისებდა ამ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა სოციალურ ფენას. მაგ. არტილერიის ხუროს - მოხისელი ივანესადმი 1793 წ. 22 თებერვალს ერეკლეს მიერ გაცემული წყალობის სიგელიდან ვიგებთ, რომ ივანეს თოფხანაში სამსახურის მეტი, არანაირი გადასახადი, მათ შორის სალეკო და სარუსო აღარ ეკისრება, განწევებული აქვს სპეციალური ჯამაგირი და „ულუფა“. ქონებრივი (ქურდობის), ან პიროვნული ზიანის (გალახვის, დაჭრის) მიყენების შემთხვევაში, ზარალი ორმაგად უნდა აუნაზღაურდეს. თუ ერთი ძმის მეტი არა ჰყავს, ისიც „მორიგე ჯარიდან“ თავისუფლდება მასთან ერთად, მაგრამ თუ ივანე არტილერიაში სამსახურს თავს დაანებებს, ყველა წყალობა უნდა მოეშალოს.³ მსგავსი შედავათები აქვს არტილერიის მცველს ძევერელ ვასილ ხეჩუაშვილს, იმ უპირატესობით, რომ ზიანის მიყენების შემთხვევაში მისი სისხლი „აზნაურიშვილის“ სისხლს უტოლდება.⁴ როგორც ითქვა, არტილერიის სფეროში დასაქმებულებს ხელფასის გარდა, „ულუფაც“ ეძლეოდათ.

¹ პლატონ იოსევლიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 87.

² გერმანელი დოქტორი იაკობ რეინეგსი. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა. ტფ., 1920, გვ. 11.

³ ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. 5124;

⁴ ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. 8719; როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ის „სამართლით“, გლეხის სისხლი შეფასებულია 12 თუმნად, ხოლო მცირე (ცალმოგვი) აზნაურის სისხლი - 48 თუმნად. იხ: სამართლი ვახტანგ მეუქენისა. ისიდორე დოლიძის რედ. თბ., 1981, გვ. 189, მუხლები 29-33.

XVIII ს. 90-იან წლებში ქართულ არტილერიაში უკვე 200-მდე „ოოფზი“ მსახურობდა. ერეკლემ ევროპული ყაიდის მსგავსად შემოიღო პრემიერ-მაიორის, სეპუნდ-მაიორისა და გენერალ-ფელდცეხმეისტერის თანამდებობები. ქართული არტილერიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვოდათ პატარა ბატონიშვილს (რომელიც შემდეგ სიკვდილით დასაჯა ერეკლემ 1765 წლის შეთქმულებისათვის), პაატა ანდრონიკაშვილს, გიორგი გურამიშვილს, გაბრიელ მაიორს და სხვებს. არტილერია გადაჰქონდათ სპეციალური ურმებით, რომლებშიც ოთხი წყვილი ხარ-კამეჩი იყო შებმული. თითოეულ ურემს ემსახურებოდა ორი თოფოსანი საკუთარი წესდებით, რომელშიც გაწერილი იყო მათი უფლება-მოვალეობები.

ხარები მოსახლეობიდანაც გაჰყავდათ ქირით. თუ ხარს პატრონს ვეღარ დაუბრუნებდნენ, საზღაურიც ეძლეოდათ და ქირასაც „მართებულს“ უხდიდნენ. ხარ-ურმების გადაადგილების მიზნით შემოღებული იქნა არტილერიის მეხერეთ-უხუცესის სახელო. 1785 წ. 10 იანვრის წყალობის სიგელით ერეკლე II დავით მეფეურიშვილს მეხერეთ-უხუცესის სახელოს უბოძებს, თორმეტ თუმან ჯამაგირსაც გაუჩენს, ყოველგვარი გადასახადიდანაც (სარუსო, სალეკო, საქვეჭნო, დალა, კულუხი, ნახირისთავი, პირისთავი, საბალახე, ბეგარა) ათავოსუფლებს და „მორიგეობაც აღარ ეთხოვება“. მისივე ვალდებულებაა სოფლის მეურმეებში ურმისა და ხარის საჩივრის „სამართლის სისწორით ქმნა და გაშველება“.¹

რაც შეეხება, საომარი იარაღის, აღკაზმულობისა და ცხენების იმდროინდელ ფასებს, ი. გიულდებულების 1771-1772 წლების დანახარჯის სიის მიხედვით, ცხენი საქართველოში 20 მანეთი დირებულა,² უნაგირი (თავისი მოწყობილობით) – 5 მან. 25 კაპ.,³ 50 გირვანქა⁴ თოფისწამალი – 12,5 მან.,⁵ ამავე რაოდენობის ტყვია – 7,5 მან.,⁶ ეგერის თოფისთვის კონდახის გაკეთებაში გიულდებულების გადაუხდია – 1 მან.,⁷ იარაღით ვაჭრობის საკითხში მთის რეგიონში მიღებული ფორმა იყო ნატურით გადახდა. მაგ. ხევსურეთში კარგი ჯაჭვის პერანგი ხუთ ძროხად ფასობდა, ჩაჩქანი – ერთ ძროხად, სამკლავე – ერთ

¹ დოკუმენტები საქართველოს ხოციალური ისტორიიდან, ტ. II, გვ. 133, დოკ. 209.

² გიულდებულების მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 235.

³ გიულდებულების მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 239.

⁴ გირვანქა - ძვ. წონის ერთეული; 1 გირვანქა = 409,5 გრამს.

⁵ გიულდებულების მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 257.

⁶ გიულდებულების მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 257.

⁷ გიულდებულების მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 247.

ძროხად. სმლებში ყველაზე ძვირი – „დავითფერული“ იყო, რომელშიც 25 ძროხას იხდიდნენ, თოფებში საუკეთესოდ ითვლებოდა „ისტამული“, რომელიც ასევე 25 ძროხა დირდა, შემდეგ მოდიოდა ხირიმი – 15-16 ძროხა და ა. შ.¹ რაც შეეხება ჯაჭვის პერანგს, მისი ფასიც ხარისხიდან გამომდინარე იყო, მაგ. დაღუდებული ჯაჭვის პერანგი ხუთ ძროხად ფასობდა, ფარეშიანი რგოლით ნაქსოვი ჯაჭვი – ერთი ძროხით ნაკლები, ხოლო თავებმიახლოვებული რგოლიანი ჯაჭვი სამი ძროხა დირებულა.²

მიუხედავად იმისა, რომ ცხენი, აბჯარი, იარაღი და ა. შ. საკმაოდ ძვირი ღირდა, მისი მოპარვა მაინც დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ვახტანგ VI-ს „სამართლის“ მიხედვით, მომპარავს ნაქურდალის შვიდკეცი ანაზღაურება და სისხლის ნახევარი ეკისრებოდა: „ერთი რომე უმტროდ და შეუბმელად და დაუნარჩუნებლად მუხთლად იარაღი აჟყრია, აუგი დასდებია; და მეორე ესე, – თუ ომი მოვდა, იმ ლაშქრობაში უიარადობით მკვდარი შეიქმნების“.³

ჯარში ქურდობისათვის მკაცრი იყო დავით ბატონიშვილის „სამართალიც“: „...რომელ კაცმან ბრძოლასა შინა ანუ გაჭირვებასა მოსტაცოს ცხენი ამხანაგსა თვისება განრომისათვის თვისება, მაგრა რაოდენცა ჯეროან არს ზრუნვა თავისა თავისა, ეგოდენ უჯერო არს სხვსცა სიკუდილად მიცემა. ...ხოლო თუ მსაჯულების გამოკითხვის შემდეგ, ქურდობა მტერობითა და მობირებით არ იყო მომხდარი, მაგრამ უკეთუ მოკუდეს კაცი იგი ბრძოლსა შინა, მისცეს ნახევარი სისხლისა და მისცეს ცხენიცა, და უკეთუ დატყუშვდა, მაშინ ნახევარი სასარი დაუურვოს. ხოლო ურემთაგან, გინა საკიდართაგან, ბარგთა გარდამომყრელნი და მის თვისება გამრიოებელნი სრულებით უზღვევენ ბარგსა დაკარგულსა“.⁴

ერეკლეს მიერ შექმნილი ჯარის ყველა სახეობას შესაბამისი წესდება გააჩნდა, ანუ „მორიგე“ ერთი თვით გადიოდა, „ყარაულსა“ და „მდევარს“ ძირითადად საკუთარი, ან ახლომდებარე ტერიტორიების დაცვა ევალებოდა, „ნოქარი“ – ხელფასზე მომუშავე დაჭირავებული ჯარისკაცი იყო, „ჩარექში“ – ოთხ კომლზე ერთი გადიოდა (ან სათავადოდან მეოთხედი) და სხვ., მაგრამ ქვეყანაში მტრის დიდი ძალის შემოსვლის შემთხვევაში, ჯარში გასვლა სა-

¹ სერგი მაკალათია. ხელსურეთი, გვ. 147.

² ქოტე ჩოლოვაშვილი. ქართული საჭურველი – ჯაჭვი. – აკად. ს. ჯანაშვალ სახ. საქართველოს ხაელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბ., 1956, ტ. XIX-B; გვ. 284.

³ სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, გვ. 225; მუხლი 152.

⁴ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 15; მუხლი – 12.

კუთარი შეიარაღებით ყველა მამაკაცის უპირველეს მოგალეობად ითვლებოდა („ქუდზე კაცი“, „კომლზე კაცი“ და ა. შ. შემოსული მტრის რაოდენობიდან გამომდინარე) და ამ შემთხვევაში ყველა დანარჩენისაგან განსხვავებით, გამონაკლისები არ არსებობდა. მეფის დაძახილზე უნდა გამოსულიყო თავადი, აზნაური, გლეხი, თუშ-ფშავ-ხევსური, ყმადნაფიცი ელები და ა. შ.

ქვეყნის თავდაცვის საქმეში სასულიერო წოდებაც აქტიურად იყო ჩართული. თავის მხრივ, არც მეფეები აკლებდნენ წყალობას. 1764 წ. 8 ივნისს ერეკლე II, ერთგულებისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, ამოწყვეტილი თავადის – სვიმონიშვილის ქონებას უწყალობებს მდვდელ იქსე მაჭავარიანს. დოკუმენტის მიხედვით, მაჭავარიანს მონაწილეობა მიუღია ალაზნის (აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ), ყირბულახის (1751 წ.), მჭადიჯვრის, ატოცის ბრძოლებში.¹

საბუთიდან ისიც ირკვევა, რომ სასულიერო წოდების მონაწილეობა ქვეყნის თავდაცვაში მხოლოდ ლოცვით არ შემოიფარგლებოდა, ისინი თავდაცვით დონისძიებებშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი, ბრძოლებში იარაღსაც იღებდნენ ხელში და ხშირად გადამწყვეტ როლსაც ასრულებდნენ.

განუწყვეტელ ბრძოლებში საეკლესიო ფეხის აქტიურ მონაწილეობას, ბუნებრივია, მსხვერპლიც თან სდევდა, მაგ. მარაბდის ომში ავალიშვილთან ერთად იბრძოდნენ და და ბრძოლის ველზე დაეცნენ რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები. 1752 წ. 10 თებერვალს აჯი-ჩალაბის დალატის წყალობით ჭარში ერეკლე-თეიმურაზის მარცხს, ბოდბელი, ხარჭაშნელი და სამებელი ეპისკოპოსებიც შეეწირნენ.²

აღსანიშნავია ქართველი ქალების როლი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. მართალია, „სამდევროებსა“ და „მორიგეში“ გაწყვევას ისინი არ ექვემდებარებოდნენ და ოფიციალურ ნუსხებში მათი მონაწილეობა არ დასტურდება, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია ქართველი გმირი ქალების – მაია წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელის, თინა წავკისელის, დარეჯან ცქირიაშვილის პირადი თავდადების მაგალითები.

ქვეყნის თავდაცვაში თავისი წვლილი შეჰქონდათ სამეფო ოჯახის მანდილოსნებსაც. 1778 წელს ქართლში მომავალ ქეთევან დედოფალს (გიორგი ბა-

¹ ხახლიმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, საქმე 5602.

² ქრონიკები და ხევა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონილოგიურად დაწყობილი და ახსნილი თემო კორდანიას მიერ. წიგნი III, გვ. 218.

ტონიშვილის, შემდეგში ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მეუღლეს) დართისკართან 500 ლეპი დახვედრია, ქეთევანს თან 300 „მორიგის“ მეტი არ ჰყოლია, ისიც მეთაურის გარეშე დედოფალი თვითონ ჩადგომია ქართველ მებრძოლებს სათავეში და ლეპები დაუმარცხებია. რძლის სიმამაცით მოხიბლულ ერეპლეს ეს ამბავი თბილისში ზარბაზნების სროლითა და ქალაქის გაჩირალდნებით აღუნიშნავს.¹

თვით დარეჯან დედოფალი, იმ დროს, როდესაც მეფე ერეპლე დედაქალაქში არ იმყოფებოდა, ქვეყნის თავდაცვის საქმეს საკუთარ თავზე იღებდა. 1788 წელს იგი შიდა ქართლის გამგებელს – ოთარ ამილახვარს ატყობინებდა, რომ ერეპლე მდევარში იყო ქიზიყში წასული, ამიტომ სიფრთხილის მიზნით მტკვარ გაღმა-გამოღმა ყარაულები დაეყენებინა, რადგან ცნობა პქონდა ახალციხიდან ლეპის ჯარის გადმოსვლის შესახებ. დედოფალი ამილახვარს ავალებდა, რომ იულონ ბატონიშვილისათვის გორში ჩამოსვლა ეთხოვა, რადგან ქსნის ერისთავების ახალციხეში გადახვეწის შემდეგ, მისი ბელოთში დგომა საჭირო აღარ იყო. მრავლისმნახველი დედოფალი დიდმოხელეს სიფრთხილისკენაც მოუწოდებდა: „...ბატონის აქ უბძანებლობა ახლა ახალციხეს შეტყობილი ექნებათ, ამისათვის ქართლს უფრო სიფრთხილე მართებს. ჩუშნც ძალიან ვფრთხილობთ და მანდეთაც გაფრთხილდით. თუ ბატონის მდევარს წაბძანება ქართლშიც არ იცოდნენ, საიდუმლოდ იყოს, ნურავის ეტყვითო“.² მოტანილი საბუთი ცხადყოფს, რომ ერეპლეს დედაქალაქში არ ყოფნის დროს ქვეყნის თავდაცვას, ფაქტობრივად, დარეჯან დედოფალი ხელმძღვანელობს და სამხედრო საქმეშიც საკმაოდ დახელოვნებული ჩანს.

ადგილობრივი მოხელეები პასუხს აგებდნენ არა მარტო მათ საგამგებლო ტერიტორიიდან მოსახლეობის დადგენილი რაოდენობის ლაშქრად გაყვანაზე, არამედ ამ ტერიტორიაზე მყოფი ჯარის სურსათით უზრუნველყოფაზეც. 1789 წლის 29 ნოემბერს მუხრანბატონი სახლოუხუცესი იოანე გორის მამასახლის – ზურაბსა და ქედეუდებს ატყობინებდა, რომ ხიდისთავს მისული ჯარი „დამაშვრალი, თოვლისაგან დამძრალი“ და მშიერი იყო და ავალებდა სასწრაფო ზომების მიღებას: „.... ახლა თქვენ ერთობით ორასი თუნგი მაჭარი და ორი ათასი გამომცხვარი პური ამაღამვე თუ აქ ჯარს არ მოუვიდა არას გზით არ იქნება, ამაზედ აქედამ ალდანაშვილი ოთარ და ბელუა გამოგვიგზავნია, იმათ

¹ დავით ბატონიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 23.

² მიხეილ ცოტნიაშვილი. ცხინვალის ისტორიისათვის. სტალინირი 1961, გვ. 64-65

უნდა გაარიგებინოთ და მოაბაროთ, ახლავ გამოგზავნოთ. თუ ამას იტყვით, რომ გარშემო სოფელს რატომ არ გამოართოო, ამათიდამ დიახ დაუგვიანდებოდათ და მანდედამ ახლო არის და ჯარს შიან, უნდა ახლავ გამოაგზავნოთ ...მელიქის კაცი მოვა მანდა ოთხი, იმათაც აჭამე რამე და დახვდითო“.¹

ერეკლეს დროინდელი ქვეყნის უშიშროების სისტემა, ძირითადად ქართლ-კახეთის სათავადოებიდან გამოყვანილ მეომართა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. მოსახლეობის საერთო რაოდენობის დასაღენად შედგენილი იყო სპეციალური დავთრები,² ამასთან, ნუსხებში დაღგენილი იყო შეკრების ვადა და რომელი მეომარი შეკრებისას რა შეიარაღებით უნდა გამოსულიყო: ხმლით, თოვით, შუბით და ა. შ.

„ლაშქრობიდან“ გათავისუფლებული მოსახლეობა, საჭიროებიდან გამომდინარე, გზავნიდა შემცვლელს, ანუ „ბადალს“, ან იხდიდნენ სხვადასხვა გადასახადებს: „სურსათს“ (ლაშქრის შესანახად დაწესებული გადასახადი – ფქვილით, თევზით, დვინით და ა. შ.), „მახტას“ (გადასახადი ფულით, ან მარცვლეულით), „ქეშიქს“ (მეფის სასახლის დაცვა ქალაქში არ ყოფნის დროს), „ულაყს“ (ოფიციალური პირების მიერ მოსახლეობის კუთვნილი ცხენებით სარგებლობა) და ა. შ.

გლეხი ვალდებული იყო ბატონის სალაშქროდ წასვლასთან დაკავშირებით, გადაეხადა სპეციალური გადასახადი „სალაშქრო“.³ ერეკლე II-ს კარგად ესმოდა რამდენად მძიმე იყო დაბალი სოციალური ფენისათვის ამდენი ვალდებულებების დაკისრება, მაგრამ რადგან მუდმივი მტრიანობის პირობებში სხვა გამოსავალი არ იყო, გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა მოსახლეობის ის კატეგორია, რომელიც ქვეყნის თავდაცვის საკითხში განსაკუთრებულ წვლილს შეიტანდა. მაგ. მეფეს როსტომ ერისთავის ქმები სამი წლით გაუთარხნებია, იმ პირობით, რომ „ქრისტიანობისათვის, თავისი ქვეყნისა და მამულისათვის მო-

¹ დოკუმენტის საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 153-154, დოკ. 244

² იხ: ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბ., 1974; ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი II. თბ., 1974; სარგის კაპაბე. საამილახვროს დავთარი XVII ს. მეორე ნახევრისა. ტფ., 1925; საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. 5032 – გივი ამილახვრის საამილახვროს დავთარი; იასე ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B; თბ., 1947, გვ. 281-352; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, საბ. № 126; 127; 238 და სხვ.

³ გულიჩინა აკოფაშვილი. ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს. 40-80-იან წლებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 563.

ნაწილეობა მიეღოთ ბრძოლებში¹. ასევე გადასახადებიდან იყვნენ გათავისუფლებული არტილერიის სფეროში დასაქმებული პირები და ა. შ.

გამუდმებულმა ლეკიანობამ ქვეყნის მოსახლეობა და შესაბამისად თავდაცვითი პოტენციალი საგრძნობლად შეამცირა. ს. კაჭაბაძის მონაცემებით, XVIII ს. 90-იანი წლების შუახანებისათვის ქართლ-კახეთის საომარი ძალა, თათრებისა და ოსების გარდა, შეადგენდა 13,5 ათას თოვიან ცხენოსანს, 4,5 ათას ქვეითს და 600 თოვჩის, ე. ი. 19 ათას კაცს.² გ. მაჭარაძის დაკვირვებით, XVIII ს. 70-იანი წლებისათვის ერეკლეს ბრძოლის ველზე 14-15 ათასი კაცის გამოყვანა შეეძლო.³

თვით ერეკლე II, 1770 წ. 2 აპრილს ანტონ მოურავოვისათვის გადასაცემი ცნობის მიხედვით, ქვეყნის სამხედრო პოტენციალს დაახლ. 15-16 ათასი კაცით განსაზღვრავს: „...ჩვენის ჯარის რაოდენობა გეკითხათ. ჩვენ რომ კახეთს ლეკის გზებზედ სამს ალაგს ჯარი დავაგდეთ ჯამაგირით გზების შესანახავად ...იბრეიმ ხანის მისაშველებლად სომხის და თათრის ჯარი მცირედის ქართველის კაცით რომ გავგზავნეთ, ოთხი ათასი, ამ ჯარებს გარდა დღეს ჩვენ აქ გვახლავს ცხრა ათასი კაცი. მეტი ჯარი ამ მიზეზისათვის არ გვახლავს. ზოგი ქართლს დავადგინეთ გამოსასვლელს გზებზედ, ზოგიც ტფილისსო“⁴ 23 აპრილს, იმავე მოურავოვისადმი მიმართვაში, ერეკლე ქართული ჯარის რაოდენობას უკვე 23 ათასამდე „ზრდის“: „ქ. დღეს რომელიც ჩვენს სამეფოში ქვეყნები არის, საქართველოებში, ან ქალაქები, ან მთები, ან ბარში ქვეყნები, ამაებში რაც კაცნი მკვიდრობენ, თუ ეს ორი მიზეზი არა გვჭონდეს: პირველ ესე, რომე ჩვენის სამარადისოს მტრის უცადოება არ გვაბრკოლებდეს და მეორედ, თუ მოსის თადარიკის ჭელის მომართულობა გვჭონდეს, ქართველისა და სომხის გამოყვანა შეიძლება რიცხვით ი [18] ათასი; ქ. თათრის გამოყვანა შეიძლება რიცხვით ე [5] ათასი. იქმნა ორისავე რიცხვი კგ [23] ათასი. ქ. ერევნელნი ჩვენ როგორც გვემორჩილებიან და ან განჯელნი, ჩვენზედ როგორც მოკიდებულნი არიან, ეს ყოველნივე მაღალ კარს ჩვენგან ინსტრუქციით მოტსენებია“⁵.

ჩვენი აზრით, ქართლ-კახეთის მეფე სამხედრო ძალის რიცხოვნობას შეგნებულად აზვიადებს. ფაქტია, რომ ერეკლე II-ს ამ რაოდენობის ჯარისკაცი

¹ დავით გერიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის..., გვ. 226.

² სარგის კაჭაბაძე. კრწანისის ომი, გვ. 71-72

³ გალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის..., გვ. 56.

⁴ გალერიან მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის..., გვ. 549, დოკ. 241.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 420-421, დოკ. 120.

არც ერთ დიდ ბრძოლაში არ გამოუყვანია. 15 ათასი ჯარისკაცი იმდროისათვის, სავარაუდოდ, მაქსიმუმი იყო, რომელის გამოყვანა ქართლ-კახეთის სამეფო კარს შეეძლო. ნიშანდობლივია ისიც, რომ ერეკლე „მორიგე ჯარის“ რაოდენობას დიდი საიდუმლოებით ინახავდა და მოხელეებს აფრთხილებდა, რომ მის შესახებ ცნობები არ გაეხმოვანებინათ. 1774 წელს ერეკლე II რეგაზე ამოლახვარს სწერდა: „რომელიც ჩვენგან ამ ხანად წარვლენილნი მწერლები ხართ ვაკესა თუ მთებში გაღმა თუ გამოღმა ასე იცოდეთ თუ მაგ დაწერილის ჯამი ან შეატყობინეთ ვისმე ან აჩვენეთ ჯერ ქრისტიანობის უარისმყოფელის იქნებით და მერმე საქართველოს ორგულნი და ჩვენი სწორედ თოვის მსროლელნი და ისიც იცოდეთ სწორედ ასე გარდაგვებათ სანამდის ჩვენ არ მოგვართვათ დავთარი სხვას არავის აჩვენოთ ან ენით არსად წაგცდესთ. ბატონო ამილახვარო ეს წიგნი, მალე დაუტარე მწერლებს და ესე გააფრთხილე, თუ ან მტერობით ან მოყვრობით მეტ ნაკლები საქმე დაიჭირეს ისიც ასე მოკითხებათ. ამაზედ ხათრიჯამი იყვნენ მწერლებიცა და თუ თქვენი კაცი დასდევს ვინმე, ისიც ასე გაიკითხებიან კარგათ ხათრიჯამი შეიქნან, საქმე სიმართლით დაიჭირონ და საიდუმლოდ პქონდეთ ყველას დავთარი. ასე შეიტყონ ყოველმა მწერლებმაო“.¹

ლოგიკურად, დიდი რიცხოვნობის შემთხვევაში, ერეკლეს ქართული ჯარის რეალური რაოდენობა არ უნდა დაემალა, პირიქით, იგი ეცდებოდა მისი სამხედრო ძალა მტრის თვალში გაზვიადებულად წარმოჩენილიყო. მოვიტანთ რამდენიმე საბუთს XVIII ს. II ნახევარში ქართველების მიერ გადატანილ დიდ ბრძოლებში გამოყვანილი სამხედრო ძალის რაოდენობის შესახებ. ყირხბულახთან (1751 წ. 25 ივლისს), ომან ხერხეულიძის მიხედვით, ერეკლეს დროშის ქვეშ იბრძოდა სამი ათასი ჯარისკაცი, „და ამ რიცხვსა შინა იყო თათარი ხუთასი და ავადმყოფი ხუთასი“.² იოანე ბატონიშვილის მიხედვით, მჭადიჯვართან ქართველთა მხედრობა „მცირედს“ შეადგენდა,³ ასპინძასთან – 3000-ს,⁴ ომარ-ხანის წინააღმდეგ (1785 წ.), ქართლ-კახეთის მეფე თავის რიგებში ითვლიდა ხუთი ათას კაცს, გაძლიერებულს რვა რუსული როტით, 400 ინგუშსა

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13079.

² ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 51.

³ იოანე ბაგრატიონი. ხუმარსწავლა, ტ. I, გვ. 43.

⁴ გალერიან მაჭარაძე. ასპინძის ბრძოლა, გვ. 69.

და ოსს, რომლებიც მეფის დაძახილზე მოსულიყვნენ.¹ კრწანისთან (1795 წ. 10-11 სექტემბერს) აღა-მაჟმად-ხანს ერეკლემ 5000 ქართველი დაახვედრა.²

ეველა ზემოთ ჩამოთვლილ ბრძოლაში მტრის ჯარი, ქართველებთან შედარებით, ბევრად მეტი იყო: ყირბულახთან აზატ-ხანს ქართველების წინააღმდეგ პყავდა 18 ათასი ჯარისკაცი,³ ნურსალ-ბეგს მჭადიჯვართან – 8000, ხოლო ყვარელთან – 24 ათასი,⁴ ასპინძასთან თურქლეპთა კოალიცია შეადგენდა 8 ათასს,⁵ ომარ-ხანმა საქართველოს საზღვარი 20 ათასიანი მხედრობით გადმოლახა,⁶ აღა-მაჟმად-ხანი თბილისს 35 ათასიანი ჯარით მოადგა.⁷ მიუხედავად ვად ამისა, ხსენებულ პერიოდში გადატანილი ბრძოლების უმრავლესობა ერეკლესა და ქართული ჯარის გამარჯვებით დასრულდა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს არა მარტო ერეკლეს, არამედ, ზოგადად ქართველი კაცის მხედრულ სულსა და თვისებებზე, მით უფრო, რომ XVIII ს. II ნახევარში პროფესიონალი ჯარი ქართლ-კახეთს თითქმის არ პყოლია. თვით „ნოქარსა“ და „მორიგეში“, გაწვეულთა უმრავლესობა წარმოადგენდნენ დროებით ვალდებულებს, ე.წ. „რეზერვისტებს“, რომლებიც, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ოჯახებს უბრუნდებოდნენ. ეს ვადა კი საკმაოდ მცირე (ძირითადად – 1 თვე) იყო საიმისოდ, რომ მებრძოლებს სრულყოფილი თეორიულ-ტაქტიკური, საცეცხლე და ა.შ. მომზადება გაევლოთ. მეომრის სამხედრო მომზადება, ძირითადად მის სურვილზე, ფიზიკურ ძალასა და კერძო ინიციატივაზე იყო დამოკიდებული. სამხედრო ძალების მეთაურთა შემადგენლობას (ყულარაღასი, ეჭიკადასბაში, მინბაში და ა. შ.), ძირითადად, თავად-აზნაურები შეადგენდნენ, რომლებიც, სამხედრო საქმის გარდა, ცხოვრების დიდ ნაწილს საკუთარი მამულების მართვა-გამგეობას უთმობდნენ, ხოლო „ჯარისკაცები“ გლეხები იყვნენ, რომლებიც „მორიგესა“ თუ „ნოქარში“ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, მიწის სამუშაოებს უბრუნდებოდნენ, ამიტომ საგანგებო დავალებისას ძირითადი აქცენტი მაინც მეომრის პირად მოხერხებულობასა და სამხედრო თვისებებზე კეთდებოდა. ერთგან (1787 წ. 4 დეკემბერს) ერეკლე II სწერს ოთარ ამილახვარს: „ბეგთაბეგიშვილი მდივანი სულხან მეფეს დავითთან გავისტუმ-

¹ Н. Дубровин, История войны и владычества Русскихъ на Кавказѣ. т. II. СПБ 1886, стр. 141

² გერონტი ქიქოძე, ერეკლე მეორე, გვ. 189; იასე ცინცაძე, აღა-მაჟმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, გვ. 165.

³ იოანე ბაგრატიონი. ხუმარსწავლა, I, გვ. 43; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 99.

⁴ იოანე ბაგრატიონი. ხუმარსწავლა, I, გვ. 44.

⁵ ვალერიან მაჭარაძე. ასპინძის ბრძოლა, გვ. 67.

⁶ იოსებ ალიმბარაშვილი. ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე, გვ. 60.

⁷ იასე ცინცაძე. აღა-მაჟმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, გვ. 154.

რეთ იმერეთს და ამას თქვენის სასარდლოდამ ოცი კარგი ყოჩაღი ცხენიანი კაცი უნდა გაურიგო აზნაურშვილი და მსახურები თან უნდა გააყოლოო“¹

ლეკებისა და სხვა მომხდურების წინააღმდეგ საბრძოლველად და თავდასაცავად ქართველი მეფეები და ფეოდალები ხშირად მიმართავდნენ ჩრდილოკავკასიელთა დაქირავებასაც. დაქირავების პირობა იყო გადასახდელი თანხა, საჩუქრები, ბრძოლებში ნაშოვნი ნადავლი და ა. შ. იშვიათი არ იყო ამ მხრივ პოლიტიკური ქორწინებებიც.

დაქირავებულთა შორის განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობით ყაბარდოელები და ჩერქეზები გამოირჩეოდნენ. ისინი ერეკლეს დროშის ქვეშ იბრძოდნენ კულბითთან, მუხრანთან, კარბთან, გატეხილ ხიდთან, მჭადიჯვართან გამართულ ბრძოლებში.

ერეკლე II-მ ლეკოთა თარეშის ასალაგმავად ოსების გამოყენებაც სცადა. თუ ლეკები ლიახვის ხეობით წამოვიდოდნენ, ოსთა რაზმები თამარაშენში უნდა შეკრებილიყვნენ და ლეკები შიდა ქართლისაკენ არ უნდა გამოეშვათ. თუ ლეკები ახალციხიდან წამოვიდოდნენ და ცხინვალისაკენ გაემართებოდნენ, გზას ერეკლე გადაუკეტავდა, ხოლო თუ ლეკები გორისაკენ წამოვიდოდნენ, ოსები ერეკლეს ჯარს უნდა შეერთებოდნენ და ერთობლივად დაეცვათ იგი². იულონ ბატონიშვილის ამილახვრისადმი 1792 წ. 10 აპრილით დათარიღებული ერთი საბუთის მიხედვით, სამაჩაბლოს (ლიახვის ხეობის გადმა-გამოღმა მაცხოვრებელი მოსახლეობას) ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად კომლზე კაცი უნდა გამოეყვანა ოთხი დღის საგზლით.³

იშვიათი არ იყო დაღესტნელების წინააღმდეგ საბრძოლველად ისევ დაქირავებული ლეკების გამოყენება. ბურნაშვილის ცნობით, ერეკლე დაქირავებულ ყაბარდოელებს, ლეკებს და ოსებს მძევლებს ართმევდა და ამით მათ ბრძოლისუნარიანობას უზრუნველყოფდა. ისინი შეიარაღებულნი ყოფილან თოვებით, დამბახებით, მხარზე ხურჯინებით, (სავარაუდოდ, საგზლისათვის – ი.ა.) ხანჯლებითა და ხმლებით.⁴

თუმცა, დაქირავება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ერთ შემთხვევაში დაქირავებულებს შეთავაზებული თანხა ეცოტავებოდათ, მეორე მხრივ, უთანასწორო ბრძოლაზე უარს ამბობდნენ. თუ ქართველებისათვის სულ ერთი იყო

¹ გ ხიებ, 7782/6; ფ. 484.

² საქართველოს ხიდების წ. III, გვ. 199-200, დოკ. 211.

³ გიორგი სოსიაშვილი. სამაჩაბლოს ისტორიიდან (XV-XIX სს.). თბ., 2005, გვ. 152.

⁴ С. Бурнашев. Картина Грузии..., გვ. 60.

შემოსეული მტრის რაოდენობა, რადგან საკუთარი მამულის, მეფისა თუ ცოლ-შვილისათვის იბრძოდნენ, „დაქირავებულების“ მთავარი მიზანი ამ შემთხვევაში „ქირა“ და ბრძოლაში ნაშოვნი ნადავლი იყო. მაგ. როდესაც 1755 წელს სურსალ-ბეგი ყვარელს ოცი ათასიანი ჯარით შემოადგა, ჩერქეზებში ჯარის დასაქირავებლად გაგზავნილ იასე მაჩაბელს არავინ გამოჰყვა, რადგან: „მთელი დაღესტანი წამოვიდაო და ჩვენ იმათთან ომი არ შეგვიძლიაო“.¹

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ, კიდევ უფრო დამძიმდა ვითარება გოორგი XII-ის დროს. ლეკებისა და განმდგარი მმებისაგან თავდასაცავად, იგი ისევ ომარ-ხანისაგან ქირაობდა სამხედრო ძალას. პლ. იოსელიანის ცნობით: „მოითხოვა ავარიისა ხანიდამ (გიორგი XII-მ – ი.ა.) 3000 ლეპი ფასითა ნაქორავნი“ და დაუნიშნა ულუფად: „პური, არაყი, თვითო ხელი ტანსაცმელი და მეექსესა თთვესა, მოსალოდნილებელსა რუსისა ჯარისა დაბარებულისა მოსვლისა დროსა უნდა მისცემოდათ თვითოსა კაცსა თთვეში 30 მანეთი.²

თავის მხრივ, ლეკები პყოლია დაქირავებული ნახევარმმის (გიორგი XII-ის) წინააღმდეგ მებრძოლ სურამში გამაგრებულ ფარნაოზ ბატონიშვილსაც, რაც ქვეყნის გაჩანაგებულ ეკონომიკას კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვებოდა. ჩრდილო-კავკასიელი დაქირავებულების ხარჯიც („სალეკო“, სურსათი და ა. შ.) მოსახლეობის გასასტუმრებელი ხდებოდა, რაც მის უკმაყოფილებას აძლიერებდა. ამას ემატებოდა დაქირავებულთა უდისციპლინობაც. იოანე ქართველიშვილი „მემუარებში“ გიორგი XII-ის მიერ დაქირავებული ლეკების თვითნებობის შესახებ აღნიშნავს: „...ქართლში ყოველს სოფელში ლეკის ჯარი იყო დარიგებული მეფის გიორგისაგან ...ასეთსა შეწუხებასა შინა იყო ქალაქი ტფილისი ლეკთა ჯარის მუნ ყოფნაში, რომ ვინც იმ დროს იმათ ყოფნას არ დაესწრა, დაწერილს არც კი დაიჯერებს. ...აღებ-მიცემობა და დუქნის გაღება ხომ სულ აღარ ყოფილა, სანამ ლეკის ჯარი ქალაქში იყო და სხვას რამდენს უჯეროს საქმეებს შვრებოდნენ, დაღუმება სჯობსო“.³

გამუდმებული „ლეკიანობის“ პირობებში დაცვა სჭირდებოდა თითოეულ ქალაქს, სოფელს, ციხე-კოშეს, ეკლესია-მონასტერს, ბავშვებსა თუ მოხუცეს, შინაურ პირუტყვს, ვენახს, ნაოესს, ე. ი. დასაცავი ბევრად მეტი იყო, ვიდრე დამცელი, ამიტომ ხელისუფლება იძულებული ხდებოდა, „მორიგე ჯარში“ მო-

¹ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 228.

² პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 60.

³ იოანე ქართველიშვილის მემუარები. ავთანდილ იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ., 1952, გვ. 80.

სახლეობის ყველა ფენა გაუწვია. ეს ფაქტი მათი მხრიდან ხშირად წინააღმდეგობას იწვევდა, რადგან ადგილობრივი ობიექტები დაუცველი რჩებოდა. მათთვის ძნელი ასახსნელი იყო ის გარემოება, რატომ იდგა „მორიგეში“ თელავში, სიღნაღმი, დართისკარსა და მჭადიჯვარში, როდესაც თავისი სოფლიდან საკუთარი ცოლ-შვილის ტყველ წაყვანის ბალზე მაღალი რისკი იყო. 1791 წელს დავით-გარეჯის მონასტრის საყმოსათვის „მორიგეში“ 40 კაცი შეუწერიათ, რამაც მონასტრის წინამძღვარი – იოაკიმე გამოუვალ სიტუაციაში ჩააგდო. ერეკლესათვის მიწერილ არზაში, იგი მონასტრის მძიმე მდგომარეობას იუწყება: „რომელიდაც დაწყევლილი ბელადი არის, იმან აგვიჩემა, ოთხჯერ მოსულა ამ რიგათო“, ხოლო მეორე მხრივ, მონასტრის საყმოდან 40 კაცის „მორიგეში“ გაყვანის შეუძლებლობაზე საუბრობს: „...ახლა თქვენს უმაღლესობას მონასტრის ყმისათვის ორმოცი კაცი ეთხოვნა ჯარათ. ჯერ ორმოცი სად არის, ათი კაცი ახლა გავგზავნე მონასტერში ყარაულათ, სხვა რაც დარჩა ქისიყს პური ვიშოვნე, იმის მოსატანად გავგზავნე, მოვატანინო და მონასტერში გავგზავნო, რომ თქვენი მლოცველი ბერები გამოიზარდნენ. გევედრებით თქვენს უმაღლესობას, ყოველთვის თქვენგან წყალობა სჭირვებია, მონასტრის ყმა ჯარათ არ გაგიყვანიათ, მონასტერი უნდა შაინახონ, ორივ არ შეუძლიათ“. ერეკლე იძულებული გამხდარა მონასტრის წინამძღვრის მოთხოვნა და-ექმაყოფილებინა.¹

არც ჯარში გაწვეულთა მოტივაცია იყო მაღალი. თავად-აზნაურები საკუთარი ყმების ჯარში გაწვევით სამუშაო ძალას კარგავდნენ, გლეხები მათთვის საჭირო დროს მიწის დამუშავებას ვეღარ ახერხებდნენ, ბატონიშვილებსა და ეპლესიას „მორიგეში“ გასულთაგან გადასახადი აღარ ერგებოდათ, სოფლები ჯარში გაწვეულთათვის სურსათის და ხელფასის უზრუნველყოფის მიზნით მძიმედ იბეგრებოდნენ და ა. შ. ასე რომ გაწვევისაგან თავის ასარიდებლად, მიზეზები ყველა სოციალურ ფენას გააჩნდა.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახოთის მეფეები ცდას არ აკლებდნენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით, ამ დონისძიებების გატარება, განუწყვეტელ საომარ პირობებში, მეზობლებთან უაღრესად გართულებულ პოლიტიკურ ვითარებასა და მძიმე ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ასე ვთქვათ, მუდმივ „ფორს-მაჟორში“ მიმდინარეობდა, ამიტომ ამ დო-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, გ. VIII, გვ. 119-120, დოკ. 105.

ნისძიებათაგან ზოგი არათანმიმდევრული იყო, ნაწილი ბოლომდე ვერ ხორცი-
ელდებოდა და ზოგიც „ქალალდზე“ რჩებოდა.

2. საფორტიფიკაციო ნაგებობები

ადრე ქართველი კაცი ციხე-სიმაგრეების უმრავლესობას ძნელად მისადგომ
მაღლობებზე აშენებდა, რომლებიც გადმოჰყურებდნენ და კონტროლს უწევდნენ
ხეობებსა და გზებს.¹ თანაც, ეს კედლები ისეა შეზრდილი გარემოს, მთასა თუ
კლდეებთან, ზოგჯერ ძნელიც კია გარჩევა, რომელია ბუნებრივი და რომელი
აშენებული.² ლეკო ექსპანსიის გაძლიერებისთანავე საფორტიფიკაციო ნაგებო-
ბების მშენებლობა უშუალოდ დასახლებულ პუნქტებში გახდა აუცილებელი,
მოსახლეობას დროულად დახიზნება რომ მოესწრო. როდესაც იოპან გიულდენ-
შტედტი კახეთის სოფლების განლაგებას ეხება, წერს: „კახეთის სოფლები,
რადგან ყველას მეურნეობა თავისი ვენახებისა და ხილის ბადების, აგრეთვა
ყანების გარშემო აქვთ, ...ხშირად ერთმანეთს უახლოვდებიან (ერთმანეთს ეპ-
ვრიან), ...ყოველს სოფელს აქვს ერთი ან რამდენიმე, დადუღაბებული აგურითა
და რიყის ქვით ნაშენი, 3-4 საუენი სიმაღლის და ჭრილში 3 საუენი სიგანის,
ორ-სამსართულიანი მრგვალი კოშკები. თავდასხმის დროს ქვედა სართულზე
თავს აფარებენ ქალები და ბავშვები, ზედა სართულზე კი იკრიბებიან შეიარ-
აღებული კაცები და ესვრიან ყაჩაღებს. ბეგრ სოფელს აქვს 1-2 საუენი სიმაღ-
ლის კედლით გარშემორტყმული, 30-100 საუენი განივგვეთის ოთხკუთხა მოედა-
ნი კარებებით და სასროლი კოშკებით. ასეთ ადგილებში, რომლებსაც ციხეები
ჰქვიათ, ან არ ცხოვრობენ, ან ცხოვრობენ ცოტანი; თავდასხმების დროს ყვე-
ლანი ცდილობენ ამ ციხეებში გადაირჩინონ თავი საქონლითა და ქონებით“.³

შეიცვალა ნაგებობების არქიტექტურაც. ძველი ციხე-კოშკების მშენებლო-
ბისას ქართველი კაცი, ძირითადად, მის მდგრადობაზე ამახვილებდა ყურად-
ღებას, ხანგრძლივი ალყისათვის რომ გაეძლო. მაგ. სამაჩაბლოს საფორტიფი-
კაციო ნაგებობების ცნობილი მკალევარი – ვ. ბეზსონოვი, კეხვის ციხის აღ-
წერისას აღნიშნავს, რომ მისი კედლების სისქე რიგ ადგილებში 2-6 მეტრამდე

¹ გახტაგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974, გვ. 64.

² გახტაგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, გვ. 64.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I., გვ. 250-251.

აღწევდა, ხოლო სიმაღლე – 16 მეტრამდე,¹ სურამის ციხის კედლების სისქე ადგილებში სამ მეტრს აღემატება,² ასევე ორი-სამი მეტრის სისქის კედლები აქვს ბებრის ციხეს,³ სამწევრისის ციხე-დარბაზის დიდი კოშკის კედლების სისქე 2-დან 2,5 მეტრამდე⁴ და სხვ.

როგორც წესი, ძველ ციხე-სიმაგრეთა კოშკები, ციხის გარე გალავნის პერიმეტერს არ სცდებოდა და არც სათოფურების სისტემა გააჩნდა,⁵ რაც ასე დამახასიათებელი გახდა XVIII საუკუნის თავდაცვითი ნაგებობებისათვის.

თავდაცვითი ნაგებობების ძირითადი ნაწილისათვის დამახასიათებელი იყო მართკუთხა ფორმები, რადგან სქელი კუთხეები ნაგებობის მდგრადობასაც უზრუნველყოფდა.

როგორც ითქვა, XVIII საუკუნეში ქვეყნის ძირითადი პრობლემა „ლეპიანობა“ იყო. ლეპები დიდი ლაშქრითა და არტილერიით იშვიათად მოდიოდნენ, სამაგიეროდ მათი თავდასხმების ინტენსივობა იყო ძალზე მაღალი, ამიტომ აღნიშნული პერიოდისათვის აქცენტი, ძირითადად, თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობასა და მშენებლობის ტემპები კეთდებოდა. გრანდიოზული მშენებლობებისათვის არც დრო იყო და არც სახსრები. მთავარი იყო მოსახლეობას სიმაგრეში შესვლა მოესწრო და საქონელი შეერება, შემდეგ კი მდევარი, ან მორიგე ჯარი შეებმოდა მომხდეულს და უკუაქცევდა.

XVIII საუკუნეში დიდი ციხე-სიმაგრეების მშენებლობა ქართლ-კახეთში აღარ მიმდინარეობს, მაგრამ მდიდარი მემკვიდრეობა საშუალებას იძლეოდა ძველი ციხე-სიმაგრეების განახლებისათვის, რაც ნაკლებ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სამაგიეროდ, ხენებული საუკუნისათვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობით წრიული კოშკების მშენებლობა. კოშკები ორი ტიპის იყო, ე.წ. „სასიგნალო“ და „სახიზარი“. „სასიგნალო“ კოშკების ფუნქცია მოსახლეობისათვის მტრის შემოსევის შესახებ დროული შეტყობინება იყო. ისინი დიდი პროპორციებით არ გამოირჩეოდნენ და შემაღლებულ ადგილებზე, ე.წ. დიდი მხედველობითი არეალის ადგილებზე იგებოდა. ზოგჯერ „სათვალთვალო“ კოშკების ფუნქციას, დროებითი ხისგან აგებული, ან ბუნებრივი ნაგებობებიც ასრულებდნენ. რაც შეეხბა „სახიზარ“ კოშკებს, ისინი გაცილებით ტევადი

¹ С. В. Безсонов. Крепостные сооружения в бассейне большой Лиахви. – *Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения*, кн. I. Цхинвали, 1933, გვ. 242.

² პარმენ ზაქარაია. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები. თბ., 1988, გვ. 54.

³ პარმენ ზაქარაია. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, გვ. 54.

⁴ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ., 1990, გვ. 390.

⁵ გახტანგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმომდვრება, გვ. 64.

იყო (ადგილზე მაცხოვრებელი მოსახლეობის მიხედვით) და უშუალოდ დასახლებულ პუნქტებში იგებოდა.

XVIII საუკუნიდან ქართულ ფორტიფიკაციაში გაჩნდა ე. წ. გალავნების მშენებლობის აუცილებლობაც. ისინი, ჩვეულებრივ მაღალი კვადრატული კედლებით იყვნენ შემოზღუდულნი, რომელთა დანიშნულება ამა თუ იმ სოფლის, ან კუთხის მთელი მოსახლეობისა და საქონლის შეხიზვნა იყო. მათ ფართო ჭიშკარი ჰქონდათ, მოსახლეობას სწრაფად შესვლა და საქონლის შელალვა რომ შეძლებოდა¹. როგორც წესი, ისინი ფართობით დიდად სჭარბობდნენ ციხე-კოშკებს, მაგრამ ნაკლები სიმტკიცითა და მდგრადობით ხასიათდებოდნენ.

ნიშანდობლივია, რომ გალავნები ეკლესია-მონასტრების სიახლოვეს, ან ირგვლივ იგებოდა, რადგან მოსახლეობის თავშეყრის ძირითადი ადგილი სწორედ იქ იყო. XVIII საუკუნეში შეიცვალა ნაგებობათა არქიტექტურაც. მართკუთხა ფორმები თანდათანობით წრიულმა შეცვალა,² მთა და ხეობები – ბარმა და დასახლებულმა პუნქტებმა. წრიულმა ფორმებმა მოახლოვებული მტრის შემჩნევა და შესაბამისი ზომების მიღება გააიოდეს. შესაბამისად, სათოფურ-საზარბაზნეთა რაოდენობამაც მოიმატა. საფორტიფიკაციო ნაგებობების არქიტექტურის შეცვლა სამშენებლო მასალის ცვლილებამაც განაპირობა. თლილი და ფლეთილი კლდის მასალა სიპმა ქვამა ჩაანაცვლა.

სიპი ქვით კუთხის ამოყვანა, ჯერ ერთი, რთული საქმე იყო (ამიტომ კუთხეებში ისევ ნათალ კლდეს ხმარობდნენ) და მეორეც, თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობის ზრდამ სამშენებლო მასალაც დიდი რაოდენობით მოითხოვა. კლდე ძნელად მუშავდებოდა და დიდ დროსაც მოითხოვდა, სიპი ქვა კი მდინარეებით უხვ საქართველოში ძნელი საშოვარი არ იყო. ტრადიციულად, დასახლებული პუნქტებიც მდინარეების სიახლოვეს მდებარეობდა და მშენებელს მასალისათვის შორს წასვლა არ უწევდა. თანაც, მასალის წრიული წყობა არ ილერიის შეტევას უკეთ უძლებდა.

ცალკე აღსანიშნავია მშენებლობისათვის აუცილებელი სეგმენტის – კირის დიდი რაოდენობის არსებობაც. კირქვა ნიადაგი ქართლ-კახეთში მრავლად არის. მხოლოდ გორსა და მის შემოგარენში XVIII ს. მეორე ნახევრისათ-

¹ გახტანგ ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I. თბ., 1983, გვ. 13, 92.

² თუმცა, მრგვალი კოშკების ხელადებით XVIII საუკუნით დათარილება, ცხადია, მიზანშეწონილი არ არის. მრგვალი კოშკები საქართველოში ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში გვხვდება, მაგრამ XVIII საუკუნეში მრგვალი კოშკები, ძირითადად, დამოუკიდებელ საფორტიფიკაციო ნაგებობებს წარმოადგენენ, ადრინდელები კი ციხე-სიმაგრეთა ნაწილია (გორის ციხე, ქსნის ციხე, ანანური და ა.შ.).

ვის ოამდენიმე საკირე (უშუალოდ გორში, ხიდისთავში, გორიჯვარში, ტინისხიდში და სხვ.) ფიქსირდება. ზოგიერთმა მათგანმა (მაგ. გორიჯვრის) XX ს. 60-იან წლებამდე მოაღწია. საკირეების გამართულ მუშაობას ერეპლე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ცნობილია, რომ 1774 წელს მეფემ გორის ციხის საფუძვლიანი განახლება დაიწყო. აღნიშნული წლის 18 მარტს იგი გორის მელიქს – ზურაბსა და რევაზ ამილახვარს სწერს: „ამას წინათაც წიგნი მოგწერეთ რომ გორიდან ორმოცდა ათის თუმნის თადარიკი ჰქნათ რომ საკირეები უნდა დაადგმევინოთ და დააწვევინოთ. რაც ორს საკირეს მოუნდეს ის კი დახარჯეთ და სხვა კი შეინახეთ რომ როგორც მოგინდეს ისე დახარჯოთ რომ მაგ ციხეს უნდა მოხმარდეს წლეულობით და ეს წიგნი ბარათით შეინახეთ რომ ის ორმოცდა ათი თუმანი ბაჟიდამ მოგეცემათო“¹.

სამშენებლო ტემპით უკმაყოფილო ერეპლე იმავე წლის 31 აგვისტოს ამილახვარს უკვე მკაცრად აფრთხილებს: „გორის ციხის კეთებისა ვეღარა შევიტყვეთ რა, თუ დღეს მაგაზე გალატოზი არა დგას და არ მუშაობს, როდის და უნდა გაკეთდეს? ათს ენკენისთვეს უკან მანდ კირი ხომ ადარც კი იმუშავება, გაჰყინავს, თუ ახლავე არ დააშურებთ, რადა გაკეთდება?“²

საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაში აქტიურად იყო ჩართული დარეჯან დედოფალიც. 1766 წლის 22 სექტემბერს იგი შუამთის მონასტრის წინამდგარს – ნიკოლოზს სწერს: „მერმე აქ ზარბაზნის ბურჯისათვის კირი ბეჭან ყორჩიბაშის-შვილიდამაც და ამის მმის დავით ყორჩიბაშის-შვილისაგანაც ვისესხეთ კირი და კიდეც შეხმარდა, წინა დღეს ხომ შენგანაც ვისესხეთ და უარიც არ გითქომს. ახლა კიდემა გწერთ, რომ ამ ბურჯს კიდემ დააკლდა კირი და რაც ამას კირი მოუნდეს, უნდა გვასესხოთ. მაგიერი ისევ ღუთით მოგეცემა, ხათრიჯამი იყავ მაგიერს მოგცემთ, ბატონსაც უბძანებია, ვისაც კირი ქონდესო უნდა ისესხოთო. ახლა ჩვენს აქედამ ურმები გამოგვიგზავნია და პეტრე ერატისშვილი გამოგვიტანებია, ამას უნდა წყვით მოაბარო ...რაც კირი მოაბარო წერილი ერთი პირი ჩუმნც გამოგვიგზავნე და მეორე შენ შეინახე, რომ ისევ იმავ ანგარიშით მოგეცესო“³.

სიმკვრივის მიზნით კირში კვერცხის გულსა და რძესაც ურევდნენ. ამილახვრების რეზიდენციის – ჭალის (ქვემო-ჭალის) კოშგის მშენებლობასთან დაკავშირებით, პოლიევქტოს კარბელაშვილი ერთ საინტერესო ამბავს გადმოგვ-

¹ გორის ხახულმწიფო იხტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 7783/3; ფ. 146.

² ა. გაბიჩვაძე, გორის ციხე ერეპლე II დროს, გვ. 13, დოკ. 3.

³ აკტЫ.., т. I. Тифл., 1866, გვ. 45.

ცემს. ოოდესაც ყიზილბაშები გივი ამილახვარს ებრძოდნენ, გარემოცვისას ეს კოშკი ზარბაზნით მოუნგრევიათ. სიმაგრეში შეხიზნულებს დამით მოუწველიათ ფურ-კამეჩი და წყლის მაგივრად რძით არეული კირით მოუდგამო დანგრეული კოშკი. დამით აშენებული დილამდე ისე გამშრალა და განმტკიცებულა, რომ ზარბაზნებსაც ვეღარაფერი დაუკლიათ.¹

ლეკიანობის წინააღმდეგ საბრძოლველობას წარმოადგენდა გადმოსასვლელ გზებზე თხრილების გაკეთება, მდინარეების ფონების დაღრმავება, მომხდურთა სამალავი ტყეების გაკაფვა, მზვერავთა მიერ ტერიტორიების მუდმივი შემოწმება, რაც ძალზე დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მორიგე რაზმების შესანახად ერეკლეს ხიდებზე ბაჟები დაუწესებია, რომლებიც მცველების შენახვას ხმარდებოდა. როგორც იოანე ბატონიშვილი გადმოგვცემს: „დაღისტნიდამ ჯარი რომ წამოვიდოდა, საგურამოს თუ ყარაიაზედ ამოივლიდა. მტკვარს თუ ვერ გავიდოდნენ, არაგვს გამოვიდოდნენ, ამ მცხეთას თავს გარდაივლიდნენ და ამ ხიდზედ გავიდოდიან. ზოგნი ახალციხეს აღვიდოდნენ, ზოგნი არმაზის წყალს და ძეგვისაკენ შეჰკრავდნენ და ზოგნი მუხათგერდსა, და ესრეთ ახდენდნენ მგზავრთა. მეფემ ირაკლიმ ეს დონე იხმარა, რომ ამ ხიდის გაღმა და გამოლმა კოშკები განაახლებინა, შიგ კარგი ვაჟიკაცნი დააყენა, რომელნიც ამ გზებსაც პსცვივიდნენ, მგზავრთაც მშვიდობიანად ატარებდნენ და განუწესა ფქვილი ერთი ჩანახი (დაახლ. 8 კბ. – ი.ა.) და ამ ყარაულებს ეძლეოდათ. და ოდეს მეფემან სიმხნითა თუსითა მრავალს ადგილს პსძლო ლეკთა და შიშსა შინა მოიყვანნა“² ერეკლეს ქარავანსა და ვაჭრისათვის საბაჟო ნიხრი ორი შაური დაუწესებია, რითაც ადგილობრივ ყოველდღიურად „ორს თუმნამდის შემოსავალი დგებოდა“³

ძეგვის გადმოსასვლელს საუკუნის ბოლომდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რადგან იგი ლეკთა ქართლ-კახეთზე თავდასხმების ერთ-ერთი ძირითადი „ფორ-პოსტი“ იყო. გარდა იმისა, რომ ძეგველები ჯარში გაწვევას არ ექვემდებარებოდნენ, 1800 წ. 2 მაისს კათალიკოსი ანტონ II მათ გადასახადებიდანაც ათავისუფლებდა: „...ამ ძეგველებს ნურაზე შეაწუხებო ხოლმე და ყოვლითურთ ხელადებულნი უნდა იყვნენ ამათზედა, ამიტომ რომ საშიშს გზაზედ დგანან, შუა შარაზედ, და ესენი მცველნი არიან და არც ამათი ჯარში წას-

¹ პოლიეგეტოს კარბელაშვილი. ამილახვართა საგარეულოს ისტორიული გუჯრები. – ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II. ტვ., 1913, გვ. 117.

² იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა), წიგნი I, თბ., 1990, გვ. 104.

³ იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა), წიგნი I, გვ. 104.

ვლა იქნება, მისთვის რომ სოფელი უკაცურად დარჩება, ერთი განსაცდელი შე(ე)მთხვევათ, ეკლესიასაც დაკლება და ქვეყანასაც, ნურცავინ გამლელ-გამომვლელი შეაწუხებთო“, ბრძანებდა ქართული ეკლესიის საჭეომპყრობელ.¹

თავდაცვითი ნაგებობების შენახვა და მოვლა-პატრონობა მოხელეებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო მოვალეობასაც შეადგენდა, რადგან მათი და ოჯახების უშიშროებას უზრუნველყოფდა. მაგ. „დასტურლამაღის“ მიხედვით, რევიზილებს შავი წელის გზა უნდა შეენახათ, საგინაშვილებს, თავიანთი მამულით – კოშკის გზა, თარხნის მამული ოძელ-ცხირელებთან ერთად, გოსტიბებს გზას „ინახავდნენ“, კავთისხევი, წინარეხი და საქვათახევო – თავიანთ გზას, ნიჩბისელები – ასევე თავიანთ გზას, დოესელები და ქვახვრელები – ხიდს² და ა. შ.

ადგილობრივ მოსახლეობას საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობისას სურსათიც უნდა გაედო. მაგ. ერეკლე II-ის მიერ 1797 წელს გაცემული ერთი საბუთის მიხედვით, გორის ციხის აღდგენისას სასმელ-საჭმელი გორულებს უნდა ეძლიათ, ხოლო ხელფასი გორის იჯარიდან უნდა მიეცათ.³ რადგან ლეკიანობა ქართლ-კახეთის თითოეული ქალაქ-სოფლისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, ერეკლე დღენიადაგ ზრუნავდა ციხე-სიმაგრეებისა და კოშკ-გალავნების აშენება-განახლებისათვის. ომან ხერხეულიძის ცნობით: „მეფობისა ამისსა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი, ვიდრე ასესამოცამდე გალავანი და ბურჯი მტერთათვის, ხოლო თვით მეფემან განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა, ბოჭორმისა, ჭოეთისა, გალავანი სევორელისა, საბუთისა, ფედისა, პატარძეულისა და ნორიისა“.⁴ მეფისავე ინიციატივით დაუწყიათ თბილისის თავდაცვითი ზღუდეების სრული შეკეთება.⁵ თავის მხრივ, თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებაზე თავად-აზნაურებიც ზრუნავდნენ. ლეკების შემოსევებისაგან თავდასაცავად ტყვიავის ციხის მეპატრონეს

¹ ირაკლი ანთელავა. XVIII საუბუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის (ხოფლის მასალების მიხედვით). თბ., 1977, გვ. 182.

² დასტურლამაღი. – ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო იგანგ. სურგულაძებ. თბ., 1970, გვ. 532-533.

³ შოთა მესხი. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე. – საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ., 1986, გვ. 318.

⁴ ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 74.

⁵ თბილისის ისტორია. უძველესი დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე. მამია დუმბაძისა და გიქტორ გუჩუას რედ. თბ., 1990, გვ. 74.

თამაზ ქარელს 1754 და 1758 წლებში, ციხე-დარბაზისათვის კოშკები მიუშენებია,¹ ამავე ხანებში ორბელიანებს გაუმაგრებიათ ციხე – გალავანი ლამისყანაში.²

ამილახვრებს თავიანთ რეზიდენციაში – ჭალაში, თავდაცვის მიზნით სამრეკლო კოშკად გადაუკეთებიათ,³ მეფის სახლთუხუცესს კონსტანტინე მუხრანბატონს 1746 წელს საფუძვლიანად შეუკეთებია ქსნის ციხე,⁴ ხოლო 1756 წელს განუახლებია მუხრანის ციხე.⁵

არაგვის ერისთავს 1751 წელს გაუმაგრებია დუშეთის სასახლე,⁶ გორის ციხის მინბაშს – დიმიტრი დიასამიძეს 1792 წელს აუშენებია საქაშეთის კოშკი,⁷ 1750 წელს გიორგი მირზაშვილს შინდისისათვის გალავანი შემოუვლია, ფრეზეთში სასახლის ციხის მშენებლობა და „ბევრს ხარაბა ადგილის კეთება და შენება წამოუწყია“⁸ და სხვ.

XVIII საუკუნის II ნახევრისათვის ქართლ-კახეთში ციხე-გალავნები თითქმის ყველა პირველი ხარისხის თავადს გააჩნდა თავის რეზიდენციაში, ამილახვრებს – ქვემოჭალაში, მუხრანბატონებს – მუხრანში, ციციშვილებს – სამწვვრისში, არაგვის ერისთავებს – ანანურში, ქსნის ერისთავებს – ახალგორში, ჩოლოფაშვილებს – მატანში და სხვ. აღსანიშნავია, რომ არისტოკრატიის წარმომადგენელთა საცხოვრებლები ციხე-სიმაგრეს ვერ გამოეთიშებოდა, ამიტომ ცალკეული კოშკები თანაბრად შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც საცხოვრებელ, ისე თავდაცვით ნაგებობათა ჯგუფს. ასევე იყო სამრეკლოებიც, რომლებიც ხშირად საცხოვრებელი ოთახიც იყო და გამაგრებული კოშკის ფუნქციაც ჰქონდა.⁹

ლეკების წინააღმდეგ თავდაცვით ნაგებობებს მხოლოდ ქართველები არ აგებდნენ, „ოსმალობის“ პერიოდში ისაყ ფაშას მამუკა მუხრანბატონთან ერთად აუგია მუხრანის გალავანი, გაუმაგრებია გომის ციხე¹⁰, სენია ჩხეიძის

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 88.

² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 174.

³ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 203.

⁴ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 327.

⁵ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 300.

⁶ **Пл. Иоселиани.** Описание города Душета Тифлисской губернии. Тифл., 1860, გვ. 132.

⁷ პარმენ ზაქარაია. ქართული ციხე-ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები, კოშკები. თბ., 2004, გვ. 212.

⁸ ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, დოკ. № 44, გვ. 21.

⁹ ვახტანგ ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, გვ. 91.

¹⁰ დარეჯან მეგრელაძე. აღმოსავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 439.

ცნობით, მანვე ააგო: „ციხე ავჭალისა, კოშკები დიღმის ბოლოდან ატენის წყლამდე თორმეტი, სადაც ფონი იყო ლეკის გამოსავალი“.¹

ერეკლეს კარგი ცოდნა და დიდი გამოცდილება საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა-განახლების მიზნით, კარგად ჩანს მისი მოხელეებისადმი გაცემული უამრავი ბრძანებიდანაც. მეფე კონკრეტულ დავალებებს აძლევს შესაბამის მოხელეებს, მშენებლობისას კირის ორ რაოდენობა გამოწვან და დაზიდონ, რამდენი ქვა და ქვიშა მოზიდონ, რამდენი ურემი და მუშა-ხელი გამოიყენონ და ა შ. ნიშანდობლივია, რომ ერეკლეს მეფობაში თავდაცვითი ნაგებობების ხვედრითი წილი გაცილებით მეტია ყველა სხვა სახის მშენებლობაზე.

მეფეს ზუსტი ინფორმაცია პქონდა ციხე-სიმაგრეთა სიმძლავრეებისა და მათში დასახიზნი მოსახლეობის ტევადობის შესახებ. ომარ-ხანის 1797 წლის შემოსევისას თელავში მყოფი ერეკლე საენდრონიკო და სავაჩნაძეო სოფლებს უბრძანებდა: „ომარ-ხანი დაღისტნის ჯარით ბელაქანში ჩამოსულა, ნებას გაძლევთ, სიდნადის ციხეში დაიხიზნენით, ან აქ თელავს ამოდით და ამ ორს ქალაქს უფრო გამაგრებულნი ვიქნებით და უფრო კარგად მივეშველებით ერთმანეთსა, ვეჯინის ციხის გამაგრება და დახიზნვა არ იქნება და არც ხიზანი დაიყენებაო“.²

ამავე ხანებში ალექსანდრე ბატონიშვილი თბილისიდან მამას სწერდა: „...ქალაქი გავამაგრეთ, მელიქ აპო თავისის ელით, შულავერი თავეთის ხიზნით ქალაქში შემოვიყვანეთ და საიდამაც მტრის მოსვლის ფიქრი გვქონდა, სულ იმ მხარეს დაურიგეთ და ბურჯებში დავაყენეთო“.³

1785 წ. 19 აგვისტოს ერეკლეს მიერ ბეჭან ამილახვრისადმი მიწერილ წერილში, რომელიც ჩვენი აზრით, ასევე ომარ-ხანის თავდასხმას უნდა უკავშირდებოდეს, მეფე დიდმოხელეს ნამოქმედარს უწონებდა და კონკრეტულ დავალებებსაც აძლევდა: „...მერე შენი წიგნი მოგვიგიდა, დიად გიმადლით რომ ბეჭითი ხარ. აფერუმ და რაც რომ გაუკეთებიათ დიად კარგი. რაც გაკეთებულა კმარა. თუ ასე გაკეთებულა რომ ეგ წვრილი სოფლები ჭალები და ეგენი მაგაში დაეტეოდნენ. მაგაში რომ დაიხიზნენ ისა სჯობს, თუ არ დაეტეოდნენ და ციხე აქვსთნ და იმაში შევლენ, რომელიც სოფლები მაგ სურამში შესას-

¹ სენია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 15.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 205.

³ შოთა ხანთაძე. მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის. – აკად. ხ. ჯანაშავას ხახლობის საქართველოს ხახლმწიფო მუზეუმის მოამზ, ტ. XXII. თბ., 1961, გვ. 245.

კლელად მოგვეწეროს ამას წინათ ის სოფლები ახლავ აჟყარე და შეიყვანე კარგათ გამაგრდნენ რაც შეიძლონ. პური შეიტანონ და ტყვია წამალი ბარაქი-ან შეატანინ, კარგათ გაამაგრე ესეები. ასე გაარიგე: აგვისტოს ით ქ-კს უოგ და რომელსაც სოფელზედ საყარაულო იყოს დარჩომილი იქიდამ უნდა აიღოთ და ან კიდევ თუ თეთრი იყოს მორჩომილი იქიდამ უნდა მიეცესთ ყარაულებსა რომ არ მოიშალნენ. ამილახვრისათვის და დავით მოურავისათვის მიგვიწერია ისინი აიღებენ და ყარაულებს მისცემენ რომ არ მოიშალნენ ყარაულები. და თუ რამ თეთრი აქვსთ აღებული ხელში იქიდანაც მისცემენ. ეგ რუსის ჯარი რომ აიყაროს და წამოვიდეს, შენ მაგათ არ უნდა მოშორდე, ხუმრობა არ არის და რომელსაც სოფლებში არა პრავიანტი (გადასახადი პურით, ან ხორბლით – ი.ა.) აქვს შეწერილი სულ თან წამოაღებინოთ იასაულებსა. ამილახვრისათვის მოგვიწერია, ამ საქმეზედ ბეჯითი იყავ“.¹

1780 წ. 1 აპრილს მეფე ი. გლურჯიძეს ხიდისთავის კოშკის აღდგენის მიზნით, შემდეგ მითითებებს აძლევს: „ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ი. გლურჯიძევ, მერმე შენ უნდა წახვიდე ხიდისთავს რაც კაცი იყოს მაგათ ურმები უნდა შეაბმევინო და რაც ქვა და ქვიშა მაგ კოშკს მოუნდება უნდა მოატანინო და რაც საკირეში კირი იყოს ისიც უნდა ამოიდონ და დაზიდონ, ამაზედ ბეჯითად მოიქეციო“.²

როცა თავდაცვითი ნაგებობის მშენებლობა უფრო მასშტაბური იყო და ადგილობრივი მოსახლეობა არ კმაროდა, მეფე მოხელეებს მოუწოდებდა ურთიერთდახმარების სხვა ფორმები გამოეყენებინათ, მაგ. 1773 წელს ერეალე შიდა ქართლის მოურავსა და გორის მელიქს ავალებდა გორის ციხის აღდგენით სამუშაოებში ახლომდებარე მოსახლეობის ჩაბმას: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, ამილახვარო რევაზ და გორის მელიქ! მერე გორის გალავანს სადაც ეჭირვუბოდეს, ოთხი ჯიხური, ვინც გალავანში ესახლოს იმათ დაადგმევინეთ და ოთხი ჯიხური, ვინც გორის ციხეში დაიხიზნება, იმათ დაადგმევინეთო“.³

1770 წლის აღწერით გორში დაახლოებით 2000 (500 კომლი) კაცი ცხოვრობდა⁴, ხოლო გორის ციხის შიდა ნაწილის (ქ. ზემო ციხის) ფართობი დაახლ. 12000 მ-ია (200X60), აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლებოდა

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. AD, საბ. 1362.

² გხიებ, 7782/4; ფ. 355.

³ ა. გაბიჩვაძე. გორის ციხე ერეალე II დროს. საისტორიო მოამბე, I. თბ., 1945, გვ. 11, დოკ. 4.

⁴ გულჩინა აკოფაშვილი. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 519.

იმ დროისათვის არა მარტო გორელების, არამედ ახლომდებარე სოფლების მოსახლეობის დახიზვნაც, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ გორის ციხის იმდროინდელ სიმძლავრეებს. აგთ. თუმანიშვილის გადმოცემით, XIX ს. 10-იან წლებში გორის ციხეს 35 დიდი კოშკი ჰქონია.¹ ეს მოსაზრება სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, რადგან პოლკოვნიკ დრენიაკინის მიერ 1802 წელს შედგენილი გორის გეგმიდან ჩანს, რომ ციხე 23 კოშკითა და ბურჯითაა გამაგრებული.²

მეფე ციხე-სიმაგრეების მშენებლობის მიზნით არც სახელმწიფო სახსრებს იშურებდა და მუდმივ კონტროლზე პყავდა, თუ რა ტემპებით მიმდინარეობდა ადგგენითი სამუშაოები. 1774 წ. 18 მარტს ერეკლე რევაზ ამილახვარსა და გორის მელიქს ზურაბს სწერდა: „მერე ორმოცდაათი თუმანი გარდაგვიდვია და ბარათი გორის ბაჟის იჯარადარზედ დაგვიწერია და გამოგვიგზავნია. ღვ[გ]თის მოწყალებით, ამ ორმოცდაათის თუმნით რაც მუშაობა შეიძლება, გორის ციხეზედ უნდა იმუშაოთ და გააკეთოთო“³ სამიოდ კვირის შემდეგ (8 აპრილს), ერეკლე II ამილახვარს შეახსენებდა: „...ქ. ამას წინათაც წიგნი მოგწერეთ რომ გორიდან ორმოცდა ათის თუმნის თადარიკი ჰქნათ რომ საკირევბი უნდა დაადგმევინოთ და დააწვევინოთ, რაც ორს საკირეს მოუნდეს ის კი დახარჯეთ და სხვა კი შეინახეთ რომ როგორც მოგინდეს ისე დახარჯოთ რომ მაგ ციხეს უნდა მოხმარდეს წლეულობით და ეს წიგნი ბარათათ შეინახეთ რომ ის ორმოცდა ათი თუმანი ბაჟიდამ მოგეცემათო“⁴.

1772 წ. 29 თებერვალს ერეკლე II შიდა ქართლის გამგებელს – რევაზ ამილახვარს ავალებდა გორის ციხის გარშემო ღრმა თხრილის გაჭრას: „გორის გალავნისა რომ მოგეწერათ, ჩვენი მუშა შევაწერეთ და ხანდაკი უნდა გააჭრევინოთ. ხანდაკს ხუთი ადლი განი უნდა ჰქონდეს და ოთხი ადლი სიდრმე, ასე უნდა გააკეთებინოთ“⁵.

ქართლ-კახეთის მეფის დიდი ინტერესი გორის ციხის აღდგენის მიზნით ჩანს ამილახვრისადმი 20 ივლისს მიწერილი წერილიდანაც: „...ისე გარჯას ეცადენით, რომ მასალა მომზადდეს, ჩვენც ღ~თის მაღლით კათალიკოზს და ლევანს რომ ქალაქს მოსულს დავიგულებ მანდეთ წამოვალთ, რომ მარიამობ-

¹ **ავთ. ტუმანოვ.** Описание грузинского города Гори. СПБ., 1816, გვ. 20.

² იხ. ქლდარი მამისოფელიშვილი. გორის ისტორია, ტ. I, გვ. 157; შოთა მესხია. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე, გვ. 315-320.

³ ა. გაბიჩვაძე. გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 12-13, დოკ. 7.

⁴ გ სიგ 7782/3; ფ. 146.

⁵ ა. გაბიჩვაძე. გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9, დოკ. 1.

ის ნახევრიდან მოკიდებული ენკენისთვის ნახევრამდონ სულ ერთიანად ბატონ უმანი მივეხვივნეთ და გორის საქმე ვიმუშავოთ“.¹

სტრატეგიული ნაგებობების აღდგენა-განახლებაზე მთელი სამეფო ოჯახი ზრუნავდა. 1794 წელს გიორგი ბატონიშვილი გოგია ხერხეულიძესა და სახლ-თუხუცეს ფიცხელაურს დართისკარის „წამხდარი“ ხიდის საკუთარი ხარჯებით აღდგენას ავალებდა: „...დართის კარის ხიდი წამხდარა, რომ მგზავრი ვეღდარ დადის ...თქვენ კომლზედ კაცი და ხარი უნდა გამოიყვანოთ, წამოუძღვეთ და დართისკარში ...ხიდი გააკეთოთ, უმისობა არ იქნება და არც დაგვიანება, ხარით, ცულით და სახმარის იარაღით უნდა წამოხვიდეთ, ამაში მთის კაცს საქმე არა აქვს-რა, ბარის კაცი უნდა გაისარჯოთო“,² ტოტლებენის საქართველოში მოსვლისას ქსნის ერისთავებისათვის 40 უდელი ხარ-კამეჩის ბეგარაზე გამოყვანა შეუწერიათ³ და ა. შ.

ყველა დიდ ციხესა და თავდაცვით ნაგებობას ჰქონდა თავისი წესდება (სარისტა, გარიგება), რომლის შესრულებაზე მინბაშები, ქალაქის მოურავები, მელიქები და სხვა სახელმწიფო მოხელეები აგებდნენ პასუხს. 1772 წლის 10 ივნისს ერეკლე იმავე რევაზ ამილახვარს სწერდა: „მერმე ამ ხანად ჩვენი შვილი გიორგი გამოვგზავნეთ მანდეოკენ და თქვენ უნდა იახლოთ, იმათვისაც მოგვიწერია და მაგ ქვეყნის ბინა-სიმაგრე, ჯარისა და მდევრების გარიგება, ციხეებისა და სიღნაღების გარიგება და გამაგრება, როგორც სამჯობინარო იყოს, ისე უნდა გაარიგოთ და ისე მოიქცეთ მაგრად და ფრთხილად და მტერს არა დაანებოთ რა“.⁴

რაოდენობის მიხედვით, განსაზღვრული იყო ისიც, თუ რომელი სოფლის (ქალაქის) მოსახლეობას რომელი ციხისათვის უნდა შეეფარებინა თავი და ვინ იყო ამაზე პასუხისმგებელი. პაპუნა ორბელიანი ნურსალ-ბეგის 1755 წლის შემოსევისას ერეკლე II-ის მიერ გაწეულ თავდაცვით სამზადისს შემდეგნაირად აგვიწერს: „წაბძანდა კახი ბატონი ერეკლე კახეთს, რა მიბძანდა თელავს, შემოიყარა ჯარი კახეთისა და აყარა კახეთი სულ და ციხეები გაამაგრა და

¹ გ. სიგმ 7782/3; ფ. 155.

² დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ., 1955, გვ. 225.

³ დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის..., გვ. 225.

⁴ ა. გაბიჩვაძე. გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9-10, დოკ. 2.

უოველს ციხეს ოთხ-ოთხის თვის თადარიგი დაუჭირა, აავსო პურით, დვინით, აგრეთვე მეთოვითა და ტყვიის წამლითა“¹

ციხის უფროსები და სხვა პასუხისმგებელი პირები, ასევე ვალდებულები იყვნენ გასაჭირში ერთმანეთს მიშველებოდნენ. სურამზე ლეპების მოსალოდნელ თავდასხმასთან დაკავშირებით, 1773 წლის 15 ივნისს მეფე ამილახვარს სწორედ ამ ფაქტის გამო საყვედურობდა: „ქ. სურამის მოურავმა რომ ციხეში დასაყენებელი კაცნი გთხოვათ, ლ[ვ]თის გულისათვის, როგორი საქმეა? რატომ არ გაუგზავნეთ? თხუთმეტი-ოცი კაცი რომ გაგეგზავნათ, რა იქნებოდა, როგორი ქვეყნის მოვლა არის? ახლავ ორმოცდაათი იყოს, სამოცი კაცი მიაშველეთ სურამს. გორიდამ ტყვია-წამალი გამოიტანეთ, თვითო ლიტრა წამალი თვითომ, ჩარექი იყოს – მეტი თუ ნაკლები – ტყვია აიკიდონ და ერთ ლამეს შევიდნენ სურამს. არაგის მოურავიც მანდ არის, ზოგი კაცი მაგან, ზოგი თქვენ გამოარჩივეთ კარგი კაცი და ახლავ გაისტუმრეთ. თუ ერთად იყვნეთ, გიორგი ერისთაო და ივანე მეითარო, ესენი ასე გაარიგეთ, რაც მოგვიწერია, თუ მანდ იყვნეთ, თუ არა და მაგათ გაარიგონ“².

ციხეების დაცვა და წესრიგი სპეციალურად დანიშნულ მოხელეებს – მინბაშებს ევალებოდათ. მათ ებარათ ციხის გასაღები და მისი ნებართვის გარეშე ციხეში შესვლა და იქიდან გასვლა არავის შეეძლო. გადმოცემით, ერთხელ გორში დაგვიანებით მისული ერეკლე, ციხის მცველებმა დიდხანს ალოდინეს, სანამ მინბაში არ მოვიდა.³ იმის გამო, რომ ციხე ქვეყნის დაცვასაც უზრუნველყოფდა, მინბაში ქალაქის შემოსავლის ნაწილსაც იღებდა. ციხის მცველები საკვებს მეფის საზინიდან იღებდნენ, ხოლო ადგილობრივი და მეზობელი სოფლების მცხოვრებნი ციხეს შეშითა და სხვა საჭირო მასალით ამარაგებდნენ.⁴ აღსანიშნავია, რომ ციხისთავად დანიშნული პიროვნების ყმები თარხნდებოდნენ, რათა ისინი ციხისთავს ციხის დაცვაზე გამოეყენებინა.⁵ დადგენილი იყო მათი სამსახურის ვადაც, მაგ. რაინეგსის ცნობით, გორის ციხის მეციხოვნეები ყოველ ოთხ კვირაში იცვლებოდნენ.⁶

ციხისთავი ციხის სრული ბატონ-პატონი იყო და მეფური პატივით სარგებლობდა. მაგ. გორის ციხის მინბაში სახელმწიფოს მიერ ნაქირავებ ბინაში

¹ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 227.

² ა. გაბიჩვაძე. გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 11-12, დოკ. 5.

³ ილია ბერძნიშვილი. გორის ციხე, გვ. 45.

⁴ ილია ბერძნიშვილი. გორის ციხე, გვ. 45.

⁵ ელდარი მამისთვალიშვილი. გორის ისტორია, ტ. I, გვ. 254.

⁶ იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 149.

ცხოვრობდა და თავისი კაცები ჰყავდა დაუენებული მტკვრის პირას და ქალაქის ჭიშკრებთან, რომლებიც „სამინბაშო ბაჟს“ იღებდნენ. ბაჟი იკრიფებოდა უველაფერზე, რასაც ვაჭრები გაატარებდნენ: ურემ დვინოზე - ერთი ტიკი, ურემ ნახშირზე - ერთი კალათი და სხვ.¹ თუმცა, საუკუნის ბოლოს ბატონიშვილებს შორის არსებული დაპირისპირების გამო, მინბაშების ფუნქცია, ხანდახან კონკრეტულ პირებსაც ეკისრებოდათ. მაგ. 1797 წლის 22 დეკემბერს იულონ ბატონიშვილი დარეჯან დედოფლის სახელზე გაგზავნილ წერილში წერდა: „...სურამის ციხეში შემსვლელ-გამომსვლელნი ...ოთხნი კაცნი არიან: ბებოლაშვილი მღვდელი გიორგი, ტერ მიქელა, მამასახლისი გაბრიელა და ბერულაშვილი გაბრიელა. ამ ოთხს კაცს გარდა სურამელი კაცი ვერავინ შევა და ვერცავინ გამოვაო“.² 1796 წელს თბილისში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით, იულონ ბატონიშვილი ოთარ ამილახვარს აფრთხილებდა, რომ გორში მკაცრი საკარანტინო ზომები შემოედო და ციხეში არავინ შეეშვა: „ქალაქის ამბავ შენ უკეთ გეცოდინება, მაგრამ ჩვენ ამას გწერთ, ამაზე არავინ მოგატყუოს რომ ქალაქში ჭირი არ იყოს. ხუმრობა არ არის გორში არავინ შეუშვათ ქალაქში ნამყოფი ხალხი, ან ნათესავ, ან მეგობარი, თორემ ჩვენს მესისხლეთ მოვიკითხავთ მანდედამ. ან პურს არ დაუწყონ ძლევა ან დვინოს და ან მეგობრობით არავინ გაიაფდეს და არავინ ნახოთ და თუ შეუტყოთ ვისმე, ნუდარც იმას შემოუშვებო და სახლით და კარით აიკელით, სიფრთხილით მოიქეცითო“.³

სელისუფლების მხრიდან მკვეთრად იყო გამიჯნული მოხელეთა უფლება-მოვალეობანი. როცა ნიკოლოზ მდივანბეგმა საკუთარ ძალაუფლებას გადაამეტა და სურამის მოურავი ციხეში აღარ შეუშვა, ერეკლეს რეაქციამ არ დააყოვნა: „...ახლა სურამის მოურავისა გვესმის, რომ სურამის ციხეში აღარ უშვებდა და დაგითხოვნია; შენ მაგ ციხეში სულობით საქმე არა გაქვს რა. მაგ ციხიდამ უნდა გამოხვიდე, მამულები გაქვს და თქვენს მამულში, საცა გინდოდეს, მიბანდი და დადეგო“.⁴

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ „არაბობას“, „მონდოლობას“, „ოსმალობას“, „ყიზილბაშობას“, საქართველოში დადებითი შედეგებიც მოჰქონდა. ჯერ ერთი, ისინი სამხედრო საქმის უბადლო ოსტატები იყვნენ (მაგ. არაბ-

¹ ელდარი მამისთვალიშვილი. გორის ისტორია, ტ. I, გვ. 254.

² დავით გვრიტიშვილი. გორის ისტორია, ტ. I, გვ. 134.

³ საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448, ს. 3534.

⁴ საქართველოს სიძელეები, ტ. III, გვ. 171, დოკ. 193.

ებს ჯარის ორგანიზაციასა და დისციპლინაში ბადალი არ ჰყავდათ, მონიტორინგი – სწორუპოვარი ცხენოსნები, მოისარნი და გამძლეობით გამოირჩეოდნენ, ოსმალები – სამხედრო სისტემაში დენთის წარმოების პიონერები და ა. შ.), რასაც არ შეიძლებოდა ქართველებზე ამ მხრივ კეთილისმყოფელი გავლენა არ მოეხდინა და მეორეც, მუდმივმა ძნელბედობამ ქართველი კაცი არა მარტო ბრძოლებში გამოაწრო, არამედ თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაშიც დაახელოვნა. ამ ფაქტს ხელს უწყობდა საქართველოს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობაც (ვიწრო ხეობები, რომლებიც მტრის მრავალრიცხვან ჯარებს გაშლის საშუალებას არ აძლევდა, წყალუხვი და სწრაფი მდინარეები, რომელთა გადალახვა იოლი საქმე არ იყო, მიუვალი მთები, რომლებიც ძნელბედობის უამს მოხერხებულ სახიზრებს წარმოადგენდა და ა. შ.).

განუწყვეტელი თავდასხმების პირობებში, ქვეყნის მთავარი ციხე-კოშკები მუდმივ მზადყოფნაშიც უნდა ყოფილიყო. „ციხეებისაც ასე „დაგვიწერია“, აცხადებდა 1791 წელს ერეკლე, „ქალაქის თბილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიყალის ციხეებიცა აქვთ და ნარიყალები ცოტა კაცით შეინახება, ამ შვიდს ალაგას ნარიყალებში საერთოდ კაცი უნდა ეყენოსთ, რათა ერთიც მოუნდესთ მცველად და სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონი არიან, ქართლში თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება ის სათემო არისო“.¹ როგორც ბრძანებიდანაც ჩანს, ერეკლე ქართლ-კახეთში 7 მთავარ ციხეს გამოარჩევს: თბილისის, გორის, სურამის, წირქოლის, ანანურის, ბოჭორმისა და გრემის. ჩვენი აზრით, ჩამონათვალს უნდა დაემატოს თელავისა და სიღნაღის ციხე-გალავნებიც. თუ დავაკვირდებით, მეფის მიერ მინიშნებული შვიდივე ციხე შიდა (ზემო) ქართლში, ან კახეთშია. ეს არ არის შემთხვევითი. XVI-XVII საუკუნეებში ბრძოლების ძირითად ასპარეზს ქვემო ქართლი წარმოადგენდა (ალგეთი, გარისი, ფარცხისი, ნახიდური, მარაბდა და ა. შ), ხოლო დაპირისპირებულ მხარეს – ირან-ოსმალებთი. XVIII ს. მეორე ნახევრისათვის ქართლ-კახეთს მათი უდელი მოშორებული პქონდა და ქვეყანა, ძირითადად, „ლეკიანობის“ სიმძიმეს განიცდიდა, ამიტომ თავდაცვითი ობიექტების შენება-განახლება იმის მიხედვით ხდებოდა, საიდანაც ლეკების თავდასხმები იყო სავარაუდო. შვიდივე ზემოხსენებული ციხე ქართლ-კახეთის გზაჯარედინებსა და მთავარ მაგისტრალზეა და შესაბამისად, ხეობის ჩამკეტიც.

¹ ილია ბერძნიშვილი. გორის ციხე, გვ. 45.

სურამის ციხე მტკვრისა და ბორჯომის ხეობით შემოსული მტრისაგან თავ-დასაცავად იყო გამიზნული, ამასთან სურამი გორისაკენ მომავალ გზასაც კუ-ტავდა.

გორის ციხე შიდა ქართლის მთავარი ციტადელი იყო, ვისაც გორი „ქი-რა“, ის ქართლის მფლობელადაც ითვლებოდა, ამდენად, ციხის სიმტკიცეს ერეკლე, ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც კარგად ჩანს ზემოთ მოტანილ საბუთებშიც.

წირქოლი ქსნის ხეობით წამოსული ლეპების მთავარი „შემკავებელი“ უნდა ყოფილიყო. მას ქსნის ქვემო წელის სოფლები და ქსნის ერისთავების რეზიდენცია – ახალგორიც უნდა დაეცვა.

ანანური არაგვის ერისთავების მთავარი სიმაგრე იყო. იგი ერთდღოულად უზრუნველყოფდა ჩრდილოეთიდან როგორც სამუხრანბატონოს, ისე თბილისის მოსახლეობის უშიშროებას.

თბილისი ქვეყნის დედაქალაქი, ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობით და ეკონომიკის მთავარი „ხერხემალი“ იყო. სწორედ აქ იყო თავმოყრილი საწარმოების (მათ შორის თავდაცვით სფეროში – თოფ-ზარბაზნის, თოფის-წამლის და სხვ.) ძირითადი ნაწილი, ამიტომ მისი თავდაცვა ხელისუფლების უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა.

ბოჭორმას გარე-კახეთიდან, ან ციფ-გომბორიდან წამოსული მტერი უნდა შეეკავებინა და თბილისის უშიშროება ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უნდა უზრუნველეყო.

თელავსა და ალავერდზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან წამოსული მტერი გრემის ციხეს ვერ ასცდებოდა, ამდენად მისი სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობა კახეთის მთავარი ქალაქისათვისაც იყო მნიშვნელოვანი.

მტრის თავდასხმების შემთხვევაში ხსენებული ციხე-სიმაგრეებისათვის ახლომდებარე სოფლებიდან მოსახლეობის დახიზნვისა და თავდაცვითი ღონისძიებების გატარების მიზნით, დროული სიგნალის გადაცემა იყო საჭირო. ხშირად გუშაგები ამას ძველი ტრადიციით, სათვალთვალო კოშკებზე ცეცხლის დანოებით აკეთებდნენ. კოშკები, როგორც წესი, იმ მდინარეთა ხეობებში (მტკვრის, ძამას, ფრონეს, ლიახვის, ტანას, თემის, ქსნის, არაგვის, ივრის და ა. შ. იხ: რუკა აქვთ, დანართი № 6) სასიგნალო სისტემის ერთიან, უწყვეტ ჯაჭვს ქმნიდნენ. იქ, სადაც ციხე-კოშკის აგება ვერ ხერხდებოდა, „სახელდახე-

ლო“ სათვალთვალოებს აგებდნენ. მოგვიანებით კოცონი თოფ-ზარბაზანმა შეცვალა, მაგრამ ძველი ტრადიცია აღგილებული მაინც შემორჩა.

აღნიშნული ციხეების აღგილმდებარეობის შესწავლისა და რელიეფზე დაკვირვების შედეგად, მათი სასიგნალო კავშირი შემდეგი პრინციპით უნდა განხორციელებულიყო:

სურამის ციხე დასავლეთიდან ლიხის ქედით დაიმედოდ იყო დაცული. მტკვრის ხეობიდან შემოსული მტრის შემთხვევაში სიგნალი მას პეტრეს ციხე – გოგიას ციხე – ახალდაბა – ქვიშხეთი – ცხრამუხის კოშკებით გადაეცემოდა.

ამის ხეობით წამოსული მტრის შემთხვევაში, სურამ-გორისათვის „მთავარი მესიგნალე“ საციციანოს „ჩამპეტი“ გვერძინეთის კოშკები იყო. ნიშანი პირველად ციციშვილების რეზიდენციას – ორთუბანს გადაეცემოდა, შემდეგ ყინწვის-სამწერისს, აქედან კი სურამ-გორისათვის სიგნალის გადაცემა ძნელი აღარ იყო.

გორის ციხეს სამაჩაბლოდან წამოსული მტრის შესახებ, სიგნალს ქემერი-ტი-კებევი-ფხვენისი-შინდისის კოშკები აძლევდნენ. დიდი ლიახვის ხეობას ჩრდილოეთიდან კეხვის ციხე კეტავდა. კეხვიდან სამხრეთით სიგნალი ფხვენის-შინდისს გადაეცემოდა. ფხვენისიდან კარგად ჩანს ამილახვრების მთავარი ციხე – სხვილო. იქიდან კი „აღმოსავლეთის სასიგნალო სისტემა“ იწყებდა მუშაობას.

პატარა ლიახვის ხეობაში სიგნალის გადაცემა შემდეგნაირად ხდებოდა: ჯერ ფოხალის ციხეზე აინთებოდა ცეცხლი, შემდეგ მიყოლებით – ხადურიანთ კოშკზე, ერედვის ციხესა და მცხეთიჯვარზე, ხოლო იქიდან სიგნალი გორის ციხეს გადაეცემოდა.¹

ქართლის მთავარ ციხეს სამხრეთიდან (ტანის ხეობიდან) ნიშანს დანახვისი აძლევდა. კარგ ამინდში მასზე დანთებულ კოცონს თბილისიდანაც დაინახავდნენ, ხოლო ცუდი ხილვადობის პირობებში, დანახვისზე მიცემული სიგნალი უნდა შეემჩნიათ მუხრანბატონების მთავარ „დასაყრდენში“ – ქსნის ციხეში.

მტკვრის მარჯვენა ნაპირით თბილისისაკენ მტრის წასვლის შემთხვევაში სიგნალი მცხეთის „ჩამპეტი“ – ბებრის ციხეს გადაეცემოდა, აქედან კი თბილის „საქმის კურსში ჩაყენება“ დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა.

¹ გიორგი სოსიაშვილი. ნარკევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან. თბ., 2011, გვ. 111.

ქსნის ციხე ჩრდილოეთით სიგნალს აძლევდა სამუხრანბატონოს ცენტრს – მუხრანს. მუხრანიდან ჩრდილოეთით ნიშანი ქსნის ერისთავების რეზიდენციას – ახალგორს გადაეცემოდა, დასავლეთით – გორს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – თბილისს.

ქსნის ხეობით წამოსული მტრის შემთხვევაში ლარგვისი – წირქოლი – ახალგორის სასიგნალო სისტემა ერთვებოდა.

რაც შეეხება თერგ-არაგვის ხეობას, დარიალიდან ანანურამდე სათვალთვალო კოშკების მთელი კასკადია (ფანშეტი, სნო, სიონი, მლეთა და ა. შ.)

სამხრეთ-აღმოსავლეთით თბილისისათვის სიგნალის მიცემას პატარძეულის კოშკი უზრუნველყოფდა, ხოლო ცივ-გომბორიდან – ბოჭორმა.

თელავსა და სიღნაღს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ალაზნის ვაკე აკრავს და შესაბამისად, ხილვადობაც მეტია, ამიტომ ამ მხრიდან მტრის თავდასხმის შემთხვევაში, ციხეებს თავდაცვითი ზომების მიღება დროულად შეეძლოთ. თელავსა და ალავერდის მეციხოვნეებს ყვარელი – ნეკრესი – გრემიდან მიღებული სიგნალიც დიდ სამსახურს უწევდა.

ასე რომ სასიგნალო სისტემა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, საკმაოდ გონივრულად იყო შედგენილი, რაც ქვეყნის უშიშროების დამატებითი გარანტია იყო.

ქართლ-კახეთში საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობისა და მასში მოსახლეობის დახილის ერთ მთლიან სისტემას გვთავაზობს იოანე ბატონიშვილი. იგი გარე კახეთიდან იწყება და ლიხის ქედით მთავრდება. ბატონიშვილის გეგმის მიხედვით, სიმაგრეები ისეთ ადგილებსა და იმგვარად უნდა აშენებულიყო, რომ მოსახლეობას მასში თავშეფარებისას შიში არ ჰქონდა. ქიზიყის, საენდონიკო, სავაჩნაძეო, ყანდაურას და ჯიმითის მოსახლეობა სიღნაღის ციხეში სრულად მოთავსდებოდა, მაგრამ მას გაწყობა-შეკეთება ესაჭიროებოდა.

ნინოწმინდა, პატარძეული, ხაშმი, სართიჭალა და სხვა მეზობელი სოფლები საჭიროების შემთხვევაში ბოჭორმის ციხეში უნდა დახილულიყვნენ.

ველისციხიდან თელავამდე მოყოლებული სოფლებისათვის კარგი სახითარი იყო კალაურის მთა, მაგრამ იოანე ბაგრატიონი იქ ციხის აშენებასაც მიიჩნევდა მიზანშეწონილად.

თელავის გარშემო ქიშტაურამდე სოფლებისათვის მთავარ სახითად თელავის ციხე მოიაზრებოდა.

ახმეტას, მატანს, ბახტრიონს, ლალისუურს საკუთრივ ჰქონდათ ციხე-სიმაგრეები და მოსახლეობას შეეძლო მშვიდად ყოფილიყო.

ენისელსა და მის სამეზობლო წვრილ სოფლებს, საფრთხის შემთხვევაში, ენისის ციხეში შეეძლო შესვლა, მით უფრო თუ მას გააფართოებდნენ. სხვა მხრივ ციხე მკვრივი იყო და დახიზნულებს საფრთხე არ შეექმნებოდათ.

შილდას, საბუეს და სხვა სოფლებს ყვარელამდე შილდის ციხისათვის უნდა შეეფარებინათ თავი, ხოლო ყვარელს, გავაზსა და სანავარდოს - ყვარლისათვის.

თიანეთს, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, ფშავის მხარეს მრავლად ჰქონდა სახიზარი, ამიტომ ამ მხარეს დამატებითი თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა არ იგეგმებოდა.

ბატონიშვილი თბილისსა და გორში საფორტიფიკაციო ნაგებობების დიდი რაოდენობით მშენებლობის ითვალისწინებს: „ტფილისის ქალაქს გაუახლდეს ციხე, გაამაგრონ შაიტახტი, მელიქის სასახლესთან კლდის ძირის კოშკი, ქოჯრის ქარზედ გაკეთდეს კარგი დიდი კოშკი, აგრეთვე დიდმის კარზედ და წყლის კარზედ გალავანი გაუახლდეს. ავანაანთ ხევი ამოიწმინდოს და სხვა თხრილიც შეუერთდეს და ამას შიგნიდამ კიდე გაუკეთდეს ალიზის დაბალი გალავანი ჯებირად. მეტები გამაგრდეს კარგად. ავლაბრის ასავალს, დედოფლის სასახლის პირდაპირ, კირაკოზას ბაღთან, იმ კლდეზედ დაიდგას კარგი ბურჯი დიდი სანგარივით. ერთიც ქვაბისთავს დაიდგას ამგვარი ბურჯი. წინ კლდეზედ, სადაც ასავალია, გალავანი გაევლოს. უკან მახათას მხარეს კარგი და დიდი თხრილი გაევლოს.

სუპკარაპეტის ხევიდამ, სადაც მტკვარს დაჟყურებს ძველი თხრილი, იმას შემოუარონ, შიგნიდამ გაევლოს გალავანი, გაუკეთდეს ხიდი სამსა თუ ოთხს ადგილს, ამასაც გაუკეთდეს სანგრები კოშკის სახედ და ესე იქმნების ფრიად მაგარი. აქ დაიხიზნებოდეს სომხით-საბარათოსშვილო, მარტყოფები, ნათლური, ავჭალა, დიდომი, მცხეთა, და მძეგვი და სხვა წვრილი სოფლები.

... გორს გარშემო შემოევლოს დიდი და ღრმა თხრილი, შიგნიდამ ამოვიყვანოთ დიდი გალავანი, ორს-ორს ადგილზედ გაუკეთოთ დიდრონი ბურჯები სანგრად, გარედამაც ამოვიყვანოთ მიწის პირად კედელი და ესე ავაგსოთ ფშნების წყლით. ამ გალავანის კედლების გვერდზედ, გაუყოთ სახლების ად-

გილი თავადაზნაურთ, აგრეთვე გლეხთა სახიზრად, გაპეოდეს ზეითი ციხე, კიდე რაც აკლდეს და გაიწყოს ესეც ამ სახედ¹.

ბატონიშვილის გეგმის მიხედვით, მცხეთიდან გორამდე მტკვრის სანაპოროზე საჭირო ადგილებში გალავნები უნდა აშენებულიყო, ხოლო იქ, სადაც ბუნებრივი ზღუდეები ამის საშუალებას იძლეოდა და წყლის პირები იმგვარად უნდა დაფლატევებულიყო, რომ კაცს ამოსვლა ვეღარ შეძლებოდა.

ასეთივე ბუნებრივი წინააღმდეგობანი უნდა შექმნილიყო მცხეთიდან არაგვის ხეობაში ანანურსა და უინვალის ხიდამდე. ეს ბუნებრივი ციხე-სიმაგრე თავისუფლად დაიტევდა ქართლის მთელი ვაკის მოსახლეობას თავისი საქონლით. მხოლოდ რამდენიმე ადგილას უნდა დაეტოვებინათ ფონი და გასასვლელი გზა. საჭიროების შემთხვევაში არაგვის ხეობა საზრდოს მოპოვების საშუალებასაც იძლეოდა, ადგილზე სამშენებლო ქვაც ბლომად მოიპოვებოდა და კირის გამოწვაც გაზაფხულიდან შემოდგომამდე სხვადასხვაგან შეიძლებოდა.

კაიშაურის კართან იგეგმებოდა ქალაქის აშენება. მასში სომხები უნდა ჩაესახლებინათ და ათი წლით გაეთარხნებინათ. ამ საქმეში მათთვის მუშა-კაცი უნდა დაეხმარებინათ. პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ „მთის კაცთან ვაჭრობის გამართვა“.

ქართლის დასავლეთ ნაწილში ძლიერ ნაგებობას წარმოადგენდა სურამის ციხე, რომელიც ახლომდებარე მოსახლეობას სააბაშიო-ქვეფინისხევის ჩათვლით შეეძლო სახიზრად გამოეყენებინა.

იოანე ბაგრატიონი არა მარტო ქვეყნის გეოგრაფიის კარგ ცოდნას ამჟღავნებს, არამედ საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაშიც ღრმად განსწავლული ჩანს, მაგრამ იმ დროინდელ საქართველოში არსებული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამ პროექტის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

მაგ. როდესაც ერეკლემ მეტეხელებს დაზიანებული ციხის აღდგენა მოსთხოვა, მაშინვე თავის „უილაჯობაზე“ შესჩივლებს: „მოგეხსენებათ ჩუმნი ცხოვრება, რომ თუ არ დაჭირება, თორემ აქ მართებული კაცი ვინ დადგება და ან ვინა დგას, თითო საქათმესა გავს, ქოხებში ვყრივართ, დღიურად ვრჩებით, მწარედ უილაჯონი და გლახები. ახლა ოქმი გიბძანებია, რომ მეტეხის ციხის ზეით კედელია გადაქცეული, მეტეხელებმა უნდა ა[ა]გონო. ჩემო ხელმწიფე იმას თრმოც-სამოცი თუმანი ვერ არგებს და ჩუმნ სულ დავიყიდნეთ, თრმოც

¹ იოანე ბაგრატიონი. სჯულდება, გვ. 51-54.

თუმანს არავინ მოგუცემს, წყალში თუ ჩავცუივით, თორემ ამის შეძლება ვისა გუაქუს. დ“თი გაგიმარჯუებს და გაცოცხლებს, ამის უსამართლოს ნუ გუიზამთ, ჩუმნი ცხოვრება მოიხსენე და ისე გუიბმანე. დ“თი შვილებს გიცოცხლებსთო“.¹

მოსახლეობის უსახსრობა მათი ვალდებულებების შეუსრულებლობასაც იწვევდა. გორის ციხის მინბაში – დიმიტრი დიასამიძე 1794 წლის 10 იანვარს ერეკლესთან ჩიოდა: „...გორის ციხის დებულება სალბაში და თითო-ოროლა დერი შეშა არის ურემზედ, რომ მეციხოვნე ცეცხლს აინთებს და იცხოვრებს, აღარც გორელები მაძლევენ შეშას, აღარც სალბაშს ქარელელნი და მეტებულებიო“. ერეკლე იძულებული გამხდარა ურჩ მოსახლეობას იასაულებით დამუქრებოდა.²

1780 წელს თუმანიშვილები და მათი გლეხები ერეკლესთან ჩიოდნენ, რომ თავდაცვითი ნაგებობის გარეშე დარჩნენ, მეზობლებმაც ბედის ანაბარად მიატოვეს და სანაცვლო დახმარებას ითხოვდნენ: „...მერმე ამას მო[გახსენებო] რომ ამდენი სული ასე უსიმაგროვოთ ვყრივართ. [ცოტა რამ] ვიცოდვილეთ, გავაკეთეთ. ნახევარი ხალხი აიყ[არა] აღარავინ დავრჩით. აღარ შეგვიძლია მარტოკა გა[კე]თება. ამ მოწყალებას ვითხოვთ: ჩვენც მრავალს კაცს დავხმარებივართ ურმითაც, გუთნითაც, მუშითაც და სხვანიც მოგვეკმარნენ. ნახევარზედ გაკეთებული გვაქვს და ვედარ შევიძელით თორემ თავს არ შეგაწყენდით ქართლისა შესამატისნი ვართ, მუდამ შინ გვიდგანან ჯარათ თუ მგზავრათა, ჩვენც თითო ოროლა დღეს მოგვეკმარნენ, თუ არავინ მოგვეკმარებიან, დღვის იქით აღარცავის ჩვენ მივეკმარებით. ამდენის სულის ქრისტიანის მადლი გეყოფათ, ჩვენო მოწყალევ რომ ერთი სიმაგრე რამ გაგვიკეთდესო“.³

საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა-განახლების თვალსაზრისით ერეკლე II-ის თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად, ციხე-კოშკები და გალავნები, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მოსახლეობის თავდაცვას უზრუნველყოფნენ, ამიტომ „ლეკიანობის“ წარმოშობის მიზეზებს ვერ სპობდნენ.

¹ საქართველოს ხიდების წესი, გვ. 50, დოკ. 65.

² ქართული სამართლის ძეგლები, გვ. VIII, გვ. 253, დოკ. 241.

³ გ ხიდ, 7782/4, ფ. 385.

თავი IV. ლეკიანობის შედეგები და ღონისძიებები მდგომარეობის სტაბილიზების მიზნით

ლეკთა ასწლიანმა გამუდმებულმა თარეშმა ქვეყანას ძალზე მძიმე შედეგები მოუტანა. როგორც ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) წერდა: „მთელი მეთვრამეტე საუკუნე ისე დასრულდა, რომ ერთი დღე ბედნიერი არ უნახავს ლეკთაგან ქართველობას. რუსობა რომ დაბინავდა ჩვენში, მაშინაც კი თავზე ხელადებულნი ბრძონი დადესტნისა თამამად დათარეშობდნენ ქართლ-კახეთის გელ-მინდორზე და ხშირად იმერეთსაც კი უწევდნენ ხოლმე“¹

შუა საუკუნეების საქართველოში მტრის გამუდმებული შემოსევებისაგან აოხრებულ-გავერანებულ და მოსახლეობისაგან დაცლილი ტერიტორიების აღმნიშვნელ ტერმინებს: „ნასოფლარი“, „ნაფუძვარი“, „პარტახტი“, XVIII საუკუნეში – „ნალეკარი“ დაგმატა. იგი ერთდროულად გულისხმობდა არა მარტო დაცლილ-გავერანებულ ადგილს, არამედ მოსახლეობის იმ ნაწილსაც, რომელთაც ლეკთაგან ტყვეობის სიმწარე გამოეცადათ. 1783 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: „ეს კაცი, ოსიაური რომ წახდა ლეკისგან და წავიდა, ქიტეს ნალეკარმა მოიყვანა ამ მხარეს“²

საგულისხმოა, რომ ქართულ მეტყველებაში ბუნებრივი სტიქიის, წარდგნის აღმნიშვნელი სიტყვა – „წალეკილი“, სწორედ ლეკთა გამუდმებული ძარცვა-თარეშის სინონიმად დამკვიდრდა. როგორც რაინეგსი გადმოგვცემს, ქართველი კაცი ამბობდა: „ლეკების ფეხქვეშ ბალახიც კი ხმება და ჭკნება და მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ ამოდისო“³ იმდროინდელ დოკუმენტებში ხშირად ვხვდებით ფრაზას: „ანანური რომ ლეკისაგან დაიწვა და მისი ხალხი დატყვევდა“⁴ სხვაგან ვკითხულობთ: „ავი დროისაგან რომ ის სოფელი აიყარა“,⁵ „როდესაც წუდრულაშენი დაიცალა“,⁶ „სკრა რომ დაიცალა“,⁷ „ავის დროს მიზეზით ეს ვანქის მამული დიდხანს გახარაბებული იყო, ერთიმეორის მამული არ გაირჩეოდა“,⁸ „ლეკიანობა რომ შეიქმნა, იქიდამ დავიფანტებით“⁹ და სხვ.

¹ ალექსანდრე ფრონელი. მთის არწივი შამილი, ტვ., 1914. გვ. 12-13.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 204, დოკ. 122.

³ იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გვ. 194-195.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 637, დოკ. 496.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 670-671, დოკ. 519.

⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 74, დოკ. 43.

⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 567, დოკ. 445.

⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 175, დოკ. 103.

⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 354, დოკ. 181.

საუკუნოვანი ძარცვა-რბეგის ფონზე, ლეკთა შემოსევების ინტენსივობა პერიოდულად იზრდებოდა და სისტემატიურ ხასიათს იღებდა XVIII ს. 50-იან, 80-იან, 90-იან წლებში, XIX ს. პირველ ათწლეულში. რამდენად მძიმე იყო ეს მოვლენა ქართლ-კახეთისათვის, ჩანს იმდროინდელი უამრავი საბუთიდან, იქნება ეს პირადი თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქრონიკ. ოთარ თუმანიშვილი, რომელიც დეტალურად აღწერდა ლეკთა შემოსევებს XVIII ს. 50-იან წლებში, წერდა: „ქართლში ქურდის ლეკისაგან დიდი ძალა ჭირს. თუ დიდი ჯარი გამოვა, პირდაპირ შეებმიან და ქართველები აჯობებენ, თუ არ, ქურდობით ძალას შვრებიან. ჩლნდ მკათათვის ლ ჩლნე მკათათვის გასვლამდის (30/VII-1754 წ. – 30/VII-1755 წ.) რომ ჩემის შეტყობით დატყვევებულია და მოუკლავთ კაცით-ქალით შვიდას-რვაასამდის, აგრეთვე ლეკი, რომ თვითონ უთქვამთ, ექვსას-შვიდასამდის, მაგრამ მეტს იტყვიან ხოლმე“.¹

ალბათ მკითხველისათვის ინტერესმოქლებული არ იქნება, მისი მრავალრიცხოვანი მოხსენებითი ბარათებიდან ერთ-ერთი ფრაგმენტის მოტანა, რათა რეალურად გავაცნობიეროთ „ლეკიანობის“ სახე, შინაარსი და მასშტაბები: „...აგვისტოს ერთს (1754 წ. – ი.ა.) სოფელ მწყნეთში – მოკლეს თუ დაატყვევეს სული ორმოცი, პირუტყვი სულ წაიყვანეს; აგვისტოს ათს რუისიდამ, სურამიდამ ტყვე შვიდი, რამთონიმე პირუტყვი; აგვისტოს თოთხმეტს ბეჭამიდამ ტყვე ოცამდინ; აგვისტოს ოცდაერთს წაგვისიდამ ტყვე ხუთი, მოკლეს ხუთი; აგვისტოს ოცდასამს ვერეს მოუხდენ, მეფე ერეპლე გაბძანდა ლეკები გაიქცენ, აგვისტოს ოცდაათს სხალტბას სოფელს მოუხდენ, მოკლეს თუ წაიყვანეს ტყვე თოთხმეტი; სეპტემბრის სამს ტაბახმელადამ წაიყვანეს ტყვე ორი, მოკლეს ოთხი, ამავ დღეს ოთხი ტივი წახდინეს ვქვილით და ქერით სავსე; სუკლებრის ექვს კიდევ მწყნეთიდამ ტყვე სამი; სეკდემბრის თორმეტს დიღმიდამ ტყვე ერთი, ვერედამ ტყვე ორი, ამავ დღეს ხოვლედამ წაეყვანათ ტყვე, თუ მოკლათ თოთხმეტი; სეკდემბრის თექვსმეტს წაგვისიდამ ტყვე ერთი, მოხისიდამ ტყვე ორი, გუთნეული შებმული ორი; სეკდემბრის ოცს სავალისშვილოში მოკლათ ლეკი ხუთი, ქართველი დაჭრილიყო სამი; სეკდემბრის ოცდა ხუთს ხაშმზედ ქარავანი წაეხდინათ, იმავ დღეს ყოჩაქილისას მიუხდნენ, წაიყვანეს ტყვე ხუთი, მოკლეს ლეკი ერთი, სეკდებერს ოცდაექვსს მცხეთას და ავჭალას მიუხდნენ, ცოტა რამ პირუტყვი წაეყვანათ; სეკდებერს ოცდაშვიდს ბოლნის მოკლათ ერთი ლეკი. ოქტომბრის ერთს საბაშიოს ნუნიდამ წაეყვანათ ტყვე ოცამ-

¹ ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 376-377.

დინ, კიდევ საბაშვილოდამ ამ წელს წაეყვანათ ტყვე თრმოცამდის, იმავ დღეს წაეყვანათ სოდალუხიდამ ტყვე შვიდი, მოეკლათ ორი, ჯორი წაეყვანათ ოცამდის, თელათ გორის ნახირი წაეღოთ; ოკლობრის სამს ბოლნისის გზაზედ შებმული ურემი თრი, ტყვე თრი; ოქტობრის ხუთს გორიდამ წაეყვანათ შებმული გუთნეული ერთი, ცხენი ოცამდის, ტყვე ერთი, ოქტობრის შვიდს კალოუბნიდამ მონასტრიდამ მოეკლათ კაცი ხუთი, ტყვე წაეყვანათ სამი; ოქტობრის ათს წისქვილებიდამ წაეყვანათ ტყვე თოხი, მოეკლათ ლეკი ერთი, ამავ დღეს საფალავანდისშვილოდამ წაეყვანათ ტყვე ოცამდის...“¹ და სხვ.

თუ 1754 წლის „ლეკიანობის“ 6 თვიან თუმანიშვილისეულ ქრონიკას ცხრილის სახით წარმოვიდგენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

დასახლებული პუნქტი, რო- მელსაც ლეკე- ბი დაეცნენ	თარიღი 1754 წ.	მოქ- ლულთა რაოდე- ნობა	ტყვედ- წაეყ- ნილთა რაოდე- ნობა	გატაცებული საქონლის რ-ბა	შენიშვნა
ხიდისთავი	13.06	10			
დირბი	18.06	40			
დუშეთი	12.08		დაუკონკრეტებელია		
წყნეთი	01.08	40			
რუსი	10.08		7	დაუკონკრეტებ.	
ბერძი	14.08		20		
მჭადიჯვარი	19.08	460 (ლე- კი)			
წავეისი	21.08	5	5		
ვერე	23.08				
სხალტბა	30.08		14		
ტაბახმელა	03.09	4	2		წაიღეს 4 ტიგი ფქვი- ლითა და ქერით დატვირთული
წყნეთი	06.09		3		
დიღომი	12.09		1		
ვერე	12.09		2		
ხოვლე	12.09		14		
წავეისი	16.09		1		
მოხისი	16.09		2	2 შებმუ- ლი ურემი	
საავალიშვილო	20.09	5 (ლეკი)			3 ქართველი დაჭრეს
ხაშმი	25.09			გაიტაცეს ქარავანი	
ყოჩაქილისა	25.09	1 (ლეკი)	5		
მცხეთა და ავ- ჭალა	26.09			დაუკონ- კრებებელი	
ბოლნისი	27.09	1 (ლეკი)			
ნუხისი	01.10		20		
საბაშიშვილო	01.10		40		

¹ იასე ცინცაძე. კაპიტან თოარ თუმანვის მოხსენებითი ბარათები, გვ. 17-18, დოკ. 7.

სოდანლუდი	01.10	2	7	20 ჯორი	
თელათგორი	01.10			ნახირი (დაუკონ.)	
ბოლნისი	03.10		2	2 შებმუ- ლი ურემი	
გორი	05.10		1	20 ცხენი	
კალოუბანი	07.10	5	3		
წისქვილებიდან (?)	07.10	1 (ლეპი)	4		
საფალავანდიშ- ვილოდან	10.10		20		
საგარეჯო	10.10	21(ლეპი)	60		
მანავი		5 (ლეპი)			
ქიზიყი		2	2	6 გუონეული	
შილდა		3	4		
ქისტაური		1			
კუმისი	13.10	1 (ლეპი)	4	500 ცხვარი	
კუმისი	15.10		9		
ქერე	16.10	3 (ლეპი)			
წყნეთი	20.10		4		
ავჭალა	25.10		3	შებმული ურ- მები	
კოდა			2	შებმული ურ- მები	
თბილისი	28.10		3		
თბილისი	30.10		4		
თბილისი	31.10	2	5	40 ჯორი	
ბოლნისი	01.11			40 ხარი	
დაუკონკრეტუ- ბელია	05.11		9		
არაგვისპირი	05.11		11		
მარნეული	17.12		4		
თხილოვანის გზიდან	26.12		3		
ვაყა	29.12		11		

ზემოთ მოტანილი ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართველ კაცს მოსვენება არ ჰქონდა ლეგისაგან. ამ მოვლენის თანამედროვე ისტორიკოსის - პაპუნა ორბელიანის თქმით: „ზამთარ და ზაფხულ ჩამოდგის და აოკრებდის (ლეკები - ი.ა.) უმეტეს ქართლსა“.¹

ცნობილი გერმანელი მეცნიერი იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც 1770-72 წლებში საქართველოში მოგზაურობისას უშუალო თვითმხილველი იყო დაღესტნელთა გაუთავებელი თარეშით გამოწვეული ვითარებისა, აქედან წას-ვლის შემდეგ აღნიშნავდა: „...სწორედ ისინი არიან (ლეკები - ი.ა.), რომ დაარ-ბიეს კახეთი და ქართლი და ახლაც განაგრძობენ რბევას, უმეტესად თავისი

¹ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 226.

მიღრეკილებისა და ყაჩაღური გამორჩენის გამო და ნაწილობრივ თურქთა წახალისებით“.¹

ვითარება გამწვავდა 80-იან წლებშიც, განსაკუთრებით გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, სამ წელიწადს გრძელდებოდა ლეპთა წვრილ-წვრილი თარეში, ხოლო ომარ-ხანის შემოსევამ ქვეყანა გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააგდო. როგორც ამ დროს საქართველოში მოღვაწე რუსი დიდ-მოხელე ბურნაშოვი წერს: „ლეპთა გამუდმებული და ქურდული თავდასხმებისაგან გზები – გაუვალი, ხოლო მიწათმოქმედება სახიფათო გახდა და სოფლები დაცარიელდა“.² „თესვა და მოსავლის აღება მოითხოვს ყოველთვის ძლიერ დაცვას შეიძრავებული მამაკაცებისას და ფრთხილ გუშაგებს, რათა ლეპებმა არავითარი ზიანი არ მიაყენონ, ანდა მცველები და გუშაგები თან არ გაიტაცონო“³, – აფასებდა XVIII ს. 80-იან წლებში ქართლ-კახეთში შექმნილ ვითარებას იაკობ რაინეგები.

სიტუაცია სასიკეთოდ არ შეცვლილა აღნიშნული საუკუნის ბოლო ათწლეულში. 6. დუბროვინის ცნობით: „...საქართველო მაშინ იმყოფებოდა უნგრეთი მდგომარეობაში და არავის შეეძლო თავდებად დასდგომოდა საკუთარ სიცოცხლესა და უშიშროებას. დედაქალაქის გარშემო დაძრწოდნენ ლეპ-მტაცებელთა ჯგუფები, ძარცვავდნენ და იკლებდნენ სოფლებს, დაწყებული 1789 წლიდან ქართველებს სიმშვიდე არ უნახავთო“.⁴ ერეკლემ უშიშროების მიზანებით რაზმები დაიქირავა, რომლის რჩენა მოსახლეობის ყველა ფენას დააწვა კისერზე.

XVIII ს. 80-იან წლებში მეფის ყოველწლიურ გასავალს უკვე 50-60 ათასი მანეთისათვის მიუღია. მხოლოდ სამი წლის განმავლობაში (1782-1785 წ.წ.) ლეპთა დაქირავებული რაზმებისათვის ქართლ-კახეთის მეფეს, საჩუქრებს გარდა, გადაუხდია ჯერ 100 ათასი, შემდეგ 110 ათასი მანეთი.⁵ დაქირავებული ლეპების გასასტუმრებელი ხარჯის დასაფარავად სამეფო კარი ხშირად კერძო

¹ გიულდებულების მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 81.

² С. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тифл., 1896, გვ. 13.

³ იაკობ რაინეგები. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 167.

⁴ Н. Дубровин. История войны..., III, გვ. 28-29. გაუგებარია რატომ მიანიშნებს დუბროვინი მაინც-დამაიც 1789 წელს. რეალურად 1787 წლიდან რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისა და საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანის გამო, ქართლ-კახეთში ლეპთა შემოსევები მნიშვნელოვნად შემცირდა და მხოლოდ მას შემდეგ განახლდა, რაც თურქეთის დამარცხების შემდეგ რუსის ჯარი კვლავ დაბრუნდა საქართველოში.

⁵ Н. Дубровин. История войны..., III, გვ. 42-43.

პირებისაგან იდებდა ვალს გადახდის უმჭველი გარანტით. 1799 წლის 6 აპრილს გიორგი XII იოანე ბეგთაბეგიშვილს პირობის წიგნს აძლევს: „ჩვენ მეფემ გიორგიმ გიბოძეთ ეს წიგნი შენ, ბეგთაბეგიშვილს მდივანს იოანეს და შენს ძმის წულს სოლომონს, ასე რომ ჩვენ ჯარი მოვიყვანეთ ლეკისა და იმის მისაცემლად დაგვჭირდა. შენ გამოგართვი ათას ორას სამოცდაოთხი ბაჯალლოს ოქრო და სამი ათასი ადით მიშლუდი. ეს ჩვენ დავხარჯეთ და ხათრი ჯამი იყავ, შენ იმას არ დაგიკარგავთ და საიდამაც იქნება შეგისრულებოთ“.¹

სამეფო კარი იძულებული გახდა, სპეციალური გადასახადი „სალეკო“ შემოიღო. 1786 წ. იანვრის სალეკო ხარჯის გამოსაღების მიხედვით, ქართლში 25 კომლს მთლიანობაში 124 მანეთი და 1 აბაზი უნდა გადაეხადა.² 1799 წ. 28 მარტის სულხან თუმანიშვილის მიერ ძმის – მანუჩარ მდივნისადმი მიწერილი ერთი წერილიდან ვიგებთ, რომ „გატეხილ ხიდს აქეთ ელებს ათასი თუმანი სალეკო შესწერდათ“.³ თვით თუმანიშვილები 1799 წელს ლეკთა ჯარისათვის მისაცემი ფულის შოვნის მიზეზით გიორგი XII-ს ბრძანებით აიკლეს. ამ ფულის გაღებაზე ისინი მხოლოდ პატიმრობისა და შერისხვის შემდეგ დასთანხმდნენ, 600 თუმანი ივალეს და გიორგი XII-ს გადასცეს.⁴

ფინანსურის გარდა, გადასახადი არსებობდა ნატურითაც. 1791 წლის 1 ივნისს იოანე სახლთუხუცესი გორის მამასახლისს ატყობინებდა: „ქ. გორის მამასახლისო. ლეკის ჯარს ორმოცს კაცს გ (=3 – ი.ა.) დღისა ცხრა ლიტრა ყველი მიეციო“,⁵ 1796 წლის 8 ივლისს ერეკლე მოლარეთუხუცეს – ნაიბ კაკალოს ავალებდა ლეკებისათვის 8 თუნგი არაყისა და ერთი ფარჩა ქსოვილის მიცემას⁶ და ა. შ.

მოსახლეობა, რომელიც საკუთარი ძალებით უზრუნველყოფდა ლეკების გადმოსასვლელი გზა-ბილიკების დაცვას, გადასახადებიდან თავისუფლდებოდა. 1798 წლის 24 მარტს ახლად გამეფებული გიორგი XII მოხელეებსა და ერთობით ავჭალელებს ერთი წლით საქვეუნო ხარჯ-გამოსაღებისგან ათავისუფლებს, იმ პირობით, რომ ლეკების „მისავალ-მოსავალზედ“ თვალყურიანად იყ-

¹ გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიქმ), 7648, ნაწილი 6, გვ. 603.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. AD, – საბ. 907.

³ მამისა ბერძნიშვილი. მასალები XVIII საუკუნის ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა). – ქართული წეართმცოდნეობა, ტ. I. თბ., 1965, გვ. 181.

⁴ მამისა ბერძნიშვილი. მასალები XVIII საუკუნის ბოლო წლების, ტ. I, გვ. 123.

⁵ სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448; ს. 4657.

⁶ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD – საბ. 11909.

ვნენ და საკუთარი მხარე „ბეჯითის გარჯით კარგად და მაგრად“ შეენახათ.¹

დაქირავებული ლეკების შესანახად ხარჯის გასტუმრებას, ქართლ-კახეთის სამეფო კარს ერთგარ „შედავათს“ ყმადნაფიცი ქვეყნები აძლევდნენ. 1784 წლის 16 დეკემბერს ერეკლე მინბაშ დავით საამიშვილს სწერდა, შემორიგებული ლეკებისათვის ათი დღის ულუფა ყაზახიდან გაერიგებინა და ათი დღის – შამშადილიდან². როგორც ზემოთ ვნახეთ, გატეხილი ხიდის ელები „სალეკოს“ ათას თუმანს იხდიდნენ და სხვ.

მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დამძიმდა, რაც „სალეკო“ ხარჯს „სარუსოც“ დაემატა. ერეკლე ქვრივ-ობლების მდგომარეობას ითვალისწინებს, მაგრამ მოსახლეობის სხვა კატეგორიისადმი შეუვალია და მოხელეებს სთხოვს გამონაკლისები არ დაუშვან. 1783 წლის 25 ივლისს მეფე თეიმურაზ ჯავახიშვილს სწერს: „ქ. ჩვენი ბძანება არის ჯავახიშვილო თეიმურაზ, მერმე ამ სიით ეს საქვეყნო რასაც შესწერდებოდეს ეს ასე უკლებლად გაარიგებინე თეთრი და ფქვილი მოატანინე და თავ-თავის ალაგას მიაბარებინე, ეს სრულად უნდა აიღო, ამის დაკლება არ იქნება, არ დააგვიანო, ამაში ქვრივსა, ობოლსა, აყრილსა და ამოწყვეტილს გამოვსულვართ, ეს მთლად უნდა აიღო და მოაბარო. ამაში არც შემოხვეწა იქნება, არც შუამავლის შემოყენება, ეხლა [რუსე]ბზედ ათას ხუთასი თუმანი მეტი დაგვხარჯვია, მიბდალი ლეკი ახლაც შინ გვიდგას და ხარჯი გვაქვსო“³.

დოკუმენტში ჩამოთვლილია საციციანოს მხარის (შიდა ქართლის) სოფლები და თითოეულ მათგანზე გაწერილია, როგორც ფულადი, ისე ნატურით (ფქვილით) გადასახადი, რის ჯამი მთლიანობაში „სამოცდაურთ თუმანსა და რვა მინალთუნს“, ხოლო ფქვილით – ექვსას თვრამეტ კოდს⁴ (დაახლ. 40293 კბ-ბ) შეადგენს.

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ (1798 წ.) ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. დაქირავებულთა ხელფასის გასტუმრება იმდენად მძიმე ტვირთი იყო, რომ მისი ამოღება მოსახლეობისაგან მხოლოდ იძულების წესით ხდებოდა, ამიტომ მეფეს ხშირად უწევდა მოხელეთათვის უფლება-მოვალეობების „შესენება“. 1799 წ. 1 აპრილს გიორგი XII დარჩია მელიქს ერეკლეს დროს დადგენილ „განწესებას“ ახსენებს და მოუწოდებს, სალეკო ხარჯი კანონის მიხედ-

¹ გხიგმ, 7648, ნაწილი 6, № 63, გვ. 591.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD – საბ. 1146.

³ გხიგმ, 8375, ნაწილი 5, № 63, გვ. 343.

⁴ გხიგმ, 8375, ნაწილი 5, № 63, გვ. 343.

ვით გაანაწილოს: „რაცაც ლეპის ჯარს ვისტუმრებთ და იმათ ჯამაგირად ეძლევათ რაც სათაო არის და იღებთ, როგორც კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის დროს იყო განწესებული მემანდრებისა, მდივნისა, მოლარეთხუცისა თუ მემბაშებისა, ყველას თავთავისი წილი ისე უნდა მიეცესთ. ჩვენი სარქისა რომელიც არის ის წილი კვეზერელს დავითს უნდა მიბარდეს, რაც აღებულია ან ამას იქით აიღება, კაკალა მემბაშს უნდა მიბარდეს და მასუკან ისე უნდა გაჰყონ და თავ-თავისი წილი ისე მიეცესთ“.¹

კიდევ უფრო მძიმე და შეურაცხმყოფელი იყო ლეკთა ბელადებისათვის საჩუქრების გასტუმრება. 1800 წლის 3 აპრილს გიორგი მეფე ზემოთ ნახსენებ კაკალო ბაზაზბაშს ლეკებისათვის 5 ლეინის (ქსოვილი) მიცემას ავალებდა.²

საქართველოში ყოფნისას ლეკები ჩვეულებას არ დალატობდნენ და ძარცვა-რბევას არ იშლიდნენ. ამ ფაქტის გამო, ქვეყანაში ვაჭრობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც საგრძნობლად გააძვირა ფასები პროდუქტზე. იოანე ქართველიშვილი „მემუარებში“ წერდა: „...ქართლში ყოველს სოფელში ლეკის ჯარი იყო დარიგებული მეფის გიორგისაგან ...წელიწადსა 1799, გაზაფხულს შეკრიბა კუალადვე ლეკის ჯარი ქალაქში მეფემან და ზაფხულიცა იგი დაფვეს მუნ. მოკრიფა ქართლსა და კახეთსა შინა ჯამაგირი მათი და გაისტუმრა ეგრეთ; მაგრამ ასეთსა შეწუხებასა შინა იყო ქალაქი ტფილისი ლეკთა ჯარის მუნ ყოფნაში, რომ ვინც იმ დროს იმათ ყოფნას არ დაესწრა, დაწერილს არც კი დაიჯერებს. ...აღებ-მიცემობა და დუქნის გაღება ხომ სულ აღარ ყოფილა, სანამ ლეკის ჯარი ქალაქში იყო და სხვას რამდენს უჯეროს საქმეებს შვრებოდნენ, დადუმება სჯობს“³.

თბილისში ლეკების თავგასულობა, ნარატიულის გარდა, დოკუმენტური წყაროებითაც დასტურდება. 1799 წ. 4 აპრილს გიორგი XII თომა მეღვინეობის შვილს სწერს: „მეღვინეო ხუცესშვილო მემანდარბაშო თომავ, აბანოებს ლეკი დიდათ თურმე ძალას ატანენ. ორი ლეკი გამოარჩიოთ, დააყენეთ, რომ ძალა ადარ აქნევინონ რა“.⁴ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ გიორგი XII-ის წინააღმდეგ მისი ნახევარმებიც ლეკებს ქირაობდნენ. მაგ. სურამში გამაგრებული ფარნაოზ ბატონიშვილი: „შეიგროებდა ჯარსა და

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD – საბ. 14499.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD – საბ. 11706.

³ იოანე ქართველიშვილის მემუარები, გვ. 80.

⁴ ხახლმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 1449. ს. 879.

ლეკოცა მიიწოდებდა ახალციხის მხარეთაგან“.¹ ძმათა შორის შუღლი და დაპირისპირება ისედაც სუსტ სახელმწიფოს, კიდევ უფრო ანაწევრებდა და მომრავლებული მტრების პირობებში წინააღმდეგობის უნარს აკარგვინებდა. სამაგიეროდ, ნედლეულით მწირ და ეკონომიკურად სუსტ მეზობელ დაღესტანს, რომლის „ცხოვრების წესი“ ძარცვა-რბევა და ნადავლი იყო, საქართველოში შექმნილი ვითარება „სულის მოთქმის“ საშუალებას აძლევდა.

როდესაც სამეფო კარს ასეთ დღეში ვხედავთ, ადვილი წარმოსადგენია უბრალო მოსახლეობის მდგომარეობა. ამას ქვემოთ მოტანილი რამდენიმე დოკუმენტიც ცხადყოფს:

1731 წელს ბესარიონ გაბაშვილი სახლთუხუცეს ამილბარ მაღალაძეს სწერდა: „გომი ლეგმა და ოსმალმა ააოხრა და ლეგმა გზა იმაზე დაიჭირა და გლეხი ვეღარ დასახლდაო“.² 1738 წ. 6 მარტს იასე თუალაშვილი სახლთუხუცეს გივი ჩოლოებაშვილს შესჩიოდა: „თქვენგნით რომ ხუთი თუმანი თეთრი ავიდე და ქალაქს წაველ საგაჭროთ, დამხდენ ლოჭინზედ, დამიჭირეს, თეთრიც ლეკებმა წაიღეს და მეც დამიჭირეს და წამიყვანეს, ორი კვირა ბელაქანს ვყაფდი, მას უგან დაღისტანში წამიყვანეს. იალაღიდა[ნ] გამოვეპარე და მოველიო“.³

1751 წლის აპრილში ერთაწმინდელი ივანე ხახანაშვილი იოანე მდივანბეგთან ჩივის: „ამას მოგახსენებთ: მამაჩემ[მ]ა ფარეშიშვილის თევდორასაგან ნახევარი საწისქვილო იყიდა. მამაჩემი ლეკებმა მოკლეს, ს[ა]ხლით და კარით აიკლეს, წიგნებიც იქ დაიკარგაო“.⁴

უსასოდ დარჩენილი ზაალ დავითაშვილი 1761 წელს ერეკლე II-ს გადასახადებიდან გათავისუფლებას სთხოვს: „ხომ მოგეხსენება, ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია, აღარც ყმა დაგ[ვ]რჩომია, რაც ლეკს მაურჩა, დაიფანგნენო“.⁵

1762 წ. 1 სექტემბერს გორჯასპი მდივანი ერეკლეს უიმედო ვითარებას აუწყებს: „ჩემი ყმა გარეჯვრელი სულთანასშვილი ნახყიდა ლეკებმა ცხვარში მოკლეს. იმის მწყემსობაში ცოლი ქვრივი დარჩომოდა, ცოლიც გათხოვებულა, არც საქვრივო მომცემია და თუ რამ იქიდამ გამოყვა ჩემს კაცს, ისიც მეკარგება და რაც ცხვარი ერგებოდა არც ისი ჩანს“.⁶

იყო შემთხვევები, როდესაც ტყვეობა იმდენ ხანს გრძელდებოდა, რომ ად-

¹ პლატონ იოსევლიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 59.

² დარეჯან მეტრელაძე. აღმოსავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 439-440.

³ ლოუშენბეგის საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I., გვ. 277; დოკ: № 395.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981. გვ. 28; დოკ: №20.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 43; დოკ: № 40; გვ. 60-61; დოკ: 49.

⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 65; დოკ: № 54.

გილზე დაოჯახებასაც ასწრებდნენ. თრიალელი ბასილა ზეიგიძე ტყვედ 6 წლის ასაკში წაუყვანიათ და ყირიმში გაუყიდიათ. ტყვეობაში ბასილას ცოლიც შეურთავს და შვილებიც შესძენია. მოგვიანებით, ზეიგიძეები სამშობლოში დაბრუნებულან, მაგრამ უსახსრობის გამო, ბასილას დილმელ იოანე დოლენჯაშვილისაგან ვალი აუღია, რომელიც გედარ გადაუხდია და იძულებული გამხდარა დოლენჯაშვილს ყმად დასდგომოდა.¹

მარტყოფელი აბრამა კუპრაძე ტყვეობაში თვრამეტ წელიწადს იყო,² რუსელი ბუზიაშვილი ფარემუზა – ოც წელს,³ ლარაძე დათუნა – ოცდათხუთმეტ წელს.⁴ ილია ორბელიანს შამილთან ტყვეობისას (1842 წ.) უნახავს ქართველი ქალი, რომელიც 15 წლის წინათ გაუტაციათ ლეპებს და იქ ცოლად შეურთავთ ასევე დარუბანდიდან 46 წლის წინ გამოქცეული რუსისათვის.⁵

უმძიმესი იყო ტყვედწაყვანილთა მდგომარეობაც. ისინი ბორკილდადუბულნი დრმა ხაროებში ჰყავდათ დამწყვდეული და მხოლოდ იმდენ საკვებს აძლევდნენ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ.⁶

განსაკუთრებით უჭირდა ქვეყნის განაპირა და ჭარ-ბელაქანის მოსაზღვრე ტერიტორიაზე მცხოვრებლებს, რადგან ძარცვა-თარეშის პირველი მსხვერპლი ისინი ხდებოდნენ. „ასემც თქვენს მტერს და ორგულს გაუჭირდეს საქმე, როგორათაც ჩემს კაცებს უჭირდეს. ნაპირს ქვეყანას გახლავანო“, ჩივის სამეფო კარზე ლუარსაბ მურვანიშვილი და თავისი ხალხის ოთხი წლით სახელმწიფო ბეგარიდან გათავისუფლებას ითხოვს, თავდაცვის მიზნით „ეგების ერთი სიმაგრე კოშკი გავაკეთებინო“.⁷

სამწუხაროდ, „ლეპიანობას“ ადგილზე ძალზე ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ქვეყნად არსებული მძიმე სოციალ-პოლიტიკური და დემოგრაფიული ვითარება (მებატონეთა ძალმომრეობა, ხშირად გავრცელებული ეპიდემიები და სხვ.). 1765 წელს „ავის მიზეზით“ მოელი ხოსტე აყრილა და ვინმე თამაზა სასირეთს ჩამოსულა, მაგრამ იქიდან ლეპებს გაუტაციათ და და ტყვეობაში გარდაცვლილა, ხოლო მისი ობლები იორამ თარხნიშვილს თავის ქალიშვილი-

¹ ქართული ხამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 106, დოკ. 74.

² ხაჯართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 140.

³ ეროვნებული საისტორიო არქივი, ფ. 1449, ს. 2542.

⁴ დოკუმენტები ხაჯართველოს ხოციალური ისტორიიდან. ტ. II, გვ. 222, დოკ. 359.

⁵ ილია ორბელიანი. რვა თვე შამილის ტყვეობაში, გვ. 41

⁶ ილია ორბელიანი. რვა თვე შამილის ტყვეობაში, გვ. 45

⁷ ქართული ხამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 640, დოკ. 654.

სათვის მზითებული გაუტანებია.¹

იმდროინდელი თბილისის ყოველდღიური ყოფის დამახასიათებელ სურათს წარმოგვიდგენს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი: „ქ. ტფილისის ავლაბრის მხარეს, სადაც ეხლა რიყეზე მცხოვრები დგანან მტკუარის პირზედ მჩითავებსა ჩითები ჰქონდათ გაფენილი და წყლით თურმე ნამავდნენ. ამ დროს ჩუღურეთისა და ავლაბრის მხრიდან დაქვეითებული ლეპები წამოეპარნენ, უნდოდათ მჩითავები დაეჭირათ, მაგრამ ისინი საჩქაროთ მტკუარში გამოცურდნენ და ამით მოირჩინეს თავი. ამაზედ ერთი ძახილი და ერთი ყოფა შეიქნა ქალაქიდგან. არიქა მდევარი, მდევარიო... ლეპებმა მჩითავები რომ ვეღარ მოხელეს, ჩითები დაიტაცეს და გაიცენენ რაც შეეძლოთ დიას ჩქარა. დაქვეითებული ლეპი ცხენიანს მდევარს ქართულს სადღა წაუვიდოდა, იქვე მახათას იქით მოასწრეს, ზოგი დახოცეს და ზოგი ტყუბო წამოიყუანეს. ეს ამბავი სწორეთ მეფის ირაკლის სასახლისა პირდაპირ მომხდარა. აი ასე გაკადნიერებული ყოფილან ლეპები, რომ სიკვდილისაც ადარ ეშინოდათ არსად, ისე მოდიოდნენ საქართულოზედო“², ვითარების ლაკონურ შეფასებას აკეთებს ზემოთქმული სიტყვების ავტორი.

იყო უარესი შემთხვევებიც, როცა ლეპებისა და მძიმე გადასახადებისაგან შეწუხებული მოსახლეობა საკუთარ შვილსაც კი პყიდდა: 1742 წელს დთისია გოგიაშვილს შვილი მიუყიდია ვიდაც ბატონ ავთანდილისათვის: „მალუჯათის (ირანული გადასახადი – ი.ა.) ოეთრსა გვთხოვდნენ და საქონელი სულ ლეპმა წაგვართო, ილაჯი არასი გვქონდა, მოვედით ჩემი შვილი მოგყიდე ჩემის ნებითა“³. ასევე მრავლისმეტყველია 1745 წლის დოკუმენტი: „ილაჯი და ლონე აღადაღარა მქონდა სხვა ამის მეტი, დიაღ, დიდათ გამიჭირდა და მოგეცი ჩემი შვილი პაპა, მოგყიდე ორ თუმნად...“⁴ არც აზნაურები იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში. მაგ. ციციშვილების აზნაური ჯორაშვილი ზემოთქმული მიზეზების გამო ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ მიწების დაყიდვას რომ მორჩა, შვილსაც ტყვედ პყიდდა⁵ მოსახლეობის საერთო გაჭირვების სრულყოფილ სურათს წარმოგვიდგენს პაპუნა ორბელიანი: „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ თქვენმა მზემა, ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან,

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. II, გვ. 61, დოკ. 91.

² ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი. დადესტნიდგან ლეპების გამოსვლა და... გვ. 19-20.

³ დარეჯან მეგრელაძე. აღმოსავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 452.

⁴ დარეჯან მეგრელაძე. აღმოსავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 452.

⁵ გულჩინა აკოფაშვილი. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა). თბ., 1965. გვ. 79.

დაფქვიდენ და იმას ჭამდენ... თუ პურს სადმე გასაყიდს იშოვიდენ, თავის ხელით შვილებს აძლევდენ“¹

ლეკებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ვითარება მაშინ დგებოდა, როდესაც ქვეყანა „უპატრონოდ“ რჩებოდა. მათ ასეთი დრო ქართლში XVIII ს.10-იან წლებში, ვახტანგ VI-ის ირანში წასვლისას დაუდგათ. „ლეკობა“ ქართლის თავადთა ნაწილმაც ხელობად გაიხადა და ტყვეთა „სყიდვას“ მოუხშირა. როდესაც რუსუდან დედოფალმა (ვახტანგ VI-ის მეუღლე) და ბაქარ ბატონიშვილმა ამ საქმეს ვერაფერი მოუხერხეს, უდირსი „ხელობის“ წინააღმდეგ ბრძოლა დომენტი კათალიკოსმა ითავა. 1712 წლის რუსუდან დედოფალი და ბაქარ ბატონიშვილი კათალიკოსს პირობის წიგნს აძლევენ: „ზოგიერთს ალაგას ტყვის სყიდვა გამოჩნდა და თქუმნი ვითაც მართებული იყო, ეგრეთ იწყონეთ და გამოეკიდენით. ახლა ეს აღთქმა დაგვიდვია თქუმნის წინაშე, სადაც სადედოფლოში და ან საუფლისწულოში, ან საცა ჩუმნის საბატონოსა და მამულში ან ტყვის გამყიდველი გამოჩნდეს და ან გაყიდოს ვინმე და ან საყენოს გარდა, ჩუმნის საბატონოში ტყვე მოიყუანოს გასასყიდელი და ჰყუანდეს ვინმე და წაართვათ და თქუმნც გაუწყრეთ და გამოენახნეთ, მოიკითხოთ, არცავის ამისთანა საქმე აქნევინოთ, არცა ვიწყინოთ და დიდათაც ხელი მოგომართოთ და თუ ვინმე წინ აღგიდგეთ და თქუმნი ნება არა ქნას, დიდათაც გამოვენახოთ და უწყინოთ“².

დასავლეთ საქართველოში საქმე კიდევ უფრო ცუდად იყო, ამიტომ „პორობის წიგნი“ ამ საკითხესაც განმარტავდა: „თუ იმერელმა კაცმან მოიყუანოს ტყუმნ, თუ საქართველოს კაცმან სამოსამსახუროთ შესანახავად დაიხსნას, თვარა გასასყიდლათ ნუ იყიდის და ნურც გაყიდისო“³ გ. ი. კათალიკოსი არა მარტო ტყვეებით მოვაჭრეთა წინააღმდეგაა უკომპრომისო, არამედ ამ საქმით ხელისმომთბობთა მიერ სამეფო კართან „საქმის ჩაწყობასაც“ გამორიცხავს და დედოფალ-ბატონიშვილისაგან საქმეში ჩაურევლობის გარანტიებს ითხოვს.

1713 წელს, იქნე მაღალაშვილს „ავი საქმე“ უქნია და ტყვეები დაუყიდია. კათალიკოსს უცდია, ჯერ საკუთარი სახსრებით გამოეხსნა თავადს ისინი, როცა ამ გზითაც ვერას გამხდარა, მამულები ჩამოურომევია მისთვის და მზად ყოფილა ამ „ძვირისმოქმედისათვის ანუ თვალთაგანი, ანუ გელთაგანი,

¹ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. გვ. 59.

² Акты..., т. I. ч. II. Тифл., 1866, გვ. 55, დოკ. №4.

³ Акты..., т. I. ч. II. Тифл., 1866, გვ. 55, დოკ. №4.

ანუ ფერწოაგანი, ანუ ერთი ასოთა მისთაგანი“ მოეკვეთა,¹ რათა სხვას მიბაძვის სურვილი აღარ გასჩენდა.

მიუხედავად გატარებული დონისძიებებისა, ამ სამარცხვინო საქმეში ქვეყნის სამსახურში მყოფი მოხელეებიც იყვნენ გარეულნი. დომენტი მათაც მკაცრად ამხელს. ამ დროის (1705-1729 წწ.) ერთ საბუთში აღნიშნულია: „...ქ. ჩვენი ბძანება არის ხელჯოხიანო დავით, მერმე ბატონი კ-ზი (იგულისხმება დომენტი – ი.ა.) სკრელს მამასახლისს ძულიაშვილს ტყვეების დაყიდვას უჩივის. ჩვენს სამართალში მოიყვანე, სამართალს უზამთო“.²

ნიშანდობლივია 1725 წელს მის მიერვე თავდახსნილ „სჯულის კანონზე“ გაკეთებული წარწერა: „...დავიხსენ სჯულის კანონი ესე ...პატრიახმან დომენტიმ ოდეს ჯერ ლეკთა გატეხეს სვეტიცხოველი ...მერმე ურუმები მოვიდნენ და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩვენი ქართლი, მაშინ ...წარმოსტყვევნეს საყდარი და ტყვე ჰყვეს საყდრის ამის რაოდენ წიგნები, ხოლო ჩვენ ძიება ვყავით და რაოდენ ვპოვეთ დავიხსენით ფასითა და ისევ სვეტიცხოველს შევსწირეთო“.³ აღსანიშნავია, რომ დომენტი კათალიკოსს კუნძულ ტენედოსზე გადასახლების დროსაც არ შეუწყვეტია ტყვეების გამოხსნა და სამშობლოში დაბრუნება,⁴ მაგრამ მხოლოდ ერთეულთა მონდომება და ძალისხმევა პრობლემის გადასაჭრელად არ კმაროდა. თუნდაც დომენტი IV კათალიკოსის თანამედროვე კონსტანტინე მაჰმადყული ხანის მიერ მოწვეულ ლეკებს თბილისის აღებისას (1723 წ.) საშინლად აუოხრებიათ სიონი. ლეკებს მალე თსმალები მოჰყვნენ, რომელთაც ტაძრის მეჩეთად გადაკეთება მოუნდომებიათ და მხოლოდ გივი ამილახვრის პირად თავდადებას უხსნია ტაძარი.⁵

დაუნდობელი იყო „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ ანტონ კათალიკოსიც. 1744 წლის 19 ივნისს კათალიკოსს ავალიშვილები პირობის წიგნს აძლევდნენ, რომ მის ოჯახსა და საყმოში აღარ გაერეოდნენ: „ტყვის გასყიდვაში, კაცის კვლასა და სხვას ბოროტს საქმეში“.⁶

¹ დოკუმენტები საქართველოს ხოციალური ისტორიიდან. ტ. I., გვ. 158, დოკ. 223.

² დოკუმენტები საქართველოს ხოციალური ისტორიიდან. ტ. II., გვ. 16; დოკ. № 22.

³ ქრონიკები და სხვა ძასალა..., წ. III., გვ. 113.

⁴ დოკუმენტები საქართველოს ხოციალური ისტორიიდან. ტ. II., გვ. 65; დოკ. № 95.

⁵ ერთვნული საისტორიო არქივი, ფ. 1451, დავთ. 2. სიონის ღვთისმშობლის წერილების რეესტრი, საქმე 55; აღნიშნული დაწყლის სანაცვლოდ, 1724 წლის 8 თებერვლიდან თბილეულ მიტრობოლიტ დომენტის მითითებით, სიონის ღვთისმშობელში ყოველი წლის ახალგვირის შაბათს გივი ამილახვრისა და მის ოჯახისათვის სპეციალური წირვა ტარდებოდა.

⁶ სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 1451. დავთ. № 2. ძცხეთის სკვერიცხოველის გელეხიის წერილების რეესტრი. ს. 255.

გიორგი უფლისწელი (შემდეგში გიორგი XII), რომელიც 1789 წელს მოულა შიო მღვიმის მონასტერში, იქ წმინდა მამებთან, ბერებთან და მსახურებთან ერთად 30 მეთოვე მცველი დახვედრია, თუმცა, მაინც ლეკიანობა გამხდარა მონასტრის დაცლის მიზეზი. როგორც პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს: „ლეგნი ერეოდნენ გარემოთა მცხოვრებთა, და ვერ უძლო უდაბნომან (იგულისხმება შიო მღვიმის მონასტერი – ი.ა.), ამისათვის მეორესავე წელსა დაიცალა უდაბნო. ბერნი წავიდნენ სხვა მონასტრებში და ხატნი და ჯვარნი წარიდეს ამილახვრიანთა ჭალასა დასაცველად“.¹

აღმოსავლეთ საქართველოში „ლეკობაში“ განსაკუთრებით „გამოიჩინეს თავი“ ციციშვილებმა. ზაზა, დავით და პაატა ციციშვილებს, ჯერ იყო და ლეკები მოუყვანიათ და მძოვრეთის ციხისათვის „ყათლანი“ უქნიათ. დასახოცი დაუხოციათ, გასაყიდი – გაუყიდიათ, რაც ჩვილი ყმაწვილი ყოფილა, ციხიდან გადაუყრიათ და ნადირ-ფრინველთ შეუჭამიათ, მონაზონი და ბებერი, რომელიც არ გაუყიდებოდა, ერთ სახლში შეუყრიათ, სახლისთვის დედაბოძი გამოუცლიათ და უზიარებელი ჩაუხოცავთ. რაც გადარჩენილა – შუაზე გაუყვიათ. დავითს იმერეთში წაუსხამს და იქ დაუყიდია, ხოლო პაატას – პირდაპირ ოსმალოში“.²

მმების „მონაგარი“ ტყვეების ჯამს მთლიანობაში ას ორმოცდათხუთმეტი სულისათვის მიუღწევია, საქონლისა და სახლის ავეჯეულობის გარდა.³ მათ მიბაძა ნოდარ ციციშვილმაც, რომელსაც ყინწვისის მონასტრის მღვდელი პეტრე ინანიშვილი და მისი მმები გაუყიდია. ეს საქმე ერეკლეს ყურამდე მისულა, რომელიც მოხელეებს სასწრაფოდ მღვდლის გათავისუფლებას, მონასტერში დაბრუნებას სთხოვს და მორალს „შეახსენებს“: „დიად, უწესო იყო და ქვეყნის დამაქცევარი საქმე ჯერ მღვდლისა გასყიდვა და მერმე საყდრის ყმისა. დიად, შორს დავიჭირეთ და ღმერთმა ჩვენს დროში ნურც ქნასო“.⁴

თავადებს არც ზოგიერთი ყმა ჩამორჩა, თუმცა ამ საქმეს ყოველთვის წარმატება არ მოჰქონდა. 1793 წ. 21 იანვრით დათარიღებული ერთი საბუთის მიხედვით, ჩრდილელის ყმა – ბაზალელი გიორგი ჭიჭიკაშვილი ლეკებს ტყვედ წაუყვანიათ. თვითონ გამოსასყიდი „სახსარი“ არ ჰქონია, ჩრდილელსაც მის გამოხსნაზე უარი უთქვამს: „ვინც დაგიხსნას, იმისი იყავ, არც შენი დახსნა შემიძლია და არც შენი ყმობა მინდაო“, საბოლოოდ, მისი გამოხსნა ვახტანგ

¹ პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 36.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 51, დოკ. 47.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 57, დოკ. 47.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 417-418, დოკ. 329.

ბატონიშვილს უთავია.

ტყვეობიდან თავდახსნილ ჭიჭიკაშვილს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით „ლექობა“ განუზრახავს, ანუ უხელი ლეკი მოუპარავს და გაუყიდია. იმ ლეკს, როგორდაც ტყვეობიდან თავი დაუხსნია და ერეპლესთან უჩივლია: „თქვენი ჯარისკაცი ვიყავ, თქვენმა ყმამ მომიპარა და გამყიდაო.“ სასამართლოს ჭიჭიკაშვილი გაუმტყუნებია და „გირაოს“ გადახდამდე „ტუსაღ ხანაში“ გამოუმწყვდევია. უიმედოდ დარჩენილი, დარიბი და უილაჯო ჭიჭიკაშვილი ციხიდან ისევ ვახტანგ ბატონიშვილს გამოუხსნია და მისი აზნაურის – ჭილაძის ყმად დაუდგენია.¹

ბიძინა ყანჩელი შვილებით, პირობის წიგნს აძლევს თავის ბატონს გივი ამილახორს: „...კელმწიფის ბრძანებითა და ქართველთ პირობით ტყვის ალ-თქმა-დათობა იქნა და თქვენ კელმწიფება და სვეტიცხოველს დაუდევით ფიცი ტყვის გაუსყიდველობისა; ჩვენ თქვენის ყმის თავდებობისა, ჩვენ თქვენ მოგართვით, თუ დღეის ამას იქით, ჩვენ ან გავყიდით და ან გავხცეთ და ან გაუურჯულოთ, თავად ვიყვნეთ დვთისა სვეტიცხოვლის შემცოდეო“².

სამწუხაროდ, სამეფო კართან, მოხელეებთან, თანასოფლელებთან და სხვა პიროვნული დაპირისპირება ხშირად საკუთარ ქვეყანაში ლეკების მოყვანის მიზეზი ხდებოდა. მაგ. ზაქარია ციციშვილს ერთ-ერთი ამილახვარი შემოაკვდა, რის გამოც სასამართლომ დანახისხდად სოფ. გრაკალი ჩამოართვა. სასამართლოს ოქმი ერეპლემ უცვლელად დაამტკიცა. ეს ფაქტი ციციშვილმა პირად შეურაცხყოფად მიიღო, ახალციხის ფაშასთან გაიქცა და საკუთარ ქვეყანაში 2500-მდე ლეკსა და ოსმალოს წამოუძღვა.³ 1782 წელს ჯუგაშვილი და გარშაული თანასოფლელებს მამულის გაყოფაში ვერ მორიგებიან და საკუთარ სოფელში სარბევად ლეკები მოუყვანიათ⁴ და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა უკიდურესად შემცირდა, ხოლო ზოგიერთი მხარე მოლიანად დაიცალა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „...ადარ დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილს საბარათიანოს სომხითსაც თვითი სიმაგრეთა შინა“,⁵ პაპუნა ორბელიანი ქვემო ქართლში შექმნილ ვითარებას აზუსტებს:

¹ სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 1450. დავთ. № 12. ს. 63.

² დავით გვრიგიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობისა., გვ. 243.

³ იოსებ ალიმბარაშვილი. ზედაველას ბრძოლები, გვ. 160.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, გ. VIII, გვ. 176, დოკ. 161.

⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 512.

„დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს“¹ 1733 წლის „ოსმალობის“ დროინდელი ერთი საბუთით მუსტაფა ფაშას შვილი ალიბეგი მანუჩარ გლურჯიძეს უდასტურებს, რომ „ოქვენი ნაქონი სოფლები სასირეთი და ორბითი ვერანი შეიქმნაო“².

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩაგარდნილა საამილახვრო გივი ამილახვრის აჯანყების დროს. განდგომილ ფეოდალს ყიზილბაშებმა დამსჯელი ექსპედიციებით უპასუხეს. როგორც ზემოთაც ითქვა, ამილახვარი მდგომარეობის თავის სასარგებლოდ შემობრუნების მიზნით ლეპოსმალებს იწვევდა. ისინი თავადის ქირას არ სჯერდებოდნენ და ქვეყანას დაუნდობლად იკლებდნენ, რის გამოც მარტო საამილახვროდან 3 ათასი კომლი კახეთში გადასულა.³ იოანე ბაგრატიონის მიერ ქართლ-კახეთის 1794-1799 წლების აღწერის მოხედვით, მხოლოდ საამილახვროს – დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ჩამონათვალი 174 სოფლიდან 64-ში მოსახლეობა აღარ ჩანს და მხოლოდ სოფლის სახელწოდებაა მითითებული.⁴

XVIII ს. 20-იანი წლებიდან, ამავე საუკუნის 80-90-იან წლებამდე თითქმის მოიშალა საციციანო. ბევრი სოფელი ამოვარდა ან ნასოფლარად გადაიქცა. მოგვიანებით ამ ტერიტორიების შევსება ოსური მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. ახლად მოსულმა მოსახლეობამ ზოგ სოფელს ძველი ქართული სახელი შეუნარჩუნა, ზოგს თავისი სოფლის სახელი შეარქვა, ხოლო ზოგი სოფლის სახელი, რომელიც ამ ხელოვნური შევსების შემდეგაც უკაცრიელი დარჩა, საბოლოოდ ამოვარდა⁵. ზაალ მახვილაძე 1754 წელს თავის მიერ აღდგენილ აბისის სის (ფრონეს ხეობაში – ი.ა.) ეკლესიის წარწერაში ამბობს: „აღვაშენე ესე ეკლესია ...დიდხანს ლეპისაგან, ოსისაგან ხარაბა იყოო“⁶.

ასევე მნიშვნელოვნად დაზარალდა სამუხრანბატონო. დართისკარის გაფლით ქართლის ქალაქ-სოფლების სარბევად მომავალი ლეპები სამუხრანბატონოს ვერ ასცდებოდნენ, ამიტომ ეს მხარე შედარებით მეტად ზარალდებოდა. ამ ფაქტს იმდროინდელი ეპიგრაფიკული წარწერებიც ადასტურებენ. მაგალი-

¹ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 244.

² თამარ თოხმეზური. აღმოსავლეთ საქართველო 1723-1735 წწ., გვ. 90.

³ ელდარი მამისთვალიშვილი. ამილახვრები. გორი 1996, გვ. 22.

⁴ იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა. თბ., 1986, გვ. 38-42.

⁵ დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის..., გვ. 130-131.

⁶ სერგი მაკალათია. ფრონეს ხეობა. თბ., 1963, გვ. 46.

თისათვის კონსტანტინე მუხრანბატონის მიერ აღდგენილ მჭადიჯვრისა და შოთა უბნის ციხეებზე გაკეთებულ წარწერებს მოვიტანთ. მჭადიჯვრის წარწერაში აღნიშნულია, რომ „ოდეს ქამთა ქცეულებისაგან და ცოდვათა ჩუქნთა მიერ მოთხერებულიყო ქვეყანა ქართლისა ლეპთაგან რომელ არიან კავკასიაში შინა და თვინიერ ციხეთა არსადა ეგებოდა გება კაცთა არცა თუ ერთსა სოფელსა და დაბაცა ესე ოხერქმნილ იყო, რომელ არარასა ცნობილ იყო თუცადა სოფელსა ამას პირველი შენობა ყოფილიყო თვინიერ ეკლესიაში ამის რომელი აღემჟნა ბატონიშვილსა კათალიკოზე დომენტის. აწ ჩვენ მუხრანის ბატონმა კონსტანტინე გვილვავ აღმენებად ციხისა ამის სამკვიდროსა ჩემსა, რათა კაცრიელ იქნას და დაემჟნონ კაცთა და მტერთა და მარბიელთაგან უვნებლად დაშთენ“. სამუხრანბატონოს დაცლაზე მიუთითებს შიოს უბნის ციხის წარწერაც: „უამსა ამასა ოდესაცა მტერნი უსჯულონი მძლავრებდენ ქვეყანასა ქართლისასა, ადგილითი ადგილად მოოპრებულ იყო სოფელი და დაბანი და ესეცა შიოს უბანი მკვიდრთაგან თვისითა ცარიელ იყო და მიმოდაბნეულ იყვნენ მოსახლენი ამისი“ (წაკითხვა ადგილზე ჩვენია – ი.ა.).

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა სამაჩაბლო. გ. სოსიაშვილის თქმით: „ლეპთა შემოსევებს სამაჩაბლოში განადგურების პირას მიჰყავდა სათავადოს მოსახლეობა, რომელთა ერთი ნაწილი მარბიელთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებს ეწირებოდა, ნაწილი კი – მათი ტყვე ხდებოდა“.¹ მკვლევარს იქვე მოჰყავს ერთი საბუთი, რომლის მიხედვით, ქემერტიდან ლეპბის მიერ გატაცებულ ხუთ სულ ყმაში იასე მაჩაბელს გამოსახყიდის სახით 18 თუმანი და ერთი ცხენი გადაუხდია.²

ცნობილი მწიგნობარი იესე ბარათაშვილი „ცხოვრება-ანდერძის“ დასაწყისშივე გამოკვეთილად მიანიშნებს: „დავიბადე საჯავახოსა მთასა შინა, ლეპთაგან დახიზნებულთა ერთა შინა ...ქრისტეს აქეთ 1728, ქართულსა ქორონიკონსა – 416. იგი წელიწადი ერთი მთიდამ სხვა მთად, სოფლით სხვა სოფლად მავლინებდენ ლეკისაგან განძარცვილნი და დაბნეულნიო“.³

მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა XVIII ს.70-იან წლებშიც შენარჩუნდა. 1770 წელს ერეკლეს დავალებით ჩატარებულ ქართლ-კახეთის აღწერის მასალებში ვკითხულობთ: „...არს აოხრებული და უმკვიდრო ქმნილი თრიალეთი,

¹ გიორგი სოსიაშვილი. სამაჩაბლოს ისტორიიდან (XV – XIX სს.). თბ., 2005, გვ. 149.

² გიორგი სოსიაშვილი. სამაჩაბლოს ისტორიიდან (XV – XIX სს.), გვ. 149-150.

³ იესე ბარათაშვილი. ცხოვრება-ანდერძი. გვ. 564.

ადგილი ვრცელი და ფრიად კეთილი და დიდი და სოფელ მრავალი. არს აოხ-რებული ყაიუელი, უმკვიდრო ქვეყანა, ფრიად კეთილი და მრავალი სოფელი. არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი, ქვეყანა დიდი და მრავალი და ამისი კაცი ორმოცისაგან ერთი დარჩენილა. ...არს საბარათასშვილო ქვეყანა დიდი, ასისაგან ერთი დარჩენილა, ხიზნათ არიან¹ და სხვ.

სარგის კაპაბაძის ცნობით, მარტო 10 წლის მანძილზე (1770-1780 წ.წ.) თბილისის მოსახლეობა 4000 კომლიდან – 3478-მდე; გორის – (1770 წლიდან 1794 წლამდე) 500 კომლიდან – 227-მდე; ხოლო ქართლ-კახეთის მოსახლეობა (1770 წლიდან – 1795 წლამდე) 42 ათასი კომლიდან 35 ათას კომლამდე შემცირებულა.²

ქართველი მეფეები დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას მეზობელი ქვეყნებიდან მოსახლეობის ჩამოსახლებით ცდილობდნენ, მაგრამ არც ისინი იყვნენ უძეოს დღეში. ყაზახელი ნაზიმ ჯაფარი გიორგი XII-სთან ჩინის: „ოთხი წელია ყარაბაღიდამ გიახელ, მაგრამ რაც საქონელი მქონდა, სულ დავკარგე, დაიისტანში გადაიტანეს ლეპებმა. აბაზისა არა გამამყვა რაო“.³

არა მარტო გლეხობა, არამედ გაჭირვებაში ჩავარდნილი თავად-აზნაურობაც ერთიმეორის მიყოლებით ჰყიდდა ყმა-მამულებს. მაგ. „ჟამთა ვითარების“ გამო, 1757 წლის 5 იანვარს დავით აბდულაბეგისშვილი და მისი ძმა – არზაყული მირზა, კუთვნილ 12 სულ ყმას, მამულითა და ეკლესიით ტფილელ მიტროპოლიტ ქრისტეფორე თუმანიშვილზე ჰყიდიან, „ამათს გარდა რომელნიც აყრიდნი და დაკარგულნი არიან ...ამათ გამოაჩენ და იპოვნი ...არც ჩვენსა და არცავის სხვას იმათთან საბატონყმოთ ხელი არავის აქვს, ასე სულ შეუვალად თქვენთვის მოგვიყიდიაო“, – ნათქვამია დოკუმენტი.⁴

1760 წელს ციციშვილები პირობის წიგნს აძლევენ თეიმურაზ II-ს: „ასე რომ ჩვენი აზნაურიშვილი დანდლიშვილი ლეპისაგან დატყვევდა და თქვენ დაიხსენით ათ თუმნად. მერმე თუ ჩვენ შევძლოთ დახსნა და თქვენი თეთრი ათი თუმანი მოგართვათ, ჩვენი აზნაურიშვილი ისევ ჩვენ გვიბოძეთ, თუ ვერ შევძლოთ დახსნა და თქვენ დაგიხსნიათ და ლმერთმა გამარჯვებაში მოგახმაროთ“.⁵

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 421, დოკ. 120.

² სარგის კაპაბაძე. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810). გვ. 227; 241.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 651, დოკ. 668.

⁴ სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449, ს. 532.

⁵ სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1450, დავთ. 48; ს. 36.

1789 წ. 15 აგვისტოს ბირთველ და ზაალ თუმანიშვილები თავიანთ ბიძაშვილს ი. მდივანს ყმის ნახევიდობის წიგნს აძლევენ: „...მამა და დედა დამიტყვევდა და დაგიხსენ, მამა ჩემი და დედა ჩემი სხვა ქვეყანაში წაგიდნენ, ამათის დახსნისათვის ახალციხეს ოთარაშვილის ვალი დამედვა, მოვიდა ბატონთან (იგულისხმება ერეკლე II – ი.ა.) მიჩივლა, იახაული დამაყენა, დიდათ შემაწუხეს, ვერსაით ილაჯი ვერა ვქენ რა, მოგყიდე ახალდაბას ჩემს ბარათში ნარგები გიორგი ქებაძე თავისის შვილებით და შვილის შვილებით, თავისი მამულით. ...სულ შენ მოგეც, რომ ახალდაბაში მე წილი აღარ მაქვსო“!¹

1784 წ. 17 ნოემბერს გაცემული საბუთის მიხედვით, მიქელიშვილი კიკოლას ყმა, ტერუნაანთ არუთინასშვილი ბეჟანა, ლეკებს ტყვედ წაუყვანიათ. იგი ყიზლარში მარია მარიასშვილს 17 თუმნად დაუხსნია და თბილისს ჩამოუყვანია. არუთინაშვილს ყოფილი ბატონი მოუძებნია და შევედრებია, „ამ კაცისგან გამომიხსენიო“. მიქელიშვილს ყოფილი ყმა მარიაშვილისაგან ვერ გამოუხსნია („არ შემეძლო რომ დამეხსნაო“), თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ტერუნაანთ ბეჟანა თვითონ მოახერხებდა თავის დახსნას, – თავისუფლებას ანიჭებდა: „მეც შემბრალდი და დასტური მოგეცი, შენი თავი ვისთანაც გინდოდეს მიყიდე თავით ან ცოლშვილით, ...ამის მეტი მე შენთან ბატონ ყმობაზე საქმე არა მქონდესო“.² შედარებით „იოლად გამოსულა“ თეიმურაზ ჯავახიშვილი. მას თერთმეტ მინალთუნად ლეკი უყიდია, ხოლო ამ ლეკის გაყიდვით საკუთარი ყმა დაუხსნია.³

ხდებოდა პირიქითაც, როდესაც მებატონეთა ძალმომრეობას გაქცეული გლეხები ლეკების ტყვეობაში ხვდებოდნენ. 1768 წელს ივანე გიორგაძე ერეკლეს ჯავახიშვილებისაგან დახსნას სთხოვს: „...იმჟამათ მეტებს სხვისშვილათ გახლდი. მოვიდნენ ჯავახისშვილები, წამომეჭიდნენ – ჩემი ყმა არო. იმათ გავექმდა და მუხრანის რუსხმულზედ დავიკარგე. ექვსი წელი ტყვედ გახლდითო“.⁴

როგორც შესავალშიც აღინიშნა, ტყვედწაყვანილთა ის ნაწილი, რომელთაც ახლობლები ვერ გამოისყიდიდნენ, დადესტნიდან ახალციხისა და ყირიმის მონათა ბაზრებზე იყიდებოდა, 1766 წელს დაღესტანში ჩასული ალექსანდრე ბაქარის ძე გულისტავილით აღნიშნავდა: „აქ იმდენი ქართველი მოტაცებული

¹ ხახლმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1450, დავთ. 23; ს. 3.

² ავთანდილ კილასონია. ტყვეთა გამოხსნის საშუალებანი, გვ. 232.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 541-542, დოკ. 428

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 577, დოკ. 453

ტყვე ვნახე, რომ მათგან შეიძლება მთელი სახელმწიფო დაგასახლოთო“.¹

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქვეყნის ძირითადი მწარმოებელი გლეხობა, რომელსაც ხშირად გასაქცევიც არსად პქონდა. ნ. ბერძნიშვილის თქმით: „გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად დაიყიდა, მეორე ნაწილი ლეგებთან თუ ოსმალ-ყიზილბაშებთან ომებს შეეხოცა, სხვები ბოლომოუდებელი ომების თანამგზავრმა შიმშილობამ და ჭირმა იმსხვერპლა, დიდმა ნაწილმა, კიდევ მიატოვა ეს გაჯოჯოხეთებული სამშობლო და ახლობელ ქვეყნებს მიაშურა“.²

ლეკები მტაცებლობას ქართლ-კახეთში მათი მფარგელი „ოსმალობის“ დროსაც არ იშლიდნენ. გორის კომენდანტი მეჭმედ ფაშა, 1732 წელს სულთნისადმი გაგზავნილ პატაკში უწესრიგობის გამო თავს იმართლებდა: „რამდენიმე წელია, რაც ლეკების ბრძოები შემოდიან და ლარიბი რეაიას ბავშვები ტყვედ მიჰყავთ, გლეხთა ქონებას იტაცებან და ამრიგად სოფლებს ანადგურებენ, მათი შემოსევები არეულობას იწვევს“³ ამავე წელს გორის მოსახლეობას დახმარებისათვის მიუმართავს ფაშასადმი, რომ ლეკები თავს ესხმიან, აწიოკებენ, არბევენ, იტაცებენ ბავშვებს და სხვა მოქალაქეებს. გორის ყადის განაჩენის მიხედვით, მოსახლეობის დასაცავად 30 მუდმივი ცხენოსანი რაზმი შეუდგენიათ, თითოეული მხედრის საფასური თვიურად ხუთი ყურუში ყოფილა.⁴

უკიდურესად დაეცა სოფლის მეურნეობა. ყანასა თუ ვენახში მიმავალ გლეხს, ცალ მხარზე გადებულ თოხთან ერთად, მეორე მხარზე თოფ-იარაღი მზადყოფნაში უნდა პქონოდა, ხოლო, როცა იგი ხვნა-თესვით უნდა ყოფილიყო დაკავებული, ოჯახთან ერთად ციხე-კოშკებს აფარებდა თავს. ეს პროცესი ძალზე დიდხანს გაგრძელდა. თუმცა, რუსული ხელისუფლება ამაყობდა, „ლეკიანობა“ საქართველოში მოსვლისთანავე მოვსპერ, მაგრამ მათი მოსვლიდან 20 წლის შემდეგაც (1825-26 წწ.) ედუარდ აიხვალდი აღნიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში რუსთა მფლობელობა კარგა ხნის დამყარებული იყო, ლეკები მაინც არ იშლიდნენ თავის ყაჩაღობას. მადალ კლდეებს მოფარებულნი, მთელი დღის განმავლობაში უთვალოვალებდნენ ჯარისკაცთა ყაზარმებსა და საგუშაგოებს და როგორც კი შეშაზე ან სხვა საქმე-

¹ დავით ჯანელიძე. საქართველო და აღმოსავლეთი. XVIII ს. გვ. 121.

² ნიკოლოზ ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. გვ. 154.

³ ნოდარ შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974, გვ. 224.

⁴ ნოდარ შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური, გვ. 224.

ზე ყაზარმას მოცილებულ სალდათებს დაინახავდნენ, იტაცებდნენ და შემდეგ, უკეთეს შემთხვევაში გამოსასყიდს ითხოვდნენო“¹

გაზეთ „დროების“ 1877 წლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ნათქვამია: „...ამ „ლეპები მოდიანის“ გამო, ხალხი სახნავ-სათესის დროს, სრულიად თავის საქმეს მომცდარი იყო ...სოფლებიდამ, ყოველ დღე-დამ კომლათ ერთი კაცი თოფიარადით იდგნენ ყველა თავიანთი სოფლის გარშემო; ასე ყოვლის ოჯახიდგან ერთი პირი იყო გადადებული ყარაულზედ ...ზოგ-ზოგებს, ვინც მარტოხელ ოჯახისანი არიან, აქამომდე მუჭი პურიც არ დაუთესნიათ და ჩალთუქებიც ისევ მოსამკელები უყრიათო“²

განსაკუთრებით სახიფათო იყო საქონლისა და ცხენების მწყემსობა. ლეპები, დაიმარტოხელებდნენ თუ არა მათ, მწყემს-საქონლიანად იტაცებდნენ. გოულდენშტედტი ერთგან მიანიშნებს: „ლეპთა თარეშის გამო ცხენებს არ შეეძლოთ ებალახათ, ამიტომ უნდა გამოგვეკვებაო“³

ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა ლეპების წინააღმდეგ დაწესებულ დამატებით გადასახადს ვეღარ იხდიდა, ამიტომ სისტემატური ხასიათი მიეცა ქართლიდან გლეხების მასიურად და ინდივიდუალურად აყრისა და გაქცევის შემთხვევებს. მაგ. „ოსმალობის“ დროს (1723-1735 წ.წ.) ლეპიანობის მიზეზით სოფ. ნოსტეს მოსახლეობა აყრილა და გადასახლებულა ქსნის ხეობაში.⁴ 1732-1735 წლებში სოფ. ხანდაკის გლეხები დედაწულიანად აყრილან და გადაკარგულან. მებატონე რატიშვილს ისაყ ფაშას დახმარებამაც ვერ უშველა, გაქცეული გლეხები თავის დაცარიელებულ მამულში ვერ დაუბრუნებია,⁵ შეშვოთებული ისაყ ფაშა, ამის გამო მუხრან ბატონს სწერდა: „მერმე შენის აზნაურიშვილის, რატიშვილის სოფელი ხანდაკი და ან სხვა სოფელი აყრილი იყოს, ვისცა მამულში იყოს, ყველა მოაგროვე და ნურავის გააცარცვინებ და სადაც შენ გინდოდეს, იქ დააყენე, თუ წაართვა ვინმე მწვავედ გარდავაკდევინებ. იმ კაცებთან შენს მეტი პელი ნუ აქვსო“⁶ ფაშას შეშვოთების მიზეზი გასაგებია – თითოეული აყრილ-დაცარიელებული სოფელი ოსმალთათვის გადასახადების შემცირებას ნიშნავდა. როდესაც აყრა-გაქ-

¹ ერუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 18, 258-259.

² გაზ. „დროება“, 06. 06. 1875 წ. № 63.

³ გიულადებშტედტის მოგ ზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 101.

⁴ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. გვ. 181.

⁵ ალექსანდრე ბენდიანაშვილი. გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში. თბ., 1989, გვ. 23.

⁶ საქართველოს სიძეულები. ტ. III. გვ. 418-419; დოქ: № 441.

ცევა მასიურ ხასიათს იღებდა, ისტორიულ დოკუმენტებში ეს მოვლენა „დაფანტგად“ იწოდებოდა.

დაფანტგის ძირითადი მიზეზი მებატონეთა ძალმომრეობა და ლექთა შემოსევების მუდმივი შიში იყო. მაგ.: როდესაც სოფ. გომი ლეკებსა და ოსმალებს აუოხრებიათ, გლეხობა დაფანტულა. მას შემდეგ, რაც გომის ციხე გაამაგრეს, დაფანტული მოსახლეობა უკან დაბრუნებულა.¹ იგივე მდგომარეობა გაგრძელდა 90-იან წლებში. 1794 წელს მანგლისისა და რუისის გლეხებს მიუტოვებიათ თავიანთი ბატონები და გაქცეულან. მომდევნო წლებში მათი მაგალითისათვის მიუბაძავთ ნიქოზელ და სხვა გლეხებსაც.²

ქართლ-კახეთის სამეფო კარი კარგად გრძნობდა ქვეყნის საერთო გასაჭირს, ამიტომ დღენიადაგ ზრუნავდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ლეკების ტყვეობაში მოხვდებოდა, ან ტყვეობას თავს დააღწევდა. ჯერ კიდევ 1726 წელს, რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის, მისი მეუღლის რუსუდანის თხოვნითა და რუსეთის საიმპერატორო კარის ნებართვით დარუბანდში დაარსებულა ქართული ეკლესია, რაც იმით იყო ნაკარნახევი, რომ დარუბანდთან ახლოს მცხოვრები ლეკების ტყვეობიდან ქართველები ხშირად გამორბოდნენ.

1735 წელს ამ ეკლესიის მრევლში უკვე ირიცხებოდა რამდენიმე ასეული ქართველი.³

1765 წელს ერეკლე II-მ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც უცხოეთის ტყვეობიდან თავდახსნილი ან გამოქცეული ყმა გლეხის მიმართ წინანდელ ბატონს „კელი“ ადარ ჰქონდა.⁴ გლეხს შეეძლო თავისუფალი დარჩენილიყო, ან თავისთვის სასურველი მფარველი ბატონი შეერჩია. ასეთი მობრუნებული გლეხების უმრავლესობა სახასო ყმად ეწერებოდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ინარჩუნებდა სრულ თავისუფლებას. ამას გარდა, ქვეყნად შექმნილი მდგომარეობაც გლეხს აიძულებდა რომელიმე ბატონისათვის თავი შეეფარებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი შანსი იყო, რომ იგი კვლავ ტყვეობაში მოხვედრილიყო.

სწორედ ზემოხსენებული კანონის დაცვას ითხოვდა 1782 წ. 10 მარტს თაორიშვილი დვორისია გიორგი ბატონიშვილთან საჩივარში: „...დავით ამილახ-

¹ დარეჯან მეგრელაძე. საქართველოს გლეხობა XVI-XVIII ს. გვ. 235.

² მამია დუმბაძე, ნიკოლოზ ქორთუა. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 737-738.

³ გიორგი პაიჭაძე. ვახტანგ VI. თბ., 1981, გვ. 128.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. გვ. 513, დოკ: № 409.

ვრისშვილმა ქალაქს გამაგზავნა ფარჩისათვის. ლართისკარში ლეპები დამხვდნენ, დამიჭირეს, თორმეტი წელი ტყვეთ გახლდი. ვალით, ვახშით თავი დავიხსენ, ხუთი თვე არის გიახელ, ერთი მარტოხელი, უსახლკარო, უმამულო გახლავარ, ახლაც და უწინაც. ახლა დავით ამილახვრისშვილი არ მეშვება, ჩემი ყმა ხარო. შენსა მზეს ვფიცავ, თაობითაც წყალობის ყმა ვიყავი, თორემ ახლა ბატონის მამათქვენის ბძანებაც არის: ტყვესთან საქმე არავის აქვს, ყველგან თავისუფლად არის. მეც [ე]რთის ოქმის წყალობა მიყავით თქვენის შვილების სადღეგრძელოთ, ვინც მამული მამცეს, იმას ვემსახუროო“.¹

ასევე უპირატესობა ენიჭებოდა მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელიც ტყვეს გამოისყიდდა. ასეთ შემთხვევაში გამოსყიდული ტყვე მის საქუთრებად ცხადდებოდა და ძველ ბატონს მასზე უფლებები ეკარგებოდა. 1735 წელს ბერი გივიშვილი გივი ამილახვარს ყმობის წიგნს აძლევს: „...ლეპებისაგან დავტყვევდი, წამიყვანეს გაღმა მცარში ტყვედ ვიყავ და თქვენ ჩემში კუპრაშვილს დავითს ხუთი თუმანი თეთრი მიეცით და იმისგან დამიხსენით. თქვენს მეტს, არც მამას, არც ბიძას ჩემში არა გაუდიარა, მარტო თქვენ მიყიდეთ და მომიყვანეთ ...თქვენს მეტს ჩემთან არას კაცს ჭელი არა აქვს, ორჯელ თქვენგან ნასყიდი და დახსნილი ვარ. ჩემში გასაყიდათ, გასაზითვათ, ყოვლად ჭელი გეწიფოსთ“.²

აღნიშნული კანონის თავის სასარგებლოდ გამოყენება და გადასახადების თავის არიდება უცდიათ ცხინვალებებს, მაგრამ ერეალეს საპასუხო რეაქცია მყისიერი იყო. 1774 წლის 24 დეკემბერს იგი რევაზ ამილახვარს სწერს, ცხინვალში გადასახადების აკრეფა ჩვეული ტემპით გააგრძელოს: „ქრცხინვალელთ არზა მოეწერათ ჩვენთვის მოსაღებზედ საჩივარი. ჩვენ იმისი როდის გვითქომ, რომელიც ლეკისაგან დატყვევებული არ არის ხარჯის გამოურთმევლობა. ჩვენ იმისი ვთქვით, რომელსაც ახლა ლეკისაგან დატყვევებული ყავთ, იმ ტყვის პატრონებს ნურა გამოერთმევათ რა, ამათი მოგვიწერია, მაგათ ჩიჩიაც უნდათ და ბაბაც, ახლა ისეთი ჯამები (იგულისხმება დრო-უამის თვალსაზრისით – ი.ა.) არის თავის შაძლებით ყველანი უნდა გაისარჯნენ ...პური არავის აჭამონ როგორ იქნება? სურსათზედ ყველა გასარჯეო”, ნათქვამია ქართლ-კახეთის მეფის არზაში.³

1742 წ. 15 ნოემბერს სამუხრანბატონოში არუთინაშვილი მოხია სახლთუ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. გვ. 533-534, დოკ. № 564.

² დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობისა., გვ. 194.

³ ერუალე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, დოკ. № 378, გვ. 89.

ხუცეს ბეჭან დორთაშვილს ლეპაბისაგან დახსნის სანაცვლოდ ყმობის პირობას უდასტურებს: „მამაჩემი ლეპში დაკარგულიყო თქვენ დაგეხსნათ რვა თუმნათ. ...შენ ბატონი და მე ყმა. ბატონუმობის რიგზე უნდა გემსახუროო“.¹ 1771 წ. წ. 12 ნოემბერს გორელი ამირალანთ თამაზა ერეკლე II-სთან ჩიოდა: „რუისელი ფანიაშვილის ყმა დედაბრისშვილი გოგია ლეპში დაკარგულიყო, ბორჩალოელები დასხმიყვნენ და გაეგდებინებინათ. ოქმი გებძანათ, თუ ჩემ[მ]ა სახასო კაცმა დაიხსნასო თავისთვის ყმათაო (ე. ი. თავის ყმად ჩაითვალოსო – ი.ა.). თქვენის ბძანებითა და ოქმითა ბორჩალუელებისაგან დავიხსენი და თავის ბატონი ფანიაშვილისაგანაც დავიხსენ და წიგნი გამოვართვი, საამილახოროში დგას და გორს ვერ ჩამომიყვანია. ერთი იასაულ[ი]ს წყალობა გვიყავით, რომ ამიყაროს და გორს ჩამომგვაროს, ორჯელ დამიხსნია“².

ამ კანონით აქტიურად სარგებლობდა სამეფო ოჯახიც. ასეთ შემთხვევაში მეფის ინტერესი ის იყო, რომ ტყვეობიდან გამოხსნილ-გამოსყიდული პირი (პირები), მეფის (ბატონიშვილის) საკუთრებად ანუ „სახასოდ“ ითვლებოდა და ყოფილ მესაკუთრეს მასზე უფლებები ეკარგებოდა. მაგ.: ციციშვილის აზნაური ბეჭან დანდლიშვილი ლეპებს ჰყავდათ დატყვევებული და მეფეს გამოუხსნია. ციციშვილები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ აზნაური დაიბრუნონ. მეფესა და ციციშვილს შორის იდება წიგნი, რომლის მიხედვით, ციციშვილები მეფეს პირობას უდებენ: „თუ ვერ შევძელით ამ აზნაურის დახსნა, თქვენი იყოსო, ხოლო თუ მოვახერხეთ და მოგართვით ის თანხა, რაც ამ აზნაურის გამოხსნაზე დაგეხარჯათ, ეს ჩვენი აზნაურიშვილი ისევ ჩვენ გვიბოძეთო“³.

XVIII ს. მეორე ნახევარში გიორგი ბატონიშვილს ლეპებში დატყვევებული ჯავახიშვილების აზნაურები: ოთარ, იორამ და იოანე ბეჭანიშვილები გამოუხსნია და მათი ნასყიდი ყმა-მამულითურთ თავისთვის ყმად დაუდგია.⁴ ერეკლე II 1782 წელს ქსნის ერისთავებს სწერდა: „ეს კობახიძე გაბრიელ მდვდელი დატყვევებული იყო, ...ჩვენ დაგვიხსნია უსჯულოთა ხელიდან და ამასთან ჩვენს გარდა საბატონებო საქმე არავის აქვს და ნურავინ შეაწუხებთო“⁵. თუმცა, მებატონეები ყოველთვის არ ეპუებოდნენ კანონებს და ცდილობნენ ყოფილი ტყვეების მისაკუთრებას.

¹ სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 1448; საქმე: 4325.

² ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. გვ. 193; დოკ: № 193.

³ გულჩინა აკოფაშვილი. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს., გვ. 78.

⁴ გულჩინა აკოფაშვილი. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს., გვ. 101.

⁵ გულჩინა აკოფაშვილი. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს., გვ. 116.

1764 წ. 4 იანვარს „ნალეგარი“ ოქრუა სამეფო კარზე სამართალს ითხოვს: „ჯავახეთიდამ ვართ გარდმოსული საქართველოში, იქიდამ ლეპში დავიკარგეთ, ოცი წელიწადი დაკარგულ ვიყავ და მოვედი დათს მადლით საქართველოში და ელიოზიშვილი იოანე მედავება ჩემი ყმა ხარო. ერთი ქალი მყვანდა, ისიც წამართო, სამართალი მაღირსეთო“.¹ 1783 წ. 12 თებერვალს რუსელი ბუზიაშვილი ფარემუზა ერეკლე II-სთან ციციშვილებს უჩივის: „მამა ჩვენი გერმანე მროველის დედის ნამზიოვ მოახლის შვილი გახლდათ. იმას რომ მროველობა უბოძეთ ჩვენ სამნი ძმანნი იმასთან გახლდით. მერე ლეპში დავიკარგე. ოცი წელიწადი თურქმაილის ქვეყანაში ტყვეთ გახლდი. მარჯვენა ხელიც იქ დამიშავდა, ხანჯალი შემომკრა თათარმა. მერე რომ დავბერდი, სამსახური აღარ შემეძლო რა, თათარმა ეს აზატულობის წიგნი მომცა, რომელიც თქვენს სიმაღლეს მოერთვათ. მოვატანე ისევ თქვენს სახელს და თქვენს ქრისტიანობას ისევ რუის გეახელი. ერთი შვილი დამხვდა ჩემი, ისიც მომიკვდა. რადგან რომ ტყვე განთავისუფლებული იყო თქვენი ბძანებით და დამტკიცებით ქვეყანაზედ ხმა გაისმა, ჩემს ძმისწულებთან აღარ დავდეჭ, რუის ლვთაების კარზედ გახლავარ მუდამ თქვენი მლოცველი. სამადლოთ რომ ნახეს თქვენმა მწერლებმა, აღარაფერი დამწერეს, მაგრამ მაინც ციციანნი კიდევ მართმევენ და მაწუხებენ. გევედრები, როგორც სხვას ტყვეებს თქვენი წყალობის წიგნი აქვთ, ჩვენც ერთი ამისთანა წიგნი გვიბოძოთ“²

1788 წელს შიო მღვიმის ეკლესიის ყმას იაკობ გარდუაშვილს, ლეკებში ტყვეობის გამო ვალი დასდებია და სიმართლის აღდგენას დარეჯან დედოფალს სთხოვდა: „მერმე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს. მამაჩემი ლეკებში დაკარგულა და ახალქალაქელს კაცს ხუთ თუმნად დაუხსნია და რამოდენიმე ხანი გამოსულა მასუკან, იასაული დაუყენებია იმ ახალქალაქელ კაცს და თავის თეთრი უთხოვია. ამდგარა სამი თუმანი და რვა მინალთუნი მიუცია და თორმეტი მინალთუნი დარჩომილა. იმ დროს დავით ხითარიშვილი დასწრებია იქა და შეხვეწია: ეს თორმეტი მინალთუნი გადამიწყვიტეო და ერთს წელიწადს გემსახურებიო. იმასაც თორმეტი მინალთუნი მიუცია და ის ნასყიდობის სიგელი გამოურთმევია და გირაოთ მიუცია ...ახლა ყმობით დაგვიწყო დაგა დაჯანდაგისშვილის ქალს ნიშანში აძლევს ჩემს თავს...“³

¹ ხახლმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1450; დავთ. № 13; ს. 274.

² ხახლმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 1449; ს. 2542.

³ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII; გვ. 792; დოქ: № 828.

1774 წ. 13 აგვისტოს სურამელი თომა ჯობაძე ერეკლესთან ჩხეიძეებს უხიოდა: „ამ მაისში ლეპაბს დავხვდით, ერთი ლეპი მე დავიჭირე და ორი ლეპი სოფელმა დაიჭირეს. ერთი მაჩაბელმა აიყვანა, მეორე კიდევ მაჩაბელმა და სურამის მოურავმა აიყვანეს და მესამე ლეპი ჩვენ გვერგო. თქვენ ჩხეიძისათვის ოქმი გებოძებინათ. მოიტანა ოქმი, ჩვენ ლეპი გამოგვართო, გაყიდა ათ თუმნათ და არდაზიანი დაიხსნა. ჩემო ხელმწიფევ, იმ ლეპის დამჭერიც მე ვიყავ და ბელადიც, ნუ გვიზამთ, წყალობა გვიყავით, რომ დათი გაგიმარჯვებსთ“.¹ ლეპებისაგან ტყვედრაყვანილთა ნაწილი თვითონ ახერხებდა თავის დახსნას, მაგრამ მხოლოდ პიროვნული თავისუფლება მათვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, ტყვედ ჩავარდნის ალბათობა ისევ დიდი იყო, თანაც მოსახლეობის ნაწილი ტყვეობაში რამდენიმეჯერ ხვდებოდა:

მაგ. 1780 წ. 31 მარტს გაცემული საბუთის მიხედვით, ფლავისმანელი ოქრუა ქიტესაშვილი თბილისში წასულა და მეკონდახეობა დაუწყია, მაგრამ ლეპს მოუტაცია და დაღესტანს წაუყვანია. ოქრუას გამოპარვა მოუხერხებია და თბილისს დაბრუნებულა, მაგრამ ლეპებს ხელმეორედ გაუტაციათ. უსახსრობის გამო ქიტესაშვილს თავის დახსნა ვერ მოუხერხებია, ბოლოს ყმობის საფასურად ერთ სომეხს გამოუსყიდია, ხოლო სომხისაგან ივანე მუხრანბატონს უყიდია.²

ჯავახი კაცია ლომიტაშვილი ქართლში გადმოსულა და რევაზ მელვინეობუციშვილთან ყმად დამდგარა. კაციას „ეშმაკის საფრგე“ მოსვლია, თავის პატრონი გაუძარცვავს და ისევ ჯავახეთში გაპარულა, მაგრამ საცხენისის მთაზე ლეპებს დაუტყველებიათ. როგორც ჩანს, ჩრდილო-კავკასიელებს ლომიტაშვილი კცოტაგათ და ქარელიც წაუხდენიათ, თუმცა, ქარელელები დასდეგნებიან და ტყვეები გაუთავისუფლებიათ. მცირე თავგადასავლის შემდეგ, კაცია რუისს მისულა თავის ძეგლ ბატონთან, მაგრამ ისევ ტყვედ ჩავარდნილა და მეორე „ჯერზე“ ტყვეობაში შვიდი წელი გაუტარებია³ და სხვ.

ლეპებში სამჯერ დაკარგული ოსიაურელი ყმა – მახარა, 1775 წ. 29 მაისს ერეკლესთან თავის „უილაჯობაზე“ ჩივის: „...მერმე ამას მოგახსენებთ, რომ ამით სამჯერ დაგარგულვარ, პირველით რომ დავიკარგო, თავ დავიხსენ თხუთმეტ თუმნათ, ათი თუმანი რომ მივეც, ხუთი თუმანი ისევ მემართების, ერთხელ

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფ. Hd, საბ. 1182.

² სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1450; დავთ. 5, ს. 75; 88.

³ ქართული სამართლის ძეგლები, გ. V, გვ. 187-188, დოკ. 111.

ახალციხიდამ გამოვიპარე, ოსიაური რომ აიღეს, შვილით დავსტყვევდი, ახლაც დავიხსენ თავ თორმეტ თუმნად, ერთი ვაჟი მყავს ცხრა წლის, ასე შეწუხებული ვარ მევალეებისაგან, რომ გაქცევის მეტი გზა აღარ მაქვს, ყოვლად მოწყალეს ჭელმწიფეს ამას მოვახსენებ, ან თქვენ დამიხსნათ, ან ერთის ოქმის წყალობა მიყოს რომ ვინმემ დამიხსნას თქვენი ოქმით. არავინ მიხსნის, თუ ამ ორში ერთის წყალობა არას დამემართა, აქ დგომის ილაჯი აღარა მაქვსო“¹

ლეკთა თავდასხმებით გაბეზრებული მოსახლეობა იძულებული ხდებოდა მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლის ორიგინალური მეთოდები მოეფიქრებინა. ხოვლელ ზაქარია ბიჭიკაშვილის წისქვილს ლეკები შემოსჩვევიან და ფქვილს იტაცებდნენ. „დიალ, შევღონდითო“, – წერდა ბიჭიკაშვილი ერეკლესთან საჩივარში. ზაქარიას ვაჟს, გამოსავლის მიზნით, ერთგვარი „პაკანათი“ მოუფიქრებია. წისქვილის კედელში ჩახმახზე შეყენებული თოფი ჩაუდგამს, იმდაგვარად, „ალაში რომ ფქვილს ხელს ახლებდა, სწორედ იმას მოხვდებოდა“. მეთოდს გაუმართლებია და იმავე დამით თოფიც გავარდნილა. ადგილზე მოსულ ბიჭიკაშვილს მხარში დაჭრილი ლეკი დახვედრია. სიცოცხლის სანაცვლოდ ლეკი ზაქარია ბიჭიკაშვილს დაღესტანში დაკარგული შვილის გამოხსნას შეპაირებია.²

ეს საქმე შემოსავლის წყაროდ გაიხადეს სომებმა ვაჭრებმაც, რომლებიც ერეკლემ დიდი რაოდენობით ჩამოსახლა საქართველოში „ლეკიანობისაგან“ დაცლილ ტერიტორიებზე ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით.³ მაგ. 1772 წლით დათარიღებულ ერთ ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „ლეკმა დამატევვა და ლეკისაგან სომებმა დამიხსნა“, ან, „ამ სორციელში წაგკის შვილი დამეკარგა ...ბელაქანში განჯელ სომებს დაუხსნია ათ თუმნად და არ ვიცი თუ ახლა როგორ მამცემს“⁴

მღვდელი იოანე სოხოშვილი ლეკს დაუტყვევებია და ტყვეობიდან სომებს დაუხსნია, მაგრამ სასწრაფოდ ვალის დაბრუნება მოუთხოვია: „სომები ჩემი თავის სახსარს მთხოვდა და დიდად მაწუხებდაო“, მიუმართავს სომები მევალისაგან შეწუხებულ იოანე მღვდელს გიორგი ბატონიშვილისათვის, რომელ-

¹ ხახლმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1450; დავთ. 36; ს. 255.

² ქართული ხამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 496, დოკ. 400.

³ მაგ. 1779 წელს, ერევანზე ლაშქრობისას ქართლ-კახეთის მეფემ რვა სომხური სოფლის მოსახლეობა აშკარა და ქართლ-კახეთის სოფლებსა და ქალაქებში ჩაასახლა. სომები მემატინის – ლეოს აზრით, ერეკლეს ეს ლონისძიება ეკონომიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. (იხ. ლიანა დავლიანიძე. მათე ურპავლის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. – საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966, გვ. 247-248.)

⁴ ავთანდილ კილასონია. ტყვეობა გამოხსნის საშუალებები..., გვ. 238.

საც ხელახლა გამოუსყიდია ითანე სომხისაგან.¹

გულშიჩამწვდომია ბაინდურაშვილი დათუნას მიერ ყორდანაშვილი ტერგრიგორასადმი 1791 წელს მიცემული ნასყიდობის წიგნი, რომელიც ტყვეობაში მოხვედრილთა უმძიმეს ხვედრს ასახავს: „ოსმალთაგან გამოქცეული ლეკებმა დამიჭირეს და დამატყვევეს და თავის დასახსნელი მთხოვეს ...თავის სახსარი არა მქონდა და ხელშეკრული მატარებდნენ ქალაქში ცემითა და ცოდვილებითა და მყიდნენ და არავინ დამიხსნა და არც ვინმე გამოჩნდა და მეც შეგეხვეწე და ლეკისაგან დამიხსენ და თეთრი მიეც, რითაც მათი გული შეიჯერე და შენმა დახსნილმა მეც ეს წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც, დღეს და დღეის იქით არას კაცს ჩემთან ხელი არა ჰქონდეს, არავინ იყოს მოცილედ და მოდავედ თვინიერ დვთისა მეტი“.²

სხვა საბუთი ტყვეობით გამოწვეულ და „სამადლო ლუკმის ფასად“ გადაქცეულ გაუსაძლის მდგომარეობას გადმოგვცემს: „...მე თავად, შვილებით და საცხოვრებლით ისე გავფუჭდი, რომ შვილები ისევ ტყვედ მყვანან და მე სამადლოდ დამიხსნეს. ისე გიახელ, მაგრამ ვაი ამ პურის ჭამას, რომ ლუკმის თხოვნით ქვეყანას ვაწუხებ და ასე ვძლებო“.³

ასევე ცოლშვილიანად ჩავარდნილა ტყვედ სურამელი თამაზა ჯეგაძე. იგი ლეკებს დაღესტანში წაუყვანიათ და იქ გორელ შაფერაშვილ ბეჭანას ოცდათერთმეტ თუმნად დაუხსნია. გორელი ლვთისნიერი კაცი გამომდგარა, ჯეგაძისათვის მის მიერ დახსნილი ცოლ-შვილის საფასურის მხოლოდ ნახევარი გამოურთმევია, ნახევარი „ჩემის სულის სახსრად გაჩუქეო“ და თანაც აზატობა უბოძებია.⁴

1724 წ. 25 აგვისტოს ლეკთა ტყვეობისაგან თავის დაღწევის სანაცვლოდ, გიორგი და სოლომონ კაციაშვილები, საკუთარი ცოლ-შვილით ბატონყმობის წიგნს აძლევენ ქეთევან შერმაზანაშვილს: „ლეკის ხელში ტყვედ ვიყავი, სხვა ილაჯი და ღონე აღარ მქონდა და ბატონის ჩემის ონოფრეს დასტურითა მოველ და თქვენ შემოგეხვეწეთ, მოგყიდეთ ჩვენი თავი ჩვენის ცოლშვილითა“.⁵

გორიჯვრელ გიორგი ლომაშვილსა და ბერუა ქიტიაშვილს მხოლოდ სიბერისას დაუღწევიათ თავი ტყვეობიდან, მაგრამ ცხოვრების სახსარს მთლია-

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, გვ. 124, დობ. 195.

² ავთანდილ კილასონია. ტყვეთა გამოხსნის საშუალებები..., გვ. 237.

³ ავთანდილ კილასონია. ტყვეთა გამოხსნის საშუალებები..., გვ. 237.

⁴ სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1450; დავთ: № 50; ს. 13.

⁵ სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449, ს. 2708.

ნად მოკლებული და უუნარონი გამხდარან და მათ შვილებს „მყრელობის“ საფრთხე დამუქრებიათ. გაჭირვებას ისინიც ერეკლესთან მიუყვანია: „ჩვენ ორნივ უძლური ბერიკაცნი ვართ. ორივ ტყვეობიდამ მოსული. თითო შვილი გვყავს უცოლშვილონი. ახლა სამ-სამ კოდს ფქვილსა გვთხოვენ. გვეშინია შვილები არსაით გაგვაძცნენ. რომ მიცემა არ შეუძლიათ, არა გვაძადია რა ...გვედრებით, თქვენი მლოცველი გვამყოფეთ და ეს სურსათი გვაპატივეთ. ხვნა არა გვაქვს და თესვა, მთხოვლობთ და ისე ვრჩებითო“.¹

როგორც ზემოთ მოყვანილი საბუთები მოწმობენ, მხოლოდ ტყვეობიდან თავდახსნა ტყვედნამყოფთათვის ცხოვრების მძიმე ხვედრს დიდად არ ცვლიდა, ამიტომ მათი ნაწილი იძულებული ხდებოდა, გარკვეულ საფასურად ისევ რომელიმე მებატონეს ყმად დასდგომოდა. ნაწილი ძველ ბატონებთან დაბრუნებას ისევ ეკლესია-მონასტრებში თავშეფარებას არჩევდა და საეკლესიო ყმებად ეწერებოდა. ამ ფაქტს საეკლესიო პირებიც ხელს უწყობდნენ, ტყვედნამყოფთა ყოფილ თავადებთან „შუამდგომლობდნენ“ და ხშირად მიზანსაც აღწევდნენ.

1730 წ. 30 აგვისტოს ბეჭან არაგვის ერისთავს ურბნელი ეპისკოპოსის – ნიკოლოზ ხერხეულიძისათვის უბოძებია მისი ყოფილი ყმა – ტირმნისელი ბეჭან სამანდავლებშვილი: „ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ არაგვის ერისთავმან ბატონმან ბეჭან, თქვენ, ურბნელ ეპისკოპოზე ბატონს პერპეულიძეს ნიკოლოზს, ასე რომ ჩვენი ყმის შვილი ტრმნისელი სამანდავლეს შკლი ბეჭანა პატრას ობოლი რუის ყოფილიყო და ლეკებს წაეყვანა. ლეკებისაგან მოსულიყო და სხვაგან ფეხის ადგილი შემნახავი ვერსად ეშოვნა. თქვენს მონასტერში შემოსულიყო და თქვენ შეგეწყნარებინათ. რადგან თქვენ ამდენს გარჯილიყავთ, ჩვენცა თქვენს მონასტერს აღარ გამოვსწირეთ და თქვენ მოგართვით“.²

თავადაზნაურთა ნაწილი, გარკვეული მოსაზრებით, საკუთარ ყმებს ეკლესიებს თავისი სურვილითაც სწირავდა. 1739 წ. 24 აგვისტოს დავით ანდრონიკაშვილს ლეკებისაგან დაზარალებული წმ. სამების ეკლესიისათვის შეუწირავს ერთი კომლი – კოჭობასშვილი თევდორე ცოლ-შვილით: „ზედან რომ შენ წმინდის სამებას კაწარეთს ყმა ლეკსაგან ამოგიწყდა, მოვიდა თქვენი საჭეომჟრობელი სამებელი ეპისკოპოსი იოანე და ერთს კომლს კაცს გვეაჯა, ახლა ჩვენც შემოგწირეთ შენ წმინდას სამებას ერთი კომლი კოჭობასშვილი

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 28-29, დოკ. 16.

² სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449; ს. 2523.

თევდორე ცოლ-შვილით“¹

1799 წ. 14 ივნისს მინბაშ ავთანდილ მელიქიშვილს ეშიკადასბაშ ალექსან-დრე მაყაშვილისათვის მიუყიდავს ლეკების მიერ მოკლული ფარსადან ფარსა-დანიშვილის ქვრივი ობლებით, იმავე წლის ოქტომბერში მაყაშვილს ნაყიდი ყმები ღვთისმშობლის ეკლესიისათვის დაუთმია იმ მოტივით, რომ „მდთის მშობლის მამულში იდგნენ და მათმა მაღალდირსებამ არქიმანდრიტმა იოაკი-მაც მოინდომა და იმის ნებით მეც ხელი ავიდეო“²

ასევე იქო ტყვედნამყოფთა კატეგორია, რომელიც თავისუფლებას „ღვთის წყალობად“ თვლიდა და აღთქმის მიხედვით, საკუთარი სურვილით საეკლესიო ყმად ეწერებოდა. 1786 წლის 1 აპრილით დათარიღებულ თავშეწირულობის სი-გელით ფოცხვერაშვილი ანდრია აღთქმას დებს: „შენ დიდებულო ნათლისმცუ-მელო... ოდეს დავტყვევდი უსჯულოთა ლეკთა მიერ, მაშინ შევავედრე თავი ჩე-მი მადლსა შენსა დალოცვასა მისის მაღალდირსების წინამძღვრის ეფთვიმისა-სა და ადგითქვ: შემოწირვა თავის ჩემისასა. შემეწია ძალი შენი და გავთავი-სუფლდი მათგან და გამოვიპარე და ბორკილით ქიზიეს მოველ. ნაცვლად შე-წევნისა შენისა მეცა ადგისრულე აღთქმა ჩემი და შემომიწირავს თავი ჩემი წმინდისა მონასტრისა შენისათვის და მომირთმევია თავი ჩემი შენის მონას-ტრისა მამის ეფთვიმისა და კრებულისა მისისათვის საუკუნოდ“³.

1793 წ. 14 მარტს ლეკების ტყვეობისაგან თავდაღწეული ძმები – გოგია და ივანე სეთურიძეები სარგებლობენ იმით, რომ ტყვეობიდან მოსული თავი-სუფალია და „საბატონოდ ხელი არავის აქვს“, საკუთარი სურვილით სვეტიც-ხოვლის ყმებად ეწერებიან, სამაგიეროდ ანტონ II კათალიკოსისაგან მამულის წყალობას იღებენ⁴.

1783 წ. 26 ივნისს გოგია და დავით ბერუაშვილები ტფილელ მიტროპო-ლიტს გერმანეს თავშეწირულობის წიგნს აძლევენ: „ჩვენ სიონთა ღვთის მშო-ბლის ყმანი ვიყავით და ვართ. ეს ჩემი ძმა დავითა ლეკმა დაატყვევა. იქ სხვა ლეკს დაეხსნა და იმ დამსხნელმა ქალაქში (თბილისში – ი.ა.) მოიყვანა, ოც-დარვათუმნად დაეხსნა, ამ თეთრის თხოვნა დაგვიწყო, ჩვენ გლეხები ვიყავით, არაფერი გვქონდა რა და ლეკს თუ თავისს თეთრს არ მივსცემდით, ჩემი ძმა კელშეკრული მიჰყვანდა. მოვედით, თქვენ შემოგეხვეწეთ, დიდად თავ გაწ-

¹ ხახლიმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449; ს. 2720.

² ხახლიმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449; ს. 2125.

³ ხახლიმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449; ს. 2456.

⁴ ხახლიმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449; ს. 2360.

უინეთ, მრავალნი შუამაგალი შემოგიყენეთ, შეგაწუხეთ და ეს დავით დაიხსენით თქვენ და ლეგს ეს ოცდარვა თუმანი სრულად თქვენ მიეცით და ტყვეობიდან დაიხსენით. ახლა ჩვენ ეს პირობა და წიგნი მოგვირთმევია, რომ თქვენი უმა და თქვენგან დახსნილი მსახურად გახლდე, რასაც სამსახურში ვიმსახურო უარი ვერა ვთქვა, სადამდისინაც თქვენი ნება იყოს, თქვენი სამსახურიდან არ გავიდე და ერთგულობით გემსახუროთ. ორნი ძმანი ამ პირობასა ვდებთ და ჩვენის ნებით ეს წიგნი დავაწერინეთ“.¹

როგორც ვხედავთ, დოკუმენტი მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა: პირველი – იგი ცხადად ასახავს საქართველოში დაბრუნებული ტყვეების უმძიმეს სოციალურ მდგომარეობას. გამოსყიდული ძმის სანაცვლოდ, გოგია ბერუაშვილი საკუთარი სურვილით იყენებს თავს კაბალურ მდგომარეობაში და რა სამსახურიც არ უნდა დაავალონ, „უარს ვერ იტყვის“;

მეორე – წარმოგვიდგენს ლეკების ახალ კატეგორიას, ასე ვთქვათ, ცოცხალ ტყვეთა ვაჭარ-გადამყიდველებს, რომლებიც დაღესტანში საქართველოდან წაყვანილ ტყვეებს ყიდულობენ და შემდეგ საქართველოში ძვირად ჰყიდიან (რა თქმა უნდა, ლეკ-გადამყიდველს დაღესტანში – დავით ბერუაშვილში, საბუთში დასახელებულ ოცდარვა თუმანზე ბევრად ნაკლები თანხა ექნებოდა გადახდილი);

და მესამეც, ცოცხალი ტყვეებით ვაჭრობა საქართველოშივე დაღესტნებლების მიერ ხდება არა საიდუმლოდ, დაფარულად, არამედ „კანონიერი“ სახე აქვს მიცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლეკი-გადამყიდველი, თანხის გადაუხდელობის გამო, ბერუაშვილს უკან „კელ შეკრულს“ ვერ წაიყვანდა. სხვა საბუთით, 1764 წელს დარჩია ბეჭანიშვილი აცხადებდა, რომ იგი ლეკებს გაუტაციათ, მერე სხვა ლეკს დაუხსნია და თბილისში ჩამოუყვანია, რათა იქ თავის პატრონს გამოესყიდა.² რა თქმა უნდა, ბეჭანიშვილის გამომსყიდველი ლეკის მთავარი ინტერესი, აქაც ფინანსურია და ისიც ლეგალურად მოქმედებს.

ქართველებიც ყიდულობდნენ თანამემამულეებს იმ პირობით, რომ ფინანსური სარგებელი ენახათ. 1788 წელს გავაზელი ფითიკაშვილი გოგია დატყვევებულა და კარდენახელ კაცს დაუხსნია, მაგრამ ვიდრე ვალს დააბრუნებდა, გოგია ცოლშვილიანად გირაოთი აუყვანია. უილაჯო ფითიკაშვილი ერეპლეს ევერება: „სანამ ამ ვალს მოვრჩებოდე, ერთი თქმი მებოძოს, რომ არა მეთხოვებო-

¹ სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449; ს. 2178.

² ავთანდილ კილასონია. ტყვის გამოხსნის საშუალებები... გვ. 236.

დეს ოაო¹ გაბრიელ რამინიშვილსაც ამ საქმით გამდიდრება განუზრახავს, ოთხი წლით თუმანზე სამი შაურის სარგებლით ვალი აუღია და ჩვიდმეტ თუმნად კეხველი იორდანე ტყვეობიდან გამოუხსნია, მაგრამ იორდანეს ვალის გასტუმრება ვედარ მოუხერხებია. გამდიდრების ნაცვლად, ვალებში ჩავარდნილი რამინიშვილი სამეფო კარზე ჩივის: „გევედრებით, ოქმი და იასაული მიბოძოთ, თავნი და სარგებელი სრულობით მამცეს, რომ მეც თავი გამოვიხსნაო“².

ტყვეთა გამოხსნის საქმეში ყველაზე მეტად მაინც ეკლესია აქტიურობდა. 1774 წ. 3 ოქტომბრის განჩინების მე-3 და მე-5 მუხლებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ქვეშვერდომებისადმი მიმართვაში საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ „თუ ტყვე ჰყავდეს დასახსნელი და მოწყალებას ითხოვდეს ...უნდა შეიწყნაროთ და მოწყალება მისცეთო“³ საეკლესიო პირთა ნაწილი, ტყვეთა გამოხსნას, ლვთისა და ქვეყნის წინაშე უპირველეს ვალდებულებად თვლიდა იმდენად, რომ ეს საკითხი ანდერძის შინაარსშიც კი ხვდებოდა. 1788 წ. 18 აპრილს თეიმურაზ ჯავახიშვილი ერეკლე მეფეს აუწყებს: „ჩემს სიდედრს სიმონ მდუდლის თეთრი ემართა და სვიმონ რომ კუდებოდა, ჩემმა სიდედრმა მითხრა, მიდი, შეეხვეწე სარგებელი მაპატიოსო. მიველ, შევეხვეწე სარგებლის პატიობა ...ანდერძი დაეწერა: ამის ფულის სარგებელით ერთი ტყვე დაიხსენითო“. ჯავახიშვილს ანდერძი პირნათლად შეუსრულებია, ტყვე გამოუხსნია და სვიმონის საფლავზე მასთან ერთად შენდობა უთქვამს.⁴

თავის მხრივ, ხელისუფლებაც ცდილობდა გარკვეული შეღავათები და წესებინა იმ პირებისათვის, რომელთაც გამოსასყიდი თანხა პქონდათ გადასახდელი. მაგ. დარეჯან დედოფალი გავაზის მოურავს, ნატყვევარი გოგიას ორი წლით სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებიდან გათავისუფლებას უბრძანებს: „თუ ნაილაჯი იყოს და მიცემა არათი შეეძლოს, ორი წლით გაგვიაზებია. არც საჩვენო საოხოვარში უნდა გარიოთ და არც სათქვენოში, რადგან თავი აქუს დასახსნელი, გამოსაღებში ნუდარ გარევთ“⁵. 1786 წ. 11 დეკემბერს ლეკებში დატყვევებული თათარაშვილის მეუღლე, ქმრის გამოხსნამდე დარეჯან დედოფალს ასევე გადასახადებიდან გათავისუფლებას სოხოვს: „ლეკი მყავს გაგზავნილი თქვენის ყმის დასახსნელად. და ახლა გევედრებით,

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, გვ. 268, დოკ. 418.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 605, დოკ. 609.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 901-902, დოკ. 354.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 755-756, დოკ. 797.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 35, დოკ. 22.

სანამ სახსარს შავასრულებდე და დავიხსნიდე, მანამ თქვენი წყალობა დამუმართოს, რომ გასაღები როდესაც გიახლოს, იმან თავისი გადაიხადოს“.¹ დედოფალი გადასახადიდან ამ ქალბატონსაც ათავისუფლებს და მოხელეებისადმი მიწერილ ოქმში ხაზს უხვამს: „რადგან ტყვის პატრონი არის, ამისთვის ვაპატივეთო“.²

მუდმივი ძარცვა-რბევით მიყენებული ზარალის აღსადგენად მხოლოდ სახელმწიფო სახსრები არ კმაროდა და მისი „კომპენსაცია“ ძირითადად ისევ მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. ეს ფაქტი, ფიზიკურ შრომასთან ერთად, ფინანსებთანაც იყო დაკავშირებული, რაც მოსახლეობას ურთულეს მდგომარეობაში აყენებდა. 1799 წლის 30 მარტს გიორგი XII-სადმი მიწერილ წერილში იქნა დიასამიძე წუხდა, რომ „შვიდი კომლი კაცი ლეგებში დაგვიხოცეს, იმათი ცოლ-შვილი დაატყვევეს და შვიდი კომლი ყმალა დაგვრჩაო. ახლა ზაალ ყაფლანიშვილი და იასაულები გამოსაღებსა გვთხოვენ, ესენიც დამეკარგებიან და მე რიდათ უნდა დავრჩე. მუხალგა მომირთმევია, თუ ამაზედ მეტი მყვანდეს, ან მუშა, ან გუთანი, ან ყმა თქვენთვის მომირთმევია ჯარიმათ ...თუ მე ამას გარდა ერთი ხარი მყვანდეს რომ გუთანში შევაბა, თქვენი რისხვა მქონდესო“.³

გიორგი XII-ს იქნა დიასამიძე გამოსაღებისაგან გაუთავისუფლებია, მაგრამ ცალკეული დონისძიებები მხოლოდ დროებითი შვება იყო ქვეყნისათვის. მთლიანობაში კი „ლეკიანობა“ „მოუშუშებელ იარად“ დარჩა ქართლ-კახეთისათვის.

ასეთია არასრული მიმოხილვა XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ მესამედში ქართლ-კახეთში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობისა. მართალია, უმიწოდებელი სუსტად განვითარებულ დაღესტანს მეზობელ საქართველოში გამუდმებული ძარცვა-თარეში ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას აძლევდა, მაგრამ პოლიტიკურად ეს პროცესი ორივე ქვეყნას (დაღესტანსა და საქართველოს) მნიშვნელოვნად ასუსტებდა. ყველაზე მეტად მეზობლების ქიშით კი მესამედიდმა ჩრდილოელმა მეზობელმა ისარგებლა.

რუსეთმა ჯერ საქართველო დაიპყრო, შემდეგ დაღესტანი და ჩრდილოეთისა, ხოლო „ლეკიანობის“ პრობლემა საიმპერატორო კარმა მნიშვნელოვანწილად ისევ ქართველების ხელით გადაწყვიტა.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 709, დოკ. 748.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 710.

³ ხახლმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 1450. დავთ. 13 ს. 123.

დასკვნა

ამრიგად, ზემონათქვამზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ „ლუ-
კიანობა“, ძირითადად, სოციალური მოვლენა იყო და გამოკვეთილად ანტიქარ-
თულ ხასიათს არ ატარებდა. იგი, სადამდეც ხელი მიუწვდებოდა, ერთნაირად
ემუქრებოდა, არა მარტო ქართლ-კახეთს, არამედ სხვა მეზობლებსაც: ჩრდი-
ლო-დასავლეთით სტავროპოლის მხარეს, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჩრდილო-
ირანის ერთმორწმუნე პროვინციებს და სომხეთს.

ჩრდ. კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობის, კერძოდ, მთის მკაცრი პი-
რობების, მიწის სიმცირისა და მოუსავლიანობის გამო, მოსახლეობის გარკვე-
ული ნაწილისათვის ცხოვრების „სახსრად“ სწორედ ძარცვა-თარეში და ტყვე-
ებით ვაჭრობა იქცა, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის რისკი ძალზე დიდი
იყო. საგულისხმოა, რომ დაღესტნებით თანაბარი ხალისით მოდიოდნენ, არა
მარტო ქართლ-კახეთის სათარეშოდ, არამედ ქართველი მეფეების დროშის
ქვეშ – დაქირავებულთა სახით.

იმიერკავკასიელთა ლაშქრობებს საქართველოში ადამიანთა გატაცებისა
და შემდგომ ახლობლების მიერ გამოსყიდვის მიზნით ადრეც (XV-XVI სს.)
ჰქონდა ადგილი, მაგრამ, მას შემდეგ, რც ყირიმისა და სტამბოლ-კაიროს ტყ-
ვეთა ბაზრები ამოქმედდა და ადამიანებით ვაჭრობა გაცილებით სარფიან საქ-
მედ იქცა, ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. საქართველოში იმ დრო-
ისათვის არსებული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა (სათავა-
დოებად დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყანა, მძიმე დემოგრაფიული ვითარება,
ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე, მუდმივი ჯარის არ არსებობა და
სხვ) ნოუიერ ნიადაგს ქმნიდა ლეგთა გამუდმებული თარეშისათვის და არ იძ-
ლეოდა ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებას. საკმარისი იყო ამ სისტემის
თუნდაც რომელიმე სეგმენტი შეცვლილიყო (მაგ. XVIII ს. 70-იან წლებში, რო-
ცა ურეკლე II-მ გაუქმა ქსნისა და არაგვის საერისთავოები, გავლენის ქვეშ
მოაქცია საამილახვრო-საბარათიანო, ხელი მიჰყო სამთამადნო წარმოებას,
შექმნა „მორიგე ჯარი“), რომ მისი სასიკეთო შედეგი ქვეყანას უმაღ ეტყობო-
და და ლეგთა შემოსევებიც მნიშვნელოვნად იკლებდა.

„ლეკიანობის“ პროცესი არანაკლებ წამგებიანი იყო თვით დაღესტნისათ-
ვის, რადგან იგი დამოკიდებული იყო მხოლოდ ტყვე-ნადავლიდან მიღებულ
შემოსავალზე და ეკონომიკური განვითარების ობიექტურ შესაძლებლობებს

გამორიცხავდა.

მუდმივად მოუგვარებელი საგარეო პრობლემა ქართლ-კახეთში შინაგან დაპირისპირებებს წარმოშობდა და მისი გადაწყვეტის საშუალებას არ იძლეოდა, რაც ძლიერ მტერს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის ნოუიერ ნიადაგს უქმნიდა.

„ლეკიანობამ“ მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნის სოციალური და დემოგრაფიული გარემო. დაცლილ ტერიტორიებზე მასიური ხასიათი მიეცა არაქართული მოსახლეობის ჩამოსახლების (ოსების, სომხების) შემთხვევებს. ეს ფაქტი ზოგჯერ ქართველ მეფეთა ინიციატივითაც ხდებოდა, რადგან გადასახადების გადამხდელუნარიანი მოსახლეობის გამრავლება ქვეყნის ფიზიკური არსებობისათვის აუცილებელი პირობა იყო. მოგვიანებით ამ ფაქტმა უცხო ძალის მხარდაჭერით ქვეყანაში ეთნოკონფლიქტების გაღვივებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

მიუხედავად ერეკლე II-ის დიდი ძალისხმევისა, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკური, ადმინისტრაციული, დემოგრაფიული, კულტურული) რეფორმების განხორციელების მიზნით, მუდმივი თავდასხმები რეფორმების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობებს გამორიცხავდა, ამიტომ ისინი განსაკუთრებულ ეფექტს ვერ იძლეოდნენ ქვეყნის ჩიხიდან გამოსაყვანად.

ერეკლე ასევე აქტიური იყო საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა-განახლების მხრივ, მაგრამ ეს ნაგებობები სტრატეგიული მნიშვნელობის და მასშტაბურნი არ იყვნენ, მხოლოდ თავდაცვით ხასიათს ატარებდნენ და სამხედრო თვალსაზრისით ქვეყნისათვის დიდ ეფექტს ვერ იძლეოდნენ;

„ლეკიანობამ“, მთლიანობაში უმძიმესი შედეგები მოიტანა ქართლ-კახეთისათვის, კრიზისმა საყოველთაო ხასიათი მიიღო და ერი ფიზიკური გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. ქართლ-კახეთის მეფეებმა „ლეკიანობის“ პრობლემის მოგვარება დამოუკიდებლად ვერ მოახერხეს, ამიტომ, ძლიერი გარე მხარდაჭერი ძალის ჩართვა პრობლემის მოგვარების მიზნით, ცხოვრებამ გარდაუვალი გახადა.

იმიერკავკასიელთა გამუდმებულმა მარბიელმა თავდასხმებმა ქართლ-კახეთის ხელისუფალთ (ერეკლე II, განსაკუთრებით გიორგი XII) საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით არჩევანი აღარ დაუტოვეს. ოსმალეთისა და ირანის პროტექტორატის ქვეშ დაბრუნება ერს გადაგვარებას უქადდა, ამიტომ, შექ

მნილ ვითარებაში სავსებით გასაგები და ბუნებრივი იყო მათი ორიენტაცია რუსეთზე, მაგრამ იმპერია დამოუკიდებელი ერთმორწმუნე ქვეყნის მფარველობას ადარ დასჯერდა და ქვეყნის ოკუპაცია განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე განახორციელა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ა) საარქივო მასალა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

1. ფონდი – საბ. 4036; 7872; 11420; 11706; 11909; 13714; 13715; 13709 14499; 14534^ბ; 14759; 14759^ა; 14759^ბ;
2. ფ. – საბ. 907; 920; 1146; 1182; 1230; 1327; 1362; 1443; 1410; 1563; 1760;
3. დიმიტრი მედვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 30; -986;

საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი

2. ფონდი – 1448.

საქმე 4325; 4657; 5124; 5602; 8719; 9376; 9392

3. ფონდი – 1449.

ს. 582; 877; 879; 2125; 2178; 2271; 2277; 2360; 2456; 2523; 2542; 2708; 2720; 2824; 2844; 2900

4. ფონდი – 1450.

დაგთარი № 5. ბ. 75; 88.

დაგთ. № 12. ბ. 63.

დაგთ. № 13. ბ. 17; 123.

დაგთ. № 23. ბ. 3.

დაგთ. № 28. ბ. 234; 235; 236.

დაგთ. № 36. ბ. 255.

დაგთ. № 46. ბ. 274.

დაგთ. № 48. ბ. 36.

დაგთ. № 50. ბ. 13.

5. ფონდი – 1451.

დაგთ. № 1. წიგნი № 2^ა. ბ. 1.

დაგთ. № 1. წიგნი № 2^ა. ბ. 55.

დაგთ. № 1. წიგნი № 2^ა. ბ. 297.

დაგთ. № 2. მცხეთის სვეტიცხოვდის ეკლესიის წერილების რეესტრი. ბ. 201.

დაგთ. № 2. ბ. 255.

დაგთ. № 2. სიონის ღვთისმშობლის ეკლესიის წერილების რეესტრი. ბ. 44.

დაგთ. № 2. ბ. 55.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

გსიებ - 8375, ნაწილი 5, № 63, გვ. 343;

გსიებ - 7648, ნაწილი 6, გვ. 551;

გსიებ - 7648, ნაწილი 6, გვ. 603

გსიებ - 7782/3, ფ. № 145;

გსიებ 7782/3; ფ. № 146

გსიებ 7782/3; ფ. № 155

გსიებ - 7782/3, ფ. № 179;

გსიქმ, 7782/4; ვ. № 355;
გსიქმ 7782/4; ვ. № 385
გსიქმ, 7782/6; ვ. 484

ბ) პ რ ე ს

6. გაზეთი „დროქა“
ა) 06. 06. 1875. № 63
ბ) 08. 06. 1877. № 66.
გ) 30. 06. 1876. № 66
ღ) 05. 10. 1877. № 159
ქ) 06. 10. 1877. № 160
კ) 19. 11. 1877. № 197
ბ) 17. 12. 1877. № 219
ო) 22. 08. 1878. № 169
ი) 07. 06. 1879. № 118
პ) 08. 06. 1879. № 119
ღ) 24. 03. 1884. № 66

7. გაზეთი „ივერია“
ა) 30. 04. 1886. № 93
ბ) 01. 05. 1886. № 94
გ) 30. 11. 1890. № 255
ღ) 12. 09. 1895. № 195

8. გაზეთი „ცნობის ფურცელი“
14. 08. 1897. № 2.

გ) გამოქვეყნებული წყაროები:

1. ამილახვარი ალექსანდრე. გეორგიანული ისტორია. თარგმნილი გერმანზი ქიქოძის მიერ. – მნათობი. 1939, №8.
2. ბაგრატიონი თემიშვილი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქაშვილმა. თბ., 1983;
3. ბაგრატიონი იოანე. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბერიშვილმა. თბ., 1986.
4. ბარათაშვილი იქსე. ცხოვრება-ანდერძი. – ქართული პროზა. ტ. V. თბ., 1983.
5. ბატონიშვილი ბაგრატ. ახალი მოთხრობა. თამარ ლომოურის გამოცემა. თბ., 1941.
6. ბატონიშვილი დავით. ახალი ისტორია. თამარ ლომოურის გამოცემა. თბ., 1941.
7. ბატონიშვილი დავით. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (1744-1840 წწ.). ტფ., 1906.
8. ბატონიშვილი გახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაჟხებიშვილის მიერ. თბ., 1973.
9. ბატონიშვილი იოანე. ხუმარსწავლა (კალმასობა). წიგნი I. თბ., 1990.
10. გიულდებურების მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გრა გელაშვილმა. თბ., 1962.
11. გიულდებურების მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გრა გელაშვილმა. თბ., 1966;
12. გურჯი ზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბ., 1975.
13. დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ. თბ., 1970
14. დე გრაი დე ფუ საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ლილშვილმა. თბ., 1985.
15. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I (XV – XVIII სს.), ნიკო ბერძნიშვილის რედ., თბ., 1940.
16. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, ბატონქმური ურთიერთობა (XV-XIX სს., ნიკო ბერძნიშვილის რედ. თბ., 1953).
17. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაჟხებიშვილის მიერ. თბ., 1959.
18. ედუარდ აიგვალდი საქართველოს შესახებ. (XIX ს. პირველი მეოთხედი) გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გრა გელაშვილმა. თბ., 2005.
19. ერკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები. თბ., 2008
20. თამარაშვილი მიქელ. ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902.
21. თაყაიშვილი ექვთიმე. საქართველოს სიძველენი. ტ. I. ტფ., 1920.
22. თაყაიშვილი ექვთიმე. საქართველოს სიძველენი. ტ. II. ტფ., 1909.
23. თაყაიშვილი ექვთიმე. საქართველოს სიძველენი. ტ. III. ტფ., 1910.
24. იოანე ქართველიშვილის მემუარები. ავთანდილ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ., 1952.
25. იოსელიანი პლატონ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბ., 1978.
26. ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი. – ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაჟხებიშვილის მიერ. თბ., 1959.
27. ისტორიებრიბერი აღწერა ...თბ ზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის გახტანგის მიერ. სარგის კაკაბაძის გამოცემა. ტფ., 1914.
28. გაკაბაძე სარგის. სამილახვროს დავთარი მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა. ტფ., 1925.
29. გარბელაშვილი პოლიეგქტოს. ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, ძელი საქართველო. – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II; ტფ., 1913.
30. ლომსაძე შოთა. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხეური ქრონი-

კუბი. ობ., 1973.

31. **მაჭარაძე ვალერიან.** გეორგიევსკის ტრაქტატი. ობ., 1983.
32. **მაჭარაძე ვალერიან.** მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი II. ოეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში. ობ., 1968.
33. **მაჭარაძე ვალერიან.** მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III. რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო. ობ., 1988.
34. **მეგრელაძე დარეჯან.** მასალები XVIII ს. -ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის. – მახალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი), ნაკვ. 33. ობ., 1960.
35. **მროველი ლეონტი.** მეფეთა ცხოვრება, ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ გაუხსიშვილის მიერ. ობ., 1955.
36. **ორბელიანი გრიგოლ.** წერილები, ტ. I, აკაკი გაწერების რედ., ობ., 1936.
37. **ორბელიანი ილია.** რვა თვე შამილის ტყვეობაში, თარგმნა, წინასიტყვაობა დაურთი და ტექსტი დასაბუქდად მოამზადა ლეიტარ უბილაგამ, ობ., 1991.
38. **ორბელიანი პაპუნა.** ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ლეიტე ცაგარებიშვილმა. ობ., 1981.
39. **რაინევსი იაკობ.** მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. ობ., 2002.
40. **სამართლი გახტანგ მეგექნისია.** ისიდორე დოლიძის რედ. ობ., 1981;
41. **საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVI-XIX სს.** ავთანდილ იოსევლიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით. ობ., 1980.
42. **ქართული სამართლის ძეგლები.** ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. ტ. II ობ., 1965.
43. **ქართული სამართლის ძეგლები.** ტ. III, საეკლესიო საქანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. ობ., 1970.
44. **ქართული სამართლის ძეგლები.** ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. ობ., 1975.
45. **ქართული სამართლის ძეგლები.** ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. ობ., 1977.
46. **ქართული სამართლის ძეგლები.** ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. ობ., 1981.
47. **ქართული სამართლის ძეგლები.** ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. ობ., 1985.
48. **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.** ტ. VII. ირ. აბაშიძის საერთო რედ. , ობ., 1984.
49. **ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.** შეკრებილი, ქრონიკოგიურად დაწყობილი და ასხნილი თერთ ურდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს. 60 – იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გიგი ურდანიამ და შოთა ხანთაძემ. ობ., 1967.
50. **შენგელია ნოდარ.** XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის თხმალური წყაროები. ობ., 1974.
51. **ჩხეიძე სესნია.** საქართველოს ცხოვრება. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა. ტფ., 1913.
52. **ცინცაძე იასე.** კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. XXVII. ობ., 1946.
53. **ცინცაძე იასე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. – მახალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისათვის. ობ., 1960.
54. **ცინცაძე იასე.** ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან. – ენიმის მოამზე. 1940, №V-VI.
55. **ხერხეულიძე ომან.** მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქა შვილმა. ობ., 1989.
56. **ჯავახიშვილი ივანე.** საქართველოს ეპონომიკური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.). ტ. II.

- тд., 1974.
57. Адаты Даргийских обществ. – Сборник сведений о Кавказских горцах, вып. VII, Тифл., 1873.
 58. Адаты жителей кумыкской плоскости. – Сборник сведений о Кавказских горцах, вып VI, Тифл., 1872.
 59. Адаты Южно-Дагестанских обществ . – Сборник сведений о Кавказских горцах, вып VII, Тифл., 1873.
 60. Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. I. ч. II. Тифл. 1866.
 61. Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. II. Тифл. 1868.
 62. Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. III. Тифл. 1869.
 63. Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. IV. Тифл. 1870.
 64. Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. V. Тифл. 1873.
 65. Акты Собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. VI. ч. II. Тифл. 1875.
 66. Безсонов С. В. Крепостные сооружения в бассейне большой Лиахви. – Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, кн. I. Цхинвали 1933.
 67. Белокуров С. Сношения Российской с Кавказом в 1578-1613 г, вып. I.
 68. Броневский С. Новейшие географические и исторические известия о Кавказе, ч. I. М., 1823.
 69. Броссе М. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государствами от 1659 г. по 1770 г. СПБ., 1861.
 70. Бурнашев С. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тифл., 1896.
 71. Бутков П. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. ч. II . СПБ.,1869.
 72. Иоселиани Пл. Описание города Душета Тифлисской губернии. Тифл. 1860.
 73. Иоселиани Пл. Описание древностей города Тифлиса. Тифл. 1860.
 74. Ингуши (их жизнь и обычаи). – Сборник сведений о Кавказских горцах, вып. IX. Тиф., 1876.
 75. Львов Н. Домашняя и семейная жизнь дагестанских горцев. – Сборник сведений о Кавказских горцах, вып. III. Тифл., 1870.
 76. Линевич И. П. Бывшее елисуйское султанство, Сборник сведений о Кавказских горцах, вып VII, Тифл., 1873
 77. Сношения Российской с Кавказом в XVI-XVIII столетияхъ, проф. А. Цагарели. СПБ., 1891.
 78. Туманов Авт. Описание грузинского города Гори. СПБ., 1816.
 79. Фонь-Плотто А. И. Природа и люди Закатальского округа, в кн. Сборник сведений о Кавказских горцах, вып. IV. Тифл., 1870.
 80. Эсадзе С. Очерки историй горного дела на Кавказ. Тифл., 1903.
 81. Цагарели А. Грамоты и др. исторические документы относящиеся по Грузии. т. I. СПБ., 1891.
 82. Цагарели А. Грамоты и др. исторические документы относящиеся по Грузии. т. II. вып. I. Груз. тексты с 1768-1801 гг. СПБ., 1898.
 83. Цагарели А. Грамоты и др. исторические документы относящиеся по Грузии. т. II. вып. II. СПБ., 1902.

ღ) სამეცნიერო ლიტერატურა:

84. აკოფაშვილი გულწინა. ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, XVIII ს. 40-80-იან წლებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გ. IV. თბ., 1973.
85. აკოფაშვილი გულწინა. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა). თბ., 1965.
86. აკოფაშვილი გულწინა. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გ. IV. თბ., 1973.
87. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). „გადაბეჭოან (ნიახურას) ბრძოლის“ შეფასების საკითხოსათვის. – ახალი ტრენდები განათლებაში: კვლევა და განვითარება. გორის სახავლო უნივერსიტეტის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია. თბ., 2011.
88. ალიმბარაშვილი სოსო. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის

- II ნახევარში. ობ., 2008.
89. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში. ობ., 2011.
 90. ალიმბარაშვილი იოსებ. ერეკლე II-ის ურთიერთობა ოსმალეთთან XVIII ს.70-იან წლებში და რუსეთის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. – გორის სახწავლო უნივერსიტეტისა და შევის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი სამუშაორ კონფერენციის მასალები. 30.03.2012.
 91. ალიმბარაშვილი სოსო. ზედაგელას ბრძოლები. – განთამადი, № 5-6. ქუთაისი, 2008.
 92. ალიმბარაშვილი სოსო. ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე. ობ., 2007;
 93. ალიმბარაშვილი იოსებ. ქართული ჯარის ისტორიიდან (შიდა ქართლის სამდევროები), გორის სახწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 3. ობ., 2012.
 94. ალიმბარაშვილი იოსებ. შამილის „ნიზამი“ და დავით ბატონიშვილის „სამართალი“. – ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებები და კონკრეტული კვლევები. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია 16-17, XI, 2012. ობ., 2012.
 95. ანთელავა ირაკლი. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის (სოფლის მასალების მიხედვით), ობ., 1977.
 96. ანჩაბაძე გიორგი. თანამედროვე საქართველოსთვის ჩრდილოკავკასიური ფაქტორის ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები (2008 წლამდე), კრებულში: „ჩრდილო კავკასია და საქართველო“, ნაწ. I, ობ., 2012.
 97. ანჩაბაძე გიორგი. სამხედრო ისტორია (ლექციების კურსი), ობ., 2002.
 98. ანჩაბაძე გიორგი. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე), ობ., 2010.
 99. ასათიანი ნოდარ. საქართველოს ისტორია. ობ., 1995.
 100. ასათიანი ნოდარ, ლორთქიფანიძე მარიკა, საქართველოს ისტორია. ობ., 2001.
 101. აფციაური ჯემალ. ოეიმურაზი. ობ., 1991.
 102. ახლოური დავით. ახალგორის ისტორია. უძველესი დროიდან ქსნის საერისთავოს გაუქმებამდე (1777 წ.) ობ., 2006.
 103. ბენდიანაშვილი ალექსანდრე. გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში. ობ., 1989.
 104. ბერიძე ვახტანგ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, ობ., 1974.
 105. ბერიძე ვახტანგ. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I. ობ., 1983.
 106. ბერძენიშვილი ნიკო, ჯავახიშვილი ივანე, ჯანაშია სიმონ. საქართველოს ისტორია. ნაწ. I. უძვ. დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. ობ., 1948.
 107. ბერძენიშვილი ნიკოლოზ. XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. – საქართველოს ისტორიის ხაუთხები. ტ. II ობ., 1965.
 108. ბერძენიშვილი ნიკოლოზ. საქართველოს ისტორია. ობ., 1966.
 109. ბერძენიშვილი ნიკოლოზ. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III. ობ., 1966.
 110. ბერძენიშვილი ნიკოლოზ. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VI. ობ., 1964.
 111. ბერძნიშვილი ილია. გორის ციხე. ობ., 1961.
 112. ბერძნიშვილი მამისა. მასალები XVIII საუკუნის ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა) – ქართული წერილობურნება. ტ. I. ობ., 1965.
 113. ბესიკი. ოხულებანი. ტექსტი შენიშვნები, ლექსიკონი ალექსანდრე ბარამიძისა და გარლამ თოფურიას რედ. ობ., 1962
 114. ბოცვაძე თეიმურაზ. საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.) ობ., 1968.
 115. ბოცვაძე თეიმურაზ. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.) ობ., 1968.
 116. ბოცვაძე თეიმურაზ. ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. XV-XVIII სს. ობ., 1990.
 117. ბოცვაძე თეიმურაზ. დაღესტანი XVIII ს. წიგნში: ზურაბ ანჩაბაძე, თეიმურაზ ბოცვაძე, გიორგი თოგოშვილი, მარინე ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვენები,

- ნაკვ. I. ობ., 1969.
118. ბროსე მარი. საქართველოს ისტორია. ნაწილი მეორე. ნათარგმნი და განმარტებული ხიმო ღოლობერიძის მიერ. ტფ., 1900.
 119. გელეიშვილი პავლე. ერთი აჯანყების კლასობრივი სახე. (XVIII ს-ში საქართველოში კლასთა ბრძოლის ისტორიის მასალებიდან). – მეცნიერების მოამბე. 1936.
 120. გერმანელი დოქტორი იაკობ რეინეგ სი. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1920.
 121. გიგინეიშვილი ოთარ. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ., 1982.
 122. გვრიტიშვილი დავით. გორის ისტორია. ობ., 1954.
 123. გვრიტიშვილი დავით. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ., 1955.
 124. გვრიტიშვილი დავით. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ტ. III. ობ., 1968.
 125. გოგოლაძე დერმიშა. სამთამადნო, სამთო-საქარხენო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX ს.ს.) თბ., 1982.
 126. გონიკაშვილი მიხეილ. ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბ., 2002.
 127. გურამიშვილი დავით. დავითიანი. ქართული მწერლობა. ტ. VII. თბ., 1984.
 128. გუჩუა ვიქტორ. კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან, საქართველოს ისტორიის ნარგევები, ტ. IV. თბ., 1973.
 129. დონდუა ვარლამ. დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია. თბ., 1959.
 130. დონდუა ვარლამ. საისტორიო ძიებანი. III თბ., 1985.
 131. დუბაძე მამია. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან (XIX ს. რეფორმამდელი პერიოდი). თბ., 1953.
 132. დუბაძე მამია, ქორთუა ნიკოლოზ. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ., 1973.
 133. დუბაძე მამია. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973.
 134. გაჩნაძე მერაბ, გურული გახტანგ, ბახტაძე მიხეილ. საქართველოს ისტორია (უძვ. დროიდან 1801 წლამდე). თბ., 2001.
 135. ზაქარია პარმენ. ქართული ციხე-ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები კოშკები. თბ., 2004.
 136. თბილისის ისტორია. ტ. I (უძვ. დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე). მამია დუბაძისა და ვიქტორ გუჩუას რედ. თბ., 1990.
 137. კაკაბაძე სარგის. კრწანისის ომი. თბ., 1991.
 138. კაკაბაძე სარგის. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.). ტფ. 1922.
 139. კაბელაშვილი პოლიევექტოს. მეფე ერეკლე და მადანჩა. – გაზ. „საქართველო“, 04. 07. 1916 წ. № 123.
 140. კიკვიძე აბელ. საქართველოს ისტორია. 1801-1890 წ.წ. თბ., 1974.
 141. კილასონია ავთანდილ. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-პავკასიაში XVI-XVIII საუკუნეებში. თბ., 2006.
 142. კილასონია ავთანდილ. ტყვეთა გამოხსნის საშუალებები და მისი სამართლებრივი რეგულირება საქართველოში XVIII საუკუნეში. – საისტორიო ძიებანი, III წელიწელი დოკუმენტი, ექთ. თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, თბ., 2000.
 143. კლიმიაშვილი აკაკი. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის. კრებულში: XIV-XVIII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964
 144. კლიმიაშვილი აკაკი. საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს. II ნახევარში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. IV. თბ., 1962.
 145. ლომაშვილი ფარნაოზ. საქართველოს ისტორია, 1918-1981 წწ. თბ., 1999.
 146. ლომსაძე შოთა. სამცხე-ჯავახეთი. (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ., 1975.
 147. ლორთქიფანიძე იასე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.). – მასალები

- საქართველოსა და კაგანის ისტორიისათვის (მხევი), ნაკვ II. თბ., 1940.
148. მაისურაძე გურამ. ქართველი და სომები ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს. თბ., 1982.
149. მაკალათია სერგი. ფრონეს ხეობა, თბ., 1963.
150. მამისონაშვილი ელდარ. ამილახვრები. გორი. 1996.
151. მამისონაშვილი ელდარ. გორის ისტორია. ტ. I. თბ., 1994.
152. მამისონაშვილი ელდარ. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით). თბ., 1981.
153. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი დაჯით გიორგის ძისა და მისი ძმების მოხანა შვილის გამოცემა. ტფ., 1905.
154. მაჭარაძე გალერიან. ასპინძის ბრძოლა. თბ., 1957.
155. მეგრელაძე დარეჯან, აღმოსავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973.
156. მეგრელაძე დარეჯან. დადესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. – მაცნე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, ისტორიის სერია. თბ., 1967. № 6, 39.
157. მეგრელაძე დარეჯან. საქართველოს გლეხობა XVI-XVIII სს. (აღმოსავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით). სადოქტორო დისერტაცია. თბ., 1988.
158. მეგრელაძე დარეჯან. რკინის ადგილობრივი წარმოებისა და მისი შემოზიდვის შესახებ XVIII ს. საქართველოში. – აკად. იუ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები VII, თბ., 1964.
159. მესხია შოთა. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე, საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ., 1986.
160. მეტრეველი როინ. მეფე თამარი. თბ., 1991.
161. ნატოშვილი გიორგი. ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი. – მნათობი, № 1, 1976.
162. ოთხმეზური გიორგი. შიდა ქართლის მცირე სათვადოები (XV-XVII სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.
163. ოთხმეზური გიორგი. შიდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. – კაგანია და კაგანიულები. სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა მასალები). თბ., 2009.
164. ოთხმეზური თამარ. აღმოსავლეთ საქართველო 1723-1735 წწ. „ოსმალობა“. ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1975.
165. ორბელიანი ალექსანდრე. ასპინძის ომი 1770-სა. – ქართული პროზა. ტ. VII. თბ., 1984.
166. ორჯონიგიძე ეთერ. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს. I ნახევარი). თბ., 1992.
167. პაიჭაძე გიორგი. ვახტანგ VI. თბ., 1981.
168. პაიჭაძე გიორგი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი). თბ., 1960.
169. პაიჭაძე გიორგი. ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. 1783 წ. ხელშეკრულება. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973.
170. პაპაშვილი მურმან. დადესტანის როლი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში 1722-1724 წწ. – საქართველო და კერთმაის ქვეყნები (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები) თბ., 1991.
171. პაპუაშვილი თენგიზ. ჭარ-ბელაქანი. თბ., 1972.
172. რობაქიძე ალექსანდრე. ოფიციალური წარმოება პირაქეთა ხევსურეთში. – ანალები, ტ. I 1947.
173. სამსონაძე მიხეილ. საქართველოს გაერთიანების პროცესი და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. თბ., 1988.
174. სამსონაძე მიხეილ. ამიერკავკასიის სახანოებთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებში. – კრებ. „ქართული სამეფო-სამთავროების ხაგარეთ პოლიტიკის ისტორიიდან“, ტ. II. თბ., 1973.
175. საქართველოს ისტორია. ტ. II. მთავარი რედაქტორი მარიამ ლორთქიფანიძე, ტომის რედაქტორები: ნოდარ ასათანი და გიგი ჯამბურაძე. თბ., 2008.


176. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ოღნიშვილობა. ტ. V. თბ., 1990.
177. საქართველოს ხახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. II. ისტორიული დოკუმენტები. წიგნი I. იმერთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა **შოთა ბურჯანაძემ**. თბ., 1981.
178. სვანიდე მიხეილ. ატენის ბრძოლის ზოგიერთ საკითხის დაზუსტებისათვის. თურქული წეროების მიხედვით. – საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები. წიგნი II. თბ., 1979.
179. სვანიდე მიხეილ. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. (XIV-XVIII ს.ს.) თბ., 1990.
180. სოსიაშვილი გიორგი. ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან. თბ., 2011.
181. სოსიაშვილი გიორგი. სამაჩაბლოს ისტორიიდან (XV-XIX ს.ს.) თბ., 2005.
182. ტაბატაძე კარლო. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
183. ტლაშვაძე იესე. ბაქარიანი. გამოსაცემად მოამზადა **ხოლომონ ყუბანეთშვილმა**. თბ., 1962.
184. ტუხაშვილი ლოვარდ. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთის ხალხებთან მე 18 საუკუნის მეორე ნახევარში. – მნათობი, 1971, № 1.
185. ტუხაშვილი ლოვარდ. პოლიტიკური ვითარება XVIII ს. პირველ ოცნებულში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973.
186. ფრონელი ალექსანდრე. მთის არწივი შამილი. ტფ., 1914.
187. ქართული ხალხური პოეზია. საგმირო ლექსები. ტ. II. ნაკვ. I. თბ., 1974.
188. ქართული ხალხური ხაუნჯე. ტ. I. პოეზია თბ., 1991.
189. ქიქოძე გერონტი. ერეკლე მეორე. თბ., 1958.
190. ქიქოძე მანანა. სოციალური ურთიერთობის მოწესრიგების ცდები, კლასობრივი ბრძოლა XVIII ს. პირველ მეოთხედში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973.
191. შაველიშვილი აბრამ. საქართველო-ჩეჩენი-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII ს.ს.-ში. თბ., 1980.
192. შარაშენიძე ზურაბ. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1970.
193. შენგელია ნოდარ. ოსმალო ისტორიკოსი ჩელები ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ. აკად. **სერგი ჯიქიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული**. – აღმოსავლური ფილოლოგია. ტ. III. თბ., 1973.
194. შველიძე დიმიტრი. ერეკლე მეფის ჟავანასენელი ცდა. – ისტორიანი, მიძღვნილი **როინ მეტრეველის** დაბადებიდან 70 წლისთავისადმი, თბ., 2009.
195. ჩანგაშვილი გიორგი. საინგილო თბ., 1970.
196. ჩოლოფაშვილი ქოტე. ქართული საჭურველი – ჯაჭვი. – აკად. ს. ჯანაშიას ხახ. საქართველოს ხახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბ., 1956, ტ. XIX- .
197. ცინცაძე იასე. აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795). თბ., 1969.
198. ცოტნიაშვილი მიხეილ. ცხინვალის ისტორიისათვის. სტალინირი, 1961.
199. ცემიტიშვილი ზურაბ. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფო მოღვაწეობა (საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან XVIII ს.უკანასკნელ მეოთხედში). თბ., 1982.
200. ხანთაძე შოთა. მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის. – აკად. ს. ჯანაშიას ხახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXII. თბ., 1961
201. ჯაგოდნიშვილი თემურ. ერეკლეს ეპოსი. თბ., 2005.
202. ჯავახიშვილი ივანე. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში. თბ., 1919.
203. ჯავახიშვილი ნიკოლოზ ნარკვევები ქართველი და ადიდელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 2005.
204. ჯავახიშვილი ნიკოლოზ. ხუნძეთის ნუცალი უმა V და საქართველო. – ისტორიანი. კრებული მიძღვნილი **როინ მეტრეველის** დაბადებიდან 70 წლისთავისადმი. თბ., 2009.
205. ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე. დაღესტნილგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები. გამოცემული **სარგის კაკაბაძის** მიერ. ტფ., 1914.
206. ჯანაშვილი მოსე. საქართველოს ისტორია. მეორე გამოცემა **ზაქარია ჭიჭინაძისა**. ტფ., 1894.
207. ჯანელიძე დავით. საქართველო და აღმოსავლეთი. XVIII ს. თბ., 1984.
208. ჯაოშვილი გახტანგ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984.

209. **ჯორჯაძე ირაკლი.** ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1990.
210. **Аваловъ З.** Присоединение Грузии къ Российской. СПБ., 1901.
211. **Алимбаришвили И.** Кровная месть горцев на Северном Кавказе. – *კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორის ტემა*. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ქ. ახალციხე, 26-30.07.2012.
212. **Анчабадзе Г.** Источниковедческие проблемы военной истории Грузии, Тб., 1990.
213. **Гамрекели В.** Вопросы взаимоотношения Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII веке, автореферат докт. диссертации. Тб., 1972.
214. **Далгат У.** Фольклор и литература народов Дагестана. М., 1962
215. **Дубровин Н.** История войны и владычества Русскихъ на Кавказѣ, т. II. СПБ., 1886.
216. **Дубровин Н.** История войны и владычества русскихъ на Кавказѣ, т. III. СПБ., 1886.
217. **Джевдет паша.** Описание событий в Грузии и Черкасии по отношению к Оттоманской империи от 1192 года по 1202 год хиджры. (1775-1784). Перевод на русск. язык *М. А. Гамазова*. – *Русский Архив*. кн. I. №3. М., 1888.
218. **Маркова О.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва 1966;
219. **Маркова О.** Феодальная реакция на прогрессивную политику единодержавия Грузии (Выступление князя Александра Грузинского 1766-1783 гг.). – *კავკასიის ხალხის იურიდიული საკითხები*. თბ., 1966.
220. **Накашидзе Н.** Грузино-Русские политические отношения в первой половине XVII века. Тб., 1968.
221. **Петрушевский И.** Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тифл., 1934
222. **Полиевктов М.** Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1614-1640 г. Тб. 1937
223. **Потто В.** Кавказская война въ отдельныхъ очеркахъ эпизодахъ легендахъ и биографияхъ. т. I. от древнейшихъ временъ до Ермолова. вып. I. СПБ., 1885.
224. **Смирнов. С.** Политика России на Кавказ XVI-XIX века. М., 1958.
225. **Хашаев Х.** Общественный строй Дагестана в XIX веке, М., 1961.


შინაარსი

შესაგალი	2
თავი I. ლეკიანობის არსი, ბუნება და ექსპანსიის მიზეზები	
1. ლეკიანობის არსი და ბუნება	15
2. ქართლ-კახეთისა და იმიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. ლეკთა ექსპანსიის მიზეზები	28
თავი II. ლეკიანობა ქართლ-კახეთში (XVIII ს. - XIX ს.30-იანი წლები)	
1. ლეკიანობა ქართლ-კახეთში XVIII საუკუნის I ნახევარში	41
2. ლეკიანობა ქართლ-კახეთში XVIII საუკუნის II ნახევარში, იმიერ-კავკასიელ მთიელთა ექსპანსიის გაძლიერება	54
3. ლეკიანობა ქართლ-კახეთში რუსული ხელისუფლების დროს (XIX ს. დასაწყისი - 30-იანი წლები)	79
თავი III. ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა ლეკიანობის წინააღმდეგ	
1. ადმინისტრაციული ღონისძიებები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით	93
2. საფორტიფიკაციო ნაგებობები	122
თავი IV. ლეკიანობის შედეგები	142
დასკვნა	175
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა	178
დანართი რუკები	
1. ამიერკავკასია XVIII საუკუნეში.	189
2. ლეკთა შემოსევების ძირითადი მიმართულებები ქართლ-კახეთში	190
3. ლეკიანობა ქართლში (XVIII ს. – XIX ს. 30-იანი წლები)	191
4. ლეკიანობა კახეთში (XVIII ს. – XIX ს. 30-იანი წლები)	192
5. შიდა ქართლის სამდევროები ერებლე II-ის 1772 წ. 28. 08. ბრძანების მიხედვით	193
6. ქართლ-კახეთის მთავარი ციხე-სიმაგრეების სასიგნალო სისტემა XVIII ს-ში	194


დანართი რუკები: ამიერკავკასია XVIII საუკუნეში



ლეპთა შემოსევების ძირითადი მიმართულებები ქართლ-კახეთში




ლექიანობა ქართლში XVIII საუკუნეები



ლეკიანობა კახეთში XVIII საუკუნეში



სამდევროების რუკა ერეკლე II-ს 28.08.1772 წ. ბრძანების მიხედვით



საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემა ქართლ-კახეთში XVIII ს.

